

ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
კვლევის დეპარტამენტი
სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა



სამოქალაქო ადვოკატირების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე:
საქართველოს მაგალითი
ავტორი: თამარ კობერიძე
სპეციალობა: საჯარო მმართველობა
ხელმძღვანელი: ნინო დოლიძე

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

სამოქალაქო ადვოკატორების მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ პოლიტიკისა და სოციალურ ცვლილებასთან ერთად გულისხმობს სამოქალაქო მონაწილეობისთვის ფართომასშტაბიანი პლათფორმის უზრუნველყოფას, რაც მოითხოვს საზოგადოებაში სოციალურ ნორმათა სისტემაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას და კოლექტიური ქმედების წახალისებას, ე.ი. ქვეყნის სოციალური კაპიტალის განვითარებას. ქართული სამოქალაქო საზოგადოების დღემდე არსებული კვლევების მიხედვით, საერთაშორისო დონორთა ხანგრძლივი ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერის მიუხედავად, იგი ვერ პასუხობს მოთხოვნებს ან ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მნიშვნელოვანია, რომ ეს შეფასებები მიმართულია ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციების“ სეგმენტზე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში გამოჩნდნენ სამოქალაქო საზოგადოების სხვა არა-ინსტიტუციონალიზებული კავშირები. წარმოდგენილი კვლევა აღწერს სამოქალაქო ადვოკატორების მაგალითებს საქართველოში და აფასებს მათ ზეგავლენას საჯარო პოლიტიკასა და სოციალურ კეთილდღეობაზე, სადაც პოზიტიური ცვლილების ბერკეტი სოციალური კაპიტალის ცვლილებაა. კვლევა ადგენს, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოების როგორც ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციებს“ (სს1), ასევე არა-ინსტიტუციურ სეგმენტს (სს2) მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საჯარო პოლიტიკასა და სოციალურ ცვლილებაზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად. ამასთან, სოციალურ კაპიტალზე ზეგავლენის მოხდენის კრილში სს1 სეგმენტის „კვალიფიცირებულ ჩარევას“ წვლილი შეაქვს გადაწყვეტილებების მიმღებში სტრუქტურულ და ნორმატიულ ცვლილებაში და საზოგადოების ნორმატიულ ცვლილებაში, ხოლო სს2 სეგმენტის „აქტივისტურ მიდგომას“ წვლილი შეაქვს როგორც გადაწყვეტილებების მიმღების, ასევე საზოგადოების წევრების სტრუქტურულ და ნორმატიულ ცვლილებაში.

მადლიერების გვერდი

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (GIPA) და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს კვლევის ფარგლებში გაწეული დახმარებისთვის. დიდი მადლობა ასევე ქართული სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრის წარმომადგენლებს კვლევაში მონაწილეობისთვის და შეუფასებელი თანადგომისთვის (ალფავიტის მიხედვით):

ანა გაბრიამე, „თავისუფალი სივრცე“

ბორის კიკნაძე, wehelp.ge

გიორგი კლდიაშვილი, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI)

გიორგი მესხიძე, „კვიტას გეორგიკა“

ვაჟა სალამაძე, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ (CSI)

ზვიად დევდარიანი, „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ (Cida)

თამარ გერმანაშვილი, „ზიანის შემცირების ქსელი“

იდა ბახტურიძე, „ქალთა მოძრაობა“

ირინა ხანთაძე, „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი“ (CTC)

მადონა ხარებავა, „ასოციაცია დეა“

მაია მამულაშვილი, „კახეთის მედია ცენტრი“

მარიამ ჯორჯაძე, „ელკანა“

მანანა ინაიშვილი, „ნაბიჯი წინ“

მარიამ მღებრიშვილი, „საზოგადოება ბილიკი“

მარინე თოფურია, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“

მიხეილ ბენიძე, „სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED)

ნინო ევგენიძე, „ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ (EPRC)

ნინო ელბაქიძე, „კონსტიტუციის 42 მუხლი“

ოლგა ენდელაძე, „მარნეულის დემოკრატი ქალთა კავშირი“

პაატა კლდიაშვილი, „ახალგაზრდა ეკონომისტთა კავშირი“ (დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლობა)

პაატა საბელაშვილი, „თეთრი ხმაურის მოძრაობა“

სოფიო ვერძეული, „ადამიანის სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC)

ქეთევან გუჯარაიძე, „მწვანე ალტერნატივა“

ქეთევან ვაშაკიძე, „ევროპის ფონდი“

ცირა ელისაშვილი, „ტფილისის ჰამქარი“

სარჩევი

თავი 1 შესავალი.....	6
1.1 პრობლემის დასმა, საკითხის აქტუალურობა და პრაქტიკული ღირებულება	6
1.2 კვლევის მიზნები, კვლევის კითხვები	13
თავი 2 თეორიული ჩარჩო	15
თავი 3 კვლევის მეთოდოლოგია.....	18
3.1 ტექნიკური მიდგომა.....	18
3.2 საკვლევი ობიექტები და შერჩევა.....	18
3.3 კვლევის ინსტრუმენტები	20
თავი 4 ლიტერატურის მიმოხილვა	26
4.1 სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიზაცია	26
4.1.1 უმრავლესობის ტირანია: გამოსავლის ძიება	26
4.1.2 თათბირობითი (ან მონაწილეობითი) დემოკრატია	33
4.1.3 მოქალაქეობა და სამოქალაქო კულტურა	36
4.2 სოციალური კაპიტალი	54
4.2.1 სოციალური კაპიტალი და სამოქალაქო საზოგადოება	54
4.2.2 სოციალური კაპიტალი vs სამოქალაქო საზოგადოება.....	64
4.2.3 სოციალური კაპიტალის წარმოშობა	69
4.2.4 სოციალური ნორმები, როგორც სოციალური კაპიტალის ნაწილი	74
4.2.5 სოციალური კაპიტალის გაზომვა	75
4.3 ასოციაციური დემოკრატია ან ასოციაციონალიზმი	81
4.4 პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენის ალტერნატივები	89
4.4.1 სამოქალაქო აქტივიზმი	89
4.4.2 ადვოკატირება.....	99
თავი 5: პრობლემის კვლევა.....	110
5.1 სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი პოსტ-საბჭოთა სივრცეში	110
5.2 ინსტიტუციონალიზებული და არა- ინსტიტუციონალიზებული ასოციაციები საქართველოში	132
5.2.1 არა-სამთავრობო ორგანიზაციების ფენომენი	132
5.2.2 სოციალური მოძრაობები და სხვა სამოქალაქო აქტივიზმი	139
5.2.3 სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების ამოცანები.....	144

5.3 შიდა და გარე ფაქტორები.....	149
5.3.1 სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური გარემო	149
5.3.2 სამოქალაქო ორგანიზაციების შემოსავლის წყაროები.....	160
5.3.3 სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციული შესაძლებლობები (ადვოკატების უნარი)	176
5.4 სტრატეგიული მიდგომა: საკითხის აქტუალობა, მოტივაცია და ცვლილების თეორია.....	179
5.4.1 საკითხის პირველადი აქტუალობა.....	180
5.4.2 ორგანიზაციის/კამპანიის წამოწყების მოტივაცია	183
5.4.3 ცვლილების თეორია : ხედვა და მოქმედება.....	197
5.4.4 სტრატეგიული მიდგომა.....	203
5.5 სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების ბერკეტები ცვლილების მოსახდენად.....	205
5.5.1 საკითხის მნიშვნელობის აღიარება ფართო საზოგადოების მიერ.....	206
5.5.2 საკითხის მნიშვნელობის აღიარება: ფოკუს ჯგუფები	242
5.6. ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე, სოციალურ ცვლილებაზე და სოციალურ ნორმათა ცვლილებაზე.....	249
თავი 6 შეჯამება და დასკვნა.....	257
6.1. ქართული სამოქალაქო საზოგადოების პოსტ-საბჭოთა კონტექსტი.....	257
6.2. შიდა და გარე ფაქტორების კავშირი ადვოკატირების შედეგთან	259
6.3. ადვოკატირების შედეგები: ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე, სოციალურ ცვლილებაზე და სოციალურ კაპიტალზე	268
6.4 დასკვნა.....	274
გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია.....	278

სამოქალაქო ადვოკატირების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე: საქართველოს მაგალითი

თავი 1 შესავალი

1.1 პრობლემის დასმა, საკითხის აქტუალურობა და პრაქტიკული ღირებულება
პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებებში ალექსი თოქვილის ერთერთი
ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა განაცხადი, რომ წარმომადგენლობით
დემოკრატიაში შეიძლება წარმოშოს უმრავლესობის მიერ ძალაუფლების
ბოროტად გამოყენება და დამოუკიდებელი ასოციაციების კონტროლის გარეშე
დემოკრატია შეიძლება გადაიზარდოს „უმრავლესობის ტირანიაში“.
ხელისუფლების ყველა შტოს სავარაუდო დემოკრატიულობის შემთხვევაშიც
კი სამოქალაქო საზოგადოების როლი და ფუნქცია მნიშვნელოვანია ქვეყანაში
ბალანსის ხელის შესაწყობად. დემოკრატიულ ქვეყნებში მოხალისეობის
კულტურა და „აქტიური მოქალაქე“ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა
და სწორედ „აქტიური მოქალაქის“ თვით დაკისრებული პასუხისმგებლობა,
რომ წვლილი შეიტანოს ქვეყნის საზოგადო ცხოვრებაში, შეავსოს და
გამოასწოროს ის ხარვეზები, რაც სახელმწიფო პოლიტიკას გააჩნია,
წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ
კომპონენტს (Seligman 1995).

საბჭოთა სივრცე არ იძლეოდა თოქვილისეული სამოქალაქო საზოგადოების
ჩამოყალიბებისა და განვითარების საშუალებას და ამ სივრცის დაშლის შემდეგ
საქართველოში, სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მსგავსად, სამოქალაქო
საზოგადოების განვითარების საფუძველის ჩაყრა საერთაშორისო დონორთა
მიერ, მე 20 საუკუნის 1990-ანი წლების დასაწყისში დაიწყო და დღემდე
გრძელდება ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციების“ დაფუძნებითა და მათი
მხარდაჭერით. დაფუძნებიდან დღემდე - ამ ტიპის ორგანიზაციების

პრიორიტეტია დასავლური ტიპის ლიბერალური ღირებულებები და საქმიანობები მოიცავენ ისეთ მიმართულებებს, როგორცაა დემოკრატიზაცია, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო განათლება, თემის განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა, გარემოს დაცვა, სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგი, ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბება, სამოქალაქო ადვოკატირება და სხვა. თუკი მე-20 საუკუნის 1990-ან წლებში დონორთა მიერ მხარდაჭერილი პროგრამები მეტ-ნაკლებად სექტორს შიგნით (დონორი-სამოქალაქო საზოგადოება- ბენეფიციარები) ხორციელდებოდა, ბოლო 15 წლის განმავლობაში პრიორიტეტი მიენიჭა *პოლიტიკის ადვოკატირებას*, ქვეყნის საჭირობო საკითხების სახელმწიფო (ეროვნულ ან რეგიონულ) დონეზე მოსაგვარებლად. ამ ტიპის პროექტების ხელშეწყობამ, „განვითარების დახმარების“¹ პროგრამების ფოკუსი გააფართოვა და საჯარო პოლიტიკის ზეგავლენის დონეზე გადაიყვანა (დონორი-სამოქალაქო საზოგადოება- მთავრობა-ხალხი).

ტერმინი „ადვოკატირება“ ფართო ცნებაა და განიხილება როგორც *აქტიური პროცესი, რომლის მეშვეობით მოქალაქეები ცდილობენ მოახდინონ დადებითი ზეგავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ან სოციალურ ცვლილებაზე*. პოლიტიკის ადვოკატირების წარმატება გულისხმობს პირველ რიგში საზოგადოების სოციალური კაპიტალის სოციალურ ნორმათა ცვლილებას, რაც მიზანმიმართული ქმედების შედეგად, გამოიწვევს პოლიტიკისა და სოციალურ ცვლილებას.

ანალიტიკოსების მიერ „ადვოკატირების ორგანიზაციები“ სამოქალაქო საზოგადოების (სს) ცალკე კატეგორიად მიიჩნევა და მოიცავს ა) *ინტერესთა ჯგუფებს*, ბ) *სოციალურ მოძრაობებსა* და გ) *ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციებს (მესამე სექტორი)*. აქ ინტერესთა ჯგუფი ფართოდ

¹ „development assistance“: ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამები.

განისაზღვრება როგორც „პოლიტიკური სისტემისგან დამოუკიდებელი მოხალისეობრივი ასოციაციები, რომლებიც ცდილობენ მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენას“ (Burstein 1998, Walker 1991, Wilson 1973 ციტ. Andrews და Edwards 2004, გვ.18), ხოლო სოციალური მოძრაობები (სამოქალაქო აქტივიზმი) უკავშირდება „კოლექტიური სარგებლისთვის ბრძოლას და წარმოადგენს ორგანიზაციათა კომპლექსურ ერთობას“ (Zald & McCarthy 1987, ციტ. Andrews და Edwards 2004, გვ. 18-20). „ადვოკატირების ორგანიზაციების“ კატეგორიაში შესული ე.წ. არამომგებიანი ორგანიზაციები წარმოადგენენ მესამე სექტორის ქვე-კატეგორიას, რომელთაც საერთო დემოკრატიზაციაში წვლილის შეტანასა და მომსახურებასთან ერთად აქვთ პოლიტიკური წარმომადგენლობისა ან ადვოკატირების ფუნქცია.

საქართველოში პოლიტიკის ადვოკატირება პრიორიტეტული გახდა გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროცესი პოლიტიკური ალტერნატივის შემუშავებასა და შეთავაზებასთან ერთად გულისხმობს მოსახლეობის შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვას, პოლიტიკურ და საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, ნავარაუდევია, რომ პოლიტიკის ადვოკატირებამ უნდა უზრუნველყოს პლათფორმა ფართომასშტაბიანი მონაწილეობისთვის, რაც მოითხოვს საზოგადოებაში სოციალურ ნორმათა სისტემაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას და კოლექტიური ქმედების წახალისებას, რათა მეტი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალური კაპიტალის განვითარებაში.

შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მონაცემით 2013 წლის დეკემბერში საქართველოში რეგისტრირებული იყო 18,733 ა(ა)იპ², ხოლო საჯარო რეესტრის 2015 წლის ივნისის მონაცემით ეს რაოდენობა 21,097-მე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კვლევების

² არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ოფიციალური იურიდიული სტატუსი საქართველოში

მიხედვით, რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციების მხოლოდ 10% რეალურად ოპერირებს. ამასთან, მარტივად იდენტიფიცირებადი და ხელმისაწვდომია დაახლოებით 150 ორგანიზაცია, რომლიდანაც საქმიანობის შედარებითი უწყვეტობა აქვს დაახლოებით 50 ორგანიზაციას. 2014 წლის მონაცემით კი, საქართველოს მოსახლეობა სწორად ახდენს 5-დან 10-მე არასამთავრობო ორგანიზაციის იდენტიფიცირებას (CRRC 2014). ამასთან, ცნობილია, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციების“ საქმიანობის სფეროები, სიდიდე და სიხშირე დიდადაა დამოკიდებული საერთაშორისო დონორთა დაფინანსებაზე (CIVICUS 2010, CSI 2010, USAID 2005-2014).

საქართველოში დონორთა მიერ მხარდაჭერილი ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“ ზემოხსენებული „ადვოკატირების ორგანიზაციების“ მესამე-„გ“ კატეგორიას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ქართულ რეალობაში ამგვარი ქვე-კატეგორიის გამოყოფა შეუძლებელია დონორთა მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციების საერთო რაოდენობიდან (მესამე სექტორიდან), რადგან ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“ განვითარების პოლიტიკის ერთერთი მთავარი მოთამაშეები არიან და მათი საქმიანობა გულისხმობს პოლიტიკური სისტემის შიგნით ყველა დონეზე ინტერვენციას პოზიტიური ცვლილებებისთვის. საერთაშორისი პარტნიორების მიერ სამოქალაქო საზოგადოებას დაევალა „უზრუნველყოს ის არხები, რომელიც მეშვეობით მოსახლეობის უმეტესობა შეძლებს ხმა მიაწოდოს ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაიცვას და განავითაროს თავიანთი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები“ (Edwards 2004, გვ. 15). შესაბამისად, დღევანდელ დღეს პოლიტიკის ადვოკატირება, თავისი მრავალი ფორმით ქართული არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვან საქმიანობად იქცა.

წლების განმავლობაში ანალიტიკოსები და მკვლევარები ქართულ სამოქალაქო სექტორს უწოდებენ „პოსტ-საბჭოთა სამოქალაქო საზოგადოებას“ და

ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო დონორთა ხანგრძლივი ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერის მიუხედავად (და ამ ვერტიკალური ჩარევისა და ჭარბი დაფინანსების შესაბამისად) პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა სამოქალაქო საზოგადოებების მსგავსად, ქართული სამოქალაქო საზოგადოება ვერ პასუხობს მოთხოვნებს და ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამასთან აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ინსტიტუციური გაძლიერებისა და საზოგადოებაში ცნობადობის გაუმჯობესებისა, ასევე გარკვეული წარმატებებისა საჯარო პოლიტიკის დონეზე დადებითი ცვლილებების კუთხით, სექტორი ჩამოყალიბდა „ელიტურ“ სეგმენტად, რომელიც მოწყვეტილია ხალხის რეალურ პრობლემებსა და საჭიროებებს, მის მიმართ ნდობა დაბალია, შესაბამისად იგი ვერ უზრუნველყოფს პლათფორმას ფართომასშტაბიანი მონაწილეობისთვის (USAID 2014, WWS 2014).

აღსანიშნავია, რომ ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას და მის მიერ განხორციელებულ საქმიანობის ზემოაღნიშნული კრიტიკა ერთიან პოსტ-საბჭოთა კონტექსტში ხდება, მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული განსხვავებებისა, რაც არსებობს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისა და შესაბამის სამოქალაქო სექტორთა შორის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეს შეფასება მიმართულია არა „საზოგადოების მოხალისეობრივ ნაწილზე, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოსა და ბაზრისგან“ (Edwards 2004, გვ. 20), არამედ ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციების“ სეგმენტზე, რომელიც ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების სინონიმად და მონოპოლიზაცია გაუკეთა ამ თემის ირგვლივ დისკურსს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში გამოჩნდნენ სამოქალაქო აქტივისტები: ინტერესთა ჯგუფები, სოციალური მოძრაობები და სხვა არა-ინსტიტუციონალიზებული კავშირები. ადვოკატორების ორგანიზაციების ამ სეგმენტის შეფასება არასოდეს მომხდარა. მიუხედავად ამისა, გვხვდება Chatham House-ის 2013 წლის ანალიტიკურ გამოცემაში მათი მოხსენიება,

სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „(საქართველოს, უკრაინის, მოლდოვასა და რუსეთის) ...ახალი სამოქალაქო აქტიორები მეტად იყენებენ სამოქალაქო აქტივიზმის მობილიზაციის სტრატეგიებს და სოციალურ მედიას, და მეტად ჩანან საჯარო სივრცეში“ (Lutsevych 2013).

ადვოკატირების, როგორც „საჯარო პოლიტიკის საკითხის ირგვლივ გარკვეული პოზიციისთვის მოქალაქეთა მიზანმიმართული ძალისხმევის“ (International Encyclopedia of Civil Society 2010) შედეგი ხშირად, მხოლოდ მრავალი წლის ძალისხმევის შედეგად დგება. მიუხედავად ამისა, დონორთა მიერ დაფინანსებული ადვოკატირების ინიციატივების შეფასება სტატიკურია და მოკლევადიანი პროექტების შეფასებით შემოიფარგლება, პროგრამული მონიტორინგის ხასიათს ატარებს და არ განიხილავს კონკრეტულ სოციალურ ან პოლიტიკურ ცვლილებაზე ორიენტირებულ საქმიანობას. ამასთან, შეფასებები არ ითვალისწინებენ კონკრეტული ადვოკატირების პროცესში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადვოკატირების კამპანიები მეტად კომლექსური და ქაოსური პოლიტიკური პროცესების ფონზე მიმდინარეობენ.

შემფასებლების მიერ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის უნარს განახორციელოს ადვოკატირების კამპანია და ითვლება, რომ „კარგი ორგანიზაცია“ განახორციელებს „წარმატებულ ადვოკატირების კამპანიას“ (Barkhorn, Hutter & Blau 2013, გვ.60). ორგანიზაციული და ადვოკატირების უნარების შეფასებისას, ექსპერტები აღრიცხავენ ორგანიზაციულ ინსტიტუციურ და ფინანსურ რესურსებს და აფასებენ ადვოკატირების ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან, ეს შეფასებები გვერდს უვლიან კონკრეტული ადვოკატირების კამპანიების ფარგლებში სოციალური კაპიტალის, პოლიტიკისა და სოციალურ

ცვლილებაზე მიმართული სტრატეგიების, ბერკეტებისა და მიდგომების გამოყენების შედეგებს და ზეგავლენას.

საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივითა და დაფინანსებით, ადვოკატირების ინიციატივებისგან განცალკევებულად ხდება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების, სს ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი გარემოს, სს ორგანიზაციების მდგრადობისა და სხვა შეფასებების აბსოლუტური უმრავლესობა რაოდენობრივი ხასიათისაა: სტრუქტურირებული ფართო სექტორული ან დარგობრივი შეფასებები, როგორცაა მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის კოეფიციენტის ინდექსის დოკუმენტი, რომელიც სამოქალაქო ორგანიზაციების მდგრადობის კოეფიციენტს ადგენს, ან ორგანიზაციის Human Rights Watch ანგარიშები, რომელიც შეისწავლის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მდგომარეობას. ამ ტიპის ანგარიშები და დოკუმენტები მსოფლიო მასშტაბით, ხშირად, ერთდროულად შემუშავდება და მხოლოდ აღწერილობით ხასიათს ატარებენ.

ზემოხსენებული შეფასებების ნაწილი დონორთა შიდა მოხმარებისთვისაა, ნაწილი კი დონორების საოპერაციო სივრცეში ქვეყნებს შორის შედარებისთვის კეთდება. ისინი მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გვიქმნიან ქვეყანაზე და არ იძლევიან კონკრეტული საკითხის ირგვლივ ანალიტიკური დასკვნების საშუალებას.

როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში „სამოქალაქო ადვოკატირების“ დახასიათებისას ნაგულისხმებია დონორთა მიერ მხარდაჭერილი მესამე სექტორის საქმიანობა, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს საქართველოში კლასიკური ფორმის სამოქალაქო საზოგადოების არსებობას პოლიტიკური

სისტემის შიგნით დადებითი ზეგავლენის მოსახდენად. გამომდინარე აქედან, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების დღემდე არსებული კვლევები და შეფასებები ლიმიტირებული ხასიათისაა, ვერ ასახავენ ადვოკატირების შედეგების რეალურ მდგომარეობას და სამოქალაქო ადვოკატირების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე უცნობია.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება გამომდინარეობს იმ სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების პროცესისა და შედეგების დეტალური ანალიზიდან და შედეგებიდან, რაც საშუალებას მისცემს ქართულ სამოქალაქო ორგანიზაციებს გაანალიზონ პოლიტიკის ადვოკატირების კამპანიის გამოწვევები, დაადგინონ სამოქალაქო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის ხარისხი და გამოავლინონ ის მოქნილი მიდგომები და სტრატეგიები, რაც უზრუნველყოფს უკეთესი ბერკეტების ამოქმედებას ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის. ამასთან, დონორთა დახმარების შენარჩუნების პირობებში, ქართულ სამოქალაქო სექტორს მიეცემა საშუალება გაუზიაროს საერთაშორისო პარტნიორებს დაფინანსების პოტენციური მიმართულებები, რაც მეტად ეფექტურსა და ეფექტიანს გახდის დონორთა მრავალწლიან ინტერვენციას. ამასთან, წარმოდგენილი კვლევა ემსახურება მეტად სრულყოფილი ცოდნის შექმნას ქართული სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ასოციაციური ცხოვრების ფენომენის ზეგავლენის შესახებ პოლიტიკური სისტემის ელემენტებზე, სადაც ქვეყნის დემოკრატიზაციის კონტექსტში ცენტრალურია სოციალური კაპიტალის განვითარება.

1.2 კვლევის მიზნები, კვლევის კითხვები

კვლევის მიზნებისთვის, სამოქალაქო ადვოკატირება განიხილება სამოქალაქო ჩართულობის კომპლექსურ მექანიზმად, რომლის მეშვეობით სამოქალაქო ორგანიზაციები ზეგავლენას ახდენენ საჯარო პოლიტიკაზე და სოციალურ

ცვლილებაზე. წარმოდგენილი კვლევა აღწერს სამოქალაქო ადვოკატირების მაგალითებს საქართველოში და აფასებს მათ ზეგავლენას საჯარო პოლიტიკასა და სოციალურ კეთილდღეობაზე, სადაც პოზიტიური ცვლილების ბერკეტი სოციალური კაპიტალის სოციალურ ნორმათა ცვლილებაა.

კვლევა აღწერილობითი ხასიათისაა და პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებების წარმოშობა იძლევა თუ არა შეფასებისას განზოგადების საშუალებას?
- სამოქალაქო ადვოკატირების პროცესში, რა შიდა და გარე ფაქტორებს აქვთ მეტი კავშირი ადვოკატირების შედეგთან?
- სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოყენებული პოლიტიკის ადვოკატირების მეთოდები და მიდგომები წარმოადგენენ თუ არა ეფექტურ ძალისხმევას საჯარო პოლიტიკასა და სოციალურ ცვლილებაზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად?
- სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოყენებული პოლიტიკის ადვოკატირების მეთოდები და მიდგომები თუ წარმოადგენენ ეფექტურ ძალისხმევას სოციალური კაპიტალის სოციალურ ნორმათა ცვლილებაზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად?
- პოლიტიკის ადვოკატირების გამოყენებული მეთოდები და მიდგომებიდან რომელია მეტად ეფექტური საქართველოში პოლიტიკური და კულტურული ცვლილებითვის?

წარმოდგენილი კვლევა არ ისახავს მიზნად დაადგინოს ფართო საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის *მდგომარეობა* ან სოციალურ ნორმათა *ცვლილება*, არამედ აფასებს სამოქალაქო საზოგადოების ცვლილებაზე მიმართული სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენების წარმატებას

წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალური კაპიტალის განვითარებაში, პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში.

თავი 2 თეორიული ჩარჩო

კვლევა მიმოიხილავს მსოფლიო გამოცდილების მრავალ თეორიულ ჩარჩოს, რაც განაპირობებს საზოგადოებაში მართებული ბალანსის შენარჩუნებას ხალხი-სახელმწიფო ურთიერთდამოკიდებულების კუთხით, როგორცაა „უმრავლესობის ტირანია“, „ღია საზოგადოების“ თეორია, „თათბირობითი დემოკრატია“, „ასოციაციონალიზმი“, „დიქტატურა“, „ტოტალიტარიზმი“ და სხვა. განხილულია სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის ისტორია როგორც დასავლეთში, ასევე პოსტ-საბჭოთა სივრცეში და ის განსხვავებები, რაც საფუძველში უდევს თანამედროვე საზოგადოებაში სამოქალაქო საზოგადოების განსხვავებულ ქცევას. ცალკე ყურადღება დაეთმო ქვეყანაში არსებული სოციალური კაპიტალის მიერ განპირობებულ ურთიერთობებსა და ამ ურთიერთობების შედეგად დამდგარ რეალობას სახელმწიფო ცხოვრებაში მოქალაქეების მონაწილეობის კუთხით. კვლევა იხილავს პოლიტიკის „ლოკალურობის“ მნიშვნელობას და ანალიზებს იმ მეთოდებსა და მიდგომებს, რასაც საზოგადოება იყენებს საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ადვოკატირებისა და პოლიტიკური გარემოს შეფასების ოცამდე მეთოდოლოგია, მათ შორის:

ა) საჯარო პოლიტიკის ადვოკატირების შეფასების რჩევები,

სახელმძღვანელოები და გზამკვლევები: USAID 2010, USAID’s Advocacy Capacity Assessment Tool (ორგანიზაციის ადვოკატირების შესაძლებლობების შეფასების კრიტერიუმები); ORS 2007, A guide to Measuring Advocacy and Policy Guide (დონორთა სახელმძღვანელო ადვოკატირებისა და პოლიტიკის შეფასების

მექანიზმების გასაანალიზებლად); Teles & Schmitt 2011, The Elusive Craft of Evaluating Advocacy (ადვოკატირების თეორიული ჩარჩოები და შემფასებლების შეცდომების ილუსტრაცია); ORS 2007, A Handbook of Data Collection Tool: Companion to “A guide to Measuring Advocacy and Policy Guide” (პოლიტიკის ადვოკატირების ირგვლივ ინფორმაციის შესაგროვებელი სახელმძღვანელო და მაგალითები); Gienapp, ORS & Cohen 2011, Advocacy Evaluation Case Study, the Chalkboard Project (აშშ-ს ორგონის შტატში მოღვაწე ორგანიზაციის ადვოკატირების კამპანიის ქეის სტადი); Fox & Helweg 1997, Advocacy Strategies for Civil Society: A Conceptual Framework and Practitioner's Guide (სახელმძღვანელო USAID-ს აშშ-ს ოფისისთვის თუ ადგილობრივი პარტნიორებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების პროგრამების შესაქმნელად); Sprechmann & Pelton 2001, Promoting Policy Change (CARE პროგრამის მენეჯერთა სახელმძღვანელო); Guthrie, Louie, David & Foster 2005, The Challenge of Assessing Policy and Advocacy Activities: Strategies for a Prospective Evaluation Approach (ექსპერტების გამოკითხვა პოლიტიკისა და ადვოკატირების შეფასებასთან დაკავშირებით); Annie E. Casey Foundation 2011, Evaluation of Civic Engagement Field Building (სამოქალაქო ჩართულობის კარტოგრაფია); Gienapp, Reisman & Stachowiak 2009, Getting Started: A Self-Directed Guide to Outcome Map Development, Guide, Exercises and Examples (დეტალური ინსტრუქციები ადვოკატირების ორგანიზაციებისთვის); London Business School 2004 Measuring social impact (ბიზნეს სახელმძღვანელო სოციალური ზეგავლენის გასაზომად).

ბ) პოლიტიკური გარემოსა და სამოქალაქო ორგანიზაციის საარსებო გარემოს გაუმჯობესების შეფასების მექანიზმები: ICNL 2013, Global Trends in NGO Law, A quarterly Review of NGO Legal Trends around the World, Assessment Tools for Measuring Civil Society's Enabling Environment (სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს შეფასების მეთოდოლოგიათა კრებული); USAID's Civil

Society Organizations Sustainability Index (CSOSI) (სამოქალაქო საზოგადოების საერთო სიძლიერესა და შესაძლებლობების შეფასების განზომილებები); CIVICUS' Enabling Environment Index (EEI) (მეორად მონაცემებზე დაყრდნობით, აფასებს მოქალაქეთა შესაძლებლობებს, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, სამოქალაქო საზოგადოებაში მონაწილეობის კუთხით 109 ქვეყანაში); The Hudson Institute's Philanthropic Freedom Index (PFI) (აფასებს იმ ბარიერებსა და ხელშემწყობ პირობებს, რაც საჭიროა ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციებისთვის გააკეთონ დონაცია (ფული ან დრო) სოციალური მიზნებისთვის); The Monitoring Matrix on the Enabling Environment for Civil Society Development (მატრიცა და თანხმლები მონიტორინგის მეთოდოლოგია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის იმ პრინციპებისა და სტანდარტების მონიტორინგისთვის, რაც აუცილებელია სამოქალაქო სექტორის საქმიანობისთვის); ICNL/CIVICUS' Enabling Environment National Assessments (EENA) (კვლევის მექანიზმები სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოს შესაფასებლად ადვოკატირების ორგანიზაციებისთვის); CIVICUS' Civil Society Index-Rapid Assessment (CSI-RA) (სამოქალაქო საზოგადოების თვის-შეფასების სახელმძღვანელო).

თავი 3 კვლევის მეთოდოლოგია

3.1 ტექნიკური მიდგომა

კვლევა თვისებრივი ხასიათისაა და შეისწავლის, ანალიზებს და აფასებს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მინიმუმ ათწლიან ძალისხმევას ზეგავლენა მოეხდინათ საჯარო პოლიტიკაზე ან სოციალურ ცვლილებაზე. ნაშრომი შედგება როგორც აღწერილობითი, ასევე განსხვავებულ ფაქტორთა ერთმანეთთან დამოკიდებულების ამსახველი ნაწილებისგან. კერძოდ, კვლევის ძირითადი ნაწილი შედგება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატორების თანმხლები ფაქტორების ანალიზისგან, ასევე ადვოკატორების პროცესში გამოყენებული მიდგომებისა და ინსტრუმენტების ანალიზისგან და ამავდროულად ადგენს ადვოკატორების თანმხლები ფაქტორებისა და ადვოკატორების ბერკეტების კავშირს ადვოკატორების შედეგთან, როგორც სამოქალაქო სექტორის განსხვავებულ სეგმენტებს შიგნით, ასევე ერთმანეთთან შედარებით.

3.2 საკვლევი ობიექტები და შერჩევა

კვლევაში არსებობს ორი საკვლევი სეგმენტი: დონორთა მიერ მხარდაჭერილი ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“ და სამოქალაქო აქტივიზმის ფორმით მოქმედი ინსტიტუციონალიზებული და არა-ინსტიტუციონალიზებული ასოციაციები. მოცემულ კვლევაში ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციებს“ პირობითად დაერქვათ სამოქალაქო საზოგადოება 1 (სს1), ხოლო სამოქალაქო აქტივისტებს სამოქალაქო საზოგადოება 2 (სს2).

სს ორგანიზაციების შესარჩევად გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა, რომელიც იყო მოხალისეობრივი და არა კომპენსირებული. კვლევის მიერ დაცულია კონფიდენციალობის პირობა, რესპონდენტების სურვილის შესაბამისად,

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 25-მა სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, მათ შორის 20-მა სს1 ორგანიზაციის და 5-მა სს2 ორგანიზაციის წარმომადგენელმა, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) პოლიტიკის ადვოკატირება:

სსო-ს აქვს განხორციელებული მინიმუმ 2 ადვოკატირების კამპანია

ბ) საქმიანობის ადგილი:

სს1 ორგანიზაციებიდან 8 რეგისტრირებულია და მოღვაწეობს საქართველოს რეგიონებში, 6 რეგისტრირებულია და მოღვაწეობს თბილისში, ხოლო 6 რეგისტრირებულია თბილისში, მაგრამ საქმიანობს როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში. ყველა სს2 ორგანიზაცია განთავსებულია თბილისში, მაგრამ საქმიანობა მოიცავს თბილისსა და საქართველოს რეგიონებს.

გ) მანდატი:

ორგანიზაციების შერჩევასა გათვალისწინებულ იქნა საქმიანობის განსხვავებული მანდატი, შესაბამისად კვლევა მიმოიხილავს სსო ორგანიზაციების ფართო სპექტრს და საქმიანობებს, როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვა, სოფლის თემის განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, ეკოლოგიის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სამართლის უზენაესობა, გამჭვირვალე საჯარო მმართველობა, სოფლის მეურნეობა, სამართლიანი არჩევნები, ახალგაზრდების ხელშეწყობა, შშმ პირების ინტეგრაცია, ეკონომიკური განვითარება და სხვა.

დ) ორგანიზაციის უწყვეტი საქმიანობის ხანგრძლივობა:

საქმიანობის ხანგრძლივობის მხრივ კვლევა მოიცავს ოცწლიან პერიოდს (1996-2016). გამოკითხულ სს1 ორგანიზაციებს შორის 10 დაფუძნებულია 1990-ან წლებში, 7- 2000-2005 წლებში, ხოლო 3 – 2005 წლის შემდეგ, სადაც ყველაზე ახალგაზრდა დაფუძნებულია 2013 წელს. ამასთან, სს2 ორგანიზაციების/საქმიანობის ხანგრძლივობა 2003-2016 წლებს მოიცავს, სადაც ერთი სს2-ს საქმიანობა წამოწყებულია 2003 წელს, ხოლო დანარჩენი ოთხის 2005-2013 წლებში.

ე) ორგანიზაციული/ადვოკატირების შესაძლებლობის ქულის ხელმისაწვდომობა:

სსო შეფასებულია ორგანიზაციული/ადვოკატირების შესაძლებლობის კუთხით (2010-2014 წწ), USAID-ის პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროექტის ფარგლებში (G-PAC).

ე1) იმ შემთხვევაში, თუკი სამიზნე ორგანიზაცია ვერ დააკმაყოფილებდა „დ“ კრიტერიუმს, მარგამ აკმაყოფილებდა ყველა სხვა კრიტერიუმს, ორგანიზაციული/ადვოკატირების შესაძლებლობის კუთხით სს ორგანიზაცია შეფასდა იმავე პროექტის 2014 წლის „პოტენციური გრანტის მიმღებთა“ შეფასების დოკუმენტის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რაც ანსხვავებს დონორთა მიზნებისთვის „დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის“ მატარებელ სს ორგანიზაციებს.

3.3 კვლევის ინსტრუმენტები

ადვოკატირებისა და პოლიტიკური გარემოს ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიების გათვალისწინებით შემუშავდა ერთი უნივერსალური მეთოდოლოგია, რომელმაც გააერთიანა ორი მიმართულება და გამოავლინა შედეგების კატეგორიები (outcome-based categories): 1. ადვოკატირების თანმხლები შიდა და გარე ფაქტორები, რაც ზეგავლენას ახდენს ადვოკატირების შედეგზე და 2. ადვოკატირების შედეგის კატეგორიები.

შედეგების კატეგორიები და ქვე-კატეგორიები შეფასდება 1-დან 5-მდე ქულით, სადაც 1- ნაკლებად სასურველი, ხოლო 5 - საუკეთესო შედეგია.

1. ადვოკატების თანმხლები შიდა და გარე ფაქტორები, რამაც ზეგავლენა უნდა მოახდინოს ადვოკატების შედეგზე:

➤ პოლიტიკური გარემო

პოლიტიკური გარემოს შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად ფოკუსი გაკეთდა კონკრეტული ადვოკატების პროცესში სსო-ის სამოქმედო გარემოზე, როგორცაა რესურსების ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სახელმწიფოს ზეგავლენა/ჩარევა, გადაწყვეტილების მიმღებთა ხელმისაწვდომობა და მიმღებლიანობა, სახელმწიფო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, მედია საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, ადვოკატების პროცესის თავისუფლება და სხვა.

➤ შემოსავლის წყაროები

ადვოკატების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების შემოსავლის წყაროების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია როგორც დონორთა დაფინანსებაზე, ასევე სხვა ტიპის კონტრიბუციებზე, როგორცაა საწევრო გადასახადი, ფულადი და არა-ფულადი კონტრიბუციები, ფანდრაიზინგი, სოციალური საწარმო, დამატებითი ეკონომიკური საქმიანობა და სხვა.

➤ ორგანიზაციული შესაძლებლობები/ადვოკატების უნარი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციური მდგრადობისა და გამლიერების, ასევე ადვოკატების უნარის შეფასება არ წარმოადგენს მოცემული კვლევის ამოცანას. კვლევის მიზნებისთვის აღწერილია სს1 და სს2 ორგანიზაციების

ბუნება და ხასიათი, ხოლო პოლიტიკის ადვოკატორების შედეგისა და ორგანიზაციული შესაძლებლობის მაჩვენებლის ურთიერთობის დასადგენად, კვლევა ეყრდნობა „ორგანიზაციული შესაძლებლობების“ კომპონენტის ქულას, რაც დადგინდა USAID-ს პოლიტიკის ადვოკატორებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საქართველოში (G-PAC) პროექტის (2011-2014) ფარგლებში განხორციელებულ „არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატორების შესაძლებლობის კვლევას“ (2013), რომლიც ფარგლებში საქართველოს მასშტაბით შეფასდა 100 სს ორგანიზაცია 1-5 ქულიანი სისტემით. სს ორგანიზაციების, რომელნიც არ იქნენ შეფასებული G-PAC-ის კვლევაში - მოცემულ კვლევაში მიენიჭათ 1-5 ქულა იმავე პროექტის 2014 წლის „პოტენციური გრანტის მიმღებთა“ შეფასების დოკუმენტის კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ანსხვავებს დონორთა მიზნებისთვის „დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის“ მატარებელ სს ორგანიზაციებს. მეორე შემთხვევაში „მაღალი რისკის“ სს ორგანიზაციები შეფასდნენ 1-2.9 ქულით, „საშუალო რისკის“ 3-3.5 ქულით და „დაბალი რისკის“ 3.5-5 ქულით.

➤ მოტივაცია და ცვლილების თეორია

ორგანიზაციის/ადვოკატორების წამოწყების მოტივაციისა და ცვლილების თეორიის ირგვლივ ინფორმაცია მოიცავს სს ორგანიზაციის ხედვას იმის შესახებ თუ რა უნდა შეიცვალოს ადვოკატორების შედეგად, ასევე საქმიანობის წამოწყების მოტივაციას, უწყვეტობასა და სტრატეგიულ მიდგომას.

მოტივაციის ფაქტორი შედგება 4 კატეგორიისგან: ა) დაფუძნებულია დონორის მიერ, ბ) დონორთა მემკვიდრით დაგროვილი ცოდნა და მიღებული გამოცდილება (დონორის საგრანტო პროექტის გამოცხადების შედეგად საქმიანობის წამოწყება ან დონორთან ერთად გამოცდილების მიღების შედეგად საქმიანობის წამოწყება) , გ) პროფესიონალიზმისა და დონორთა დახმარების თანხვედრა, დ) სამოქალაქო აქტივიზმი.

ცვლილებით თეორიის შესახებ ინფორმაცია მოიცავს ორგანიზაციის ხედვას თუ რა უნდა შეიცვალოს ადვოკატირების შედეგად და იმ სტრატეგიულ მიდგომას, რაც აკავშირებს მიზანს შედეგთან- ადვოკატირების საკითხის ხანგრძლივ პერსპექტივაში მონიტორინგის, თვალდევნის, საკითხის აქტუალურობის შენარჩუნების/განახლების ჩათვლით. ცვლილების თეორიის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, როცა სს ორგანიზაცია ვერ აყალიბებს პოლიტიკურ ან სოციალურ ცვლილებას, რაც დაგეგმილი იყო კონკრეტული კამპანიის ფარგლებში და საუკეთესო, როცა ორგანიზაციას აქვს გრძელვადიანი მიზნის ნათელი ხედვა და სტრატეგიულად გააზრებული მიდგომა მიზნის მისაღწევად.

➤ საკითხის პირველადი აქტუალურობა

კატეგორია მოიცავს დასაბუთებულ ინფორმაციას, რომ სს ორგანიზაციის მიერ წამოწეული საკითხი ასახავდა საზოგადოების საჭიროებებს და წარმოადგენდა საზოგადოების დაკვეთას.

2. ადვოკატირების შედეგის კატეგორიები

სამოქალაქო ორგანიზაციის ადვოკატირების შედეგები გამომდინარეობს ა) ადვოკატირების შუალედური შედეგებიდან და ბ) ადვოკატირების საბოლოო შედეგებიდან.

პოლიტიკის ადვოკატირების *შუალედურ შედეგია* სოციალური კაპიტალის ცვლილება (საზოგადოების სტრუქტურული და კოგნიტიური ელემენტების განვითარება). გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა არ ისახავს მიზნად საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის დონის ან ცვლილების შეფასებას, არამედ სსო-ის ძალისხმევას მოახდინოს ზეგავლენა სოციალურ კაპიტალზე, პოლიტიკის ადვოკატირების შუალედური შედეგის *ზეგავლენის კატეგორიაა*

„ადვოკატირების საკითხის ფართო აღიარება საზოგადოების მიერ“. ეს კატეგორია მოიცავს ინფორმაციას სსო-ების მიერ ჩატარებული საქმიანობის შედეგებს, რისთვისაც უნდა მიეღწიათ ა) გადაწყვეტილებების მიმღებთა მიერ საკითხის აღიარებისთვის/მხარდაჭერისთვის და ბ) ბენეფიციარებისა და ფართო საზოგადოების მიერ საკითხის აღიარებისთვის/მხარდაჭერისთვის.

პოლიტიკის ადვოკატირების *საბოლოო შედეგია* დამდგარი პოლიტიკური და სოციალური ცვლილება. პოლიტიკური ცვლილება გულისხმობს საჯარო პოლიტიკის კონკრეტული დოკუმენტის, დებულების, რეგულაციის, დაბიუჯეტებისა და სხვ. მიღება ან/და რეგულირებას, ხოლო სოციალური ცვლილება - მოსახლეობაში სოციალური/ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

შესაბამისად, კვლევის მიზნებისთვის სს ორგანიზაციების ადვოკატირების შედეგის შეფასება (ქულა) გამომდინარეობს ადვოკატირების შუალედური შედეგის (ადვოკატირების საკითხის ფართო აღიარება) და საბოლოო შედეგის (პოლიტიკის ცვლილება და სოციალური ცვლილება) საშუალო მაჩვენებლისგან.

ინფორმაციის მოსაძიებლად გამოყენებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუ, კითხვარის საშუალებით. კითხვარს თან ახლდა მკვლევარის სახელმძღვანელო „შედეგების კატეგორიები“ ხუთ ქულიანი სისტემის საფუძველზე. რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციის დასადასტურებლად და გასამყარებლად კვლევის ფარგლებში ორგანიზაციებიდან გამოთხოვილი იქნება ადვოკატირების კამპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაცია (დოკუმენტები, სტატიები, მოქალაქეთა კომენტარები, პოლიტიკის ცვლილების წინადადებები და სხვა).

ფოკუს ჯგუფები:

სს1 და სს2 ორგანიზაციების ადვოკატირების კამპანიების ზეგავლენის დასადგენად, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი.

ფოკუს ჯგუფებში განსახილველად შეირჩა 2 ადვოკატირების პროექტი. ორივე შემთხვევაში სს ორგანიზაციის ადვოკატირების კამპანია საჯარო პოლიტიკის დონეზე დადებითი შედეგით (რეგულაციისა და საჯარო პოლიტიკის ცვლილებით) დასრულდა. ფოკუს ჯგუფების დახმარებით შეფასდა კონკრეტული ადვოკატირების საკითხის აღიარება და მხარდაჭერის დონე (შუალედური შედეგი) და ასევე კონკრეტული კამპანიის საჯაროობა.

ფოკუს ჯგუფი 1: ადვოკატირება სოციალური ცვლილებისთვის ჩატარდა 2014 წლის აპრილში. შეფასდა სს1 ორგანიზაციის „სამოქალაქო კულტურის ასოციაცია“³, რომელიც დაფუძნდა 1998 წელს და მოღვაწეობს კახეთის რეგიონში. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 11 ადგილობრივმა წარმომადგენელმა კახეთის სამი მუნიციპალიტეტიდან, სადაც ხორციელდებოდა ადვოკატირების პროექტი. მონაწილეთა შერჩევა მოხდა ვარიაციული მეთოდის გათვალისწინებით და გათვალისწინებულ იქნა მონაწილეთა ასაკი, პროფესია, დასაქმება, გენდერი და სხვა.

ფოკუს ჯგუფი 2: ინიციატივა კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ჩატარდა 2016 წლის თებერვალში, თბილისის 13 მოქალაქის მონაწილეობით. ფოკუს ჯგუფის საშუალებით შეფასდა სს2 ორგანიზაციის „ტფილისის ჰამქრის“ გუდიაშვილის მოედნის დასაცავად განხორციელებული ადვოკატირების კამპანია. მონაწილეები შეირჩა თბილისის ცხრა რაიონიდან, თოვლის გუნდის პრინციპით.

³ სსო-ს სახელწოდება შეცვლილია კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით

თავი 4 ლიტერატურის მიმოხილვა

4.1 სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიზაცია

4.1.1 უმრავლესობის ტირანია: გამოსავლის ძიება

ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დემოკრატია წარმოადგენს „მმართველობას ხალხის უმრავლესობის მიერ; მმართველობა, რომელშიც უზენაესი ძალაუფლება ჩადებულია ხალხში და ხორციელდება მათ მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, წარმომადგენლობითი სისტემის საშუალებით (2010). ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერის Diamond - მიხედვით, დემოკრატია შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისგან: 1) თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების საშუალებით მთავრობის არჩევისა და გამოცვლის პოლიტიკური სისტემა, 2) ხალხის, როგორც მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, 3) ყველა მოქალაქის ადამიანის უფლებათა დაცვა და 4) სამართლის უზენაესობა, რომელშიც კანონი და პროცედურები თანაბრად ეხება ყველა მოქალაქეს (2004).

როგორც აღინიშნა, წარმომადგენლობითი სისტემა, რომელიც „მთავრობის არჩევასა და გამოცვლას“ არჩევნების საშუალებით გულისხმობს, ფართოდაა აღიარებული, როგორც დემოკრატიის უმთავრესი კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების „თავისუფლება და სამართლიანობა“ არათანაბარია სხვადასხვა ქვეყნებში, ქვეყანაში არჩევნების არსებობა პოლიტიკური ცხოვრების დიდ უპირატესობად ითვლება. ფართოდაა აღიარებული, რომ დანარჩენი სამი კომპონენტის არსებობისთვის აუცილებელია ქვეყანაში ძალაუფლების დაყოფა აღმასრულებელ, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებად, რაც, ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული, სახელმწიფოს მმართველობის მეტად მისაღებ ფორმად ითვლება.

მიუხედავად ამისა, ისტორიის მანძილზე ხშირად ისმის კითხვა: არის კი ლიბერალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი წარმომადგენლობითობა და ძალაუფლების გაყოფა საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყანაში „ხალხმა იბატონოს“⁴ და „დაცული იყოს ყველა ადამიანის უფლება“ და „ყველა მოქალაქისთვის თანაბარი სამართლის უზენაესობა“? და რაც მეტად მნიშვნელოვანია, როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი „ხალხის, როგორც მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა“?

არჩევითი (წარმომადგენლობითი) დემოკრატიის (ხშირად) დამატებითი ფორმა-პირდაპირი დემოკრატია პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობის უზრუნველყოფად განიხილება. თანამედროვე ევროპაში პირდაპირი დემოკრატიის გაფართოვებულ ფორმას, სადაც რეფერენდუმის საშუალებით შესაძლებელია არა მარტო საკანონმდებლო ინიციატივის დაყენება ან გამოწვევა, არამედ კანონმდებლის მიერ მიღებულ კანონზე ვეტოს დადება, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა - შვეიცარია იყენებს. მსოფლიოს სხვა დემოკრატიული ქვეყნები რეფერენდუმს გაცილებით ფრთხილად და გამოზომილად იყენებენ.

მე-17-18-ე საუკუნეებში, ამერიკული დემოკრატიის მამები წარმომადგენლობითი დემოკრატიის მექანიზმს (პირდაპირის ჩათვლით) აკრიტიკებდნენ „უმრავლესობის ტირანიის“ საშიშროების გამო. გარდა იმისა, რომ პირდაპირი დემოკრატიის სამშობლოში, ჩ.წ. მე-5 საუკუნის ძველ ათენში პირდაპირი დემოკრატია გულისხმობდა მხოლოდ „მოქალაქეთა“ მონაწილეობას და გამორიცხავდა პროცესიდან ქალებს, უცხოელებსა და მონებს, „მოქალაქის“ ცნების შედარებითი „გაფართოვების“ შემდეგაც, მონაწილეობითი მექანიზმები მაინც კრიტიკის საგნად დარჩა. მაგალითად,

⁴ ბერძნული: δημοκρατία (*dēmokratía*) "ხალხის ბატონობა"

ამერიკის „კონსტიტუციის მამად“ აღიარებული ჯეიმს მედისონი თავის ფედერალისტურ წერილებში #10 განმარტავს, რომ ცივილიზებულ ერებში კერძო, მათ შორის მატერიალური, ინტერესების არსებობა „ყოფს საზოგადოებას კლასებად, რომელთაც სხვადასხვა გრძნობები და შეხედულებები ამოძრავებენ. ამ სხვადასხვა და ურთიერთ შემშლელი ინტერესების რეგულირება წარმოადგენს თანამედროვე კანონმდებლის პრინციპულ ამოცანას“ (The Balckwell 1991). პირდაპირი დემოკრატიის შედეგად დამდგარი რეზულტატი კი უმრავლესობის გადაწყვეტილებაა, რაც დემოკრატიის მიერ დეკლარირებულ ბალანსს ვერ იცავს. თავად მედისონი და მისი თანამოაზრეები ალექსანდერ ჰამილტონი და ჯონ ჯეი, კონსტიტუციურ რესპუბლიკას პირდაპირ დემოკრატიაზე მაღლა აყენებდნენ. მათი განმარტებით, *ნამდვილი დემოკრატია* წარმოადგენს „მოქალაქეთა მცირერიცხოვან საზოგადოებას, რომელიც ერთიანდება და უშუალოდ მართავს მთავრობას....და „რესპუბლიკა“ არის „მმართველობა, რომელშიც წარმომადგენლობის სქემა არსებობს“ (The Balckwell 1991) მედისონისთვის *დემოკრატია* გულისხმობს პირდაპირ დემოკრატიას, ხოლო *რესპუბლიკა* წარმომადგენლობით მთავრობას.

ტერმინი „უმრავლესობის ტირანია“ პირველად ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტმა, ჯონ ადამსმა 1788 წელს გამოიყენა. ტერმინი ფართოდ დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ალექსის თოქვილმა 1835 წელს ამ ტერმინით დაასათაურა წიგნის თავი ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“. თოქვილი დემოკრატიას ორი მიმართულებით განმარტავს: პოლიტიკურ კონტექსტში, დემოკრატია ნიშნავს წარმომადგენლობით სისტემას, გაფართოებული ხმის უფლებაზე დაყრდნობით. მეორე მეტად მნიშვნელოვან კონტექსტში კი იგი საუბრობს სოციალურ დემოკრატიაზე, რაც გულისხმობს საზოგადოებას, რომელშიც თანასწორობა ფართოდაა აღიარებული, როგორც უმთავრესი სოციალური ფასეულობა. თოქვილი საუბრობს თანასწორობის

შედეგად დამდგარ „ინდივიდუალიზმზე“ საზოგადოების ყველა ფენაში, რაც წარმოშობს ისეთ „ინდივიდუალიზმს, რომლის ორი ძირითადი ასპექტია კერძო მიზეზი, როგორც შეხედულებისა და რწმენის ერთადერთი საფუძველი და თვით-ცენტრისტული, თვით-დაინტერესებული კონცენტრაცია საკუთარ საჭიროებებზე“. თოქვილი კერძო ინტერესებს აკავშირებს ნებისმიერი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ საჭიროებასთან ყავდეს ინტელექტუალი ავტორიტეტი და ერთობის რაიმე წყარო, და ასკვნის, რომ იმის გამო, რომ საზოგადოება ანდობს გადაწყვეტილებების მიღებას უმრავლესობის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს, წარმოიშვება „უმრავლესობის ტირანია“ (1835).

როგორც მე-19 საუკუნეში, ასევე დღევანდელ დღეს, წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში მოსახლეობის უმრავლესობით არჩეული წარმომადგენლები მართავენ არა მარტო საკუთარ ელექტორატს, არამედ იმათაც, ვინც ხმა სხვა პოლიტიკურ პარტიას მისცა. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღება ხდება არჩეული უმრავლესობის მიერ, სადაც მათი ინტერესები, ბუნებრივია, უპირატესია უმცირესობათა ინტერესებზე. შესაბამისად, ვერც მედისონეული რესპუბლიკა თავისი წარმომადგენლობითი სისტემით ვერ უზრუნველყოფს მართებულ თანასწორობას. მიუხედავად დემოკრატიული პროცესისა, დამატებითი მექანიზმების შემოღების გარეშე, „ზარალდება“ არა მარტო არჩევნებში „წაგებული“ უმცირესობა, არამედ - განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი, სექსუალური ან სხვა უმცირესობები. დაზუსტებისთვის, ჩვეულებრივ პირობებში ნაკლებად სავარაუდოა, რომ უმცირესობები არა მარტო ვერ მოხვდებიან წარმომადგენლობით ორგანოში, სადაც შესაძლებელი გახდება კონკრეტული ჯგუფის ინტერესების ხმის მიწვდენა და დაცვა, არამედ სრული საარჩევნო პერიოდის მანძილზე რჩებიან უმრავლესობის წარმომადგენლების ყურადღების მიღმა.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, მრავალი მოაზროვნე და ანალიტიკოსი ცდილობს გააანალიზოს ვის მიერ ხდება ინდივიდუალურ თავისუფლებებზე კონტროლის ან შეზღუდვების დაწესება- დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსული ინტერესთა ჯგუფების მიერ, რომელიც საკუთარ ინტერესებს ემსახურება თუ დიქტატორი ან ოლიგარქი, რომელიც არაფრად აგდებს კონტროლირებადი ჯგუფის ინტერესებს. ფაქტია, დემოკრატიული მოწყობის შემთხვევაში უკვე მე-19 საუკუნიდან საზოგადოება სხვადასხვა მეთოდებით ებრძვის „უმრავლესობის ტირანიას და ექსპლუატაციას“ (Sharp 2002)⁵. საკანონმდებლო ორგანოსთვის *კვალიფიცირებული უმრავლესობის* წესების, ან ძალაუფლებაზე კონსტიტუციური ლიმიტების დაწესებით, უმცირესობათა ჯგუფებისთვის სპეციალური უფლებების შესახებ კანონების მიღებით და სხვ. კაცობრიობა ცდილობს მიაღწიოს თოქვილისეული თავისუფლებისა და თანასწორობის ბალანსს და გაათანაბროს დემოკრატიულ საზოგადოებაში შექმნილი უფლებრივი დისბალანსი.

განსხვავებული რეჟიმების - დიქტატურის ან ტოტალიტარიზმის შემთხვევაში, საზოგადოების პრობლემა გაცილებით ღრმაა. მრავალ ქვეყანაში, ხალხმა თავის თავზე გამოსცადა მრავალწლიანი ან მრავალსაუკუნოვანი შიდა ან გარე-სახელმწიფოებრივი ზეწოლა. ისტორიის მანძილზე პოლიტოლოგები და ფილოსოფოსები ანალიზებდნენ იმ ფაქტორებსა და მექანიზმებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია დიქტატურის ან ტოტალიტარიზმის თავიდან აცილება ან დამარცხება, როგორც ძალადობრივი, ისე არა-ძალადობრივი მეთოდებით. ეს მოკვლევები, სავარაუდოდ, განპირობებული იყო იმის გათვითცნობიერებით, რომ რეჟიმი არ უნდა დომინირებდეს ადამიანზე ან ანადგურებდეს ადამიანს (Gellner 1996). რომის იმპერიიდან დაწყებული და

⁵ სიტყვა „ექსპლუატაცია“ გამოყენებულია სიტუაციის აღსაწერად სადაც არსებობს დისპროპორცია სხვადასხვა ადამიანთა სარგებლისა და გაღებულ ძალისხმევას შორის

თანამედროვე დიქტატურით დამთავრებული ამგვარ რწმენას აძლიერებდნენ ადამიანის თავისუფლებისა და დიქტატურის ბუნების შესახებ ნაშრომები, როგორცაა არისტოტელეს ტოტალიტარიზმის ანალიზი, ასევე თავად თანამედროვე დიქტატურის ისტორია, როგორცაა ნაცისტური ან სტალინისტური რეჟიმების არსებობა (Seligman 1995).

რადიკალური დიქტატურა მიზანმიმართულად ასუსტებს და იქვემდებარებს სახელმწიფო კონტროლის მიღმა მყოფ საზოგადოებრივ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ინსტიტუციებს და ანაცვლებს მათ ახალი ტიპის ინსტიტუტებით. მიზანმიმართულად შექმნილი, ახალი ტიპის ინსტიტუტები გამოიყენება სახელმწიფოსა ან მმართველი პარტიის მიერ საზოგადოების საკონტროლოდ. ამ ტიპის სოციალურ მოწყობას საკმაოდ პროგნოზირებადი შედეგი მოაქვს: მოსახლეობა სუსტდება, განიცდის თვითდაჯერებულობის ნაკლებობას და კარგავს წინააღმდეგობის ძალას. ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტის⁶ დამფუძნებელი Geen Sharp თავის ნაშრომში „დიქტატურიდან დემოკრატიაში“ წერს, რომ ამ პირობებში, მოსახლეობა ტრანსფორმირდება იზოლირებულ ინდივიდთა მასად, „რომელსაც დაკარგული აქვს ერთმანეთის მიმართ ნდობა, რაიმე საქმიანობის საკუთარი ინიციატივით განხორციელების უნარი და ვერ ახერხებს გაერთიანებული ძალისხმევით თავისუფლების მოპოვებას“ (2002, 2010) . ამასთან Sharp ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დიქტატურის პირობებში ძალაუფლების შემაკავებელი ტრადიციული ნორმები, როგორცაა კონსტიტუციური ან სამართლებრივი ბარიერები, სასამართლო გადაწყვეტილებები და ხალხის აზრი უსარგებლოა, პოლიტიკური ძალაუფლების ძირითადი წყაროები - *ავტორიტეტი* და *ხალხი* ის ძირითადი *რესურსებია*, რომელზე კონტროლის შესუსტების შემთხვევაში, დიქტატურის დამარცხება მხოლოდ დროის ფაქტორია. „ავტორიტეტი“ ამ შემთხვევაში

⁶ არა-მომგებიანი ორგანიზაცია, რომლის მიზანია შეისწავლოს არამალადობრივი ქმედება (<http://www.aeinstein.org/>)

გულისხმობს ხალხის რწმენას, რომ რეჟიმი ლეგიტიმურია და იძულებითი მორჩილება მათი მორალური ვალდებულებაა. ხოლო „ხალხი“ ის ადამიანური რესურსია, რომელიც ემორჩილება, თანამშრომლობს ან ეხმარება მმართველებს. ამ უკანასკნელი რესურსის ინდივიდუალური და ჯგუფური რაოდენობა და ზეგავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და სწორედ ესაა დიქტატორის „შენარჩუნება-გადარჩენის“ ძირითადი პრობლემა, რადგან ადამიანური რესურსის მუდმივად საკმარის ზომა და მასშტაბი ძნელად მისაღწევია ნებისმიერი საზოგადოებისთვის (Sharp 2002).

ტოტალიტარული სისტემის ანალიტიკოსები განმარტავენ, რომ მიუხედავად საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად გამოყენებული ბერკეტებისა, როგორცაა დიქტატორის ან ტოტალიტარული სისტემის მმართველის ხელში მყოფი ცოდნა და უნარი, ფიზიკური და იდეოლოგიური ფაქტორები, ფინანსური რესურსები ან დამსჯელი სანქციები- ყოველთვის მოიძებნება ადამიანთა ჯგუფი ან ჯგუფები, რომელნიც გავლენ მოიხდებიან.

ნიკოლო მაკიაველი წერდა, რომ „პრინცი, რომელსაც მთელი საზოგადოება მტრად ევლინება, ვერასოდეს იგრძნობს თავს დაცულად... რაც მეტია მისი სისასტიკე, მით მეტად სუსტდება მისი რეჟიმი“ (1515). Karl W Deutsch წერს, რომ ტოტალიტარული ძალაუფლება ძლიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არაა მისი ხშირი გამოყენების საჭიროება. ამასთან, „თუკი ტოტალიტარული ძალაუფლების გამოყენება აუცილებელია ყოველ წუთს და მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ, არ უნდა ველოდოთ, რომ იგი დიდი ხნით შეინარჩუნებს სიძლიერეს. იმის გამო, რომ ტოტალიტარულ რეჟიმებს ქვემდებარებთან საქმის მოსაგვარებლად ესაჭიროებათ მეტი ძალაუფლება, ვიდრე სხვა ტიპის რეჟიმებს, პირველს მეტად ესაჭიროება ხალხში ფართოდ გავრცელებული მორჩილება. უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში, მას უნდა

ჰქონდეს შესაძლებლობა დაეყრდნოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აქტიურ მხარდაჭერას“ (1953).

ისტორია გვაჩვენებს, რომ დიქტატურის ან ტოტალიტარიზმის დამარცხება, მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, თავისთავად არ განაპირობებს საზოგადოების პრობლემების მოგვარებას. სიღარიბე, კრიმინალი, ბიუროკრატის არაეფექტურობა ხშირად დიქტატორული რეჟიმების მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამ პრობლემებზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად ასახელებენ ლიბერალურ დემოკრატიულ წყობილებას. ამასთან ცხადია, რომ არც ლიბერალურ დემოკრატიული სისტემის შექმნა ავტომატურად არ გულისხმობს საზოგადოებაში ინკლუზიური ლიბერალური სისტემის შექმნას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მულტიკულტურულ საზოგადოებებში (Seligman 1995).

4.1.2 თათბირობითი (ან მონაწილეობითი) დემოკრატია

გამომდინარე იქიდან, რომ დიქტატურის პირობებში ყველა ადამიანი ითრგუნება სისტემის მიერ, ხოლო დემოკრატის პირობებში უმრავლესობა ჩაგრავს უმცირესობას, ლიბერალური დემოკრატის უმთავრესი პირობის- „ხალხის, როგორც მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის“ უზრუნველსაყოფად შემოთავაზებულია დამატებითი მექანიზმების ამოქმედება.

„ტრადიციული დემოკრატის თეორიისგან განსხვავებით, სადაც ხმის მიცემა უპირველესია, თათბირობითი დემოკრატის პროცესში ლეგიტიმური კანონშემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ სახალხო დებატებისა და ხალხთან მოლაპარაკების გზით“ (Bessette 1980).

წარმომადგენლობითი დემოკრატიის სრულ ან შემავსებელ ალტერნატივებს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა პოლიტიკური მეცნიერებისა და მკვლევარების მხრიდან მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე. მხოლოდ 1970-90 წლებში, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში დემოკრატიისა და მმართველობის მიმართ არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ და მზარდმა ინტერესმა განაპირობა ისეთი თეორიებისა და მექანიზმების გამოკვეთა და განვითარება, რომელნიც მეტად უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღებას. ამ პერიოდში პოლიტიკური ანალიტიკოსები და მკვლევარები შეეცადნენ შეეხსოთ ტრადიციული- წარმომადგენლობითი ან პირდაპირი დემოკრატიის ხარვეზები და გაემყარებინათ დემოკრატიის ლეგიტიმურობა. პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოვიდა ნეოლოგიზმები, რომელიც ასახავდა თანამედროვე საზოგადოების საჭიროებებს. ერთერთი ყველაზე პოპულარული რაც გაჩნდა არის სიტყვა deliberative (თათბირობითი), რომელიც გამოიყენებოდა და გამოიყენება ისეთ კომბინაციებში, როგორიცაა “deliberative rationality”, “deliberative approach”, “deliberative liberalism” და “deliberative democracy”. ისეთი ავტორები, როგორიცაა Jürgen Habermas, Joshua Cohen, Seyla Benhabib და სხვები, ტერმინს „თათბირობითი დემოკრატია“ გამოიყენებენ მექანიზმად, რაც მოიტანს კომპრომისულ შედეგს ტრადიციული დემოკრატიის კონკურენციის პირობებში არჩეული პოლიტიკური ელიტისა და განსხვავებული სოციალური ინტერესების მქონე მხარეებს შორის (The Blackwell Encyclopedia of Political Thought 1987-2000).

ამ პოლიტიკური თეორიის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული მხოლოდ მოქალაქეებთან სამართლიანი და საგნობრივი დისკუსიისა და დებატების შედეგად. თათბირობითობა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, რომ გაცვალონ არგუმენტები და განიხილონ განსხვავებული გარემოებები და პრეტენზიები,

საერთო სიკეთის უზრუნველსაყოფად ან დასაცავად. შესაბამისად, „თათბირი“ ამ შემთხვევაში მოიცავს არა მარტო უშუალოდ სიტყვათა გაცვლას, არამედ თანამშრომლობას, არგუმენტაციას, ოპონირებას, დარწმუნებას, სიტყვიერ დაპირისპირებას და მოლაპარაკების სხვა მრავალ ფორმას.

ტრადიციული დემოკრატიის საპირისპიროდ, თათბირობითი დემოკრატია მეტად უზრუნველყოფს სამოქალაქო მონაწილეობასა და ჩართულობას, რადგან გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის არსებობს ინფორმაციის სრულფასოვანი გაცვლა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში თანასწორი წვლილის შეტანას. Ferrara-ს განმარტებით, „თათბირობითი დემოკრატიის პრინციპი დამყარებულია სამ ვარაუდზე: ა) ყველა დემოკრატიულ პროცესში არსებობს მოსათათბირებელი ობიექტი, ბ) სახეზეა თათბირობითი ერთეული, როგორც საერთო და არა კერძო ინტერესის დავის საგანი, და გ) სახეზეა თათბირობითი პროცესი, სადაც მიიღწევა შეთანხმება საზოგადო სიკეთის შესაქმნელად პროცედურების, ქმედების, ან პოლიტიკის შესახებ არგუმენტების გაცვლისა და შეფასების გზით“ (2013).

იმის გამო, რომ თათბირობითი დემოკრატიისთვის თავად პროცესის ხარისხი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხდება საჯარო პოლიტიკის შინაარსზე დაყრდნობით და არა პოლიტიკური ძალაუფლებიდან გამომდინარე. აქ მოლაპარაკების ლოგიკა გულისხმობს ხალხსა და მმართველს შორის ურთიერთმისაღებ შეთანხმებას, გარკვეულ „კონტრაქტს“, სადაც მმართველი ასევე აღიარებს თავის პასუხისმგებლობებს სოციალური წესრიგის წინაშე და უარს ამბობს რადიკალურ ზომებზე (Jacobs, ციტ. Seligman 1995). ამ შემთხვევაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები აღარ წარმოადგენენ არჩევნების გზით გამოვლენილ მოქალაქეთა უმრავლესობის ნებას, არამედ იგულისხმება, რომ

ყველა მოქალაქეს (ან ადამიანთა ჯგუფს) აქვს საშუალება ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. ეს თეორია მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეთა ასოციაციების არსებობას (როგორც ბერკეტს) და მათ ლეგიტიმურობას აწარმოონ მოლაპარაკებები.

4.1.3 მოქალაქეობა და სამოქალაქო კულტურა

ღია და დახურული საზოგადოება

მიუხედავად იმ პოლიტიკური სისტემებისა და მექანიზმებისა, რომლებიც აფერხებენ ან ხელს უწყობენ „მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიურ მინაწილეობას“, საუკუნეების მანძილზე მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის ცნება არაერთგვაროვნად აღიქმებოდა და აღიწერებოდა ფილოსოფოსებისა და ანალიტიკოსების მიერ.

Thucydides (ძვ.წ., 494 - ძვ.წ. 429) მიხედვით „... საზოგადო ცხოვრებაში წინსვლა დამოკიდებულია და უკავშირდება შესაძლებლობას. კლასობრივ კლასიფიკაციას არ ეძლევა უფლება დააკნინოს დამსახურება. არც სიღარიბე აბრკოლებს, თუკი ადამიანს ძალუღს ემსახუროს სახელმწიფოს.

თავისუფლება, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ მმართველობისას, ვრცელდება ასევე ჩვენს ყოველდღიურობაზე”. ათენის პოლიტიკური მოღვაწის სიტყვები ასახავს იმ მისწრაფებებს, რაც თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიული საზოგადოებისთვის აღიარებულია როგორც უპირველესი. Thucydides -ს მმართველობას (ძვ.წ. 461 -429) ოქროს ხანას უწოდებენ, რადგან იგი აღიარებდა, რომ ჰუმანურობა, თანასწორობა და პოლიტიკური თავისუფლება იდეალურად ახასიათებს თავისუფალ საზოგადოებას, რაც აუცილებელია განვითარებისთვის.

ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში საზოგადოების თავისუფლების ხარისხი ხშირადაა პროპორციული აზრის თავისუფლების

ხარისხთან. ნავარაუდევია, რომ თავისუფალი და ღია საზოგადოების ყველა წევრი უნდა აზროვნებდეს კრიტიკულად, რაც მოითხოვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, რასაც კულტურული და სამართლებრივი ინსტიტუციები ხელს უწყობენ (Soros 2006).

ამ მოსაზრებას ეხმიანებიან განსხვავებული ისტორიული დროის ფილოსოფოსები და მოაზროვნეები.

თავისუფლებასა და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკური ფილოსოფიის - ლიბერალიზმის განხილვისას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1932 წელს Henri Bergson-ის მიერ შემოთავაზებულ *ღია საზოგადოების* კონცეფციას. Bergson-ის ფილოსოფიის ერთერთი საკვანძო თემაა საზოგადოების პროგრესის არსი, წინაპირობა, კრიტერიუმები და მიმართულებები, ასევე პროგრესის მნიშვნელობა ადამიანისთვის, როგორც „კოსმოსური ევოლუციის თავისუფალი თანა-შემოქმედისა“.

საზოგადოების პროგრესის ანალიზისას, ბერგსონი გამოყოფს ორი ტიპის სოციალურ ორგანიზაციას (საზოგადოებას), და აკავშირებს მას მორალის ორ ტიპთან: *სტატიკურთან* და *დინამიურთან*. სტატიკური ახასიათებს დახურულ, ხოლო დინამიური- ღია საზოგადოებას.

Bergson-ის მიხედვით, სტატიკური მორალი წარმოადგენს ჩვევების, ინსტიტუტების მსგავსი სოციალური ქცევის მდგრადი სტერეოტიპების სისტემას. საზოგადოებაში არსებული ეს სისტემა დაყვანილია ურთიერთობების მექანიკურ უნარებამდე, მკაცრ და უცვლელ რიტუალებსა და ნორმებამდე. ამასთან, იერარქიული სუბორდინაციისა და წესრიგის შესანარჩუნებლად ამ სისტემას მკაცრად იცავს საზოგადოებრივი დისციპლინა. დახურული საზოგადოება, რომელშიც დომინირებს სტატიკური მორალი, იმყოფება

ევოლუციურ ჩიხში და არსებობს მხოლოდ თვითგადარჩენის მიზნით. შესაბამისად, დახურული საზოგადოების რელიგია რიტუალური და დოგმატურია და საზოგადოებაში დომინირებს რუტინა, იგი კონსერვატული და ავტორიტარულია და რეზისტენტულია ცვლილებისადმი (Bergson 1935).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, Bergson აღნიშნავს, რომ სოციალური ზეწოლა არ წარმოადგენს მორალის წარმოშობის ერთადერთ წყაროს, რადგან არსებობს კიდევ აბსოლუტური - ღია საზოგადოების მორალი. ეს მორალი „ღიაა“, რადგან მოიცავს ყველას, უნივერსალურია და მისი ამოცანაა მშვიდობის უზრუნველყოფა. ღია მორალის წყარო „კრეატიული ემოციაა“, რაც „ჩვეულებრივი ემოციისგან“ განსხვავდება ემოციისა და ქცევის ურთიერთდამოკიდებულებით. თუკი „ჩვეულებრივი ემოციის“ პირობებში ადამიანს „ჯერ აქვს გამოსახულება და შემდეგ ემოცია“, „კრეატიული ემოციის“ შემთხვევაში ადამიანს „აქვს ემოცია, რაც უბიძგებს გამოსახულებისკენ“ (Bergson 1935, ციტ. Stanford.edu 2004, 2016). ამ ტიპის მორალს და „კრეატიულ ემოციას“ ავტორი აკუთვნებს მხოლოდ განსაკუთრებულ ადამიანებს, როგორებიც არიან ქრისტიანული ბერები, ისრაელის წინასწარმეტყველები ან ძველი ბერძენი ფილოსოფოსები. მიუხედავად მათი ზე-ადამიანობისა, ეს პირები არ ემიჯნებიან საზოგადოებას და აქტიურობენ კაცობრიობის გასაუმჯობესებლად, რადგან ადამიანი მიაჩნიათ მსოფლიო ერთობლიობისა და ჰარმონიის ნაწილად. კაცობრიობის გაუმჯობესება ამ შემთხვევაში გულისხმობს „დახურული საზოგადოების“ „ღია საზოგადოებით“ ჩანაცვლებას, სადაც კულტურაში გაჩნდება და განვითარდება მოქნილი და სპონტანური დინამიური მორალი. ამ ტიპის საზოგადოებაში რელიგია თავისუფლდება დოგმებისგან და ჩანაცვლდება ინტუიციით, რაც იწვევს ღია საზოგადოების ადამიანის თავისუფლებას, სრულფასოვნებასა და კრეატიულობას (Scientific Biography 2008).

ღია საზოგადოება პროგრესული და მრავალმხრივია, და შესაბამისად, მუდმივად ვითარდება. თუკი ტრადიციული დახურული საზოგადოება დეპერსონიფიცირებულია, დინამიური მორალისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალიზმი. საზოგადოებაში დინამიური მორალის გამოვლინება და მისი დონე დამოკიდებულია კონკრეტულ პიროვნებებში მის გამოვლინებაზე და ხარისხზე, კონკრეტული პიროვნებების მორალური მაგალითების, ცხოვრებისეული სიბრძნის, სამართლანობის, სიყვარულისა და ქველმოქმედების შესაბამისად (International Encyclopedia..2010). მნიშვნელობა აქვს ასევე საზოგადოების წევრების უნარს თავისუფლად აღიქვან და განავითარონ ეს იდეალები როგორც საკუთარი და არა დაკისრებული გარედან. თავისუფლების, შემოქმედების, სიყვარულისა და ადამიანური თანამონაწილეობის პრინციპების გაცნობიერება გადამწყვეტი პირობაა ღია საზოგადოების არსებობისთვის, რაც თავის მხრივ, საყოველთაო ევოლუციის განუყოფელი ნაწილია (Bergson 1935).

Bergson-ის ღია და დახურული საზოგადოების შესახებ კონცეფცია მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1937-1945), განავითარა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა Karl Popper-მა. Popper სოციოლოგიური ნააზრევის თანახმად, ღია საზოგადოებაში შეუზღუდავია ვერტიკალური სოციალური მობილობა და არ არსებობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ბარიერები. ამის საპირისპიროდ, დახურულ საზოგადოებაში ვერტიკალური სოციალური მობილობა შეზღუდულია, შვილებს მშობლებისაგან მემკვიდრეობით გადაეცემათ ოფიციალური სტატუსი, ცოდნასა და ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ საზოგადოების პრივილეგირებულ ფენას, არსებული ნორმებისა და ტრადიციების კრიტიკა შეზღუდულია და საზოგადოება, როგორც წესი, გამოირჩევა ტრადიციულობით. ამასთან, „მაგიური, თემური ან კოლექტივისტური საზოგადოებისგან“ განსხვავებით, ღია საზოგადოება არის

საზოგადოება, სადაც ინდივიდები თავად იღებენ გადაწყვეტილებებს (1945, 2006).

Popper ამტკიცებს, რომ როგორც კი ადამიანი შეიტყობს ინდივიდუალობის, ანალიზისა და ჰუმანურების შესახებ, მისი დათრგუნვა შეუძლებელია. შესაბამისად, დახურულ საზოგადოებაში დაბრუნება შეუძლებელი ხდება. მიუხედავად ამისა, განვითარების პროცესში გასათვალისწინებელია ის კონფლიქტი, რომელიც არსებობს ტრადიციულ და ახალ საზოგადოებებს შორის, ის ემოციური, ანუ „ჯგუფური თემური სულისკვეთების დაკარგვის“ დისკომფორტი, რას დაკავშირებულია ცვლილებასთან (1945, 2006).

ღია საზოგადოების კონცეფციის აგიტაციამ და ეკონომიკურმა განვითარებამ განაპირობა თანამედროვე საზოგადოებაში თავისუფალი საზოგადოების იდეების გავრცელება. ზრდაზე ორიენტირებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებს ესაჭიროებათ საზოგადოების წევრთა განათლება, კონფიდენციალურობის დაცვა და სოციალური მობილობა, რაც შეუთავსებელია ტრადიციებზე დაფუძნებულ ქცევასთან. ამასთან, ეკონომიკურ წინსვლას ესაჭიროება აბსტრაქტული სოციალური ურთიერთობების ფართო გავრცელება (Hardt & Weeks 2000). Popper არ აიგივებს ღია საზოგადოებას დემოკრატიასთან, კაპიტალიზმთან, ან laissez-faire ეკონომიკასთან და მხოლოდ ხაზს უსვამს ადამიანის ჯგუფური აზროვნების საპირისპირო (ინდივიდუალური) კრიტიკული აზროვნების უნარს. მიუხედავად ამისა, ღია საზოგადოების კონცეფციის თანამედროვე მიმდევრები ღია საზოგადოების ცნებას ამყარებენ პოლიტიკურ თავისუფლებებსა და ადამიანის უფლებებზე. მათ მიხედვით, ღია საზოგადოებაში არ არსებობს კრიტიკისთვის დახურული თემები და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დისკუსიას, რადგან საზოგადოებას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარ თავთან საიდუმლო. *დინამიურ მორალზე*

დამყარებული ღია საზოგადოება სოციალური მოწყობის ტიპია, რომელიც იძლევა კრიტიკული დისკუსიის, ადამიანის გონების თავისუფალი განვითარების და გადაწყვეტილების თავისუფალი მიღების შესაძლებლობას. ღია საზოგადოებისთვის არსებითია ადამიანისადმი რწმენა, მისი გონებისა და კანონის წინაშე თანასწორობა. ამასთან, ღია საზოგადოებაში მთავრობა ტოლერანტულია და პოლიტიკური მექანიზმები გამჭვირვალე და მოქნილი, შესაბამისად, ღია საზოგადოება განიხილება ავტორიტარიზმის საპირისპირო მოწყობად. თუკი Bergson-ის *დინამიური მორალის* მოდელს საფუძველში ედო რწმენა, ღია საზოგადოების თანამედროვე კონცეფცია ასოცირებულია კულტურულ და რელიგიურ პლურალიზმთან, რომელსაც დაემატა ცონდა, არა როგორც დასრულებული, არამედ მიმდინარე ფაქტორი, რაც გულისხმობს ცოდნის პირობითობასა და, შესაბამისად, არასანდოობას. აქედან გამომდინარე ითვლება, რომ თანამედროვე ღია საზოგადოება მზად უნდა იყოს ახალი, ალტერნატიული შეხედულებების მისაღებად.

ზემოხსენებულთან ერთად, არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე სამყაროში პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული დახვეწილი მეტყველების მძლავრი ტექნიკა, რომელიც დასესხებულია თანამედროვე სარეკლამო ბიზნესისგან და შემეცნებითი მეცნიერებისგან, ეჭვის ქვეშ აყენებს Popper-ის ორიგინალურ კონცეფციას ღია საზოგადოების შესახებ. Popper-ის მოწაფე, ამერიკელი ინვესტორი და მემარცხენე პოლიტიკური აქტივისტი George Soros ამას ხსნის ერთის მხრივ ამომრჩევლის აღქმის მანიპულირების სიმარტივით და მეორეს მხრივ კი დემოკრატიულ პოლიტიკურ დისკურსში რეალური მდგომარეობის ნაკლებად ასახვით (Soros 2007). მისი მტკიცებით, ძალაუფლების დანაწევრებასთან, სიტყვის თავისუფლებასთან, და თავისუფალ არჩევნებთან ერთად საზოგადოება ვალდებულია აირჩიოს სიმართლე, რადგან პოლიტიკოსები მხოლოდ მაშინ სცემენ პატივს რეალობას, თუკი საზოგადოებას აწუხებს სიმართლე და სჯის პოლიტიკოსებს მიზანმიმართული

ტყუილის გამო (2007). Soros-ის მიხედვით, ღია საზოგადოებაში არავის შეიძლება ჰქონდეს მონოპოლია სიმართლეზე, განსხვავებულ ადამიანებს აქვთ განსხვავებული შეხედულებები და ინტერესები და ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის ყველა ადამიანის უფლებას უნდა იცავდნენ ინსტიტუციები. შესაბამისად, „ღია საზოგადოება ხასიათდება სამართლის უზენაესობით, დემოკრატიულად არჩეული მთავრობით, მრავალფეროვანი და მძლავრი სამოქალაქო საზოგადოებით, და უმცირესობების შეხედულებების პატივისცემით“ (gerogesoros.com n.d).

სამოქალაქო საზოგადოების კლასიკური იდეა: სოციალური ცხოვრების ეთიკური ხედვა

თანამედროობაში, სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა საზოგადოებების მიერ. სხვადასხვა მოაზროვნეები ასევე განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენებენ სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის მრავალ ასპექტს და იმის მიხედვით თუ რა ჭრილში აღწერენ თანამედროობას ეყრდნობიან განსხვავებულ ისტორიულ წყაროებსა და ტრადიციებს.

პოლიტიკური აზროვნების კუთხით სამოქალაქო საზოგადოების ისტორია სოკრატეს, პლატონის, არისტოტელესა და სხვა ბერძენ და რომაელ ფილოსოფოსების აზრებში იღებს სათავეს კლასიკურ პერიოდში, ჩ.წ. 5-4 საუკუნეში, სადაც დიდი ყურადღება უთმობდა ადამიანს და მის საზოგადოების წევრობის განმარტებას. ამ პერიოდში ფილოსოფოსები სამოქალაქო საზოგადოებას უკავშირებდნენ პოლიტიკურ ასოციაციას, რომელიც სოციალური კონფლიქტის სამართავად იღებდა კანონებს, „რაც აკავებდა მოქალაქეებს ერთმანეთის მიმართ ბოროტების ჩადენისგან“ (Toepler, Anheier & List ed. 2010). ტერმინი გამოიყენებოდა „კარგი საზოგადოების“ სინონიმად, რაც განუყოფელი იყო სახელმწიფოსგან. მაგალითად, სოკრატე

ასწავლიდა, რომ სიმართლის დასადგენად, საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო საჯარო არგუმენტაციის (დიალექტიკის) გზით და ეს აუცილებელი იყო სახელმწიფოში „ცივილურობის“ და ხალხის „კარგი ცხოვრების“ უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, პლატონისთვის, თავად სახელმწიფო იყო ბრძენი, მამაცი, სამართლიანი და თავშეკავებული საზოგადოება, რომელშიც ხალხი თავს უძღვნიდა საერთო სიკეთეს და აკეთებდა საქმეს, რომელიც ყველაზე კარგად გამოსდიოდა. არისტოტელესთვის კი, სახელმწიფო წარმოადგენდა „ასოციაციების ასოციაციას“, რაც საშუალებას აძლევდა მოქალაქეებს ყოფილიყვნენ მართულნი და ამავდროულად ერთად ეზრუნათ საერთო კეთილდღეობაზე (Britannica.com n.d).

კლასიკური პერიოდის პოლიტიკური დისკურსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „კარგი საზოგადოების“ იდეას, რაც უზრუნველყოფდა ხალხთა შორის მშვიდობასა და წესრიგს. კლასიკური პერიოდის ფილოსოფოსები არ ასხვავებდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოებას და სახელმწიფო წარმოადგენდა საზოგადოებას, სადაც ცივილურობა კარგი მოქალაქის მოთხოვნაა. კლასიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი იმთავითვე რაციონალურია. შესაბამისად, ადამიანებს კოლექტიურად აქვთ უნარი დახვეწონ საზოგადოება, რომელსაც მიეკუთვნებიან და უსასყიდლოდ გაერთიანდნენ საერთო იდეის გარშემო საზოგადოებაში მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამ შეხედულებების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური პოლიტიკური მოაზროვნეები აღწერდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის პირველად შინაარსს. ოდნავ მოგვიანებით, ციცერონის *Societas civilis* (ცივილური საზოგადოების) კონცეფციის გაჟღერებასთან ერთად (ჩ.წ. 1 საუკუნე), გაჩნდა მოსაზრება ადამიანების უნარზე გაერთიანდნენ, რათა უსასყიდლოდ იმოქმედონ საერთო სიკეთის შესაქმნელად. ციცერონისთვის ეს გაერთინება ეფუძნება „სამართლისა და

საერთო ინტერესების შეთანხმებას“, შესაბამისად მოქალაქეთა თანამშრომლობა (societas) და კანონი წარმოადგენდნენ „სამოქალაქო საზოგადოების შეთანხმებას“ (Zetzel 1999).

ზემო კონცეფციები შინაარსობრივად ეხმიანებიან დღევანდელი დღის სამოქალაქო საზოგადოების ან მისი შემადგენელი ნაწილების აღქმას. თანამედროვე ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ სწორედ ციცირონის societas civilis -დან შემოვიდა მოხმარებაში. მიუხედავად ამისა, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც მკვეთრად მიჯნავს ძველ societas civilis- თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისგან. კერძოდ, ზოგიერთი ავტორის თქმით, ტერმინი societas civilis ნათარგმნია ბერძნულიდან politike koinonia (“პოლიტიკური გაერთინება ან პარტნიორობა”), რაც არისტოტელეს პოლიტიკური ფილოსოფიის ცენტრალურ ცნებას წარმოადგენდა. ეს პარალელი აიგივებს სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს, როცა, ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე დეფინიცია სწორედ სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს გამიჯვნას გულისხმობს. არისტოტელესა და ციცირონის განმარტება, რომ სამოქალაქო საზოგადოება არა სახელმწიფოს „ოპოზიციას“, არამედ მის ერთერთ ასპექტს წარმოადგენდა გამოწვეული იყო ისტორიული მოცემულობით. არისტოტელე პოლიტიკურ საზოგადოებას მოიხსენიებდა უმაღლესს საზოგადოებად, რომელიც მოიცავდა ყველაფერს, იმ ჯგუფების ჩათვლით, ვინც გარიცხული იყო პოლიტიკური მონაწილეობიდან. შესაბამისად, მრავალფეროვანი სოციალური ორგანიზაციები (არა-მოქალაქეების-ქალების, ახალგაზრდების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მონების ჩათვლით) ეკუთვნოდნენ პოლიტიკურ საზოგადოებას.

როგორც აღინიშნა, სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია, როგორც სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი კოლექტიური ერთეული,

წინააღმდეგობაში მოდის დასავლეთის ისტორიულ პოლიტიკურ მოსაზრებებთან. კონცეფციის განსახვავებული ინტერპრეტაცია საფუძვლად უდევს როგორც ლიბერალურ-საპარლამენტო, ასევე სოციალისტურ-მარქსისტულ ტრადიციებს (The Blackwell.. 1987-2000).

პლატონიდან მოყოლებული სამოქალაქო საზოგადოებისა და მასში შემავალი ერთეულების ირგვლივ დისკუსიებში ცენტრალურ ადგილს იკავებს ძალაუფლებისა და სახელმწიფო წესრიგის პრობლემა. მაგალითად, იტალიის რენესანსის პერიოდის ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის ნიკოლო მაკიაველის ძალაუფლების სეკულარულმა ეკონომიკამ და რეფორმაციის ცნობიერებამ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა სამოქალაქო საზოგადოება, როგორც კერძო ინტერესების გარშემო გაერთიანებული საზოგადოება. მან გამიჯნა იდეალიზმი და რეალიზმი, რომელნიც მანამდე გაერთიანებულნი იყვნენ დასავლური ტრადიციების შესაბამისად და შექმნა დიალექტიკური საზღვარი „სახელმწიფოს გამართლებასა“ და „უფლებების გამართლებას“ შორის. მიუხედავად ამ ისტორიული ფიგურის მიმართ ისტორიკოსებისა და პოლიტოლოგების არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, რაც განპირობებული იყო მისი „ბოროტი რეკომენდაციებით ტირანებისთვის, რათა დახმარებოდა ძალაუფლების შენარჩუნებაში“ (Giorgini 2013), ჰობსამდე საუკუნით ადრე მაკიაველიმ განსაზღვრა „ფიგურის ისტორიული როლი“ და, შესაბამისად, პოლიტიკური მორალურობა. ჟან ჟაკ რუსოს აზრით მაკიაველი პოლიტიკური რესპუბლიკელი იყო და მისი ნაშრომები შთაგონების წყაროდ იქცა თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის მიმდევართათვის (McKenzie 1982).

მაკიაველი აღიარებდა, რომ ხანგრძლივი პოლიტიკური ძალაუფლება პირდაპირაა დამოკიდებული მოსახლეობის კეთილ ნებაზე, შესაბამისად, ხელისუფალს ესაჭიროება ხალხის წესჩვეულებებისადმი და არსებული

სოციალური წესრიგის საფუძვლებისადმი პატივისცემა. ამასთან, მაკიაველის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მძლავრ პოლიტიკურ ინსტიტუციებს, რომელნიც დაიცავენ მოქალაქეთა სიცოცხლეს და ქონებას, პატივს სცემენ სხვადასხვა სფეროებში მომუშავე ორგანიზაციებს და დაეხმარებიან მოქალაქეებს მიიღონ შემოსავალი. ძველი ტრადიციებისგან გასუფთავებულ, განახლებულ და გაძლიერებულ სახელმწიფოს მაკიაველი განიხილავდა როგორც ცივილიზებული ცხოვრების წინაპირობას. მაკიაველის სქემის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ერთეული მმართველისა და სახელმწიფოს პირდაპირი კონტროლის მიღმაა და მმართველი უნდა ფრთხილად ეკიდებოდეს მის ავტონომიას და დამოუკიდებელ სიძლიერეს, თუმცა იმდენად, რამდენადაც საშულებას იძლევა პოლიტიკური მორალი („political morality”) (1515). ისეთი პირადი საკითხები, როგორცაა რელიგია, ოჯახი, ეკონომიკა და მორალი მისთვის საინტერესო იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ზეგავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ ფიგურაზე სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანების საქმეში. როგორც ძალაუფლების, ასევე რესპუბლიკის პრინციპების ანალიზისას, მაკიაველის პირველადი ინტერესის საგანი იყო სახელმწიფოს აღზევება და დადმავლობა და პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზებული პოტენციალი. შესაბამისად, მიუხედავად ზემოთქმულისა, სამოქალაქო საზოგადოების შინაარსი მაკიაველის მიხედვით მთლიანად ექვემდებარებოდა ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების მიზეზებს.

სამოქალაქო საზოგადოების კლასიკური დეფინიცია ისეთივე ძველია, როგორც თავად დემოკრატიის ცნება და კონცეფციის კლასიკურ რესპუბლიკურ (პრემოდერნისტულ) განმარტებას, ჩვეულებრივ, უკავშირებენ მე-17-19 საუკუნეებს. ამ პერიოდის ავტორთათვის, როგორცაა Hobbs, Locke, Fergusson, Rousseau, de Tocqueville ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ მოიცავდა აქტიურ დამოუკიდებელ და თავისუფალ ადამიანს და ასევე სახელმწიფოსთან

გარკვეულ ურთიერთობაში მყოფ მოქალაქეებს. თანამედროვე სამყაროში, სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ლიბერალური დემოკრატიის განუყოფელი, მაგრამ დამოუკიდებელი სეგმენტის განხილვა მნიშვნელოვნადაა განპირობებული ამ ავტორების ნაშრომებით. მათ ექვეყნებოდა დააყენეს სახელმწიფოს აბსოლუტური ბუნება და საფუძველი ჩაუყარეს ლიბერალურ ტრადიციებს. მიუხედავად განსხვავებებისა სამოქალაქო საზოგადოების განმარტების კუთხით, ყველას აერთიანებს იმ პრობლემების დანახვა, რაც არსებობდა და არსებობს „კერძოსა და საჯაროს, პირადსა და სოციალურს, საჯარო ეთიკასა და ინდივიდუალურ ინტერესებს, ასევე პირად სურვილებსა და საჯარო საჭიროებებს შორის“ (Seligman 1992).

21-ე საუკუნის ლიბერალური დემოკრატიისთვის აქტუალური რჩება ჰობსია და სხვა განმანათლებლების მიერ განვითარებული სოციალური კონტრაქტის თეორია. ამ თეორიის თანახმად, ადამიანის მორალური და/ან პოლიტიკური ვალდებულებები დამოკიდებულია ურთიერთშეთანხმებაზე (კონტრაქტზე) ჩამოაყალიბონ ის საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობენ. ჰობსი თავის „ლევიათანში“ განმარტავს, რომ ადამიანთა რაციონალურობა და თვით-ინტერესი აიძულებს მათ ერთობლივად უარი თქვან დამოუკიდებლობაზე და დაექვემდებარონ საერთო ძალას- ლევიათანს. ჰობსის მიხედვით, ძველი ბერძნებისა და რომაელების თავისუფლება არ გულისხმობდა კონკრეტული სუბიექტის თავისუფლებას დაპირისპირებულიყო სახელმწიფოს ან პირად ცხოვრებაში გაეკეთებინა ის, რაც მას სიამოვნებდა. ჰობსის თქმით, ეს თავისუფლება მოიცავდა მხოლოდ კოლექტიურ გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღების საშუალებას. ლევიათანს დაქვემდებარებული ხალხი კი იძულებული იყო შეებოჭა თავისი ბუნებრივი უფლებები, ერთმანეთის მიმართ ზიანის მიყენების თავიდან ასარიდებლად (1651). ამასთან, განმანათლებლების მიხედვით, მძლავრი შეზღუდვების გარეშე,

კონსოლიდირებული პოლიტიკური ძალაუფლება შეიძლება იქცეს ავტოკრატიად.

ეს განმარტებები განსაზღვრავენ ყველა დროის საზოგადოებაში აქტუალური ვერტიკალური (ხალხი-სახელმწიფო) და ჰორიზონტალური (სამოქალაქო საზოგადოება) ურთიერთობების თანაარსებობას. თუკი სახელმწიფოს ფორმირება განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას და სამოქალაქო საზოგადოება შედგება კონკრეტული სუბიექტების ერთობისგან, რომელნიც (ინდივიდუალურად) გამოხატავენ საკუთარ სურვილებს, იდეებსა და გააჩნიათ ფიზიკური საჭიროებები- სამოქალაქო საზოგადოება ის სფეროა, სადაც თავისუფალი, თვით დამკვიდრებული სუბიექტი ითხოვს საკუთარი საჭიროების დაკმაყოფილებას და პირად დამოუკიდებლობას (Seligman 1992). ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი პრობლემაა ინდივიდუალური და სოციალური სურვილების ერთობლივად დაკმაყოფილების პროცესში შენარჩუნდეს საზოგადოების ინდივიდუალურ წევრთა ავტონომია.

მე-19 საუკუნის ბოლოს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდის, მარქსის კრიტიკისა და სოციალისტური მოძრაობების გაძლიერების შედეგად, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთობებში შემოვიდა მოქალაქეობის ცნება. სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა ჩანაცვლდა მოქალაქეობის პრობლემით, რაც შინაარსობრივად იგივეს- სოციალურ კონფლიქტს მოიცავდა. მოქალაქეობა და მისი ფასეულობები, როგორცაა ორგანიზაციის წევრობა და კოლექტიურ ცხოვრებაში მონაწილეობა გახდა ახალი ფასეულობა, რომელიც, სამოქალაქო საზოგადოების მსგავსად, ინარჩუნებდა ინდივიდუალურ ავტონომიას და ურთიერთსარგებელს, ერი-სახელმწიფოს ფარგლებში. ამ პერიოდიდან

დღემდე ვითარდება მოდელი: მოქალაქეობა უდრის სამოქალაქო საზოგადოებაში მონაწილეობას (Seligman 1992).

სამოქალაქო საზოგადოება და ასოციაციური ცხოვრება

სამოქალაქო საზოგადოების დეფინიცია შინაარსობრივად მჭიდროდაა დაკავშირებული ასოციაციურ ცხოვრებასთან, რადგან სამოქალაქო საზოგადოებისთვის ცენტრალურია მოხალისეობრივი ჯგუფების, ორგანიზაციებისა და სხვა ინსტიტუციების ერთობა, რასაც ხელს უწყობს ასოციაციური ცხოვრების კულტურა. ასოციაციების კულტურა გაიგივებულია დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის არსებობასთან, მის ნორმებსა და ფორმებთან, რაც საზოგადოებას აძლევს სამართლიანობის განცდას და აღვივებს ნდობას, როგორც ხელისუფლების, ასევე ერთმანეთის მიმართ.

ადამიანის ბუნების შემსწავლელი მეცნიერები თვლიან, რომ ადამიანთა უმრავლესობა, ბუნებით, *სოციალური ცხოველია* და ილტვის სხვა, მსგავსი ადამიანებისკენ. შესაბამისად, მოხალისეობრივი ასოციაციების წევრობა კაცობრიობის ბუნებრივი მდგომარეობაა. მიუხედავად ამისა, ასოციაციების შექმნა არაა „სკონტანური“ და ისევეა ინსტიტუციური მშენებლობის ნაწილი, როგორც სახელმწიფოს ან კომპანიის მშენებლობა (Edwards 2004).

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ადამიანი ერთიანდება სხვა ადამიანებთან ან ჯგუფებთან, საერთო იდეით ან საერთო პრობლემის გადასაჭრელად. მსოფლიო პოლიტიკური სპექტრი ცალსახად თანხმდება ასოციაციების მნიშვნელობაზე, მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორებისთვის ასოციაციები ტრადიციული მორალური ფასეულობების დამცავი საშუალებაა და პროგრესულობისთვის კი საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოს მამოძრავებელი ძალა (International Encyclopedia .. 2010).

საუკუნეების მანძილზე მთელს მსოფლიოში ასოციაციური ცხოვრება სხვადასხვა მიზნითა და ფორმით ვლინდება. მე-13 საუკუნის ბოლოს მარკო პოლო წერდა საჯარო საავადმყოფოების, სავაჭრო ასოციაციების, უფასო სასაფლაოების, კულტურული ჯგუფებისა და მიუსაფარ მოხუცთა თავშესაფრების მრავალფეროვნებაზე ჩინეთში (Edwards 2004) . როგორც ჩინეთში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მოხალისეობრივი ასოციაციები საუკუნეების მანძილზე არსებობდნენ.

კაცობრიობისთვის ცნობილია საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ შექმნილი სოფლად მცხოვრები გლეხთა კოოპერატივები, ამერიკის საზოგადოებრივი ლიცეუმები, მე-19 საუკუნის ინდოეთის პოლიტიკური მოძრაობები, ცენტრალური ევროპის დისიდენტთა ჯგუფები, დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ტიპის მომხმარებელთა ასოციაციები, რწმენის გასავრცელებლად შექმნილი რელიგიური გაერთიანებები, მთელს მსოფლიოში არსებული ადამიანთა უფლებების დამცველი ჯგუფები და ასევე მხოლოდ გასართობად შექმნილი სამოქალაქო კლუბები. მეცნიერები თვლიან, რომ ამ ტიპის ასოციაციების არსებობის გარეშე, ადამიანის ცხოვრება ნაკლებად ხარისხიანია, რადგან „ადამიანები შექმნილნი არიან ნებაყოფლობით ასოციაციებად ცხოვრებისთვის და „წმინდა სული“ ვლინდება ყველა ასოციაციაში, რომელიც ერთგულია დემოკრატიული სამართლიანობისა საჯარო ცხოვრებაში“ (Engel, ციტ. Edwards 2004).

Tocqueville თავის ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“ ხაზს უსვამს ამერიკელების „მუდმივ ტენდენციას შექმნან ასოციაციები“. ამასთან, მისი თქმით, სწორედ სამოქალაქო და პოლიტიკური ასოციაციების წყალობით საზოგადოება თავიდან იცილებს ტირანიის არსებობის რისკებს და მათი მეშვეობით იქმნება საჯარო სიკეთე, რაც, საერთო ჯამში, აძლიერებს

დემოკრატიის ხარისხს და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას (1830, 1945).

მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციურ ცხოვრებაზე დამყარებული სამოქალაქო საზოგადოების აღწერა და პროპაგანდა მოხდა მე-18-მე-19 საუკუნის ევროპელი განმანათლებლების მიერ, თავად კონცეფციამ თავი უკეთ დაიმკვიდრა შეერთებულ შტატებში. როგორც ამბობენ, ამერიკის საზოგადოებამ, თავისი მოხალისეთა გაერთიანებებით, ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფით, ფედერალიზმითა და პირადი თავისუფლებებით მოძებნა უნიკალური ბალანსი საზოგადოებრივსა და პირადს შორის, რაც სამოქალაქო საზოგადოების პრობლემის შინაარსს წარმოადგენს. Sampson (1974, ციტ. Seligman 1992) განმარტავს, რომ „ამერიკანიზმი ამერიკელისთვის არც ტრადიციაა და არც ტერიტორია, როგორც საფრანგეთი ფრანგისთვის ან ინგლისი ინგლისელისთვის, არამედ დემოკრატიის, თავისუფლებისა და შესაძლებლობების დოქტრინა, რომელსაც ამერიკელები რაციონალისტურად უდგებიან”.

მკვლევარები განმარტავენ იდეოლოგიის მიზეზებს და უკავშირებენ მათ ასკეტურ ან სექტურ პროტესტანტულ წინაპირობებს: ა) ფასეულობებსა და რწმენაზე დამყარებული საზოგადოების წევრობის იდეოლოგიური პირობა, ბ) სოციალური სოლიდარობის დაფუძნება ინდივიდუალურ ავტონომიაზე, გ) ინდივიდების მაღალი ხარისხის მოვალეობის გრძნობა და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, რაც გულისხმობს საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობის უფლებას (Seligman 1992, Encyclopedia ..2010). ამერიკულ საზოგადოებაში არსებულმა ამ ტიპის სოციალურმა კაპიტალმა განაპირობა მე-18-19 საუკუნისთვის სამოქალაქო საზოგადოების მოქალაქეობის უნივერსალური ფორმით ჩამოყალიბება ერი-სახელმწიფოს შიგნით. აქ სამოქალაქო საზოგადოება ეფუძნება როგორც ინდივიდუალიზმს,

ასევე ადამიანების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პრინციპებს, რასაც საფუძველში უდევს ადამიანებს შორის ნაცვალებითი შეთანხმებები და მორალური, ეკონომიკური, სოციალური, და პოლიტიკური კავშირები (Seligman 1992). შესაბამისად, იმ პერიოდის ამერიკაში თოქვილისეული ასოციაციური ცხოვრების ტრადიცია განპირობებული იყო „პროტესტანტული ინდივიდუალიზმისა და ნატურალური კანონის დოქტრინის ისტორიულმა სინთეზმა, სადაც ადამიანი წარმოადგენდა სოციალური წესრიგის საყრდენ ძალას, ხოლო ადამიანთა შორის ურთიერთობები ეფუძნებოდა „გონების კანონისადმი“ საერთო პატივისცემას“ (Seligman 1992).

საინტერესოა, რომ სამოქალაქო საზოგადოების თეორია, რომელიც მეტ წილად ამერიკასა და ევროპაში შეიქმნა, ვარაუდობს ასოციაციებისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ელემენტებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე როლს საზოგადოებაში. ამ ვარაუდების მოკლე და არასრული ჩამონათვალი მოიცავს სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვას, პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობას, ტოლერანტულობისა და პოლიტიკური ვაჭრობის კულტურის ჩამოყალიბებას, ინტერესთა არტიკულირებისა და გამოხატვის საშუალებების შექმნას, პოლიტიკური ლიდერების გაზრდას, საინფორმაციო წყაროს გაფართოებას და სხვა. ეს როლი და ფუნქციები, შესაძლებელია სრულად ვერ ასახავდნენ ან არაადეკვატურად ასახავდნენ არა მარტო განსხვავებული ქვეყნების, არამედ ერთი ქვეყნის შიგნით განსხვავებული თემების ასოციაციურ ურთიერთობებს. მაგალითად, შეერთებული შტატების შემთხვევაში- აფრო-ამერიკული ასოციაციური ცხოვრება მკვეთრად განსხვავდება ინგლისის ისლამური მოხალისეობრივი ორგანიზაციებისგან. განსხვავებულია ასევე თავად მოხალისეობისა და მონაწილეობის ნორმები და გზები. შედარებისთვის, მეტად სავარაუდოა, რომ ქუჩის პროტესტში მონაწილეობას მიიღებს ამერიკის აფრო-ამერიკელი და არა

თეთრი მოსახლეობა, რადგან ქუჩის პროტესტები დამახასიათებელია აფრო-ამერიკული ასოციაციების ოპოზიციური კულტურისთვის (Edwards 2004).

განსხვავებულია, მაგალითად მე-17-18 საუკუნის ინგლისის ადრეული ინდუსტრიალიზაციის პერიოდის შემთხვევა, როდესაც სოფლებიდან ჩამოსული მუშები დასახლდნენ გაპარტახებულ ქალაქებში და საკუთარ თავზე აიღეს პოტენციური უმუშევრობის, ავადმყოფობისა და სიბერის რისკები. მათ თავად ააშენეს საკუთარი „სამოქალაქო საზოგადოება“ და შექმნეს კოოპერატიული მოძრაობები, სავაჭრო კავშირები და ადგილობრივი ეკლესიები, იმისთვის, რომ დაესტაბილურებინათ საკუთარი არსებობა და გაეწიათ ურთიერთდახმარება (Hirst 2002). გვხვდება ასევე მე-19 საუკუნის დანიის მაგალითი, როცა ამერიკიდან იაფი ხორბლის შემოტანის შედეგად სოფლის მეურნეობამ კრიზისი განიცადა და გლეხთა სოფლის მეურნეობის აღზევება მოხდა კოოპერატივებისა და ისეთი ახალი კულტურული ინსტიტუციების მეშვეობით, როგორცაა Folk High Schools მოძრაობა. სკოლის შექმნის მიზანი იყო განათლების ალტერნატიული საშუალების შექმნით დახმარებოდნენ გაუნათლებელ და ღარიბ გლეხებს, რომელთაც არ ჰქონდათ დრო და ფული ესწავლათ უნივერსიტეტებში (Skandinavianseminar.org n.d).

ამერიკისგან განსხვავებით, ევროპის ისტორია დაკავშირებულია ფეოდალიზმთან. შესაბამისად, ევროპისთვის დამახასიათებელია ტერიტორიული და არა ინდივიდუალური წარმომადგენლობითობა, სოციალური ფენებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფაქტორების (მიწის ღირებულება ან კაპიტალის მოცულობა, განათლება, საცხოვრებელი ადგილი და სხვა) გათვალისწინებით. სწორედ ამ ფეოდალურმა მემკვიდრეობამ განაპირობა მე-18-19 საუკუნის ევროპაში მუშათა კლასის გამიჯვნა საზოგადოებრივი ცხოვრებისგან. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ არა ეკონომიკურმა უთანასწორობამ, როგორც ასეთი, არამედ პოლიტიკური,

სამოქალაქო და სოციალური წევრობიდან გარიცხვის ხანგრძლივმა ტრადიციამ განაპირობა მე-19 საუკუნის ევროპაში ასოციაციების შექმნა და, შესაბამის კონტექსტში, სოციალისტური მოძრაობებისა და სოციალიზმის გავრცელება. შესაბამისად, ასოციაციური ცხოვრება აქ განსხვავდებოდა არა მარტო თავისი წარმოშობის მიზეზებით, არამედ მიზნებითა და ამოცანებით.

ამის საპირისპიროდ, სწორედ ფეოდალური მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული „გარიცხვის“ არ არსებობამ განაპირობა, რომ ამერიკაში ფეხი ვერ მოიკიდეს სოციალისტურმა იდეებმა და შენარჩუნდა იმ ტიპის ასოციაციური ცხოვრება, რომლითაც ამერიკელები ამაცობენ (Edwards 2004).

გამომდინარე ზემოთქმულიდან, სამოქალაქო საზოგადოების კონტექსტში ასოციაციური ცხოვრების განსახილველად და შესაფასებლად მნიშვნელოვანია კონკრეტული ჯგუფისა თუ ქვეყნის ტრადიციების, კულტურისა და ისტორიის შესწავლა. ამასთან, მიუხედავად ასოციაციების წარმომავლობისა, მათ ესაჭიროებათ ორგანიზება და მმართველობა, ასევე საჯარო პოლიტიკის გარემო, რომელიც აღიარებს ასოციაციების მნიშვნელობას, გამორიცხავს ასოციაციების მართვის პროცესში სახელმწიფოს ჩარევას ან საქმიანობის დაბლოკვას.

4.2 სოციალური კაპიტალი

4.2.1 სოციალური კაპიტალი და სამოქალაქო საზოგადოება

სოციალური კაპიტალის კონცეფცია მჭირდოდაა დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციასთან. მიუხედავად იმისა, რომ „საერთო ფასეულობებისა და იდეის გარშემო გაერთიანება“ ახასიათებს ორივე კონცეფციას, რაც ხშირად იწვევს ამ კონცეფციების ურთიერთ ჩანაცვლებით გამოყენებას, დემოკრატიული განვითარების კონტექსტში არსებობს

მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც გვაძლევს ამ კონცეფციების მეტი სიზუსტით გამოყენების საშუალებას.

აკადემიურ წრეებში სოციალური კაპიტალის არსებობის, მიზნებისა და ფასეულობების გარშემო ფართო დისკუსიები პოპულარული გახდა მე-20 საუკუნის 90-ანი წლებიდან. ამ პერიოდის დებატებში ცენტრალურია საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების ფორმები და ნდობა, რაც განხილულია ახალ საზოგადოებრივ რესურსად. ითვლება, რომ ამ საზოგადოებრივი რესურსის მინიმალური არსებობაც კი მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. ამასთან საზოგადოებრივი რესურსი უნდა იყოს დემოკრატიული და იდგეს ეკონომიკური განვითარების გარანტიად. მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ეს მოსაზრებები გაიზიარეს დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში და გაკეთდა საჯარო განცხადებები იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს მიზანია არა ბაზრის ან თავად სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების შუალედური რგოლის-სამოქალაქო საზოგადოების განვითარება (International Encyclopedia..2010). აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ხსენებისას, თავდაპირველად მეტი ყურადღება ექცეოდა არა მოხალისეობას (მისი უმკაცრესი განმარტებით), არამედ ეკონომიკური ეფექტის მომტან მეტად ფართო სოციალურ ქსელებს (Seligman 1995).

მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინი თითქმის საუკუნეა გამოიყენება, Putnam სოციალური კაპიტალის „აღმოჩენას“ უკავშირებს L. J. Hanifan-ს 1916 წლის ნაშრომს „The Rural School Community Center“, სადაც ავტორის მიხედვით სოციალური კაპიტალი „ის ქონებაა, რაც ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე მეტად ფასობს, კერძოდ: კეთილი ნება, მეგობრობა და თანადგომა და მოცემული სოციალური ერთეულის წევრ ადამიანებსა და ოჯახებს შორის სოციალური ურთიერთობა (Putnam 2000).

Pierre Bourdieu ანსხვავებს სამი ტიპის კაპიტალს: მარქსის „რეალურ“ კაპიტალთან ერთად ავტორი გამოყოფს კულტურულ და სოციალურ კაპიტალებს, როგორც საზოგადოების სტრუქტურასა და უთანასწორობაზე პასუხისმგებელ ფაქტორებს. Bourdieu განსაზღვრავს სოციალურ კაპიტალს, როგორც “არსებული და პოტენციური რესურსების ერთობლიობას, სადაც ხანგრძლივ მოქმედი ინსტიტუციონალიზებული ქსელები ცნობენ, აღიარებენ და ურთიერთობენ ერთმანეთთან“ (1986). Bourdieu მიზნად ისახავდა არა მარტო კაპიტალის სხვადასხვა ფორმების აღწერას, არამედ საზოგადოებაში ამ კომპონენტების ერთმანეთზე ზეგავლენის დადგენას. ავტორის აზრით, კულტურული კაპიტალის არსებობას ყველაზე მეტად განაპირობებს ოჯახური წარმოშობა და დაკავშირებულია სპეციფიკურ ცოდნისა და უნარების ხელმისაწვდომობასთან და მათ გამოყენებასთან (მაგ: მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა ან კლასიკური ენის შესწავლა), რაც ანვითარებს შესაბამის სტილსა და გემოვნებას. შესაბამისად, ბავშვები დაბალი სოციალური ფენიდან განიცდიან არა მარტო ეკონომიკური, არამედ კულტურული კაპიტალის დეფიციტს და მათ აკლიათ აუცილებელი სოციალური კაპიტალი, რომელიც მისცემს შესაძლებლობას გაარღვიონ საკუთარი სოციალური სტატუსი. Bourdieu-ს სოციალური კაპიტალი პირველ რიგში შედგება სოციალური ქსელებისგან, ოჯახისგან და ურთიერთობებისგან და საზოგადოებაში სასურველი ადგილის დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა კონტაქტებსა და კავშირებს, ვიდრე ეკონომიკურსა და კულტურულ კაპიტალს (1986).

ამერიკელი სოციოლოგი James Coleman აღწერს სოციალურ კაპიტალს, როგორც ნდობაზე დაფუძნებულ დომინანტ ურთიერთობებსა და კოლექტიური ქმედების ფენომენს (free rider პრობლემის ჩათვლით). ამ თეორიის მიხედვით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს სიკეთეს, რომელიც ექვემდებარება

საერთო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიას და აიხსნება რაციონალური გადაწყვეტილების მოდელების ფორმატში. შესაბამისად, სოციალური კაპიტალი არის ნაცვალგებითი ურთიერთობების როგორც შედეგი, ასევე რესურსი და წარმოადგენს ინდივიდუალურ თვისებას და სიკეთეს, რომელიც იცვლება სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე (1988). Coleman-ის მიხედვით, „სოციალურ კაპიტალს განაპირობებს მისი ფუნქცია, იგი არა ერთი სუბიექტი, არამედ სხვადასხვა მრავალფეროვანი სუბიექტებია, რომელთაც გააჩნიათ ორი საერთო მახასიათებელი: ყველანი შეიცავენ სოციალური სტრუქტურის გარკვეულ ელემენტებს და სტრუქტურის შიგნით ხელს უწყობენ აქტიორების (ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის) გარკვეულ ქმედებას. სხვა კაპიტალის ფორმების მსგავსად, სოციალური კაპიტალი პროდუქტიულია, იძლევა გარკვეული მიღწევების შესაძლებლობას, რაც შეუძლებელი იქნებოდა მისი არ არსებობის შემთხვევაში“ (1990, ციტ. International Encyclopedia.. 2003).

Ronald Burt (1984, 1987, 1992) და Nan Lin (1982) თეორიების მიხედვით, სოციალური კაპიტალი წარმოიქმნება (მინიმუმ) ორი ადამიანის ურთიერთობის შედეგად, რაც დიდი ქსელის ძირითადი „კვანძია“ და ვითარდება მრავალფეროვანი ინფორმაციისა და კონტროლის მეშვეობით, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ „კვანძებს“ შორის ურთიერთობით. მრავალი „უცხო“ კონტაქტი მეტად სასიკეთოა ქსელის სტრუქტურისთვის, ვიდრე რამდენიმე ახლო ურთიერთობა. ამავდროულად, საუბარია ქსელების გამოყენებაზე ინდივიდუალურ დონეზე (მაგალითად, დასაქმების ძიებისას)(ციტ. Granovetter, 1973).

თანამედროვე სამყაროში, სოციალური კაპიტალის კონცეფციის პოპულარობას მეტად უკავშირებენ Robert Putnam-ს იტალიური სამოქალაქო კულტურის აღმწერი წიგნის გამოცემას. მისი განმარტებით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს „სოციალური ორგანიზაციის თვისებებს, როგორცაა ნდობა,

ნორმები და ქსელები, რომელსაც შეუძლიათ გამოასწორონ საზოგადოების ეფექტურობა კოორდინირებული ქმედების ხელის შეწყობით“ (1993). Bourdieu-სგან განსხვავებით, Putnam საუბრობს თანამშრომლობაზე ნაცვალგებითობის უზრუნველსაყოფად. თუკი Bourdieu სოციალურ კაპიტალს უკავშირებს ადამიანს (ან ოჯახს), Putnam მას ათავსებს საჯარო სივრცეში: „სოციალური კაპიტალი... იმთავითვე საჯარო სივრცეა, ტრადიციული კაპიტალისგან განსხვავებით, რომელიც კერძო კაპიტალს წარმოადგენს“ (1993). Putnam -ის მიხედვით, Bourdieu -ს კაპიტალის სამივე ფორმა (სოციალური კაპიტალის ჩათვლით) შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანურ კაპიტალს (მატერიალური ფასეულობები და ფიზიკური კაპიტალის „ინფრასტრუქტურა“), ხოლო თვითონ ცდება პირადი უპირატესობებისა და ქსელების თეორიებს, ასევე მონაწილეობის თეორიის პრობლემებსა და ინდივიდუალურ მიდგომებს და განიხილავს სივრცობრივ მიდგომებს. Putnam -სთვის მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების საარსებო გარემო და საზოგადოების განუყოფელი სოციალური კაპიტალი. ისტორიული, კულტურული და ინსტიტუციური კვლევის გამოყენებით, Putnam -მა ჩამოაყალიბა ახალი დამოუკიდებელი მიდგომა, რაც დემოკრატიულ სტაბილურობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას აკავშირებს და ხსნის სამოქალაქო ჩართულობის ხარისხით. Putnam -ს მიხედვით, „ისტორიული ანალიზი გვაჩვენებს, რომ ორგანიზებული ნაცვალგებითობისა და სამოქალაქო სოლიდარობის ქსელები წარმოადგენენ არა სოციო-ეკონომიკური მოდერნიზების შედეგს, არამედ მის წინაპირობას (1995, ციტ. The Blackwell Encyclopedia 1991).

1990-ანი წლებიდან სოციალური კაპიტალის კონცეფცია ფართოდ გამოიყენება როგორც კვლევით, ასევე განვითარებით მეცნიერებებში (development sciences). ნიშანდობლივია, რომ 21-ე საუკუნეში, სოციალური კაპიტალის აღსაწერად ყველაზე ხშირად პატნამისეული ვერსია გამოიყენება, როგორც ანალიტიკოსების, ასევე პრაქტიკოსების მიერ. სოციალურ კაპიტალზე, როგორც

საზოგადოებრივ რესურსზე ხშირად აპელირებენ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციები და დონორები. მაგალითად, „მსოფლიო ბანკის“ განმარტებით, „სოციალური კაპიტალი წარმოადგენს ინსტიტუციებს, ურთიერთობებსა და ნორმებს, რაც აყალიბებს საზოგადოების ინტერაქციების ხარისხსა და რაოდენობას. არსებობს მზარდი მტკიცებულებები იმისა, რომ სოციალური ერთობა გადამწყვეტი ფაქტორია სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი ადამიანური და ეკონომიკური განვითარების საქმეში“ (1998, ციტ. CRRC 2011). ეს დეფინიცია ემთხვევა სოციალური კაპიტალის შემსწავლელი მეცნიერების განმარტებას, როგორებიც არიან Bourdieu, Coleman, Lin, Burt, Putnam, Fukuyama და სხვა. „მსოფლიო ბანკის“ აზრით, პოზიტიური ფორმით გაზრდის შემთხვევაში, სოციალურ კაპიტალს შეუძლია გააუმჯობესოს დაფინანსებული პროექტის ეფექტურობა და მდგრადობა. კერძოდ, თუკი თემს შეეძლება ერთობლივი მუშაობა საერთო პრობლემის მოსაგვარებლად, ხელი შეეწყობა ადამიანების ჩართულობასა და ერთობას და გაუმჯობესდება გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება (World Bank n.d).

აღიარებულია სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთმანეთზე დამოკიდებულება. თუკი სამოქალაქო საზოგადოება განიმარტება, როგორც „ნებაყოფლობითი კოლექტიური ქმედების პლატფორმა საერთო ინტერესების, მიზნებისა და ფასეულობების გარშემო“ (LSE n.d) და შედგება „ფორმალურად დაფუძნებული, სამართლებრივად დაცული, ავტონომიურად მართული, მოხალისე მოქალაქეებით დაკომპლექტებული ორგანიზაციებისგან, ჯგუფებისგან და ასოციაციებისგან“ (Howard 2003, ციტ. CRRC 2011), ამ ტიპის ინსტიტუციების ფუნქციონირება პირდაპირაა დამოკიდებული თანამშრომლობაზე „უცხოებთან“, საერთო სიკეთის შესაქმნელად (სოციალურ კაპიტალზე). შესაბამისად, სოციალური კაპიტალი წარმოშობს სამოქალაქო ჩართულობას, ხელს უწყობს ნდობისა და თანამშრომლობის მაგალითების დამკვიდრებას, კოოპერირებას და

ნაცვალგებით ურთიერთობებს. იგი ასევე ხელს უწყობს ინფორმაციის მიმოქცევას საზოგადოებაში და, შესაბამისად, აუმჯობესებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც ხელს უწყობს სოციალური ქსელის გაფართოებას და ანვითარებს სამოქალაქო საზოგადოებას.

სოციალური კაპიტალის, როგორც სტაბილური ლიბერალური დემოკრატიის აუცილებელი პირობა მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. Fukuyama- ს აზრით, “სოციალური კაპიტალის ზრდა ჩვეულებრივ აღიქმება „მეორე თაობის“ ეკონომიკურ რეფორმად, თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის ან ინსტიტუციებისგან განსხვავებით, სოციალური კაპიტალის შექმნა ან დახვეწა საჯარო პოლიტიკის ძალისხმევით საკმაოდ რთულია“ (1999). მისი თქმით, ის რაც ხელს უწყობს თავისუფალი ბაზრის მქონე ლიბერალური დემოკრატიის განვითარებას არის „სამაგალითო არაფორმალური ნორმები, რაც ასტიმულირებს თანამშრომლობას ორ ან მეტ ადამიანს შორის“. აქ საკვანძო სიტყვა „სტიმულირება“, შესაბამისად, საზოგადოებაში კონკრეტული ნორმათა ნაკრების არსებობა არასაკმარისია სოციალური კაპიტალის არსებობისთვის. საზოგადოებაში არსებული ნორმები უნდა უბიძგებდნენ ჯგუფური თანამშრომლობისკენ. გამომდინარე აქედან, Fukuyama სოციალურ კაპიტალს აკავშირებს ტრადიციულ თვისებებთან, როგორცაა გულწრფელობა, ვალდებულებების შესრულება, საქმის საიმედოდ წაძღოლა, ნაცვალგებითობა და სხვა და ამტკიცებს, რომ სოციალური კაპიტალი აუცილებელი პირობაა წარმატებული განვითარებისთვის- ძლიერი დემოკრატიისთვის და მძლავრი ეკონომიკური ზრდისთვის (2002). სოციალური კაპიტალის გაზრდისთვის აუცილებელია სამართლის უზენაესობა და საბაზისო პოლიტიკური ინსტიტუციები. სოციალური კაპიტალის განვითარების კონტექსტში ასევე აღინიშნება „ოჯახურობა“, როგორც საზოგადოებაში დაბალი ნდობის გამომწვევი ძირითადი გარემოება, რადგან მძლავრი „ოჯახური“ კულტურის პირობებში ადამიანს უწევს ოჯახის

წევრების აზრის გათვალისწინება. Fukuyama ეთანხმება Putnam-ს, რომ დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვანია ნდობის რადიუსის გასაფართოვებლად, რაც უზრუნველყოფს კავშირებს ყველა ტიპის საზღვრებს შორის და შექმნის ორგანიზებული ქმედების საფუძველს (2002).

Social Capital Foundation (TSCF) (სოციალური კაპიტალის ფონდი) გვთავაზობს, რომ სოციალური კაპიტალი არ უნდა გაიგივდეს მის გამოვლინებასთან.

მაგალითად, სოციალური კაპიტალი ხშირად აღიქმება როგორც ადამიანის ქსელები, რომელსაც იგი იყენებს სოციალური ინტეგრაციის მიზნით.

სოციალური კაპიტალი კი თავად ძალისხმევის საფუძველია, რაც გამოიყენება ქსელების შესაქმნელად, შესანარჩუნებლად და განსავითარებლად. ამის მსგავსად, სამოქალაქო ჩართულობა სოციალური კაპიტალის გამოვლინებაა, მაგრამ თავად არ წარმოადგენს სოციალურ კაპიტალს (socialcapital-foundation.org n.d).

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და სოციალური კაპიტალის პოზიტიურ კონტექსტში ბმა დაკავშირებულია 2009 წლის ეკონომიკურ მეცნიერებებში ნობელის პრემიის მფლობელის Elinor Ostrom -ის ნაშრომთან. ოსტრომის კვლევამ გამოავლინა, რომ რიგით მოსახლეობას ძალუღს შექმნას კანონები და ინსტიტუციები, რომელიც იძლევა გაზიარებული რესურსების მდგრადი და სამართლიანი მართვის შესაძლებლობას. ოსტრომის კვლევამ დაამარცხა საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ მხოლოდ კერძო საკუთრება უზრუნველყოფს ნგრევისა და გამოფიტვისგან ამოწურვადი რესურსების დაცვას. ამის საპირისპიროდ ოსტრომმა დაამტკიცა, რომ ეს ასევე შესაძლებელია ხალხის მიერ შექმნილი ინსტიტუციებისა და ადგილობრივი ნორმების საშუალებით. ოსტრომის მიხედვით, თუკი კაპიტალი „წარმატების აკუმულირების მექანიზმი სამომავლო მოხმარებისთვის“, ფიზიკურ და სოციალურ კაპიტალებს შორის ოთხი ძირითადი განსხვავება იკვეთება: ა)

სოციალური კაპიტალი ჩვეულებრივ იზრდება მის გამოყენებასთან ერთად, ბ) სოციალური კაპიტალის გაზომვა მხოლოდ არაპირდაპირაა შესაძლებელია, გ) მისი გენერირება შეუძლებელია გარე ინვესტირების გზით, და დ) როგორც ეროვნულ ასევე ადგილობრივ სახელმწიფო ინსტიტუციებს მძლავრი ზეგავლენა აქვთ სოციალური კაპიტალის განვითარებაზე (Ostrom 2000, ციტ. CRRC 2011).

დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის აშენება შესაძლებელია ერთი შეხვედით უიმედო პირობებშიც - იქ სადაც არსებული ქსელები და ნდობითი ურთიერთობები დაბალია. ასევე სიმართლეა საპირისპირო: მოხალისეობრივი ინსტიტუტების საკმაოდ მძლავრი კულტურა და სოციალური კაპიტალის რეზერვები შესაძლებელია დაინგრეს. მაგალითად, ცნობილია შემთხვევა, როცა ნეაპოლის უმდიდრესი ასოციაციების ტრადიციული კულტურა ადრეულ მოდერნისტულ ევროპაში დაკნინდა, ბურბონების მიზანმიმართული „გაყავი და იბატონე“ პოლიტიკის შედეგად (Hirst 2002).

განვითარების თეორიებში ფართოდ აღინიშნება სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა და დადებითი ზეგავლენა სოციალურ კაპიტალზე. ითვლება, რომ მოხალისეობრივი ორგანიზაციების, ჯგუფებისა და ასოციაციების არსებობა და ფუნქციონირება ანვითარებს თანამშრომლობით ჩვევებს და ქმნიან პოზიტიურ მაგალითებს. ამასთან დღეს, სოციალური კაპიტალი არა ორგანიზაციაა, არამედ „მჭიდრო ნაცვალგებითი ქსელებია“, რაც შესაძლებელს ხდის დაასტაბილუროს ეკონომიკური მდგომარეობა და დემოკრატიული განვითარება. მიუხედავად ამისა, აუცილებელია იმის დაზუსტება თუ რა ქსელებსა და ურთიერთობებზეა საუბარი, კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე.

სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო ენციკლოპედია (2003) აჯამებს და აყალიბებს ოთხ სტრუქტურულ მახასიათებელს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს

არაფორმალური ჯგუფი, ფორმალური ორგანიზაცია ან ქსელი, იმისთვის რომ ერთის მხრივ გააძლიეროს ადგილობრივი სოციალური კაპიტალი და მეორეს მხრივ კი იყოს მიმზიდველი და საინტერესო ინდივიდუალური მოთამაშეებისთვის:

1. ჰეტეროგენობა და მრავალფეროვნება. ეს უზრუნველყოფს „დამაკავშირებლობას“, რადგან თუკი ჩართულობის პროცესში არ არიან წარმოდგენილნი განსხვავებული სოციალური ჯგუფები იქმნება მხოლოდ შემაკავებელი სოციალური კაპიტალი. ჰომოგენური შინაარსის სტრუქტურები ნაკლებად უზრუნველყოფენ კონტაქტებს და აღიარებულნი არიან თემის მიერ. ქსელები აყალიბებენ სოციალურ კაპიტალს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების საერთო სიკეთეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებული ქსელები ხელმისაწვდომია გარემოცვისთვის, ჰეტეროგენული ჯგუფებისა და უშუალო (პირადი) კონტაქტების მეშვეობით.
2. არჩევითობა. თავისუფალი არჩევანის გარეშე ჯგუფის წევრობა სავალდებულო ხდება. სოციალურ კაპიტალზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აშკარაა ჩართულობის შესაძლებლობების ფართო სპექტრი. თუკი არ არსებობს არჩევანი სხვადასხვა ტიპის ჩართულობის შესაძლებლობებს შორის, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მცირდება და ვალდებულების სტიმული ქრება. ექსკლუზიური ხელმისაწვდომობა, მუდმივი წევრობა, წასული წევრების მიმართ სანქციები და ლოიალურობა დირექტივების მიმართ წარმოადგენენ არჩევითობის საპირისპიროს და ამცირებენ გადაწყვეტილების მიღების ჩარჩოებს. სოციალური კაპიტალი არ ვითარდება, თუკი ჩადებული ძალისხმევა არ აღიქმება, როგორც პირადი არჩევანი.
3. პოტენციური სტატუსი. სოციალური კაპიტალი არ იქმნება საზოგადოების მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარების გარეშე. მოხალისეობრივი

საქმის ინტენსიურობამ უნდა გამოიწვიოს ადამიანის სტატუსის გაძლიერება საზოგადოებაში. ამ ტიპის „სარგებელი“ წარმოადგენს სოციალური კაპიტალის ინდივიდუალურ ფასეულობას, რომელიც ვერ ჩანაცვლდება ხელფასით ან სხვა მატერიალური სარგებლით. თუკი არამომგებიანი საქმიანობა კომპენსირებულია ხელფასის მსგავსი დაბალი ანაზღაურებით, ამან შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს სტატუსზე და სოციალურ კაპიტალზე. მეორეს მხრივ, სიმბოლური „მოგება“ უნდა აისახოს აღიარებაში. როცა ჯგუფის სამსახურში გაკეთებული საქმე ნავარაუდევია როგორც შეთანხმებული (როგორც ტრადიციულ საზოგადოებებში), სტატუს პოტენციალის ელემენტი ნაკლებია.

4. გამჭვირვალობა. მაფიის კონსპირაცია, საიდუმლო საზოგადოებები და საგამომიებო სამსახურები წარმოადგენენ გამჭვირვალობის ანტიპოდებს, რაც აუცილებელია სამოქალაქო ჩართულობისთვის და, შესაბამისად, სოციალური კაპიტალის განვითარებისთვის. ის ჯგუფები ან არამომგებიანი ორგანიზაციები, რომელნიც ნაკლებად ურთიერთობენ საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან, როცა ფართო საზოგადოებისთვის საკმარისად ნათელი არაა მათი პოლიტიკა, იურისდიქცია თუ შემოსავლის წარმოშობა და განაწილება- ასეთი ჯგუფები თუ ორგანიზაციები ნაკლებად იღებენ დემოკრატიზაციის ეფექტს და ვერ წარმოშობენ სოციალურ კაპიტალს. ის საქმიანობა, რომელიც შეესაბამება სოციალური კაპიტალის განვითარებას პრინციპულად მოითხოვს საქმიანობის ყველა ეტაპზე გამჭვირვალობას.

4.2.2 სოციალური კაპიტალი vs სამოქალაქო საზოგადოება

როგორც ვიცით, სოციალურმა კაპიტალმა შესაძლებელია გამოავლინოს თავი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, სადაც ხალხს შეუძლია თანამშრომლობა ნაცვალებითობის მიზნით. მაგალითად, ეკონომიკურ

ჭრილში თუ განვიხილავთ, ფერმერთა კოოპერატივებს (დეფინიციიდან გამომდინარე) ვერ ვუწოდებთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რადგან ისინი მიზანმიმართულია ეკონომიკურ მოგებაზე, მაგრამ ამ ტიპის ასოციაციის შექმნა განპირობებულია სოციალური კაპიტალის არსებობით და ამლიერებს მას. ამის მსგავსად, მოქმედი საბინაო ამხანაგობა წარმოადგენს სოციალური კაპიტალის ნაწილს, თუმცა მას ვერ განვიხილავთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციად.

მკვლევარები და პოლიტ მეცნიერები საუბრობენ მნიშვნელოვან განსხვავებაზე სოციალურ კაპიტალსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. როგორც ვიცით, სამოქალაქო საზოგადოება ასოცირდება პოლიტიკურ მეცნიერებასთან, სოციოლოგიასთან და პოლიტიკურ ტრანზიციასთან. მე-20 საუკუნის ბოლოდან კრიტიკოსები ალაპარაკდნენ პოსტ-საბჭოთა სივრცეში სამოქალაქო სექტორის „ჩანერგვის“ გამოწვევებზე და იმაზე, რომ ხელოვნურად დაფუძნებულმა მესამე სექტორმა სუსტად ან საერთოდ ვერ უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. ამის საპირისპიროდ, ქვეყნის ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების ანალიზისას ექსპერტები უპირატესობას ანიჭებენ სოციალურ კაპიტალსა და მის განვითარებას.

მიუხედავად იმ დადებითი გარემოებებისა და ფაქტორებისა, რაც დაკავშირებულია საზოგადოებაში პატნამისეული სოციალური კაპიტალის არსებობასთან, საყურადღებოა მოსაზრებები საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ჭრილში მოცემული სოციალური კაპიტალის პოტენციური ნეგატიური ზეგავლენის შესახებ. კერძოდ, საზოგადოება ნაკლებად მიდრეკილია განვითარებაზე თუკი მოცემული სოციალური კაპიტალის ნაწილია „ვიწრო“ (ჯგუფის შიგნით) ურთიერთობები, რაც უთანაბრდება დახურული ჯგუფის ნდობას. ამასთან, თუკი ამ ტიპის საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ძალადობრივი ან კრიმინალური საქმიანობა, ეს საქმიანობა

მეტად ძლიერდება ისევ და ისევ ვიწრო-შიდა ჯგუფური ურთიერთობების მეშვეობით, რაც ასევე მიუღებელია დემოკრატიული განვითარებისთვის. სოციალური კაპიტალის ზეგავლენის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების განსასაზღვრად წარმოიშვა თეორიები „დამაკავშირებელი“ და „შემაკავებელი“ სოციალური კაპიტალის შესახებ (*bonding vis-à-vis bridging social capital*) (Kapucu 2011, Dowley & Silver 2002, Foley & Edwards 1997).

როცა საქმე ეხება არა მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას, არამედ გრძელვადიანი პრობლემების აღმოფხვრას, დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს თანამშრომლობითი ასოციაციების ფუნქციონირებას, რადგანაც მასშტაბური მიზნის მისაღწევად აუცილებელი ხდება ინსტიტუციონალიზაცია, რაც განპირობებულია რესურსების გაერთიანებისა და შენარჩუნების აუცილებლობით. დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის გარეშე „ვიწრო“ ჯგუფები იზოლაციაში იმყოფებიან დანარჩენი საზოგადოებისგან. ასევე, მათ არ ეძლევათ საშუალება ინტერაქციაში შევიდნენ სხვა ჯგუფებთან, საერთო სოციალური კაპიტალის გასაზრდელად. სოციალური კაპიტალის შემსწავლელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ შემაკავებელი სოციალური კაპიტალი დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის „წინაპარია“. ამასთან, საზოგადოებაში შემაკავებელი და დამაკავშირებელი სოციალურ კაპიტალებს შორის არსებული ბალანსი საკმაოდ პროდუქტიულია ქვეყნის განვითარების კონტექსტში (Bollier 2001).

მიუხედავად ზემოთქმულისა, მოცემული საზოგადოების სოციალურ კაპიტალს აქვს შესაძლებლობა ქვეყნის განვითარების კონტექსტში დამაზიანებლად იმოქმედოს. იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოებისთვის მეტადაა დამახასიათებელი მძლავრი ჰომოგენური (შემაკავებელი) ჯგუფების არსებობა, დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი სუსტდება. შემაკავებელ სოციალურ კაპიტალს ასევე შეუძლია დაამკვიდროს გარკვეული „ვიწრო“

ჯგუფის ნორმები და განწყობები და საზოგადოების წევრებს უზიძგოს გაერთიანდნენ ლიბერალური დემოკრატიისთვის დამანგრეველი რადიკალური იდეის გარშემო. „ვიწრო“ ჯგუფების კავშირების გაძლიერების ნეგატიური ეფექტია, მაგალითად, ეთნიკური მარგინალიზაცია ან სოციალური იზოლაცია. ასეთია, მაგალითად ქალაქის გარე უბნებში, ან ურბანული ცენტრებიდან მოშორებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის პოტენციური იზოლაცია, რადგან შემაკავებელი სოციალური კაპიტალის შემთხვევაში ეს ხალხი ბევრ დროს ატარებს იმ ადგილებისგან მოშორებით, სადაც შესაძლებელია დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის განვითარება. ამ ნაკლებად რადიკალური ეფექტისგან განსხვავებით, იმ შემთხვევაში, თუკი სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობები უკიდურესად ნეგატიურია, „ვიწრო“ ჯგუფის რადიკალიზმის გაძლიერების შედეგად დამდგარ სოციალურ იზოლაციას შესაძლებელია მოჰყვეს ეთნიკური წმენდა (Miedema 2010).

სოციალური კაპიტალის ნეგატიური ზეგავლენა ვლინდება ქვეყნებში, სადაც არასაკმარისად ძლიერია დემოკრატია და შესაბამისი პოლიტიკური ინსტიტუციები. ამ შემთხვევაში სოციალური კაპიტალის ჯგუფებს შეუძლიათ პოლიტიკური ინსტიტუციების დათრგუნვა, როგორც, მაგალითად, გერმანიის ვაიმარის რესპუბლიკის დამარცხების შემთხვევაში. Berman აღნიშნავს, რომ „ვიჰელმაინისა და ვაიმარის ხანაში გერმანიის ძირითადი პრობლემა მეტად იყო სუსტი პოლიტიკური ინსტიტუციები, ვიდრე სუსტი სამოქალაქო საზოგადოება. პოლიტიკური ინსტიტუციების სისუსტის გამო ხალხი მიენდო სხვა სტრუქტურებს. გერმანელები მიემუხრნენ კლუბებში, მოხალისეთა ასოციაციებში და პროფესიულ ორგანიზაციებში, იმ იმედგაცრუებისგან თავშესაფრად, რაც ნაციონალური მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების წარუმატებლობამ გამოიწვია. ამით ხალხმა ხელი შეუწყო ვაიმარის რესპუბლიკის საყრდენის გამოცლას და ძალაუფლებაში ჰიტლერის მოსვლას“ (1997). ავტორი აღნიშნავს, რომ ჰიტლერის მიერ ძალაუფლების

სწრაფი მოხვეჭა დაკავშირებული იყო სწორედ შემაკავებელი „ვიწრო“ (ფრაგმენტული) ჯგუფების ერთმანეთთან დაკავშირებამ და მსოფლიო პოლიტიკის თავში გერმანიის მოქცევის იდეის გარშემო გაერთიანებამ.

Putnam თავის გვიან ნაშრომებში აღნიშნავს, რომ სოციალური კაპიტალის და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ნდობის ზრდა ფერხდება ნებისმიერ ჰეტეროგენულ საზოგადოებაში, იქნება ეს მაღალი იმიგრაციის ქვეყანა (შეერთებული შტატები) თუ ფართო ეთნიკური ჰეტეროგენული საზოგადოება (აღმოსავლეთ ევროპა). ჰეტეროგენული საზოგადოების შემთხვევაში მოსახლეობაში არსებობს ორივე ტიპის სოციალური კაპიტალი და საზოგადოების წევრები ნაკლებად ენდობიან ერთმანეთს, ვიდრე ჰომოგენური საზოგადოების წევრები. ჰომოგენურების ნაკლებობა იწვევს ადამიანების გაუცხოვებას და საკუთარი ჯგუფებისგან და ურთიერთობებისგან გამიჯვნას და ქმნის დაქსაქსულ საზოგადოებას, გუნდად შეკრული თემის საპირისპიროდ (International Encyclopedia .. 2010). Putnam -ის ეს მოსაზრება ეჭვის ქვეშ აყენებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის სოციალური ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირებით ან ჯგუფის შიდა კავშირების გამყარებით მრავალფეროვნება საზოგადოებაში აძლიერებს სოციალურ კაპიტალს.

ზემოხსენებულიდან გამოიმდინარე, ა) სოციალური კაპიტალი უფრო ფართო ცნებაა ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება და მოიცავს ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმებს, ბ) ‘წევრობა’ და ‘მონაწილეობა’ მოხალისეობრივ ორგანიზაციაში დამახასიათებელია ორივე კონცეფციისთვის, გ) პირადი კონტაქტები და ურთიერთობები ახლო მეგობრებსა და ოჯახის წევრთა შორის არ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს, თუმცა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს სოციალური კაპიტალის შემთხვევაში, დ) სამოქალაქო საზოგადოება განიხილება, როგორც ქცევითი და ინსტიტუციური ფენომენი,

ხოლო სოციალური კაპიტალი ხაზს უსვამს “ნორმებსა” და “ფასეულობებს”. ამასთან, დემოკრატიზაციის კონტექსტში, სამოქალაქო საზოგადოებად შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ და მხოლოდ „ჯგუფები, რომელნიც აღიარებენ სხვა ჯგუფების ლეგიტიმურობას, ურთიერთ-აღიარებულ საჯარო სივრცეში“ (Ostrom 2000, ციტ. CRRC 2011). მაგალითად, კუ კლუკს კლანისა და მაფიას მსგავს ორგანიზაციებს აქვთ ერთიანი მრწამსი და მიზანი და ერთიანდებიან საერთო მიზნის მისაღწევად, შესაბამისად წარმოადგენენ მოცემული სოციალური კაპიტალის ნაწილს, თუმცა ფართო საზოგადოებაზე ნეგატიური ზეგავლენის გამო წინააღმდეგობაში მოდიან და მიუღებელნი არიან სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციისთვის.

4.2.3 სოციალური კაპიტალის წარმოშობა

სოციალური კაპიტალის შემსწავლელი თეორიები ძირითადად იყოფა სოციალური კაპიტალის წარმომავლობისა და მიზეზების თეორიებზე. წარმომავლობის შემსწავლელი მეცნიერების მიხედვით, სოციალური კაპიტალის რაოდენობისა და ტიპის მრავალფეროვნება და ვარიაციები უპირველესად აიხსნება მიდგომით, სადაც შესწავლის ფოკუსში საზოგადოებაა (Fukuyama 1999, ციტ. Rothstein & Stolle 2008). ეს თოქვილისეული მიდგომა გულისხმობს, რომ მოცემული საზოგადოების შესაძლებლობა აწარმოოს სოციალური კაპიტალი მოქალაქეებში განპირობებულია სოციალური ორგანიზაციის მრავალწლიანი გამოცდილებით, რაც გამომდინარეობს ისტორიული და კულტურული გამოცდილებიდან. როგორც ვიცით, საზოგადოებაზე ფოკუსირებული მიდგომა სოციალური კაპიტალის გენერირების მთავარ მექანიზმად განიხილავს რეგულარულ (სასურველია მოხალისეობრივი ასოციაციების წევრობის მეშვეობით) სოციალურ ინტერაქციას. იმ ეფექტის გამო, რაც მოაქვს სოციალიზაციას დემოკრატიაზე და თანამშრომლობით ფასეულობებსა და ნორმებზე - ფორმალური და

არაფორმალური ასოციაციები და ქსელები გვევლინებიან სოციალური კაპიტალის „შემქმნელებად“. სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყნებში ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქველმოქმედო მოხალისეობრივ ასოციაციებში მონაწილეობის ეფექტი სოციალურ ნდობაზე და სპეციფიკური ჯგუფის მიღმა მონაწილეობის სურვილზე: მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციებში გაწევრიანებული ადამიანების საზოგადო ნდობა ჩვეულებრივ უფრო მაღალია, სხვა (არა წევრი) მაღალი სოციალური ნდობისა და კოოპერირების ადამიანები ასევე ერთვებიან მოხალისეობრივ საქმიანობაში. ამასთან, ასოციაციებში აქტივობამ, როგორც ასეთი, არ იქონია დიდი ეფექტი ნდობაზე ჯგუფის გარეთ (Rothstein & Stolle 2008).

საზოგადოებაზე ფოკუსირებული მიდგომის საპირწონეა ინსტიტუციებზე ფოკუსირებული მიდგომა, რომლის მიხედვით სოციალური კაპიტალის განვითარებას ესაჭიროება კავშირი და შერწყმა პოლიტიკურ კონტექსტთან და ფორმალურ პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტიტუციებთან (Berman 2006). ამ მიმართულების მეცნიერების მიხედვით (Tarrow 1996, Levi 1998, Skocpol (2000). სამთავრობო ინსტიტუციები და საჯარო პოლიტიკა ქმნიან და ზეგავლენას ახდენენ სოციალურ კაპიტალზე, ასევე მიმართავენ მას სასურველი მიმართულებით. Tarrow-ს მიხედვით, „სახელმწიფო ფუნდამენტურ როლს თამაშობს სამოქალაქო შესაძლებლობების დახვეწაში“. ინსტიტუციური ქცევის კონტექსტში Levi გვთავაზობს Putnam-ს საზოგადოებრივი ფაქტორების საწინააღმდეგო მიდგომას და პოლიტიკის აქტივობას წარმოადგენს ნდობის როგორც წყაროდ, ასევე შედეგად, ხოლო Skocpol (2000) ამტკიცებს, რომ ისტორიულად მოხალისეობრივი ორგანიზაციების განვითარება და “ქოლგურ“ ორგანიზაციებად ქცევა სახელმწიფო მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული.

მიუხედავად ამისა, „ახალი ინსტიტუციონალიზმის“ თეორია, რომელიც განიხილავს ინსტიტუციების ინტერაქციასა და საზოგადოებაზე ზეგავლენას, უმეტეს შემთხვევაში, არ განიხილავს ზეგავლენას სოციალურ კაპიტალზე. შესაბამისად, სოციალური კაპიტალისა და სოციალური და პოლიტიკური სიკეთეების მრავალი არტიკულირებული კავშირის მიუხედავად, სახელმწიფოს როლი სოციალური კაპიტალის განვითარებაში ემპირიულად პრაქტიკულად შეუსწავლელია (Rothstein & Stolle 2008).

რამდენად მომგებიანი ან დამაზიანებელია სახელმწიფოს ინტერვენცია სოციალური კაპიტალისთვის დავის საგანია იმ მცირერიცხოვან მეცნიერებს შორის რომელნიც განიხილავენ სახელმწიფოს ზეგავლენას სოციალურ კაპიტალზე.

ულტრა ლიბერალური შეხედულებების მიხედვით, სოციალური კაპიტალისადმი ნებისმიერი ტიპის სამთავრობო დახმარება უნდა იყოს უარყოფილი. მაგალითად, Carilli, Coyne & Leeson (2008) ქეის სთადის საშუალებით შეისწავლეს ინდოეთში ბრიტანეთის ხელისუფლების მცდელობა არსებული სოციალური კაპიტალის სტრუქტურის შემადგენელ ერთეულებს შორის ჰომოგენურების შესაქმნელად და დაასკვნეს, რომ ამ ტიპის ჩარევა ასუსტებს და ანადგურებს არსებულ სოციალურ კაპიტალს. ულტრა ლიბერალების მიხედვით, სახელმწიფო ინტერვენცია დაუშვებელია, რადგან ცნობილია, რომ მრავალი გავლენიანი და ეფექტური სამოქალაქო ქსელი წარმოიქმნა სახელმწიფოსთან და მის ინსტიტუტებთან კონფლიქტის შედეგად: განმანთავისუფლებელი მოტივით, მთავრობის თვითნებობის წინააღმდეგ და გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეთათვის მეტი ძალაუფლების მინიჭების სურვილით (International Encyclopedia.. 2010). ლიბერალური მიდგომის მიმდევრებს სახელმწიფო ზეგავლენის ნეგატიურ მაგალითებად მოჰყავთ სახელმწიფოს ავტორიტარული მიდგომები,

რომელთათვის მისაღებია მხოლოდ სოციალური კაპიტალის „მოწესრიგებული“ ფორმები: კომუნისტური სისტემის საბჭოები ან ნაციონალ-სოციალისტების ჩართულობის არა ცივილური ფორმები. აქ მკაცრად ორგანიზებული ქსელები გამოიყენება ერთის მხრივ, *თავისუფალი ბაზრის საზოგადოების* დასათრგუნად, მეორეს მხრივ კი დემოკრატიის დასაზიანებლად. ორივე შემთხვევაში წარმოიშვება სამოქალაქო საზოგადოების საპირისპირო აბსოლუტური ძალაუფლება დიქტატურის ფორმით, რომელსაც არ ესაჭიროება პატნამისეული სოციალური კაპიტალი (International Encyclopedia.. 2010).

გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური კაპიტალის „განწყობით“ კონცეფციის მიხედვით ინტერ-პერსონალური განზოგადებული ნდობა სოციალური კაპიტალის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, ზემოხსენებული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის სოციალური კაპიტალის კონცეფციასთან, რადგან მიჯნავს ხელისუფლებას საზოგადოებისგან. ამასთან, თანამედროვე ავტორების მიხედვით, სამთავრობო ინსტიტუციების სტრუქტურა და მახასიათებლები მნიშვნელოვანია საზოგადო ნდობის გენერირებისთვის. სახელისუფლო ინსტიტუციების პროცედურული მიუკერძოებლობა ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა ინსტიტუციურ ნდობაზე, კონკრეტულად მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნებაზე, მათ დასკვნებზე სისტემებისა და საჯარო მოხელეების შესახებ რასაც უზიარებენ სხვა მოქალაქეებს, სხვა მოქალაქეების საქციელის შეფასებაზე და საკუთარი ან გარემოცვაში მყოფ ადამიანთა დისკრიმინაციის განცდაზე (Rothstein & Stolle 2008). ავტორების მიხედვით, თუკი საზოგადოებაზე ფოკუსირებული მოდელი ერთადერთი სწორი მოდელია, ხელისუფლებამ შეიძლება განაცხადოს, რომ მათი საზოგადოების ძირითადი პრობლემები წარმოიშვება დაბალი მოხალისეობის გამო, რომ დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია მოქალაქეთა ჩართულობა და დაადანაშაულონ მოქალაქეები

სოციალური კაპიტალის სიმწირეში. ამის საპირისპიროდ, Rothstein & Stolle (2008) საუბრობენ მოქალაქეთა უნარზე განასხვავონ ინსტიტუციები და ნდობაზე „მოწესრიგებულ“ ინსტიტუციების მიმართ და ასკვნიან, რომ თანამედროვე სამყაროში სოციალური კაპიტალის ნაკლებობა გამოწვეულია სამთავრობო ინსტიტუციების დისფუნქციით და პოლიტიკის განმახორციელებელ ინსტიტუციებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ საზოგადო ნდობის გენერირების საქმეში.

სოციალური კაპიტალის სახელმწიფო მხრიდან ხელშეწყობის ულტრა-ლიბერალურსა და ავტორიტარულ ფორმებს შორისაა მესამე-კორპორატისტული ფორმა (International Encyclopedia.. 2010). ამ კონცეფციის მიხედვით, სოციალური კაპიტალის ხელშეწყობა შესაძლებელია სტრუქტურულად, რაც გულისხმობს ასოციაციების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შემოღებას, არაპირდაპირ - მაგალითად, საგადასახადო შეღავათების შემოღებით და პირდაპირ - სამთავრობო სუბსიდიების საშუალებით. განსხვავებული საზოგადოებების შედარებისას მკვლევარები მრავალჯერ დარწმუნდნენ იმაში, რომ სამოქალაქო საზოგადოების მაღალი ჩართულობა და სოციალური უზრუნველყოფის მაღალი დონე არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. დღევანდელ დღეს, როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპაში, სამოქალაქო ჩართულობის მრავალი ფორმა პირდაპირ და არაპირდაპირ წახალისებულია ადგილობრივი, ფედერალური და ეროვნული მთავრობების მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარება დამოკიდებულია სოციო-კულტურულ კონტექსტთან, რაც დაკავშირებულია მოცემული საზოგადოების სოციალურ კაპიტალთან, მომავალი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გააზრება სოციალური კაპიტალის რომელი „ცვლადის“ მხარდაჭერა და განვითარებაა საჭირო, რომელია ნაკლებად აქტუალური ან დამაზიანებელი (International Encyclopedia.. 2010).

4.2.4 სოციალური ნორმები, როგორც სოციალური კაპიტალის ნაწილი

სოციალურ ნორმათა განსაზღვრება ისეთივე ბუნდოვანი და მრავალფეროვანია, როგორც სოციალური კაპიტალის განსაზღვრება. Durlauf & Blume (eds) მიხედვით, სოციალურ ნორმათა ფუნქციაა ადამიანთა ინტერაქციისას გაუწიოს კოორდინაცია მათ მოლოდინებს. ნორმები არეგულირებენ მოვლენების ფართო სპექტრს, ქონებრივი უფლებების, კონტრაქტების, გარიგებების, კომუნიკაციის ფორმებისა და სამართლის კონცეფციის ჩათვლით. ნორმებს შემოაქვთ მოცემულ სოციალურ ჯგუფში ქცევის ერთგვაროვნობა, თუმცა ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვადასხვა ჯგუფებში. ნორმებს არ „ირჩევენ“, არამედ ისინი მომდინარეობენ ისტორიული ფაქტორებიდან და წარსულიდან დღემდე აკუმულირებული გამოცდილებიდან. ობიექტური გარემოებებიდან ან სუბიექტური აღქმასა და მოლოდინებში ცვლილებიდან გამომდინარე ნორმები შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. ნორმათა ცვლილების ევოლუციურ პროცესზე ზეგავლენა შესაძლებელია სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით, რაც აჩქარებს პროცესს, თუმცა მოცემულ საზოგადოებაში ზოგიერთი ნორმა მეტად მდგრადია, ვიდრე სხვა (2008).

Lewis -ის განმარტებით, სოციალური ნორმები წარმოადგენენ ქცევის მიღებულ წესებს, რაც აკოორდინირებს ადამიანთა ინტერაქციას სხვებთან. როგორც კი რაიმე ტიპის ქცევა იქცევა წესად- იგი ძალაში რჩება, რადგან ადამიანებს ურჩევნიათ შეესაბამებოდნენ წესებს, რათა გაამართლონ სხვების მოლოდინები (1969). ეს განმარტება განსაზღვრავს პირველად მარტივ წესებს (მაგ. რომელი ხელით ვესალმებით ან გზის რომელ მხარეს დავდივართ) და ასევე მეტად კომპლექსურ წესებს, რომელთა არ დამორჩილების შემთხვევაში საზოგადოება აწესებს „სანქციებს“. ნორმები თამაშობს ცენტრალურ როლს სოციალური

წესრიგის დამყარებაში. (Durlauf & Blume (eds) 2008). იმ შემთხვევაში, თუკი ნორმების წყალობით გადაილახება მოცემულ საზოგადოებაში კოორდინაციის პრობლემა- ნორმებს ანიჭებენ ეკონომიკური და პოლიტიკური ფასეულობის სტატუსს. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ სოციალურ ნორმებზე, რომელნიც უზრუნველყოფენ თანამშრომლობითა და ნდობით განმსჭვალულ ქცევას დამოკიდებულია რამდენად ახერხებს საზოგადოება კოლექტიური ქმედებისა და თანამშრომლობის ბარიერების გადალახვას, რაც სხვაგვარად შეუზღუდავდა მათ განვითარებას. ამ მტკიცებულებების უმეტესობა გამომდინარეობს არა ინსტიტუციური ეკონომიკის, არამედ სოციალური კაპიტალის კვლევებიდან (Durlauf & Blume (eds) 2008). ამასთან, მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ სოციალური ნორმები სოციალური კაპიტალის ფორმაა (Coleman 1987).

სოციალური კაპიტალის ცნების ბუნდოვანებაში სიცხადის შესატანად, Woolcock (1998) მას განსაზღვრავს, როგორც ნორმებსა და ქსელებს, რაც ხელს უწყობს კოლექტიურ ქმედებას. სოციალური კაპიტალის ელემენტების ამგვარი გამიჯვნა ეხმიანება Uphoff -ს (1999), რომლიც მიხედვით *სტრუქტურული სოციალური კაპიტალი* მოიცავს სოციალური ორგანიზაციის მრავალ ფორმას, ფუნქციების, წესების, პრეცედენტებისა და პროცედურების, ასევე ქსელების ჩათვლით, რაც ხელს უწყობს კოოპერირებას; *კოგნიტიური სოციალური კაპიტალი* კი მოიცავს ნორმებს, ფასეულობებს, განწყობებსა და რწმენებს. სტრუქტურული და კოგნიტიური სოციალური კაპიტალი ურთიერთ შემავსებელი ელემენტებია, რადგან სტრუქტურები ხელს უწყობენ ნორმებისა და რწმენების ტრანსფორმირებას კარგად კოორდინირებულ და მიზანზე ორიენტირებულ ქცევაში.

4.2.5 სოციალური კაპიტალის გაზომვა

როგორც ვიცით, სოციალური კაპიტალის განსაზღვრისა და გაზომვის ადრეული მცდელობები განპირობებული იყო საჯარო სიკეთის ან ინდივიდების პირადი სიკეთის შესაქმნელად სოციალური კაპიტალის რესურსის გამოყენების სურვილით. ამასთან, თუკი ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს სოციალური კაპიტალის გარეშე და სოციალური კაპიტალი, თავის მხრივ, აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კონტექსტში დგება ამ ფენომენის გაზომვის აუცილებლობა.

კონსესუსი იმის თაობაზე თუ როგორ გავზომოთ სოციალური კაპიტალი არაა მიღწეული. თუკი ერთ შემთხვევაში სოციალური კაპიტალის დონე/რაოდენობა მოცემულ ურთიერთობაში შესაძლებელია ინტუიტიურად აღიქმებოდეს, ამის რაოდენობრივი სახით დადგენა საკმაოდ რთულია (CRRC 2011). იმის გამო, რომ სოციალური კაპიტალის ცნება არა მკაფიო თეორია, არამედ სხვადასხვა კონცეფციების ნაზავია, როგორცაა ინტერ-პერსონალური ნდობა, საზოგადო სოციალური სოლიდარობა, ასევე კულტურული ტრადიციები და ინსტიტუციონალური ნორმების ლეგიტიმურობის აღიარება და მათი მიმდევრობა, მისი გაზომვა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ ტიპის ბუნდოვანება სოციალური კაპიტალის თეორიებში იწვევს გაურკვევლობას, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ფუნქციების განსხვავებული საზომების შემუშავების აუცილებლობა.

პოლიტიკური სოციალური კაპიტალის გასაზომად ჩვეულებრივ იყენებენ საზოგადოებაში ჯგუფის წევრობის ჯამს და მიღებულია, რომ ის საზოგადოებები, სადაც ჯგუფური წევრობა მეტად მაღალია მეტად ანვითარებენ სოციალურ კაპიტალს. მიუხედავად ამისა, დაბალი რაოდენობის ჯგუფების არსებობა საზოგადოებაში ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება. მოსახლეობის რაოდენობის განსხვავების გათვალისწინებით

ჯგუფური წევრობა დათვლილია ერთ სულ მოსახლეზე, ანუ არა ჯგუფების რაოდენობაა მთავარი, არამედ ის თუ რამდენ ჯგუფში ერთიანდება ერთი ადამიანი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კაპიტალის არსებობა-ფუნქციონირებასთან მიმართებაში ნაგულისხმებია ურთიერთობების მოხალისეობრივი ფორმები და ის ჯგუფები, რომელიც გარკვეულწილად, პოზიტიურად ოპერირებენ, ძნელდება ამ ჯგუფების ლოგიკურად ან სტრუქტურულად სოციალური კაპიტალისადმი მიკუთვნება, თუკი წინასწარ არაა დადგენილი და შეთანხმებული გარკვეული ნორმატივები (International Encyclopedia ..2010).

კონკრეტული ჯგუფის ერთობა ასევე ზეგავლენას ახდენს სოციალურ კაპიტალზე. თუმცა თავად ერთობის ხარისხის რაოდენობრივი მაჩვენებელი ასევე რთული დასათვლელია. შესაბამისად, მკვლევარები ხშირად იყენებენ სოციალური ქსელების მოდელების ერთობას (Claridge 2004). თუკი ვივარაუდებთ, რომ ნებისმიერი არამომგებიანი ორგანიზაცია (ან არამომგებიანი სექტორი მთლიანად) იმთავითვე წარმოადგენს სოციალური კაპიტალის ნაწილს, ფოკუსი გადადის იმის შესწავლაზე თუ რამდენად ამდიდრებს ან არ ამდიდრებს კონკრეტული ორგანიზაცია, ქსელი, ან მათი საქმიანობა სოციალურ კაპიტალს და ეხმიანება თუ არა ეს საქმიანობა თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს (International Encyclopedia ..2010).

როგორც აღინიშნა, კლუბის წევრობა, თავდადება და ნდობა სოციალური კაპიტალის ფართოდ მიღებული ინდიკატორებია, რომელიც ცალ-ცალკე ან ერთმანეთთან კავშირში გამოიყენება. ზოგიერთი მკვლევარი ამ მაჩვენებლებს ნაცვალგებობის ცვლადს ამატებს. კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად ისეთ ინდიკატორებსაც იყენებენ, როგორცაა უმუშევრობა, კრიმინალის დონე, თვითმკვლელობის

დონე, არაკანონიერ ბავშვთა რაოდენობა და სხვა, რაც სხვადასხვა კომბინაციაში ოპერაციონალიზდება (International Encyclopedia ..2010).

როგორც აღინიშნა, პატნამისეული სოციალური კაპიტალი მოიცავს: ა) ოჯახურ სტრუქტურებს, კლანებსა და ბანდებს, ბ) ნდობისა და ურთიერთ სარგებლის მაგალითებს, რაიმე საკითხის მოსაგვარებლად, გ) შეგნებულად შემუშავებულ მართვისა და მონიტორინგის სისტემებს, და დ) ნორმებსა და წესებს. თავად Putnam (1993) სოციალური კაპიტალის ინდექსს იყენებს (Social Capital Index, SCI). ეს ინსტრუმენტი 14 ცვლადისგან შედგება, მახასიათებლების 5 ჯგუფის გასაზომად: (1) თემის ორგანიზაციული ცხოვრება (ცვლადები: მოსახლეობის პროცენტი 1000 მოსახლეზე, რომელიც მსახურობს საბჭოებში, ადგილობრივ, სამოქალაქო ან სოციალურ ორგანიზაციებში; გასულ წელს კლუბის შეხვედრებზე დასწრების საშუალო მაჩვენებელი, ჯგუფის წევრობის საშუალო მაჩვენებელი), (2) საჯარო საქმიანობაში ჩართულობა (ცვლადები: საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, ადგილობრივი საჯარო შეხვედრების დასწრება), (3) მოხალისეობა (ცვლადები: 1000 სულ მოსახლეზე არა-მომგებიანი ორგანიზაციების რაოდენობა, სათემო პროექტებზე მუშაობის საშუალო რაოდენობა, მოხალისეობრივ საქმიანობაზე გამოყოფილი დროის საშუალო მაჩვენებელი), (4) არაფორმალური სტაბილურობა და (5) სოციალური ნდობა. ეს ცვლადები არ ანალიზებენ სოციალურ კაპიტალს მცირე სათემო ან პირად დონეზე და გამიზნულნი არიან მეტად დიდი ერთეულების (შტატების) შესაფასებლად (სამხრეთის შტატებში იკვეთება ნაკლები SCI ინდექსი, ვიდრე ჩრდილოეთ შტატებში). პატნამის მიერ შემოთავაზებული მოდელი სოციალურ კაპიტალს უკავშირებს თანამედროობას, რადგან ამ მოდელის მიხედვით SCI იზრდება საზოგადოებაში შესაძლებლობების ზრდასთან ერთად, მკაფიო დეტრადიციონალიზაციის, სოციალური და რეგიონალური მობილობის მეშვეობით.

ამასთან, ზემო მეთოდოლოგია არ მოიცავს სოციალური კაპიტალის თეორიის ისეთ ასპექტებს, როგორცაა: (1) მჭიდრო ქსელების ეფექტი, რაც არ აისახება დიდი ორგანიზაციების წევრების რაოდენობაში; (2) დამაკავშირებელი და შემაკავებელი სოციალური კაპიტალის განსხვავება; (3) კავშირების შესუსტება პირველი რიგის ორგანიზაციისა მეორე და მესამე რიგის ორგანიზაციებთან; (4) ვერტიკალური კავშირების დადებითი ეფექტისა და ჰორიზონტალური ქსელების (პატრონაჟის) ნეგატიური ეფექტის განსხვავება. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია რაოდენობრივი კვლევის დახმარებით.

არსებობს უამრავი ეროვნული და საერთაშორისო კვლევა, რომელიც აღწერს სოციალური კაპიტალის ერთ ან რამდენიმე განზომილებას. პოლიტიკის შემქმნელთათვის სოციალური კაპიტალის პოპულარობა დაკავშირებულია ამ კონცეფციის ორმაგ ბუნებასთან, რაც „ქვეცნობიერ ეკონომიკურ სარგებელთან ერთად ინარჩუნებს სოციალურ მნიშვნელობას“. მკვლევარებისთვის კი ეს კონცეფცია საინტერესოა, რადგან ხსნის საზოგადოებაში მიღწეული შედეგების ფართო სპექტრს (Halpern 2005). სოციალური კაპიტალი ხშირად გამოიყენება ისეთი ფაქტორების ასახსნელად, როგორცაა წარმატებული მმართველობა, ფუნქციონალურად განსხვავებული ჯგუფების გაუმჯობესებული ქცევა, სტრატეგიული ალიანსების წარმატება და სხვა.

მსოფლიო ბანკი აფასებს რამდენად შემაკავებელია ან დამაკავშირებელია სოციალური კაპიტალი საზოგადოებაში ისეთი კითხვების საშუალებით, რომელნიც ადგენენ არიან თუ არა გამოკითხულთა რესპონდენტთა ჯგუფის, ორგანიზაციის, ან ქსელის სხვა წევრები იგივე ეთნიკური, ლინგვისტური, გენდერული, რელიგიური წარმოშობის, ან აქვთ თუ არა მსგავსი განათლება ან დასაქმება. მსოფლიო ბანკი ასევე იკვლევს არაფორმალურ სოციალურ ქსელებს და ურთიერთმხარდაჭერას (worldbank.org n.d). სხვა საერთაშორისო

ინსტიტუციის-World Values Survey (WVS) სოციალური მეცნიერების საერთაშორისო ქსელის კვლევები ტარდება 65 ქვეყანაში, მოსახლეობის ძირითად ფასეულობათა და ნდობის ფაქტორების შესაფასებლად და დროის განმავლობაში ცვლილებების გასაზომად. ამ კვლევაში შესულნი არიან სხვადასხვა ტიპის ქვეყნები, დროის რამდენიმე ფიქსირებულ მონაკვეთში. გროვდება ინფორმაცია მრავალი ტიპის საქმიანობის შესახებ და გამოკითხვის შედეგად დგინდება პოტენციურად მნიშვნელოვანი კავშირები ან კორელაცია ისეთ ცვლადებს შორის, როგორცაა, მაგალითად ჯანმრთელობის პერცეფცია და კეთილდღეობა.

23 ქვეყანაში სოციალური კაპიტალის გასაზომად ასევე ტარდება Multinational Time Use Study, რომელიც იკვლევს ხალხის მიერ „დროის გამოყენებას“.

ინფორმაცია გროვდება სხვადასხვა ტიპის საქმიანობის შესახებ, რას განხორციელებული იყო კონკრეტული დროის მონაკვეთში, „სად და ვისთან ერთად“ ჩათვლით. ჩვეულებრივ საუბარია ისეთ საქმიანობაზე, როგორცაა სამსახური, გართობა, საუბარი სხვებთან, სწავლა, პირადი ჰიგიენა და ჯანდაცვა, მოხალისეობრივი საქმიანობა, „სამოქალაქო მოვალეობები“, რელიგიური საქმიანობა, მეგობრებთან ურთიერთობა, მოგზაურობა და სხვა. ამ კვლევით ასევე გამოიყენება ცვლადები ძირითად საქმიანობაში სხვა ჩართული ადამიანებისთვის. ეს სხვა ადამიანები არიან ოჯახის სხვა წევრები, ნათესავები, კოლეგები, მეზობლები, უცხო ადამიანები და სხვა. ეს მონაცემები ინახება ესექსის უნივერსიტეტის სოციალური და ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტში (timeuse.org n.d).

ელეონორ ოსტრომის მიხედვით, სოციალური კაპიტალის გასაზომად არ არსებობს არცერთი უნივერსალური და მძლავრი საზომი, თუმცა იმ მრავალ საზომთა შორის რაც მუშავდება, მოქალაქეთა ასოციირების უნარი ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მიუხედავად ამისა, რეალური

მდგომარეობის დასადგენად, აუცილებელია თვისებრივი კვლევების ჩატარება და ქეისების შესწავლა, სადაც დადგინდება სტრუქტურული კორელაცია კონკრეტულ ადგილობრივ ვითარებასა და „მჭიდრო ქსელებს“ შორის (ციტ. CRRC 2011).

ბოლო წლებში შეერთებულ შტატებში გაჩნდა სოციალური კაპიტალის რამდენიმე თვისებრივი კვლევა, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ აუცილებელია კვლევები გასცდნენ საშუალო კლასზე ორიენტაციას, რადგან მიუხედავად „მჭიდრო ქსელებისა“, ღარიბ თემებშიც შესაძლებელია წარმოიშვას „კოლექტიური საფუძვლის“ კავშირები და მოხალისეობა. ასევე კონკრეტული თემების მაგალითზე გამოაშკარავდა, რომ ორ მსგავს პირობებში მყოფ თემებს შორის მეტად აყვავებული აღმოჩნდა თემი, რომელმაც მოახერხა სოციალური ორგანიზება და აჩვენა მოლაპარაკებებისა და თანამშრომლობის კარგი მაგალითი. ამ ტიპის კვლევები ასკვნიან, რომ სოციალური კაპიტალის ასახსნელად აუცილებელია ადგილობრივი სტრუქტურების ეთნოგრაფიული ანალიზი, რაც ქეისების შესწავლასთან ერთად ხელს შეუწყობენ სოციალური კაპიტალის პრინციპებისა და განვითარების შანსების დადგენას (International Encycloperdia.. 2010).

4.3 ასოციაციური დემოკრატია ან ასოციაციონალიზმი

ასოციაციური დემოკრატის, ან ასოციაციონალიზმის თეორიის მიხედვით, „ადამიანის კეთილდღეობა და თავისუფლება მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი, როცა საზოგადოების რაც შეიძლება ბევრი სფერო იმართება მოხალისეობრივი ან დემოკრატიულად თვითმმართველი ასოციაციების მიერ“. ასოციაციონალიზმი „პრიორიტეტს ანიჭებს თავისუფლებას, ფასეულობების ფარგლებში, მაგრამ იგი ამტკიცებს, რომ

ამგვარი თავისუფლება მიღწევადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანები ერთიანდებიან სხვებთან“ (Hirst 1994).

ასოციაციონალისტური დოქტრინის მიზეზები მე-19 საუკუნის დასაწყისში იღებენ სათავეს. ამ პერიოდის ევროპაში, სოციალურ და საერთაშორისო კონფლიქტებმა გარდაუვალი გახადეს სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაცია. ამ ფონზე წამოიწია შუალედური „მესამე ძალა“, კაპიტალისტური თავისუფალი ბაზრისა და ცენტრალიზებული სოციალისტური ეკონომიკის შორის (International Encyclopedia.. 2010) . 1920-ანი წლებიდან, როცა გარდაუვალი გახდა სახელმწიფო ძალაუფლების მზარდი კონცენტრაცია და პოლიტიკური მოძრაობები წარმატებით მხარს უჭერდნენ სახელმწიფო სოციალიზმს, ასოციაციონალიზმი დაღმავლობა განიცადა. შესაბამისად, მზარდი ცენტრალიზებული სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის კონტექსტში იმ პერიოდის პოლიტიკური პლურალისტები ალაპარაკდნენ ასოციაციური დემოკრატიის მოდელზე. საუბარი იყო პოლიტიკურ პროექტზე, რომელშიც ჯგუფები, როგორცაა ეკლესია და პროფესიული კავშირები იზიარებენ „საერთო მიზანს“ და წვლილი შექონდათ სოციალურ სიკეთეში. ჩვეულებრივი მოქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგულარული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ასოციაციონალიზმის კონცეფციის მიმდევრები მოითხოვდნენ ძალაუფლების დეცენტრალიზაციას და გადანაწილებას ასოციაციებზე. მათი თქმით, კარგად მოწყობილი საზოგადოებისთვის არაა საკმარისი კარგი ადმინისტრირება, არამედ აქტიური საზოგადოების ნება, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ასოციაციისა და ინსტიტუციების საშუალებით (Westall ed 2011).

ასოციაციონალიზმი დაბრუნდა მე-20 საუკუნის ბოლოს, როგორც სოციალური რეფორმისა და დემოკრატიული განახლების დოქტრინა (International Encyclopedia .. 2010). ასოციაციონალიზმის მიზანს წარმოადგენდა

გამოესწორებინა წარმომადგენლობითი დემოკრატიის შემცირებული ეფექტურობა და ასევე დაებალანსებინა ცენტრალიზებული და სტანდარტიზებული სახელმწიფო. ითვლება, რომ დაფინანსებისა და მომსახურების მოწოდების გამიჯვნის გზით, ასოციაციონალიზმი აუმჯობესებს სახელმწიფო მომსახურების დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას. ამ მოდელის მიხედვით, სახელმწიფო ინარჩუნებს პასუხისმგებლობას ძირითად გადაწყვეტილებებზე, როგორცაა მომსახურების მასშტაბი და ღირებულება, მაგრამ თავად არ წევს მომსახურებას. დოქტრინა ამტკიცებს, რომ ამ მოდელის პირობებში სოციალური მომსახურება არის იმ მოცულობისა და მიმართულების, რაც შეესაბამება მოსახლეობის ფასეულობებს და ესაჭიროება მოსახლეობას. დოქტრინა მოქმედებს სახელმწიფო საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში. წევრობის შესაბამისად გადანაწილებული საბაზისო სოც-უზრუნველყოფა შემდეგ „ივსება“ ადამიანების მიერ და ამით მომსახურება იხვეწება ან იზრდება, წევრების საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ გზით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა აკონტროლონ საკუთარი კოლექტიური მოხმარება და მზად იქნებიან წვლილი შეიტანონ საერთო საჯარო მომსახურებაში. დოქტრინის პირობაა, რომ ასოციაციები მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ საჯარო ფონდებს, თუკი ფონდები ა) ღიაა ყველასათვის და ბ) ასოციაციები მზად არიან გაწიონ მომსახურება სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის ბაზაზე (International Encyclopedia... 2010).

ასოციაციონალიზმს უკავშირებენ საზოგადოების განახლების მცდელობას რამდენიმე მიმართულებით. შეერთებული შტატებისთვის ეს გახდა დეცენტრალიზებული საჯარო მმართველობის წახალისების მცდელობა, ეკონომიკურ ლიბერალური საჯარო დებატების საპირწონედ. დიდი ბრიტანეთისთვის ეს დოქტრინა აღქმულ იქნა, როგორც ჭარბი სახელმწიფო ცენტრალიზების შესუსტების საშუალება, იტალიაში კი როგორც ცენტრალური

ხელისუფლების არაეფექტურობასთან ბრძოლის საშუალებად, იმ იმედით, რომ სამოქალაქო საზოგადოება და მესამე სექტორები საკუთარ თავზე აიღებდნენ მმართველობასა და მომსახურებას. განსაკუთრებული შემთხვევებია დანია და ნიდერლანდები, სადაც ასოციაციონალიზმის პრინციპები დიდი ხანია დანერგილია და ნათლად დადასტურებული, რომ ამგვარმა დეცენტრალიზაციამ და პლურალიზმმა დადებითი ზეგავლენა იქონიეს ამ ქვეყნების დემოკრატიულ ინსტიტუტებზე (Westall 2011).

ასოციაციონალიზმი, როგორც ნორმატიული პოლიტიკური თეორია აერთიანებს შემდეგ ფაქტორებს (International Encyclopedia .. 2010):

1. რაც შეიძლება მეტი სოციალური საქმიანობა უნდა გადაეცეს სამართავად მოხალისეობრივ ასოციაციებს
2. ამის შედეგად, სახელმწიფოს კომპლექსურობა შემცირდება და დემოკრატიული წარმომადგენლობითი მმართველობის მექანიზმები უკეთ იმუშავებენ
3. თვითმმართველმა მოხალისეობრივმა ასოციაციებმა, სადაც შესაძლებელია, უნდა ჩაანაცვლონ კორპორატიული ძალაუფლების იერარქიული ფორმები. ეს მისცემს დაინტერესებულ მხარეს ხმის უფლებას და, შესაბამისად, გააუმჯობესებს მმართველობას საზოგადოებასთან თანხმობით და არა ფორმალურად
4. ბევრი მნიშვნელოვან საჯარო პოლიტიკის მიმართულებას, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება და კეთილდღეობა, მოხალისეობრივმა ორგანიზაციებმა უნდა გაუწიონ მომსახურება და ამისთვის დაფინანსდნენ სახელმწიფოდან

ასოციაციური დემოკრატიის ირგვლივ თანამედროვე დისკუსიებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა თოქვილის ნაშრომებმა, რომელიც

დემოკრატიის ტირანიისგან თავის ასარიდებლად ხაზს უსვამს „მოხალისეობას, თემურ სულისკვეთებას და დამოუკიდებელ ასოციაციურ ცხოვრებას, როგორც სახელმწიფოს დომინირებისგან დამცავ და მისი ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულება უზრუნველსაყოფ მექანიზმს“ და ამის ფონზე აღნიშნავდა ინდუსტრიალიზაციისა და კომერციონალიზაციის მიზეზით გამოწვეულ ასოციაციების დაღმავლობას (Putnam 1993, ციტ. Lewis 2001).

ასოციაციური დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპია თანამშრომლობა, მოხალისეობა (ნებაყოფლობითობის კონტექსტში) და ორგანიზაციის ფუნქციონირება, მოქალაქეთა ხმის გასაქდერებლად (Hirst 1994) .

ასოციაციონალიზმისთვის დამახასიათებელია თვითმმართველობა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა. ასოციაციური დემოკრატიის მომხრეები მოითხოვენ „საჯარო სივრცეს“, რომელშიც მოქალაქეები განიხილავენ და გააკრიტიკებენ საჯარო საკითხებს. არანაკლებ მნიშვნელობას ეს მოდელი ანიჭებს კოოპერირებასა და თვითმმართველობაზე დაფუძნებული მოხალისეობრივი ორგანიზაციების მნიშვნელობას მომსახურების უზრუნველყოფის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მომსახურება ფინანსურად უზრუნველყოფილია და დაცულია სახელმწიფოს მიერ, ამგვარი ორგანიზაცია ასევე მოქმედებს სახელმწიფო ძალაუფლების დასაბალანსებლად. შესაბამისად, თანამედროებაში, ასოციაციური დემოკრატია პრაქტიკულად იგივეა არა-მომგებიან სექტორთან და მის საქმიანობასთან (International Encyclopedia.. 2010).

მიუხედავად ზემოთქმულისა, პოლიტ-მეცნიერები აღნიშნავენ ასოციაციონალიზმისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს, რომელნიც მოიცავენ როგორც ასოციაციების სპონტანურობას, ასევე დამოუკიდებლობის საეჭვოობას (სახელმწიფოს დაფინანსებისა და მისი მხრიდან მონიტორინგის ფონზე). ამასთან, ისმის კითხვები იმის თაობაზე თუ რამდენად ხელს უწყობენ

ასოციაციები (არა-მომგებიანი ორგანიზაციები) მონაწილეობასა და მოქალაქეთა გაძლიერებას, რადგან მუდმივ შეჯიბრში იმყოფებიან სახელმწიფო კონტრაქტის მოსაპოვებლად. გარდა იმისა, რომ ორგანიზაციები კარგავენ თავის პირველად სოციალურ მისიას, „მესამე სექტორის კვლევის საერთაშორისო საზოგადოების“, არასამთავრობო სექტორი რისკის ქვეშაა დაკარგოს თავისი ავტონომია, გახდეს „განვითარების პრობლემების“ „ტექნიკური მომგვარებელი“ (Fisher 1997).

პოსტ-ავტორიტარული რეჟიმების ასოციაციებს ცალკე სეგმენტად განიხილავენ, რადგან ითვლება, რომ ამ ქვეყნებში სოციალური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რეალური წარმომადგენლობითი დემოკრატია წარმოუდგენელია. შესაბამისად ჩნდება კითხვები იმის თაობაზე თუ რამდენად ძალულთ თანამედროვე ასოციაციებს პოსტ-ავტორიტარულ ქვეყნებში შეასრულონ ადექვატური დამაბალანსებელი როლი სახელმწიფოს მიმართ. ასეთ ქვეყნებში ასოციაციები ხშირად „ფრთხილად“ და „გონივრულად“ რეგულირდებიან სახელმწიფოს მხრიდან ან მარგინალიზებულნი არიან იმ ყოველდღიურ პოლიტიკურ პროცესისგან, რაც მოჰყვამდე დემოკრატიულ ტრანსფორმაციას (Fisher 1997).

Percynski -ის მიხედვით, ასოციაციური დემოკრატიის თეორიის ძირითადი საკითხია თავად ამ ასოციაციების დემოკრატიულობა (1999). ავტორის მიხედვით, ასოციაციონალიზმი სთავაზობს მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელს, სადაც ინდივიდები მონაწილეობენ ასოციაციებში წევრობის საშუალებით, რაც თავისთავად წარმოადგენს „დემოკრატიისა და მოქალაქეობის სკოლას“. გადაწყვეტილების მიღებასა და გახორციელებაში აქტიური ჩართულობით, წევრები ინვითარებენ პირად და სოციალური პასუხისმგებლობას და იღებენ შესაძლებლობას „ისწავლონ და პრაქტიკაში გამოიყენონ სამოქალაქო უნარები“.

თანამედროვე სამყაროში ასოციაციონალიზმის მნიშვნელობას ხაზი ესმევა, როგორც გლობალიზაციის გამოწვევებზე, ასევე პოლიტიკური სისტემების მიერ ადექვატური სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ნაკლოვანებებზე რეაგირების კუთხით. ამასთან, აღნიშნავენ, რომ თანამედროვე საზოგადოებების დეზინტეგრაციისა და კომპლექსურობის პირობებში რთულია ასოციაციური დემოკრატიის სრულფასოვანი ამოქმედება. ამასთან, თუკი ასოციაციური დემოკრატია ის მექანიზმია, რომელიც ძალაუფლებას ანაწილებს ხალხზე, ასოციაციების მეშვეობით, საინტერესოა რამდენად ძალულთ ასოციაციებს ამ ძალაუფლების ხალხზე გადანაწილება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გლობალური სოციალური მოძრაობები, როგორიცაა გარემოსდაცვითი ან ქალთა მოძრაობები მოიცავენ მრავალ ორგანიზაციას, ისინი მაინც აწყდებიან სირთულეებს და „ყველა ზომას მიმართონ ძალაუფლებისა და ზეგავლენის მოსახდენად“ (Tinker 2004).

ასოციაციური დემოკრატიის მოდელის ნაკლოვანებად ასევე განიხილავენ მონაწილეობის განსხვავებული ბარიერების (ფაქტორების), როგორიცაა ადამიანების სოციალური ფენა, სქესი, დასაქმება, გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა მოდელის მიერ არ გათვალისწინება. მოდელი ასევე არ ითვალისწინებს მონაწილეობის „ფარულ“ ხარჯებს, როგორიცაა აუნაზღაურებადი შრომა და მისი ზეგავლენა წევრობასა და მონაწილეობაზე. დოქტრინის ყურადღების მიღმა დარჩენილი ასევე გარკვეული მატერიალური და დროის რესურსების არსებობის აუცილებლობა, რათა ადამიანმა საკუთარ თავს მისცეს უფლება მოხალისეობრივ საწყისებზე ჩაერთოს ასოციაციის საქმიანობაში (Immergut 1995).

მიუხედავად თეორიული მომხიბვლელობისა, მოხალისეობრივ ასოციაციებისადმი ძალაუფლების სრული დეცენტრალიზაცია

სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან მოხალისეობრივი ორგანიზაციები, როგორც წესი, ვერ აკმაყოფილებენ ორგანიზაციულ და ფინანსურ სტანდარტებს მასშტაბური სოციალური მომსახურების გასაწევად. გარკვეულ კითხვებს წარმოშობს ასევე წარმომადგენლობითობის ხარისხი, რომელსაც სთავაზობს ასოციაციური დემოკრატია. Immergurt-ი აღნიშნავს, რომ „კონსესუსის მიღწევა საჯარო სიკეთესთან მიმართებაში ნიშნავს, რომ ზოგიერთი ადამიანის ინტერესები შესაძლებელია არ იყოს გათვალისწინებული“, გადაწყვეტილების პროცესში არათანაბარი ჩართულობიდან გამომდინარე. ავტორს მოჰყავს შვედეთის მაგალითი, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, მრავალი მცირე ბიზნესი, ხელნაკეთთა კავშირები და პროფესიონალები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი და პოლიტიკაზე ზეგავლენას მხოლოდ სამი ძირითადი მწარმოებელი ორგანიზაცია ახდენდა. Immergurt-ი ასევე აღნიშნავს, რომ ძალზე ძნელია კონსესუსის მიღწევა სოციალური თანასწორობის საკითხებზე (1995).

Baccaro აღნიშნავს, რომ თეორიულად ასოციაციური დემოკრატიის მოდელი ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასოციაციები წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, თუმცა მრავალი ქვეყნის მაგალითი გვაჩვენებს, რომ ეს ხშირად არ ამართლებს და დგება ლიდერობის, ძალაუფლების სრული აღებისა და სხვა პრობლემები (2002).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებები, რომ სახელმწიფო არაეფექტურია და სამოქალაქო საზოგადოება ეფექტური სიმართლეს არ შეესაბამება და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად მიზანშეწონილია ასოციაციებისა და სახელმწიფოს შორის გონივრული კომბინაცია.

4.4 პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენის ალტერნატივები

4.4.1 სამოქალაქო აქტივიზმი

თანამედროვე საზოგადოებაში მრავალი თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი საუბრობს იმ მოდელებსა და მექანიზმებზე, რაც მოიტანს პოლიტიკურ, სოციალურ, ან ფასეულობათა ცვლილებას საზოგადოებაში. 21-ე საუკუნეში აღარ უარყოფენ, რომ მიუხედავად დახვეწილობისა და სრულყოფისა (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი), მხოლოდ ინსტიტუციურად ორგანიზებული სამოქალაქო სექტორი და მისი საქმიანობა არასაკმარისია ასეთი ცვლილების მისაღწევად. ტრადიციულ თათბირობით და მაკონტროლებელ მექანიზმებთან ერთად, თანამედროვე მკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამოქალაქო ჩართულობის ისეთ მექანიზმებს, როგორცაა სამოქალაქო აქტივიზმი, რომელმაც ისტორიულად თავი დაიმკვიდრა საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის მძლავრ მექანიზმად.

ჩვეულებრივ სამოქალაქო აქტივიზმს უკავშირებენ დემონსტრაციებსა და ბარიკადებზე დგომას, რასაც დროთა განმავლობაში დაემატა ქუჩის არტი და სხვა კრეატიული საქმიანობა. სოციალური აქტივიზმი მიზნად ისახავს საჭირბოროტო საკითხისადმი ყურადღების მიქცევას. ითვლება, რომ უმეტეს წილად, მსგავსი აქტიურობა არაა განპირობებული კონსენსუსის მიღწევის სურვილით, თუმცა მიზნად ისახავს დაარწმუნოს და ინფორმაცია მიაწოდოს ადამიანებს, ან წამოაყენოს საჭირბოროტო საკითხი განსახილველად. ცხადია, რომ ეს მიდგომა განსხვავდება ასოციაციური დემოკრატიის კონცეფციისგან და არ მოითხოვს ასოციაციაში გაერთიანებას, რადგან ყველა მოქალაქეს შეიძლება არ უნდოდეს ან არ შეეძლოს გაწევრიანდეს ფორმალურ ორგანიზაციაში. ამასთან, ასოციაციური დემოკრატიისგან განსხვავებით, სამოქალაქო აქტივიზმი მეტ ყურადღებას უთმობს დროში გახანგრძლივებულ კოლექტიურ ქმედებას და განიხილება, როგორც ლობირებისა და/ან დიალოგის საპირისპირო მექანიზმად.

სამოქალაქო აქტივიზმის ერთერთ მნიშვნელოვან ნაწილად სოციალური მოძრაობა მოიხსენიება. ანალიტიკოსების აზრით, სოციალური მოძრაობა ბუნდოვანი ფენომენია, რომლის საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია. ზოგიერთი სოციალური მეცნიერი ამტკიცებს, რომ სოციალური მოძრაობა არსებობდა უკვე პრე-მოდერნისტულ საზოგადოებაში, როგორცაა მაგალითად რომაული იმპერიის დროს მონათა აჯანყებები. მიუხედავად ამისა, მეცნიერთა უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ამ ტიპის ბუნტი ვერ იქნება განხილული, როგორც „სოციალური“ მოძრაობა, ამ კონცეფციის მართებული გაგებით, რადგან ის იყო მცდელობა აღდგენილიყო „ბუნებრივი“ სოციალური წესრიგი, რომელიც მემამბოხეთა აზრით უზურპირებული იყო ძალაუფალთა მიერ. პროტესტის მიზეზი არა სოციალური წესრიგის ცვლილება, არამედ მისგან გადახვევა იყო. მხოლოდ განმანათლებლების ეპოქაში პირველად გამოითქვა აზრი, რომ ადამიანს აქვს პოტენციალი შექმნას ახალი სოციალური წესრიგი, მათი ნების შესაბამისად, რაც რეალურად საზოგადოების „შექმნას“ ნიშნავს. სწორედ ეს ითვლება ჭეშმარიტი სოციალური მოძრაობის წინაპირობად (International Encyclopedia.. 2010).

სოციალურმა მოძრაობებმა თავი იჩინეს მე19 საუკუნის ბოლოს- მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი სახვადასხვა დოზითა და ფორმით გაირიყა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ამ ტიპის სამოქალაქო აქტივიზმი მეტ წილად განპირობებული იყო არა ეკონომიკური სიდუხჭირით, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინდივიდუალური უფლების მოპოვების სურვილით. სოციალისტური მოძრაობის ერთერთი ფუნდამენტური მოთხოვნა იყო საზოგადოების შიგნით მუშათა ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება (სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოების შიგნით). მთლიანობაში კი ეს მოძრაობები მიზნად ისახავდნენ წევრობის გაფართოებას, ასოციაციის უფლებას, პროფკავშირის შექმნის უფლებას, ერი-სახელმწიფოს

შიგნით გადაადგილების უფლებას, სიტყვის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას, და რაც მთავარია, პოლიტიკური პარტიის შექმნისა და არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას (Seligman 1992).

მე-18 საუკუნიდან დღემდე ცნობილია რამდენიმე სოციალური მოძრაობა, რომლის მიზანი იყო არა სექტორული ან თანმიმდევრული ცვლილება, არამედ სრულიად ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ კუთხით აღსანიშნავია ორი ფართომასშტაბიანი „პროგრესული“ მოძრაობა: ა) მე-19 საუკუნის 40-ან წლებში ევროპის ლიბერალური ძალები, რომლებიც წინ აღუდგნენ ფეოდალიზმს და მხარი დაუჭირეს კაპიტალიზმსა და წარმომადგენლობით დემოკრატიას და ბ) მე-20 საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმის საწინააღმდეგო სოციალისტური მოძრაობა და ბრძოლა სოციალური ასიგნაციებისთვის წარმოების საშუალებებზე და გ) საბჭოთა დემოკრატია (International Encyclopedia..2010). ასევე აღსანიშნავია ისეთი ტიპის სოციალური მოძრაობები, როგორცაა მაგალითად მონობის საწინააღმდეგო მოძრაობა, ქალთა სუფრაჟისტული მოძრაობა, ნაციონალისტური მოძრაობა, ფაშისტური მოძრაობა და სხვა. ეს მოძრაობები განსხვავდებიან არა მხოლოდ თავისი იდეოლოგიური ორიენტაციით, დომინანტი თემით, სოციალური საფუძვლით, ორგანიზაციით და აქციების სპექტრით, არამედ მათი მოთხოვნათა ხარისხით და სოციალური ცვლილების მასშტაბით.

სოციალური მოძრაობა წარმოადგენს კოლექტიური ქმედების მრავალ სახეობას, რაც შესაძლებელია განსხვავდებოდეს თავისი ფორმალიზებულების ხარისხით, მობილიზაციის მასშტაბით და გამოხატვის ფორმებით. მხოლოდ ერთ საკითხზე ფოკუსირების შემთხვევაშიც კი სოციალური მოძრაობა ხშირად შეიცავს არსებული საზოგადოების ფილოსოფიურ ალტერნატივას, რადგან ცვლილების მოთხოვნა სახელმწიფოს მისამართით კეთდება. თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სოციალური მოძრაობებისთვის არაა უცხო სწრაფი

გაფართოვება ან პირიქით- შემცირება ან გაქრობა. ასევე მობილურია მათი სტრუქტურა და სტრატეგია (International Encyclopedia .. 2010).

ჩვეულებრივ, სოციალური მოძრაობა გულისხმობს გარკვეული ტიპის ჯგუფს (ადამიანთა ქსელი, ორგანიზაციები, სხვა), რომელიც კოლექტიური იდენტობის საფუძველზე მიზნად ისახავს საზოგადოების შეცვლას (ან ეწინააღმდეგება ასეთ ცვლილებას), ძირითადად საჯარო და კოლექტიური პროტესტის გზით (della Porta & Diani 1999, Rucht & Neidhardt 2002).

სოციალური მოძრაობა საინტერესოა იმით, რომ პოლიტიკური პარტიებისა და ინსტიტუციური ჯგუფების სახელმწიფოზე ზეწოლასთან ერთად, სოციალური მოძრაობა განიხილება „თანამედროვე საზოგადოებაში კოლექტიური სურვილის ჩამოყალიბებისა და ინტერესთა წარმომადგენლობის ძირითად ფორმად“ (della Porta & Diani 1999). სოციალური მოძრაობა გამიზნულია არსებული სოციალური წესრიგის დახვეწაზე, ძალაუფლების მქონე სტრუქტურებისა და საზოგადოების ფასეულობების ჩათვლით. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ძალაუფლება წარმოადგენს პოლიტიკურ ინსტიტუციებსა და პროცესებს, სოციალური მოძრაობები ყველა შემთხვევაში ერთგვარი პოლიტიკურ ბრძოლაში, თუმცა არ მიეკუთვნებიან რაიმე იდეოლოგიას. მოძრაობა შეიძლება იყოს რეფორმატორული-პროგრესული, რევოლუციური - რეაქციული, თანამედროვე ან რეტროგრადული, მემარცხენე, ან მემარჯვენე, ცივილური ან არა და სხვა. თავად საპროტესტო აქციის სპექტრი ასევე ფართოა - „მეგობრული“-დან დაწყებული (მაგ. ხელმოწერების შეგროვება) და კონფრონტაციულია (მაგ. ბლოკადა) და ძალადობრივით (ფიზიკური აგრესია) დამთავრებული (International Encyclopedia..2010, Diani 1997, Diani 1999).

თავისი სტრუქტურით სოციალური მოძრაობა წარმოადგენს სხვადასხვა კომპონენტების თავისუფალ კონგლომერატს, მასში შემავალი სპეციფიკური

სოციალური მოძრაობის ორგანიზაციების საპირისპიროდ, რომლებსაც შესაძლებელია ჰქონდეთ ფორმალიზებული სტრუქტურა, შრომის ხისტი განაწილება, დაზუსტებული წევრობა და სხვა. სოციალური მოძრაობები პრაქტიკულად ჰორიზონტალურად და არაფორმალურად კოორდინირებული ქსელია, რომელშიც შეიძლება შედიოდეს ერთი ან რამდენიმე ძირითადი ჯგუფი. აქ არ არსებობს ერთი ძირითადი ერთეული, რომელიც დომინირებს ან აკონტროლებს მთლიან მოძრაობას. ადამიანების ჩართულობის ხარისხის მხრივ, სოციალური მოძრაობა შეიძლება აერთიანებდეს როგორც მეტად თავდადებულ მონაწილეებს, ასევე „პირობით მხარდამჭერებს“. ხალხის გაერთიანების საშუალებების კუთხით, სოციალური მოძრაობა დამოკიდებულია კოლექტიური იდენტობის შეგრძნებაზე (გაზიარებული ფასეულობები, სურვილები და პრაქტიკა). ეს კოლექტიური იდენტობა არ წარმოადგენს საზოგადოების იმთავითვე არსებულ, თვით-გამორკვევაზე დაფუძნებულ „თვისებას“, არამედ იგი წარმოიშობა და ვითარდება ინტერაქციის პროცესში, სოციალური მოძრაობის გარემოში, რომელიც გარკვეულ წილად ასევე აყალიბებს მოძრაობის იდენტობას (International Encycloedia.. 2010).

სოციალური მოძრაობები დიდად დამოკიდებულია მის შემადგენელ პირებსა და ერთეულებზე, რომელნიც დროდადრო მობილიზდებიან საპროტესტო საქმიანობისთვის. პროტესტი სოციალური მოძრაობის ძირითადი სამოქმედო საშუალებაა და ამ დროს ხდება მისი ხილვა და მოსმენა. რამდენად ჩაერთვება მოძრაობა პირდაპირ დაპირისპირებაში ოპონენტთან განპირობებულია სიტუაციური და სტრუქტურული ფაქტორებით. მაგალითად, დემოკრატიულ სისტემაში პირდაპირი დაპირისპირების მაგივრად საჯარო პროტესტი მეტად გამიზნულია ოპონენტის არაპირდაპირ ზეგავლენაზე, ხალხის ყურადღებისა და მხარდამჭერების მოზიდვით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პროტესტი განიხილება სოციალური მოძრაობის განუყოფელ ნაწილად, თავად მოძრაობის

საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ პროტესტით. ხალხის ინფორმირებისა და ლობირების გარდა, სოციალური მოძრაობები ასევე ჩართულნი არიან „შიდა“ საქმიანობაში, როგორცაა მცირე ჯგუფებში სოციალიზაცია, თანამოაზრეთა ინფორმირება და დარწმუნება, ორგანიზაციებისა და ალიანსების ფორმირება-დახვეწა, მოლაპარაკება და დისკუსიები იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე საპროტესტო კამპანიების დაგეგმვა და შეფასება. ამ საქმიანობის დიდი ნაწილი არაა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, შესაბამისად, სოციალური მოძრაობის იმიჯი იქმნება ძირითადად საპროტესტო საქმიანობის შედეგად (Diani 1997).

მე-20-ე საუკუნის 70-ანი წლებიდან მეცნიერები ფართოდ იკვლევენ სოციალურ მოძრაობებს და მათ ზეგავლენას როგორც თავად საზოგადოებაზე, ასევე საჯარო პოლიტიკაზე. თავდაპირველად კვლევები მეტად ახდენდნენ ფოკუსირებას არსებული სოციალური ქსელების ზეგავლენას ადამიანთა ქცევაზე კოლექტიური ქმედების საშუალებით (Knoke and Wisley 1990, ციტ. Diani 1997), ხოლო ბოლო წლებში გაჩნდა ემპირიული მტკიცებულებები იმისა, რომ მობილიზაციის დროს სოციალური მოძრაობის აქტიორები ქმნიან ახალ კავშირებს სავარაუდო მხარდამჭერებთან, ფართო საზოგადოებასთან და ელიტებთან (Diani 1997). შესაბამისად, სოციალურ მოძრაობას აქვს შესაძლებლობა შექმნას და განავითაროს ქვეყნის სოციალური კაპიტალი. აქ საუბარია სოციალურ კაპიტალზე, როგორც კავშირებზე, რომლებიც შესაძლებელია არ შეიცავდეს კოლექტიურ იდენტობას, თუმცა დაფუძნებულია მონაწილე აქტიორებს შორის ურთიერთ ნდობასა და ურთიერთ აღიარებაზე (Bourdieu 1986, Colman 1990, Putnam 1993). რაც მეტად ფართო სპექტრისაა სოციალური კაპიტალის კავშირები, რაც წარმოიშვება სამოქალაქო მობილიზაციის პერიოდიდან, მეტად სავარაუდოა სოციალური მოძრაობის ზეგავლენა (Diani 1997).

კოლექტიურ ქმედებაში ინდივიდუალური კონტრიბუცია დამოკიდებულია მოცემული სოციალური ჯგუფის წევრებთან ადამიანის თვითიდენტიფიკაციაზე და ნდობაზე (Pizzorno 1997, ციტ. della Porta & Diani 1999). ითვლება, რომ ალიანსის შექმნა მარტივდება თუკი სოციალური მოძრაობის ორგანიზაციები ინაწილებენ ძირითად საქმიანობას და იყენებენ პერსონალური კომუნიკაციის არხებს. ამავდროულად, მნიშვნელობა ენიჭება მოძრაობის ავტორიტეტული აქტიორების (ადამიანის ან/და ორგანიზაციის) სტრუქტურულ განლაგებას და ნავარაუდევია, რომ სოციალური ზეგავლენის მოსახდენად და ძალაუფლების მოსახვეჭად მნიშვნელოვანია ავტორიტეტული აქტიორის ცენტრალურ ადგილზე ყოფნა (Knoke 1990, ციტ. della Porta & Diani 1999). კონკრეტულ პოლიტიკურ ფაზაში სოციალური მოძრაობების ზეგავლენა დამოკიდებულია ამ უკანასკნელის სტრუქტურულ მდგომარეობაზე (პოზიციაზე), კერძოდ, მოძრაობის შიგნით აქტიორებს შორის კავშირების სიმძლავრეზე და იმავე აქტიორების კავშირებზე როგორც საკუთარ გარემოცვაში, ასევე კულტურულ და პოლიტიკურ ელიტებთან. ამ სტრუქტურულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული ის ზეგავლენა, რასაც ახდენენ სოციალური მოძრაობის აქტიორები როგორც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ასევე კულტურაზე (della Porta & Diani 1999).

თანამედროვე ანალიტიკოსები განიხილავენ სოციალური მოძრაობის ზეგავლენას (ან ზეგავლენის შესაძლებლობას) საზოგადოების პოლიტიკურ პროცესებსა და კულტურაზე:

(ა) „შიდა“ ზეგავლენა სოციალურ კაპიტალზე_დაკავშირებულია სოციალური მოძრაობის აქტივობის უნართან მოახდინოს მობილიზაცია და გაზარდოს შიდა წევრობა/ჩართულობა შემდგომი აქტივობებისთვის. ამასთან, რაც მეტად ძლიერია სოციალური მოძრაობის აქტიორების კავშირები იმ საზოგადოებაში,

რომლის მობილიზაციას ისახავენ მიზნად, მეტი შანსია წარმატების (Woliver 1993). საპროტესტო აქციები წარმოშობენ სოლიდარობას, რომელიც ნარჩუნდება პროტესტების გამწვავებული ფაზების შემდეგ და ქმნის სასიკეთო გარემოს შემდგომი ჩართულობისთვის (Diani 1997). ამავდროულად, ყველა სოციალური მოძრაობა ვერ უწყობს ხელს „შიდა“ სოციალური კაპიტალის წარმოებას, რაც შეიძლება იყოს დაკავშირებული კონკრეტულ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებთან, კავშირებსა და ნდობასთან, თუმცა აქ ხაზი ესმევა არა პატნამისეული ფართო ნდობის არსებობას, არამედ სოციალური მოძრაობის სუბ-კულტურების შიგნით შეხედულებების განსხვავებას კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში (International Encyclopedia .. 2010).

(ბ) „გარე“ ზეგავლენა სოციალურ კაპიტალზე გულისხმობს მოძრაობის შესაძლებლობას დაკავშირდეს სოციალურ გარემოსთან. სოციალურ გარემოსთან „ხიდის აშენება“ ზრდის ან ამცირებს მოძრაობის აქტიორების გავლენიანობას. ითვლება, რომ სოციალური მოძრაობა მეტად წარმატებულია, თუკი მისი აქტივობების შედეგად გაუმჯობესდება მოძრაობის ლიდერებისა და აქტივისტების ინტეგრაცია პოლიტიკურ და კულტურულ ელიტებთან (როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე) ან საზოგადოების ასოციაციურ ქსელებთან. რაც უფრო მძლავრია კავშირები „წრის“ მიღმა გარემოსთან- მას მედიასთან, კორპორატიული სტრუქტურების, პოლიტიკური და კულტურული ელიტების წარმომადგენლებთან- მეტ გახსნილობას ავლენენ ელიტები პოლიტიკური გამოწვევების მიმართ, იქმნება ხელსაყრელი „პოლიტიკური შესაძლებლობის სტრუქტურა“ (political opportunity structure) და იზრდება წარმატების ალბათობა (della Porta & Diani 1999).

(გ) სოციალური მოძრაობების მიერ „კონტროლირებადმა“ სოციალურმა კაპიტალმა (ქსელები და კავშირები პოლიტიკურ და სხვა ელიტებთან) უნდა მოახდინონ ზეგავლენა პოლიტიკურ სისტემაზე. პოლიტიკური ზეგავლენის

მოხდენა გულისხმობს აქტივობათა კომპლექსს, რაც გამიზნულია ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკისა და პოლიტიკის პროცესის ყველა სტადიაზე. პოლიტიკური ზეგავლენის კუთხით მნიშვნელოვანია სოციალური მოძრაობების კავშირები. Kriesi (1988) ამტკიცებს, რომ „საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეებსა“ და სოციალური მოძრაობის აქტივისტებს შორის კავშირების არსებობა ყოველგვარი დამატებითი აგიტაციის გარეშე ზრდის მოქალაქეების პეტიციაზე ხელმოწერის ალბათობას და აუმჯობესებს მობილიზაციას. მეორეს მხრივ, სოციალური მოძრაობის ლიდერების კავშირები და კოოპტაცია „ელიტებთან“ ავტომატურად არ გულისხმობს მოძრაობის წარმატებას, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს ლიდერებსა და მოძრაობის სხვა წევრებს შორის კავშირების დასუსტება. ანალიტიკოსების აზრით, „ელიტურ“ ქსელში ინტეგრირებასთან ერთად აუცილებელია ლიდერებმა შეინარჩუნონ მოძრაობის შიდა ქსელში არსებული კავშირები და დაიკავონ შუალედური პოზიცია ორ „დაპირისპირებულ სამყაროს“ შორის, რითიც ხელს შეუწყობენ სოციალური მოძრაობისთვის ახალი სოციალური კაპიტალის წარმოქმნას (Diani 1997). მეცნიერები ამტკიცებენ, რომ საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის კუთხით სოციალური მოძრაობის ორგანიზაციები მეტ წარმატებას აღწევენ თუკი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება მიიპყრობს კანონმდებელთა ყურადღებას და დაანახებს მათ, რომ მოძრაობის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მათი საარჩევნო შანსები მცირდება (Piven 1977). ითვლება, რომ ორგანიზაციები აღწევენ მეტ წარმატებას, თუკი არჩეულ ხელისუფლებას სთავაზობენ ინფორმაციასა და რესურსებს, რაც სასარგებლოა არჩევნებისთვის. ამასთან, მოძრაობების ორგანიზაციულ რესურსებს, წევრთა რაოდენობას ან ბიუჯეტს ნაკლები მნიშვნელობა აქვს ზეგავლენის მოხდენის კუთხით. ამის საპირისპიროდ, მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციული საქმიანობა, თუმცა მკვლევარების თქმით, რუტინულ საპროტესტო დემონსტრაციებზე მეტად შედეგიანია საქმიანობის დაკავშირება რეალურ საარჩევნო პროცესებთან. Diani-ს მიხედვით, ხელისუფალთათვის

რომელიმე ორგანიზაციის აზრზე მეტად მნიშვნელოვანია ხალხის აზრი და ამ კუთხით სოციალურ მოძრაობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (1997).

(დ) *კულტურული ზეგავლენის* მოხდენა გულისხმობს აქტივობების ფართო სპექტრს, რაც მიზნად ისახავს დახვეწოს თანამედროვე საზოგადოების მორალური სტანდარტების შექმნისა და გარდაქმნის პროცესები, ინფორმაცია, ცოდნა და ცხოვრებისეული პრაქტიკა, მათ შორის სათემო მოწყობის კუთხით. ამგვარი ტრანსფორმაციის მიღწევა შესაძლებელია სოციალური მოძრაობის წევრთა მხრიდან ახალი იდეების შემუშავებითა და გავრცელებით, ახალი გემოვნებისა და არტისტული სტანდარტების დადგენით, ტექნოლოგიური ინოვაციების შემუშავებითა და მორალური და ეთიკური პრინციპების გადახალისებით. ამ საქმიანობაში მნიშვნელობა ენიჭება კავშირების გაბმას და გაფართოვებას სახელოვნებო და საგანმანათლებლო წრეებთან, ასევე ალტერნატიულ ეკონომიკურ ჯგუფებთან (მაგ. ალტერნატიული კაფეები და მაღაზიები) და მედიასთან. ითვლება, რომ ამ ტიპი საქმიანობის საშუალებით საზოგადოების ტრანსფორმირება შესაძლებელია მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ძალისხმევის შედეგად (Diani 1997).

(ე) *საზოგადოების ორგანიზება (community organizing)*. პოლიტიკური საქმიანობიდან სოციალური მოძრაობების ყურადღება ხშირად გადადის მოხალისეობრივ და თანამშრომლობით ინიციატივებზე თემის (საზოგადოების) პრობლემების მოსაგვარებლად. სოციალური მოძრაობის წევრი ორგანიზაციები ან ადამიანები, რომელთაც აქვთ სოციალური აქტივიზმის გამოცდილება უკეთესად ამყარებენ კონტაქტებს და თანამშრომლობენ სათემო ჯგუფებთან, საჯარო სტრუქტურებთან, ფონდებთან და ბიზნესებთან (Diani 1997). ამის მაგალითებია გარემოსდაცვითი ორგანიზაციების თანამშრომლობა ინოვაციური ტექნოლოგიების ინდუსტრიებთან მდგრადი სამეწარმეო ტექნოლოგიებისა და გარემოზე

სასიკეთოდ ზემოქმედი საქონლის წარმოების ხელის შესაწყობად, ან ქალთა მოძრაობის ორგანიზაციების თანამშრომლობა საჯარო უწყებებთან, საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და მოხალისეთა ასოციაციებთან, რათა ხელი შეუწყოს „თვითდახმარების ჯგუფებს“ (self-help groups), ქალთა თავშესაფრების მოწყობას და სხვა ნაკლებად „პოლიტიკურ“ საქმიანობას (Taylor & Wiligen 1996). ასეთი ტიპის თანამშრომლობა იძლევა საშუალებას საჭირბოროტო საკითხების განხილვა გადავიდეს „გადაწყვეტილებების მიმღებთა“ დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოციალური მოძრაობა ვერ აღწევს თავის მიზანს, ისტორია იცნობს შემთხვევებს, როცა სოციალური მოძრაობის შედეგად ქვეყანაში შეიცვალა არა მარტო სოციალური ან პოლიტიკური წესრიგი, არამედ მათ გარკვეული დროის მონაკვეთში ზეგავლენა მოახდინეს საზოგადოების კულტურასა და სოციალურ კაპიტალზე.

4.4.2 ადვოკატირება

სოციალური მოძრაობების, ინტერესთა ჯგუფების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და დემოკრატიული პოლიტიკის ანალიტიკოსები ხშირად ინტერესდებიან პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებაზე მიზანმიმართული კოლექტიური ქმედების მიზეზებითა და შედეგებით. მე-20 საუკუნის 50-ანი წლებიდან კვლევები ძირითადად ეხება ერთის მხრივ ინდივიდუალურ მონაწილეობისა და იდენტობის საკითხებს და მეორეს მხრივ კი პოლიტიკურ ინსტიტუციებისა და კულტურულ საკითხებს. აქედან გამომდინარე, შუალედური ტიპის - ჯგუფის პოლიტიკური ქცევა და მიმდინარე პოლიტიკის დინამიკა სუსტადაა განვითარებული თანამედროვე პოლიტიკურ სოციოლოგიაში (Andrews & Edwards 2004). მიუხედავად ამისა, მეცნიერები

თანხმდებიან იმაზე, რომ საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარება ვერ ხდება საზოგადოების ჩართულობის გარეშე.

სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების პოპულარობა და გაძლიერება ბოლო ათწლეულებთანაა დაკავშირებული. იგი მოიცავს გავლენიან გადაწყვეტილების მიმღებებს, მედია ჩართულობას, მოქალაქეთა განათლებას და სამოქალაქო ჩართულობის მრავალ ფორმას. ავტორების თქმით, ევროპასა და ამერიკაში სამოქალაქო ადვოკატირების პოპულარობა დაკავშირებულია პოლიტიკური პირობებით, სადაც მცირერიცხოვან პოლიტიკურ პარტიებს გაუჭირდათ ადექვატური რეაგირება მოქალაქეთა მრავალმხრივ პრობლემებზე. უმეტეს დემოკრატიულ ქვეყანაში „ზეწოლის მომხდენი“ ჯგუფების გამრავლებისა და პოლიტიკური პარტიების შემცირების ფონზე სამოქალაქო ადვოკატირება წარმოადგენს მკვეთრ გადასვლას წარმომადგენლობითი დემოკრატიიდან მონაწილეობით დემოკრატიაზე. (International Encyclopedia.. 2010).

სიტყვა „ადვოკატირება“ მოდის ლათინურიდან *ad vocare* – „ილაპარაკე“, რაც გულისხმობს კონკრეტული პოზიციის ირგვლივ დავას. თავდაპირველად ტერმინი შემოვიდა მოხმარებაში იურისტებისთვის (ადვოკატებისთვის), რომლებიც სამართლებრივ დისპუტში იცავდნენ განსხვავებულ პოზიციებს, ხოლო ბოლო ათწლეულების მანძილზე ტერმინი ასოცირდა კონკრეტული პოზიციის ან საკითხის დამცავ მოქალაქეთა ჯგუფებთან. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ცალკეულმა ადამიანებმა, ასევე იურისტებმა შეიძლება აწარმოონ ადვოკატირება საკუთარი შეხედულების დასაცავად, ხელისუფლების, კორპორაციებისა და სხვა ინსტიტუციების პოლიტიკასა და პროგრამებზე ზეგავლენის მოხდენას ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ.

ავტორები ადვოკატირებას სხვადასხვა კუთხით განიხილავენ და განმარტავენ. Hancock, Labonte, & Edwards (2000, ციტ. DeSantis 2010) ადვოკატირებას განმარტავენ, როგორც სამოქალაქო მონაწილეობის ფორმას, სადაც ადამიანები „აქტიურად არიან ჩართულნი მთავრობისკენ მიმართულ სოციალურ და პოლიტიკურ ქმედებაში, როგორცაა ლობირება“. სხვა განმარტებით ადვოკატირება „კოლექტიური ინტერესის სახელით, ინსტიტუციურ ელიტებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობაა“ (Jenkins 1987, ციტ. Kimberlin 2010). Andrew & Edwards (2004) ფოკუსირებას ახდენენ ადვოკატირებისთვის დამახასიათებელ კონფლიქტზე და განსაზღვრავენ, რომ „ადვოკატირებისას ორგანიზაციები აყენებენ მოთხოვნებს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე სოციალური ცვლილების ხელის შესაწყობად, ან მის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელების შემთხვევაში სოციალური ცვლილება კონფლიქტში შევა სხვა ჯგუფების სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესებთან და ფასეულობებთან“. Rektor (2002, ციტ. DeSantis 2010) ადვოკატირების პროცესს აღწერს, როგორც „საუბარი და ინფორმაციის გავრცელება, რაც გამიზნულია ინდივიდუალური ქცევის ან აზრის, კორპორატიული საქმიანობის, ან საჯარო პოლიტიკის ან კანონის შეცვლაზე“.

ზემო განმარტებებიდან ჩანს, რომ ადვოკატირება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფ(ებ)ის მიერ წარმოებული პოლიტიკური პროცესია, რაც მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებს შიგნით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ქსელები, რომლებიც ეწევიან ადვოკატირებას განსხვავდებიან თავისი ფორმებითა და ფორმალიზების დონით.

ადვოკატირებას, მეტ წილად, „ადვოკატირების ორგანიზაციები“ ანხორციელებენ, რომელნიც სამ ძირითად კატეგორიაში ერთიანდებიან: ინტერესთა ჯგუფები, სოციალური მოძრაობები და არა-მომგებიანი ორგანიზაციები (Andrews & Edwards 2004). ინტერესთა ჯგუფებად, ჩვეულებრივ, მოიაზრებიან პოლიტიკური სისტემისგან თავისუფალი მოხალისეთა ასოციაციები, რომელნიც ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ მთავრობაზე. ასეთი ჯგუფები Berry -ს განმარტებით „ორიენტირებულნი არიან კოლექტიურ სარგებელზე, რომლის მიღწევა არ იქნება სარგებლიანი მხოლოდ ორგანიზაციის წევრებისა და საქმიანობისთვის“ (1997, ციტ. Andrews & Edwards 2004). მიუხედავად ამისა, არსებობენ ინტერესთა ჯგუფები, რომელნიც „იკვებებიან“ ან „იქმნიებიან“ მომგებიანი ორგანიზაციების მიერ და წევვენ კონკრეტული ჯგუფის ადვოკატირებას. Walker -ის მიხედვით ასეთი ჯგუფები არ იზღუდებიან პროფესიული ინტერესებითა და იდეებით (1991, ციტ. Andrews, & Edwards 2004).

სოციალური მოძრაობის დეფინიცია ხშირად მიუთითებს კოლექტიური სარგებლის მისწრაფებაზე. Berry-ს ინტერესთა ჯგუფებისგან განსხვავებით, სოციალური მოძრაობა „კომპლექსური ან ფორმალური ორგანიზაციაა, რომელიც თავის მიზნებს აღწევს სოციალური მოძრაობის ან ანტი-მოძრაობის ფორმით“ (Zald & McCarthy 1987). ადვოკატირების მიზნებისთვის მეცნიერები ასევე განასხვავებენ ინტერესთა ჯგუფებს სოციალური მოძრაობებისგან მოთხოვნების მორალური ან იდეოლოგიური შინაარსით და სოციალური მოძრაობების არა-ინსტიტუციური, „დამანგრეველი“ ან „აუტსაიდერული“ ტაქტიკის გამო (Andrews & Edwards 2004).

არამომგებიანი სექტორი შედგება ორგანიზაციების დიდი სპექტრისგან, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან და არ აქვს მოგება. დემოკრატიულ ქვეყნებში სამ-სექტორიანი მოდელის „სახელმწიფო-ბაზარი-

სამოქალაქო საზოგადოება“ შიგნით საზღვრები სექტორებს შორის საკმაოდ გადღაბნილია. ეს გამოწვეულია ამ ქვეყნებში არამომგებიანი სექტორის მზარდი როლით მომსახურების მიწოდების საქმეში. მიუხედავად ამისა, როგორც დასავლეთში, ასევე პოსტ-საბჭოთა სივრცეში ფართოდაა აღიარებული არამომგებიანი სექტორის პოლიტიკური ან წარმომადგენლობითი როლი. შესაბამისად, ნებისმიერი ფორმის ადვოკატირება, იქნება ეს ლობირება, განათლება თუ დღის წესრიგის შექმნა - მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს ნებისმიერი სამოქალაქო ორგანიზაციისთვის. ზოგ ქვეყანაში (მაგ. შეერთებული შტატები) მრავალი სამოქალაქო ორგანიზაციის ძირითადი მისია სწორედ ადვოკატირებაა, რაც განსაზღვრულია ორგანიზაციის დებულებით. ამის საპირისპიროდ სამოქალაქო ორგანიზაციის არსებობის პირველადი ამოცანა შესაძლებელია განსხვავებული იყოს. მაგალითად, პროფესიული ასოციაციებისა და მომხმარებელთა ასოციაციების პირველადი ამოცანაა წევრების მომსახურება და მხარდაჭერა, თუმცა მათ შეუძლიათ აწარმოონ პოლიტიკის ადვოკატირება წევრთა სასარგებლოდ . ამ შემთხვევაში ადვოკატირება არასამთავრობო ორგანიზაციის დამატებითი საქმიანობაა (International Encyclopedia.. 2010). ამასთან, მრავალი სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც წევს სოციალურ მომსახურებას (human service) რეგულარულად ადვოკატირებს ინდივიდუალური კლიენტების/ბენეფიციარების სახელით (მაგ. ეხმარებიან დაზარალებულ მუშებს მიიღონ უუნარობის დახმარება ან უზრუნველყოფილ იქნას ჯანდაცვა კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფებისადმი). მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირება მეტად გულისხმობს კოლექტიურ და არა ინდივიდუალურ ადვოკატირებას.

ადვოკატირების შედეგად პოლიტიკური ან სოციალური ცვლილებების მისაღწევად ვარაუდებსა და იდეებს „ცვლილების თეორიას“ უწოდებენ. სოციალურ მეცნიერებათა მკვლევარები აყალიბებენ და აჯამებენ ცვლილების

სხვადასხვა თეორიებს და ითვლება, რომ ცვლილების თეორია ხელს უწყობს ადვოკატირების კამპანიის გააზრებას, მიზანმიმართული საქმიანობის დაგეგმვას, მართებულ ანგარიშვალდებულებას და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის (ლოგიკური მოდელის) დადგენას, ასევე ყველა დაინტერესებულ მხარესთან წარმატებულ კომუნიკაციას (Stachowiak 2007).

ცვლილების თეორიები შემუშავებულია პოლიტიკური, სოციოლოგიური, სოციალური ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის მეცნიერების მიერ, რაც შემდეგნაირადაა შეჯამებული:

(ა) დიდი ნახტომის თეორიის მიხედვით (პოლიტიკური მეცნიერებები), საჯარო პოლიტიკაში და პოლიტიკის ინსტიტუციებში მნიშვნელოვანი ცვლილება დგება კონკრეტული სასიკეთო პირობების დროს (Baumgartner & Jones, ციტ. Stachowiak 2007). ავტორები ცვლილებას ამსგავსებენ მატებად სეისმურ ბიძგებს და ამტკიცებენ, რომ სასიკეთო პირობებში ცვლილება დგება მძლავრი ამოხეთქვით, რაც მკვეთრად აშორებს წარსულთან. ეს ცვლილება განსხვავდება თანმიმდევრული ცვლილებებისგან რომელნიც, ჩვეულებრივ, რადიკალურად არ ცვლიან სტატუს ქვოს. ავტორების მიხედვით, ფართომასშტაბიანი ცვლილება დგება, თუკი: ა) არსებობს არსებული პოლიტიკით საყოველთაო ფუნდამენტური უკმაყოფილება და ინტერესის საკითხის განსაზღვრა ხდება განსხვავებულად ან იკვეთება საკითხის ახალი ასპექტები, რაც იპყრობს ყურადღებას, ბ) საკითხის „ველში“ ჩნდებიან ახალი აქტიორები, გ) საკითხი მეტად გახმაურებულია და მას მეტ ყურადღებას უთმობს მედია და ხალხი. მიუხედავად ამ პირობების დაკმაყოფილებისა, ცვლილება არაა გარანტირებული. შეიძლება მოხდეს საკითხის აქტუალიზება, მაგრამ ამას არ მოჰყვება პოლიტიკის ცვლილება. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, თუკი ყველა საჭირო პირობა ერთდროულად დაკმაყოფილებულია ცვლილება არა თანმიმდევრულად მზარდი, არამედ

მომენტალურია. ამ თეორიის მიხედვით, სოციალური ან პოლიტიკური ცვლილებისთვის ადვოკატირება მოითხოვს საკითხის გამოკვეთას, მხარდამჭერთა მობილიზებასა და მედია ადვოკატირებას. ადვოკატირების კამპანიამ უნდა ფუნდამენტურ დონეზე აკრიტიკოს პოლიტიკა და ფოკუსირება გააკეთოს როგორც პოლიტიკის, ასევე ინსტიტუციების ცვლილებაზე და არა არსებულ პოლიტიკაში მცირედი ადმინისტრაციული ცვლილებების გახორციელებაზე. ამ საქმეში საკითხის მკაფიო განსაზღვრა და დღის წესრიგის დაყენება წარმოადგენენ საკითხის გარშემო ახალი ხალხის მობილიზაციის წინაპირობას.

(ბ) Paul Sabatier -სა და Hank Jenkins-Smith-ის (2014) მიერ შემუშავებული *კოალიციის თეორია (ადვოკატირების კოალიციის ჩარჩო) (პოლიტიკური მეცნიერებები)* გვთავაზობს, რომ ადამიანებს აქვთ შექმნილი თავისუფალი რწმენა პოლიტიკის საკითხების ირგვლივ. მათ აქვთ წარმოდგენილი როგორია პრობლემის მნიშვნელობა, რა არის მიზეზი, აქვს თუ არა საზოგადოებას უნარი გადაწყვიტოს პრობლემა და სხვა. ასევე ადამიანებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ პრობლემის მოგვარებისთვის შემოთავაზებულ ალტერნატივებზე. ამ თეორიის მიმდევრებს სჯერათ, რომ პოლიტიკის ცვლილება შესაძლებელია მსგავსი რწმენის მქონე ადამიანების კოორდინირებული საქმიანობის შედეგად. კოალიციის თეორიის მიხედვით ადვოკატირება მოითხოვს ა) ზეგავლენის მოხდენას მსგავსი „რწმენის“ მქონე გადაწყვეტილების მიმღებზე, რათა მათ შეცვალონ პოლიტიკა, ბ) სხვადასხვა პოზიციებსა და თანამდებობებზე მყოფი ადამიანების მიმართვა პოლიტიკის ცვლილების მოთხოვნით, გ) მას მედიის საშუალებით საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენას, დ) დემონსტრაციებისა და ბოიკოტების საშუალებით გადაწყვეტილების მიმღებთა ქცევის შეცვლას, ე) კვლევისა და ინფორმაციის გაცვლის საშუალებით, პოლიტიკის შესახებ ცნობიერების შეცვლას. თეორიის მიხედვით, უკეთესი ბერკეტის მისაგნებად კოალიციები ერთდროულად იყენებენ სხვადასხვა მიდგომებს-

სამართლებრივი ადვოკატირებიდან დაწყებული და საზოგადოების განწყობების ცვლილებაზე მიმართული ღონისძიებებით დამთავრებული. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია განსხვავებული ჯგუფების (მაგ. ნაკლებად სავარაუდო მოკავშირეები) იდენტიფიცირება და მათ დარწმუნებაზე გამიზნული საქმიანობის წარმართვა.

(გ) John Kingdon-ის (1985) *პოლიტიკის ფანჯრის თეორია (დღის წესრიგის დაყენების თეორია)* (პოლიტიკური მეცნიერებები) განმარტავს რა განაპირობებს პოლიტიკის პროცესში საკითხის მიმართ ყურადღების მიპყრობას და რატომ ახერხებენ ამას ერთნი კამპანიები და ვერ ახერხებენ მეორენი. პოლიტიკის პროცესში მეცნიერი გამოყოფს სამ კომპონენტს: ა) პრობლემის განმარტების ფორმას, რომლითაც გადაწყვეტილების მიძღვება განუმარტავენ სოციალურ მდგომარეობას, რომელიც პრობლემად იქცა, პრობლემის შემადგენელი ნაწილების, მისი სტატუსისა და აღქმადობის ჩათვლით, ასევე რამდენად მოგვარებადია პრობლემა მკაფიო ალტერნატივის საშუალებით, ბ) პრობლემის მოსაგვარებლად შემუშავებულ იდეებს (policies) და გ) პოლიტიკურ ფაქტორებს (politics), საზოგადოების განწყობების, ინტერესთა ჯგუფების არსებობისა და მოქმედების, ადვოკატირების კამპანიის, არსებული მთავრობის ცვლილების ჩათვლით. თეორიის მიხედვით, საკითხზე მნიშვნელოვანი ყურადღების მიპყრობის ალბათობის გასაზრდელად ან „პოლიტიკის დღის წესრიგზე“ დასაყენებლად ზემოხსენებული კომპონენტებიდან ორი მაინც ერთდროულად უნდა იყოს გამოყენებული კრიტიკულ ან ღია „პოლიტიკის ფანჯრის“ მომენტში. ადვოკატირებისას ეს თეორია მოითხოვს საკითხის ფორმირებას, არსებული პრობლემის არსებობისა და მასშტაბების შეფასების ინდიკატორების შემუშავებას და მონიტორინგს, საკითხის სპეციალურ კვლევასა და დაინტერესებულ მხარეებისგან უკუკავშირის დამყარებას. აქ ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკურ კლიმატზე ზეგავლენის მოხდენა კოალიციების ფორმირებით, დემონსტრაციებისა და

მედია ადვოკატორების გზით. ამასთან, ადვოკატორების მწარმოებლებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი უნარი, რომ შექმნან ან ამოიციონ პოლიტიკის ფანჯარა და შესაბამისად იმოქმედონ.

(დ) *მესიჯებისა და ჩარჩოების თეორია (პერსპექტივის თეორია) (ფსიქოლოგია)* ექვეყნებ აყენებს ტრადიციულ მოსაზრებებს, რომ ადამიანები იღებენ რაციონალურ გადაწყვეტილებებს განსახვავებული მოსაზრებების „ხარჯებისა და სარგებლის“ (costs and benefits) აწონდაწონით და იმ მოსაზრებას ირჩევენ, რომელიც მათ მეტად წაადგება. Amos Tversky & Daniel Kahneman-ის კვლევამ (1981) დაადასტურა, რომ არჩევანის გაკეთებისას, ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას იმის მიხედვით თუ როგორ და რა ფორმით აწოდებენ მათ ინფორმაციას. ავტორების თქმით, „გადაწყვეტილების მიღება შეიძლება იყოს არათანმიმდევრული. ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას, რაც ნაკლებად სარგებლიანი ან მეტი რისკის შემცველია მათთვის, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ, იმის მიხედვით თუ როგორაა ინფორმაცია მიწოდებული“. თეორიის მიხედვით ადვოკატორების სტრატეგიამ ფოკუსირება უნდა მოახდინოს კამპანიის გზავნილზე, კომუნიკაციებსა და მედია ადვოკატორებაზე. ეს თეორია, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება დამოუკიდებლად და წარმოადგენს ფართო ადვოკატორების კამპანიის განუყოფელ ნაწილს.

(ე) *პოლიტიკური ძალაუფლების თეორია (ძალაუფლებრივი ელიტების თეორია)*(სოციოლოგია) პირველად 1956 გაჟღერდა Mills Wright -ის წიგნში The Power Elit. წიგნი აღწერს ამერიკის ძალაუფლებასა და კლასობრივ სტრუქტურებს (პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ელიტები) და მათ ინტერაქციას საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად. დღევანდელ დღეს ელიტებად და გავლენიან პირებად შეიძლება მოიაზრობდნენ კანონმდებლები, პარტიის წევრები, მაღალი თანამდებობის პირები, ბიზნესის მენეჯერები, დიდი ორგანიზაციების ლიდერები, წამყვანი პროფესიონალები,

მოაზროვნეები, ჟურნალისტები, რელიგიური ლიდერები და სხვა (Stachowiak 2007). თეორიის მიხედვით, ზოგიერთ ადამიანს მეტი ძალაუფლება აქვთ ვიდრე სხვებს და ადვოკატირებისთვის აუცილებელია ამ პირებთან ურთიერთობების დალაგება და კომუნიკაცია. აღსანიშნავია, რომ ადვოკატირებამ უნდა მოახდინოს ფოკუსირება რამდენიმე ცენტრალურ ფიგურაზე და არა ყველაზე, იმის მიხედვით თუ ვის აქვს მეტი ზეგავლენა კონკრეტულ პოლიტიკის საკითხზე.

(ვ) *პირველადი ორგანიზაციის თეორია (სათემო ორგანიზების თეორია)* (სოციალური ფსიქოლოგია). ძალაუფლების თეორიისგან განსხვავებით, სათემო ორგანიზების თეორიის მიმდევრები ძალაუფლებას განიხილავენ არა ექსკლუზიურად ელიტების „კუთვნილებად“, არამედ როგორც ცვალებადსა და დინამიურ ატრიბუტს. Stachowiak -ის მიხედვით (2007), თეორიას საფუძველი ჩაუყარა Saul Alinsky-მ თავის წიგნში Rules for Radicals (1989), რომელიც მიხედვით ერთობლივი ძალისხმევით ჯგუფებს შეუძლიათ ძალაუფლების შექმნა სოციალური ცვლილებისთვის. თეორია ხაზს უსვამს, რომ ძალაუფლება იქმნება არა მონოლითური და აბსოლუტური ორგანიზმის არსებობის შემთხვევაში, არამედ როცა ადამიანები კოოპერირებენ. ასევე ძალაუფლებამ შეიძლება გადაინაცვლოს მოქმედებისა და შემთხვევების შედეგად. თეორიის მიხედვით, ადვოკატირების ძალისხმევა უნდა მიემართოს ინსტიტუციებისა და პოლიტიკის და არა ადამიანების შეცვლაზე და ადვოკატირების სტრატეგია მოითხოვს თემის მობილიზებას, შემეცნების ზრდას, პოლიტიკის ანალიზს, შესაძლებლობების ზრდას (ტრენინგის ჩათვლით), კვლევას, მედია ადვოკატირებას, სოციალურ პროტესტსა და ხვა. აქ ადვოკატირება მოითხოვს ხალხის მაქსიმალურ ჩართულობას, თუმცა ორგანიზაცია რომელიც წევს ადვოკატირებას არა ლიდერი, არამედ ფასილიტატორია დაგეგმილი კოლექტიური ღონისძიებებისა.

21-ე საუკუნის ადვოკატირების მიდგომებმა შეაჯამა და გააერთიანა ცვლილების თეორიები და ითვლება, რომ ადვოკატირების პროცესი შესაძლებელია შეიცავდეს მრავალი ტიპის საქმიანობას, როგორცაა კვლევების ჩატარება, ცნობიერების ამაღლება, სათემო მობილიზება, სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება, პოლიტიკური ალტერნატივის შემუშავება, მედია კამპანია, საჯარო გამოსვლები, სასამართლო დავა, პეტიციების შემუშავება და წარდგენა, ლობირება და სხვა. ითვლება, რომ ადვოკატირებას პირველ რიგში უნდა ამოძრავებდეს მიზანი შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, რაც გულისხმობს კულტურულ/სოციალურ ნორმათა ცვლილებას. მიზანმიმართული ქმედების შედეგად სოციალურ ნორმათა ცვლილება ხანგრძლივ პერსპექტივაში გამოიწვევს პოლიტიკურ ან სოციალურ ცვლილებას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამორიცხული არაა, რომ პოლიტიკურმა ცვლილებამ სოციალურ ცვლილებასთან ერთად გამოიწვიოს სოციალურ ნორმათა ცვლილება.

თავი 5: პრობლემის კვლევა

5.1 სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი პოსტ-საბჭოთა სივრცეში

იმ მნიშვნელოვანი წვლილიდან, რაც ალექსის თოქვილმა შეიტანა დემოკრატიის კონცეფციაში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია განცხადება, რომ წარმომადგენლობით დემოკრაციამ შესაძლოა წარმოშოს უმრავლესობის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რამაც დემოკრატიის ფუნქციონირება შეიძლება გადაზარდოს „უმრავლესობის ტირანიაში“, დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ასოციაციების არ არსებობის შემთხვევაში. მისი თეორიის მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი თუკი ხელისუფლების ყველა შტო ერთი შეხედვით დემოკრატიულია, წარმომადგენლობითობას მოკლებული ჯგუფები მაინც რჩებიან „ტირანიის“ რისკის ქვეშ.

21-ე საუკუნეში უკვე აღარავინ დავობს, რომ ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის ტრადიციული დისტანციური დამოკიდებულება არაადექვატურ შედეგებს იძლევა ხალხის პრობლემების გადასაჭრელად. აღიარებულია, რომ გადაწყვეტილების მიღების ტრადიციული ფორმების გამოყენების შედეგად ხშირად არამართებულად იხარჯება საჯარო რესურსები, იქმნება არაპროდუქტიული კონფლიქტი და არ ხდება ხალხის პოტენციალის გამოყენება.

დემოკრატია არ ნიშნავს არჩევნებზე ხმის მიცემის შედეგად, პოლიტიკური პროდუქტის „შესყიდვას“, არამედ გულისხმობს პოლიტიკურ დისკუსიაში ჩაბმას, რა თქმა უნდა, ისეთი გზებითა და ფორმებით, რაც დამახასიათებელია და შესაძლებელია კომპლექსურ საზოგადოებაში (Ferrara n.d). ეს პოლიტიკური დისკუსია შეიძლება მოიცავდეს საჯარო პოლიტიკას, ინიციატივებს,

პოლიტიკურ განზომილებებსა და ყველაფერ იმას, რაც უკეთ ასახავს საზოგადოების საერთო ინტერესს ან სიკეთეს. შესაბამისად, დამოუკიდებელი ასოციაციების (სამოქალაქო საზოგადოების) არსებობა გადაწყვეტია უმრავლესობის ტირანიის შესაკავებლად და მისი როლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში სამ ურთიერთდაკავშირებულ ზეგავლენის სფეროდ იყოფა: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური (Edwards 2004).

სამოქალაქო საზოგადოების *ეკონომიკური როლი*⁷ გამოიხატება საარსებო წყაროსა და მომსახურების უზრუნველყოფაში იქ, სადაც ბაზარი და სახელმწიფო სუსტია. აქვე მოიაზრება სოციალური ფასეულობების, ქსელებისა და ინსტიტუციების კულტივირება, რაც საფუძვლად დაედება (ნდობაზე და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ) წარმატებულ საბაზრო ეკონომიკას.

სამოქალაქო საზოგადოების *სოციალური როლი* განისაზღვრება როგორც მზრუნველობის, კულტურული ცხოვრებისა და ინტელექტუალური ინოვაციებისა და სწავლების წყარო. ამ ნეო-თოქვილისეული როლის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება აწვითარებს მოქალაქეობის უნარ-ჩვევებს, რაც ხელს უწყობს სტაბილურობას და აწვითარებს სოციალურ კაპიტალს. სოციალური კაპიტალი კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საერთო სიკეთისთვის კოლექტიურ ქმედებას, ქმნის და ინარჩუნებს სოციალურ კავშირებს რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების *პოლიტიკური როლი* დანახულია, როგორც სახელმწიფოსა და კორპორატიული ძალაუფლების მნიშვნელოვანი საპირწონე და საზოგადოებაში არსებული ძირითადი საყრდენი, რაც უზრუნველყოფს

⁷ სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური როლი არ წარმოადგენს მოცემული კვლევის ინტერესის საგანს

გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და „კარგი მმართველობის“⁸ სხვა ასპექტებს (Edwards 2004, Howard 2003, Anheier & Toepler eds. 2010).

მე-17-მე-18 საუკუნეების მსგავსად, მე-20 საუკუნეში სამოქალაქო საზოგადოების იდეის აღმოცენება დაკავშირებულია სახელმწიფოს მოწყობის არსებული წესრიგის რღვევასთან. 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევამ ახალ ეტაპზე წამოწია პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოების იდეა. შესაბამისად, როგორც აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, ასევე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად „1989 წლის მემკვიდრეობად“ მოიხსენიებენ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ, მე-19 საუკუნეებისგან განსხვავებით, მე-20 საუკუნეში სამოქალაქო საზოგადოების იდეამ დააკავშირა „ქმედება“ „მიზანთან“ (Seligman 1992). უკვე მე-20 საუკუნის ბოლოს, 1990-ან წლებში, სახელმწიფოსა და ან ბაზრის დომინირების საპირწონედ და ამავდროულად სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად გაჩნდა ახალი მიდგომა - „მესამე გზა“, რომელიც ძირითადი არსია პარტნიორობა საზოგადოების სამ ძირითად - საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის. ცხადია, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების ნეო-თოქვილიანურ იდეებზე ზეგავლენას ახდენენ ფართო პოლიტიკური და იდეოლოგიური ცვლილებები, რომელნიც ხელახლად იაზრებენ და განსაზღვრავენ სახელმწიფოს უფლება-მოვალეობებს, ბაზარსა და მოხალისეობრივ ასოციაციებს. ამასთან, 21-ე საუკუნის ანალიტიკოსები აკრიტიკებენ მე-20 საუკუნის მიდგომების, რომლის მიხედვით გადაწყვეტილებები მიიღებოდა ა) მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლებაზე დაყრდნობით, რაც იწვევს სახელმწიფო ძალის ჭარბ ინტერვენციას და ბ) მხოლოდ ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით, რაც იწვევს ჭარბ დამოკიდებულებას ბაზარზე. ამ ორივე მოდელით უკმაყოფილებამ გააჩინა

⁸ “good governance”, დონორთა მიერ გამოყენებული ტერმინი ქვეყნის მმართველობის ყველა ასპექტის დადებით კონტექსტში განსასაზღვრად

ახალი მიდგომის საჭიროება, რაც გამოასწორებდა სახელმწიფოსა და ბაზრის წარუმატებლობის შედეგებს. ზოგადად რომ განვიხილოთ, ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ბერკეტი, რაც ხელს უწყობს საზოგადოების კოლექტიურ ქმედებას: ა) სახელმწიფო ძალაუფლების სავალდებულო კანონები (სოციალური მექანიზმების ჩათვლით), რაც ჩამოყალიბდა ბაზრის არა-მიზანმიმართული ქმედების შედეგად, ბ) მოხალისეობრივი საქმიანობა და ც) დისკუსიები და შეთანხმებები (Seligman 1992) . სამოქალაქო საზოგადოებას და ასოციაციურ ცხოვრებას მიენიჭა გადაწყვეტი მნიშვნელობა და იგულისხმება, რომ ეს არის სოციალური პროგრესის გზა და გაიგივებულია „ცივილური საზოგადოების“ მშენებლობასთან.

საბჭოთა კავშირისა და მთლიანად საბჭოთა ბლოკის დაშლა ცალსახად ადასტურებს დიქტატურის ან ტოტალიტარიზმის, როგორც მმართველობის სისტემის, საბოლოო წარუმატებლობას. რეჟიმის მოსუსტებასთან ერთად, იმ პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომელთა კულმინაცია გახლდათ 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევა საშუალება მისცა ეროვნული შეგნების გაღვივებას, ასევე ახალი ტიპის- ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმების სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ სწრაფვას, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე საქართველოში, რამაც ბუნებრივად განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ინტერესი. ამ პერიოდში სამოქალაქო საზოგადოება იქცა მიტინგების პლატფორმად დისიდენტთათვის და მიზნის მისაღწევად იარაღად იყენებენ მძლავრ სოციალურ მოძრაობებს.

Bell -ის (1989) აზრით, „სამოქალაქო საზოგადოებისკენ დაბრუნების მოთხოვნა წარმოადგენს სოციალური ცხოვრების მართვადი სასწორისკენ დაბრუნებას“, სადაც „განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოხალისეობრივ ასოციაციებს, ეკლესიებს და თემებს. აუცილებელია, რომ გადაწყვეტილება იქნას მიღებული ადგილზე და არ უნდა იყოს კონტროლირებადი სახელმწიფოსა ან ბიუროკრატიების მიერ“. (ციტირებულია Seligman 1992, გვ.2)

1989 წელს კომუნისტური რეჟიმების კოლაფსიდან დღემდე პოსტ-საბჭოთა რეგიონის ექსპერტები დაობენ და მსჯელობენ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ხალხის მზაობაზე და სიმტკიცეზე მხარი დაუჭირონ დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკას და ლიბერალურ იდეებს. აღიარებულია, რომ ნებისმიერი საზოგადოებისთვის ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტაცია ნიშნავს არჩევანის გაკეთებას კონკურენტული სისტემის სასარგებლოდ: კონკურენცია პოლიტიკურ პარტიებს შორის, ბაზრის მოთხოვნების საჭიროებებსა და მოწოდებას შორის, კონკურენტულ თავისუფალ მედიას, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებს შორის და ყველაფერი სხვა, რაც გვთავაზობს არჩევანს. ამასთან, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ღრმად ინტეგრირებული დასავლურ ლიბერალურ საზოგადოებაში არის ჰორიზონტალური (საზოგადოების შიგნით) და ვერტიკალური (ხალხი-ხელისუფალი) თანამშრომლობა საზოგადოებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე ანალიტიკოსები საკმაოდ სკეფტიკურად უყურებენ თავად სახელმწიფოს და იმ შესაძლებლობებს, რაც გააჩნია ფართო პოლიტიკურ მოქმედებას, პოსტ-საბჭოთა სივრცეში ინსტიტუციური და იდეოლოგიური პლურალიზმის იდეა გაიგივდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარებასთან, რაც წინ აღუდგებოდა ძალაუფლების მონოპოლიას, დააბალანსებდა სახელმწიფო ინსტიტუციებს ან შეავსებდა მათ მიერ გახორციელებულ საჯარო პოლიტიკას. ამასთან, „სამოქალაქო საზოგადოებას დაეკისრა მეტად მნიშვნელოვანი როლი ფართო საზოგადოებაში ლიბერალური ღირებულებების გავრცელებისა, თემების აღორძინებისა, ეფექტური მოქალაქეობის გამოზრდისა, პატივისცემისა და თანამშრომლობის პრაქტიკის დამკვიდრებისა, თვით-ინტერესის მორალური ალტერნატივის უზრუნველყოფისა, საჯარო ცხოვრების გამოცოცხლებისა და სხვა“ (Seligman 1992).

ცნობილია, რომ ამგვარი უფლება და მოვალეობა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს პირველ რიგში საერთაშორისო პარტნიორების მიერ დაეკისრა, რომელნიც ფართოდ მხარს უჭერდნენ სამოქალაქო სექტორის განვითარებას, „განვითარების დახმარების“ (development aid) ფარგლებში. თუმცა ცხადია, რომ „სამოქალაქო სექტორი“ აქ მხოლოდ ე.წ. „არასამთავრობო“ ორგანიზაციებს გულისხმობს და დაკისრებული მოვალეობა ვარაუდობს ახალი დემოკრატიის ქვეყნებში კლასიკური ფორმის სამოქალაქო საზოგადოების არ არსებობას, როგორც ასეთი.

განვითარების დახმარების პროგრამებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკაში. უფრო მეტიც, ხშირად ისინი განსაზღვრავენ ამ ქვეყნების ცხოვრებას, პოლიტიკური სისტემის შიგნით ყველა დონეზე ჩარევით. საერთაშორისი დონორთა მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციები, გახორციელებული პროექტების საშუალებით, უწყვენ მომსახურებას საზოგადოებას, ხელს უწყობენ ანგარიშვალდებულებას, სოციალური პოლიტიკის გატარებას და საქმიანობენ ყველა იმ მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში „კარგი მმართველობის“ ჩამოყალიბებას. სამოქალაქო საზოგადოებას კი ევალება, რომ შეასრულოს თავისი ზემოაღნიშნული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური როლი და „უზრუნველყოს ის არხები, რომლის მეშვეობით მოსახლეობის უმეტესობა შეძლებს ხმა მიაწოდოს ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაიცვას და განავითაროს თავიანთი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები“ (Edwards 2004).

მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი როლისა, რომელსაც ასრულებენ დასავლური ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბოლო ოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა დისციპლინების მეცნიერები დავობენ, რომ პოსტ-

საბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებები არ პასუხობენ მოთხოვნებს და ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ დასავლეთის პარტნიორების მხრიდან ვერტიკალურმა ჩარევამ, ჭარბმა დაფინანსებამ, სამართლებრივ და სხვა უპირატესობების არსებობამ გამოიწვია, რომ ამ ორგანიზაციებმა, დიდი უმრავლესობით, ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. შემფასებლების აზრით, ე.წ. „არამომგებიანი ორგანიზაციები“ ა) წარმოადგენენ ე.წ. არა-სამთავრობო ელიტას და ბ) გაუცხოებულნი არიან საზოგადოების რეალური პრობლემებისგან, შესაბამისად ვერ უზრუნველყოფენ პლატფორმას ფართომასშტაბიანი მონაწილეობისთვის. მაგალითად, საერთაშორისო გამოკითხვების და მრავალეროვნული კვლევები, როგორცაა USAID -ის „არასამთავრობო ორგანიზაციების ინდექსი“ (2005-2014), World Values Survey (2008) და სხვა, ახასიათებენ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას როგორც არასრულფასოვანს, სუსტსა და ფრაგმენტულს და აღნიშნავენ, რომ ორგანიზაციებს უჭირთ თანამშრომლობა და მათი ცნობადობა და/ან ავტორიტეტი დაბალია. ასევე აღინიშნება ამ ტიპის ორგანიზაციების სისუსტე საჯარო პოლიტიკის საფუძვლიანი ანალიზის კუთხით, რაც აფერხებს ხალხის პრობლემებზე რეაგირების პროცესს და ხელს უშლის საჯარო პოლიტიკაზე რეალური ზეგავლენის მოხდენას.

ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების სამოქალაქო სექტორის არაეფექტურობის მიზეზად ხშირად სახელდება როგორც თავად სახელმწიფოების უუნარობა განავითარონ და გააძლიერონ სამოქალაქო ინიციატივები და მმართველობაში მონაწილეობა, ასევე მოხალისეობრივი ორგანიზაციული წევრობის დაბალი დონე და სამოქალაქო მონაწილეობის ნაკლებობა. ამას კი ხშირად უკავშირებენ საზოგადოებაში „ფართო ნდობის“ არ არსებობას ან „ნდობის განზოგადების უუნარობას, მოქალაქეობის ყველა მნიშვნელობით (Howard 2003, Bernhard & Karakoç 2007). ამ შემთხვევაში

მოხალისეობა გულისხმობს ალტრუისტულ მოქმედებას, რაც გამიზნულია კეთილ საქმიანობაზე ან ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, მოხალისეობა განიხილება, როგორც სამოქალაქო ჩართულობის განუყოფელი ნაწილი. აქ ინდივიდუალური მოხალისეობა ითვლება ნებისმიერი საზოგადოების წევრის პირად პასუხისმგებლობად მოცემული საზოგადოების წინაშე, რასაც უკავშირებენ სოციალურ კაპიტალს განვითარების დონეს. ჭარბი (ან დამაკავშირებელი) სოციალური კაპიტალის არსებობა განიხილება თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის აუცილებელ პირობად. ამასთან ითვლება, რომ საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის (შემაკავებელი) დაბალი დონე ხშირად აისახება ხისტ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც არ რეაგირებს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე (Dowley & Silver 2002). როგორც საზოგადოების განვითარებას, ასევე ფორმალური საჯარო ინსტიტუციების მართებულ ფუნქციონირებას ესაჭიროება ჭარბი (ან დამაკავშირებელი) სოციალური კაპიტალი. ამასთან ითვლება, რომ საზოგადოებაში დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის განვითარება ზეგავლენას ახდენს საჯარო ინსტიტუციების ფუნქციონირებაზე, რაც იწვევს საზოგადოებაში სწრაფ ცვლილებას. „მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში მძლავრი დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის არსებობა თავის თავად არ უტოლდება დემოკრატიის მაღალ დონეს, საზოგადოებისთვის მეტად დამაზიანებელია ზედმეტად მცირე სოციალური კაპიტალის არსებობა და სოციალური კაპიტალის ზრდის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია დემოკრატიის მშენებლობის მხარდასაჭერად“ (Dowley & Silver 2002).

მიღებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოება სოციალური კაპიტალის პროდუქტია. ამასთან, თანამედროვე განვითარების თეორიებში ფართოდ აღინიშნება სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა და დადებითი ზეგავლენა სოციალურ კაპიტალზე. ითვლება, რომ მოხალისეობრივი ორგანიზაციების, ჯგუფებისა და ასოციაციების არსებობა და ფუნქციონირება

ანვითარებენ თანამშრომლობით ჩვევებს და ქმნიან პოზიტიურ მაგალითებს, რაც ამოდრავებს დამაკავშირებელ სოციალურ კაპიტალს.

იქედან გამომდინარე, რომ სოციალური კაპიტალი არა მკაფიო, არამედ საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა, მისი გაზომვა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ელეონორ ოსტრომის თეორიის მიხედვით (2003), სოციალური კაპიტალის გასაზომად არ არსებობს არცერთი უნივერსალური და მმლავრი საზომი და ამის გაკეთება მხოლოდ არაპირდაპირი გზითაა შესაძლებელი, სადაც მოქალაქეთა ასოციირების უნარი ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია (ციტირებულია CRRC 2011). ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღემდე არსებულ სოციალურ თეორიებში იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა სოციალური კაპიტალის წარმოშობა - განვითარების კუთხით. კერძოდ, ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში ნდობის გაღვივებასა და შესაბამისი სოციალური კაპიტალის გენერირებას ესაჭიროება პირველადი დახურული და ხანგრძლივი კავშირები და უშუალო ინტერაქცია ვიწრო საცხოვრებელ (ოჯახურ, თემურ) გარემოში. ამასთან, სოციალური კაპიტალის ქსელების თეორიების მიხედვით, რაც მეტად ჰეტეროგენულია მცირე ჯგუფებისგან შემდგარი საზოგადოება და რაც მეტად თავისუფალია კავშირები მათ შორის- მეტი წარმატება მიიღწევა დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის განვითარების კუთხით.

სოციალური კაპიტალი მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ნორმებს. სოციალურ ნორმებს ანალიტიკოსები განმარტავენ, როგორც საზოგადოებაში გაბატონებულ ჩვევებსა და წესებს, რაც განაპირობებს და არეგულირებს ქცევას მოცემულ საზოგადოებასა და მის ჯგუფებში. Bicchieri & Muldoon -ს (2004) მიხედვით, ანთროპოლოგები აღწერენ განსხვავებულ კულტურებში სოციალურ ნორმათა ფუნქციონირებას, სოციოლოგები ყურადღებას ამახვილებენ ნორმათა სოციალურ ფუნქციაზე და იმაზე თუ რა მოტივაციას უქმნის სოციალური ნორმა ხალხს მოქმედებისთვის,

ეკონომისტები ხსნიან რა ზეგავლენას ახდენს სოციალურ ნორმათა მიმდევრობა ბაზრის ქცევაზე, სამართლის შემსწავლელი მეცნიერები კი წარმოადგენენ სოციალურ ნორმებს როგორც სამართლებრივი კანონების ეფექტურ ალტერნატივად. სოციალური ნორმები ხშირად დანახულია, როგორც „სავალდებულო“ ქცევა, შესაბამისად, მორალურ, სოციალურ და სამართლებრივ ნორმათა შორის განსხვავება საკმაოდ ბუნდოვანია. Elster -ის (1989) მიხედვით, ნორმათა შესახებ კვლევა ფოკუსირებას ახდენს სოციალურ ნორმათა *ფუნქციებზე*, და ამ ფუნქციების ეფექტურად შესრულებაზე, თუმცა სოციალურ ნორმათა ანალიზი ვერ განხორციელდება მხოლოდ მათი ფუნქციის შესწავლით, რადგან ფუნქცია (მაგ. გარკვეული სოციალური მისიის მიღწევის საშუალება), როგორც ასეთი, ვერ ხსნის ნორმის წარმოშობას.

სოციალური ნორმები, ერთის მხრივ, წარმოადგენენ ადამიანთა ინტერაქციის შედეგს, მეორეს მხრივ კი (პოზიტიური ან ნეგატიური) სოციალური ინტერაქციის საფუძველს. ნორმათა სისტემა განსაზღვრავს რა არის მისაღები ან მიუღებელი საზოგადოებაში ან ჯგუფში (Bicchieri 2006 ციტირებული Bicchieri & Muldoon 2004) და ასევე განაპირობებს მსოფლმხედველობისა და ქცევის ურთიერთდამოკიდებულებას (სოციალიზაცია, სოციალური იდენტობა და რაციონალური არჩევანი).

სოციალურ ნორმათა ირგვლივ განსხვავებული შეხედულებებისა და განმარტებების გაანალიზების შედეგად, სოციალური მეცნიერები თვლიან, რომ სოციალური ნორმები განაპირობებენ სოციალური წესრიგის ან სოციალური პირობების წარმოშობას, რასაც, თავის მხრივ ესაჭიროება საზოგადოების შიგნით კოოპერირება, თანმხლები ნდობა და ნაცვალებითობა. შესაბამისად, სოციალური ნორმები წარმოადგენენ რწმენის, ვარაუდების, ჯგუფური შემეცნების და საზოგადო შემეცნების ერთობას, რაც ამოძრავებს საზოგადოებას (Bicchieri & Muldoon 2004).

გამომდინარე ზემოთქმულიდან, კვლევის მიზნებისთვის სოციალური კაპიტალი განიხილება, როგორც საზოგადოების სტრუქტურული (კოლექტიური ქმედების ქსელები) და კოგნიტიური (ნდობა და ფასეულობები) ელემენტების ერთობლიობაა, სადაც სოციალური ნორმები სოციალური კაპიტალის კოგნიტიურ ელემენტს წარმოადგენენ.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალური კაპიტალის ადრეული კვლევები აღნიშნავენ სოციალური ნდობის, სათემო ჩართულობისა და სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტების მიმართ რწმენის დაბალ მაჩვენებელს (Rose 1999, Rose, Mishler and Haerpfer 1996, ციტირებულია Ekiert 2011).

საქართველოში სოციალური კაპიტალის კვლევების ჩატარება შედარებით გვიან - 21-ე საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ამ კვლევების მიხედვით, სოციალური ნდობა, სათემო ჩართულობა და სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ რწმენა დაბალია. მთლიანობაში, ქვეყნის სოციალური კაპიტალი შეფასებულია, როგორც „შემაკავებელი“. მაგალითად, კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის (CRRC) 2011 წლის მონაცემით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 9% ადასტურებს რომელიმე კლუბის ან ასოციაციის წევრობას და მხოლოდ 5% ამბობს, რომ გაუწევია მოხალისეობრივი საქმიანობა. ამასთან, ნდობა არასამთავრობო სექტორის მიმართ არაერთგვაროვანია. მაგალითად, CRRC-ს 2008 წლის მონაცემით, საქართველოს მოსახლეობის 46% ენდობოდა არასამთავრობო სექტორს, 2011 წელს ეს მონაცემი 18%-მდე შემცირდა, ხოლო 2014 წლისთვის ისევ გაიზარდა 29%-მდე გაიზარდა.⁹ CRRC-ს 2011 წლის მონაცემით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 27% სრულიად ენდობა სამეზობლოს, 65% ცოტათი ენდობა და მხოლოდ 1%

⁹ 16% არ ენდობა, 41% არც ენდობა და არც არ ენდობა, ხოლო 20% არ იცის (Caucasus Barometer 2014, CRRC, <http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/TRUNGOS/>)

საერთოდ არ ენდობა. ამავე დროს, 2008 წლის World Values Survey ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მხოლოდ 18% ამბობს, რომ ადამიანთა უმეტესობის ნდობა შეიძლება (ნორვეგიასა და შვედეთში იგივე კითხვაზე დადებითად პასუხობს მოსახლეობის 65%). მიუხედავად ამისა, კვლევის მიხედვით, საქართველოში ნათლად გამოიკვეთება გარკვეული ფორმალური და არაფორმალური ასოციაციების ნიშნები (მაგ. ბიზნეს ლობირების ჯგუფებისა და პროფესიული კავშირების თანამშრომლობა).

მიუხედავად ზოგადად დაბალი ნდობისა საზოგადოებაში, იგივე წყარო (2011) ხაზს უსვამს ქართველთა დიდსულოვნებას ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის კუთხით, რომლის შედეგად ხალხი ხშირად აყენებს სხვის საჭიროებებს საკუთარზე წინ. მაგალითად, ასევე, 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის მონაცემით, საქართველოს მოსახლეობის 50% ამბობს, რომ ბოლო 6 თვის მანძილზე დაეხმარა მეზობელს ან მეგობარს საშინაო საქმის მოგვარებაში. ამასთან, ქვეყანაში არსებობენ მძლავრი „შიდა-ჯგუფური“ სოციალური ქსელები, რომლებიც იშვიათად იღებენ ინსტიტუციონალურ ფორმას.

მონაწილეობის ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად, მკვლევარები ასევე ასახელებენ დაბალი მონაწილეობის მიზეზებს. მაგალითად Howard (2003) ამტკიცებს, რომ ადამიანის ქცევაში განმსაზღვრელია მოტივაცია. ამასთან, ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას გამოცდილებაზე დაყრდნობით და ამ გამოცდილებების დღევანდელობასთან შედარებით. კერძოდ: ადამიანის ქცევა სტაბილურია ცხოვრების მანძილზე და იგი რეაგირებს ცვლილებაზე გავლილ დროსთან ერთად. ახალი გარემოებებით მოტანილი ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივი და დროებითია და თუკი ახალი გარემოება არ შეესაბამება ვარაუდებს ქცევის ცვლილება ვერ იქნება მდგრადი. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მოქალაქეთა ისტორიულმა გამოცდილებამ მათში ჩამოაყალიბა კომუნისტური

ორგანიზაციებისადმი უნდობლობა, რაც ზოგადად ორგანიზაციული წევრობის უნდობლობას უტოლდება. ამასთან, საბჭოთა პერიოდში მეგობრული ქსელების დომინირებამ განაპირობა ადამიანური ურთიერთობების ვიწრო წრეში „ჩაკეტვა“, რაც ასევე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს „უცხო“ ადამიანებთან ერთად ინიციატივებში მონაწილეობაზე. მესამე და არა ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორად Howard (2003) ასახელებს პოსტ-კომუნიზმით იმედგაცრუებას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია ეკონომიკური მდგომარეობის ნაკლოვანებებთან და ხალხის მაღალი მოლოდინებით დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

ზოგადად, ანალიტიკური ნაშრომებიდან და ანგარიშებიდან იკვეთება სურათი, სადაც პოსტ-საბჭოთა სივრცე შეფასებულია, როგორც „დემოკრატია მოქალაქეების გარეშე“ (Ekiert & Foa 2011). საუბარია, რომ პოლიტიკურმა ელიტებმა მოახერხეს სამოქალაქო უფლებების საბაზისო დაცვა, დემოკრატიული პროცედურების განხორციელება და სამართლის უზენაესობის მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს მოხალისეობრივი გააქტიურება ან ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა. საერთო ჯამში ვარაუდობენ, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში ვერ მოხდა ხალხის მიერ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუციების მხარდაჭერა და, შესაბამისად, ითვლება, რომ ვერც დონორთა დახმარებით შექმნილი პოსტ-საბჭოთა სამოქალაქო საზოგადოება დგას თავის სიმაღლეზე, ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და პასუხობს საზოგადოების დაკვეთას. ამის საპირისპიროდ ამტკიცებენ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდა როგორც მაღალანაზღაურებადი „ელიტარული“ კლასი, რომელიც მოწყვეტილია ხალხს.

აღსანიშნავია, რომ „ელიტარულობა“ აქ, სხვასთან ერთად, გულისხმობს ორგანიზაციებში მოხალისეობრივი საწყისის ნაკლებობას, მიუხედავად იმისა,

რომ მოხალისეობის კონცეფცია წინააღმდეგობაში არ მოდის დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი „არამომგებიანი“ ორგანიზაციების საქმიანობასთან, კერძოდ:

ცნობილია, რომ მრავალი ასოციაცია როგორც დასავლეთში, ასევე პოსტ-საბჭოთა სივრცეში იმართება ანაზღაურებულ პროფესიონალთა მიერ. აქვე დასაზუსტებელია, რომ ამ შემთხვევაში „მოხალისეობის“ მთავარი კრიტერიუმია „ასოციაციის წევრობის თავისუფლება“ (არ მოითხოვება კანონით) და „ასოციაციიდან გამოსვლის შესაძლებლობა სტატუსის ან საჯარო უფლებებისა და სარგებლის შეზღუდვის გარეშე“. „მოხალისეობისთვის“ ასევე დამახასიათებელია მიზნების მისაღწევად „მოხალისეობრივი“ მექანიზმების გამოყენება, როგორცაა *დიალოგი, ვაჭრობა და დარწმუნება* იმ მექანიზმების საპირისპიროდ რასაც იყენებს მთავრობა (მაგ. სტანდარტები)ან ბაზარი (სტიმულირება) (Edwards 2004).

სამოქალაქო საზოგადოების მოხალისეობრივი შინაარსიდან გამომდინარე, ქვეყანაში თავად მოხალისეობის განვითარება დასავლური ტიპის არამომგებიან ორგანიზაციებს ევალებათ. ასეთ შემთხვევაში, თავად მოხალისეობა მეტად ფართო მნიშვნელობას იძენს და წარმოადგენს სოლიდარობისა და ურთიერთ დახმარებისა და მხარდაჭერის მაგალითებს. ამ შემთხვევაში მსგავსი ფასეულობების მქონე ადამიანები ერთმანეთს სთავაზობენ ემოციურ და მატერიალურ მხარდაჭერას (Edwards 2004).

აღსანიშნავია, რომ კლასიკური თოქვილისეული თეორიის დიდი ნაწილი „აქტიური მოქალაქის“ შესახებ, რომელიც მოითხოვს თავისი ინტერესების დაცვას შემუშავდა და განვითარდა ევროპასა და შეერთებულ შტატებში. შესაბამისად, გარკვეული ვარაუდები კეთდება ანალიტიკოსების მიერ აქტიური მოქალაქის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრის უფლებებზე, მოვალეობებსა და როლზე. ითვლება, რომ ადამიანები უნდა

მოქმედებდნენ კოლექტიურად, აყალიბებდნენ ინსტიტუციურად მძლავრ ასოციაციებს და მიაღწიონ საზოგადოებრივ ცვლილებას იმ ფორმით, რაც „ნებადართულია“ დასავლურ ნეო-თოქვილიანელ მოთამაშეების მიერ (Seligman 1995). მეორეს მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ზემოაღნიშნული კრიტიკა მეტ წილად მიმართულია არა თოქვილისეულ სამოქალაქო საზოგადოებაზე, რაც მოიცავს ყველა ასოციაციას და ქსელს ოჯახსა და სახელმწიფოს შორის (ოფიციალურად დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, პოლიტიკური პარტიები, ეკლესიები და სხვა რელიგიური ჯგუფები, პროფესიული და სხვა ბიზნეს ასოციაციები, სათემო ჯგუფები, სოციალური მოძრაობები, დამოუკიდებელი მედია და სხვა) (Edwards 2004), არამედ დონორთა მიერ მხარდაჭერილ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, ე.წ. „არასამთავრობოებზე“, რომელთაც პოსტ-საბჭოთა სივრცეში ხშირად აიგივებენ სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ნათელია, რომ მსგავსი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო საზოგადოებებს ბევრი საერთო აქვთ. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი განსხვავება არა მარტო ზოგადად ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებებს შორის, არამედ თავად ამ კონცეფციაში შემავალი ერთეულებისა და სუბიექტების გადმოსახედიდან. მიუხედავად გავრცელებული აზრისა, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის და ასევე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას არა მე-20- საუკუნის 90-ან წლებში, არამედ გაცილებით ადრე ჩაედო საფუძველი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციური ფორმების მიუხედავად, თავისი გამოვლენით სამოქალაქო საზოგადოებების აქტივობა მეტად სამოქალაქო აქტივიზმის და/ან სოციალური მოძრაობების საშუალებით ვლინდებოდა. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს- მე-20 საუკუნის დასაწყისში სამოქალაქო აქტივიზმი ევროპაში მეტ წილად განპირობებული იყო არა

ეკონომიკური სიდუხჭირით, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინდივიდუალური უფლების მოპოვების სურვილით. სოციალისტური მოძრაობის ერთერთი ფუნდამენტური მოთხოვნა იყო საზოგადოების შიგნით მუშათა ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება (“სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოების შიგნით” (Edwards 2004)). მთლიანობაში კი ეს მოძრაობები მიზნად ისახავდნენ წევრობის გაფართოვებას, ასოციაციის უფლებას, პროფკავშირის შექმნის უფლებას, ერი-სახელმწიფოს შიგნით გადაადგილების უფლებას, სიტყვის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას, და, რაც მთავარია, პოლიტიკური პარტიის შექმნისა და არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას გაცილებით ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება ახლდა, საქართველოს პრე-სოციალისტურ წარსულშიც მოიძებნება სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის ელემენტები. მაგალითად, თევზაძის (2003) მიხედვით, შუა საუკუნეების თბილისში, ხელოსანთა და ვაჭართა გილდიებსა და მსგავსი ორგანიზაციების არსებობა მიჩნეულია შედარებით მაღალი სამოქალაქო მონაწილეობის წინაპირობად მე-19 საუკუნის საქართველოში (ციტირებულია Nodia 2005). მე-19 საუკუნეში აღმოცენებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავდაპირველად ძირითადად კულტურული და საგანმანათლებლო ხასიათს ატარებდნენ (მაგ. ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოება) და მათ განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნდათ. ნოდისას განმარტებით, თუკი ქართული სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მოხდებოდა ამ ტიპის ინსტიტუციების ტრადიციების გათვალისწინებით, იგი მეტად ახლო იქნებოდა დასავლური ტიპის სამოქალაქო საზოგადოებასთან (Nodia 2005).

ისტორიული წინაპირობიდან გამომდინარე, ქართული სამოქალაქო საზოგადოება კლასიკური დასავლურის, ან დღევანდელი აღმოსავლეთ ევროპის მოდელების მიღმა ჩამოყალიბდა. თავისი შინაარსითა და ავტორიტეტით იგი მეტად ახლოა არა „ეკონომიკური ინტერესის ირგვლივ გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფების, არამედ პროგრესული ლიბერალური იდეების მატარებელ მოდელთან“ (Nodia 2005). ანალიტიკოსების განმარტებით, სწორედ ამ უკანასკნელ მოდელს ერგება ილია ჭავჭავაძისა და სხვა „თერგდალეულთა“ საქმიანობა, რომლებმაც ბიძგი მისცეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებასა და ზოგადად ლიბერალური იდეებს გავრცელებას (Nodia 2005, Tevzadze 2003). სწორედ იმავე დროს შეიქმნა ბეჭდვური მედია, რომლის მეშვეობით გაჩნდა საჯარო საკითხების ირგვლივ განხილვისა და დისკუსიების შესაძლებლობა, და დაიწყო პოლიტიკური ორგანიზაციების განვითარება.

ცნობილია, რომ საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ არ დატოვა პირადი ინიციატივის ადგილი საერთო სიკეთის შესაქმნელად არც საქართველოში 1921 წელს რუსეთის შემოჭრის შემდეგ, არც აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, 1940-ან წლებში საბჭოთა ბლოკში გაერთიანებასთან ერთად. მრავალი ე.წ. „სამოქალაქო“ ორგანიზაცია, რომელიც არსებობდა საბჭოთა დროს რეალობაში წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის იმიტაციას და კონტროლირდებოდა სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რეჟიმის დასუსტებასთან ერთად სამოქალაქო საზოგადოებამ თავი იჩინა განსხვავებული ფორმებით, გაცილებით ადრე, ვიდრე ქვეყნებში შემოვიდა საერთაშორისო დონორთა დახმარება.

აღმოსავლეთ ევროპაში მრავალმხრივი და ინსტიტუციურად მძლავრი ასოციაციური სფერო უკვე 1950 წლებში მეტად გაფართოვდა, ჯერ კიდევ კომუნისტური სახელმწიფოს საზღვრებში. მაგალითად უნგრეთსა და

პოლონეთში ასეთი ორგანიზაციები უკვე 1960-ანების ბოლოს ნაკლებად ემსახურებოდნენ იდეოლოგიას და თავის თავზე აიღეს „ინტერესთა ჯგუფების“ ფუნქცია და პარტია-სახელმწიფოს უყენებდნენ ეკონომიკური შეღავათების პირობებს. 1980 წლისთვის კი ძლიერმა სავაჭრო კავშირებმა, პროფესიულ ასოციაციებმა, ეკლესიებმა და ახალგაზრდების, ფერმერთა, მომხმარებელთა, ქალთა, ეკოლოგიის დამცველ ინტერესთა ჯგუფებმა მოახერხეს პოლიტიკური კრიზისის შედეგად მასობრივი მობილიზაცია, რაც სოლიდარობის მოძრაობაში გადაიზარდა (Ekiert & Kubik 2014). ამან გამოიწვია ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება და ზრდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ჩარჩოს მიღმა.

1960-80-ანი წლების საქართველოში თავი იჩინა სამოქალაქო აქტივიზმის მრავალმა ფორმამ, როგორებიცაა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით განმსჭვალული დისიდენტური მოძრაობები და საჯარო პროტესტების კასკადი, რაც მიზნად ისახავდა საჯარო პოლიტიკის საკითხების მოგვარებას. ამ ტიპის სამოქალაქო აქტივიზმის ძირითადი მოტივაცია იყო მასობრივი მობილიზაცია საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. თავისი შინაარსით ინიციატივები „ადგილობრივ“ ხასიათს ატარებდნენ, თუმცა გადაწყვეტილებები ტოტალიტარული სახელმწიფოს სათავეში მიიღებოდა. ამ პერიოდში პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო სექტორებს შორის მკვეთრი გამიჯვნა არ ხდებოდა. აღსანიშნავია სამოქალაქო აქტივიზმის ისეთი მაგალითები, როგორიცაა 1978 წლის პროტესტი ქართული ენის სახელმწიფო ენად შენარჩუნებისთვის, ან 1980-ების პროტესტები ტრანს-კავკასიური რკინიგზის და ხუდონის ელექტრო სადგურის აშენების წინააღმდეგ.

1989 წლის შემდეგ, ქვეყნებში მძლავრი ანტი-სოციალისტური განწყობების ფონზე ლიბერალური ღირებულებების გავრცელებასთან ერთად, განსხვავებული შედეგი დადგა აქამდე სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი

„სამოქალაქო ორგანიზაციების“ კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთან შედარებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაცილებით ნაკლები დრო იმყოფებოდნენ საბჭოთა დიქტატურის ზეგავლენის ქვეშ. შესაბამისად, პოსტ-საბჭოთა ასოციაციური ცხოვრება გაცილებით ნაყოფიერ ნიადაგზე აღმოჩნდა, ვიდრე საქართველოში.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მრავალმა ასოციაციამ, რომელიც მანამდე კომუნისტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა თვით რეფორმირება განახორციელა, ახალი დემოკრატიული პირობების გათვალისწინებით. მრავალმა დაკარგა წევრები და რესურსები, დაიყო მცირე ჯგუფებად, გადაირქვა სახელები, შეცვალა ლიდერები და დღის წესრიგი, მიუხედავად ამისა, მრავალი გადარჩა და შეინარჩუნა იმ რესურსების დიდი ნაწილი, რასაც ფლობდა 1989 წლამდე. მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარების წყალობით, სექტორს ასევე შეემატა არასამთავრობო ორგანიზაციები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ფონდები, რომელთა რიცხვი დღემდე იზრდება (Edwards 2004, Ekiert & Foa 2011).

ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ანტი-სოციალისტური განწყობებიდან გამომდინარე, ე.წ. „სამოქალაქო“ ორგანიზაციებმა რეჟიმის მოსუსტებასთან ერთად სრული დისკრედიტაცია განიცადეს და დამოუკიდებლობის შემდეგ გაუქმდნენ. დღესაც- ისეთი ჯგუფები, როგორიცაა პოლიტიკური ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები ან სავაჭრო კავშირები საქართველოში არ განიხილებიან სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად და აღიქმებიან საბჭოთა წარსულის გადმონაშთად. ამის საპირისპიროდ, ისტორიული გამოცდილების შედეგად, სამოქალაქო აქტიურობა საქართველოში უტოლდება სამოქალაქო აქტივიზმს, რაც მეტად ასოცირდება დემონსტრაციებთან და ბარიკადებზე დგომასთან. შესაბამისად, მიუხედავად თითქმის 25 წლიანი ინსტიტუციური დახმარებისა

დასავლეთიდან სამოქალაქო საზოგადოების გასავითარებლად და იმ რესურსებისა, რაც ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ინიციატივებისთვის, ქუჩის აქციებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის პროცესში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის კონფრონტაციული ხასიათისა, ბოლო წლების განმავლობაში გაჩნდა მაგალითები, როცა ეს მექანიზმი არა ძალადობრივ, არამედ მეტად თანამშრომლობით და კრეატიულ ხასიათს ატარებს და მისი გამოყენებით ხელი ეწყობა ხალხის ჩართულობას ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური პრობლემის მოგვარებაში. Chatham House-ის 2013 წლის ანალიტიკური გამოცემის მიხედვით, „ახალი სამოქალაქო აქტიორები (საქართველოში) მეტად იყენებენ სამოქალაქო აქტივიზმის მობილიზაციის სტრატეგიებს და სოციალურ მედიას, და მეტად ჩანან საჯარო სივრცეში. სავარაუდოა, რომ ისინი მეტად ეფექტურნი არიან სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით, ვიდრე დასავლეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები“ (Lutsevych 2013).

ლონდონის ეკონომიკის სკოლა (n/d) თანამედროვე და გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას განმარტავს, როგორც „*იმ ინსტიტუციების, ორგანიზაციების, სუბიექტების, ფასეულობების, ქსელებისა (..და სხვა) ერთობას, რაც დგას სახელმწიფო ეკონომიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა*“.

თუკი სამოქალაქო საზოგადოების ირგვლივ დისკუსიას ზემო დეფინიციაზე დავაფუძნებთ, თავისი შინაარსით „არასამთავრობო“ ორგანიზაციები ასოციაციური ცხოვრების მხოლოდ ქვე-კომპონენტია. შესაბამისად, ტრანსნაციონალური და ფართომასშტაბიანი კვლევების „ვიწრო“ შეფასება და კრიტიკული მოსაზრებები მხოლოდ ცალსახად ასახავს ქვეყნის სამოქალაქო

საზოგადოების ზეგავლენის რეალურ მდგომარეობას. თუკი ინდივიდუალურად მივუდგებით ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების დახასიათებასა და ზეგავლენას და გავითვალისწინებთ კონკრეტული პოსტ-საბჭოთა ქვეყნის მახასიათებლებს, როგორცაა კომუნისტური ლიდერების ზეგავლენის სიმძლავრე და დამოკიდებულება ასოციაციური ცხოვრების მიმართ, კომუნიზმის დამხობის შემდეგ ახალი ორგანიზაციების მშენებლობაში ჩადებული ენერჯია, ქვეყნის ისტორიული გამოცდილება და ტრადიცია, მოხალისეობრივი პრაქტიკა და დღევანდელი პოლიტიკური გარემო - ქვეყნების ასოციაციური ცხოვრების მოდელის ჩამოყალიბება განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

1. პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებები ნულიდან არ შექმნილა და უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან წარმოადგენდნენ საზოგადოების საკმაოდ მძლავრ და ფუნქციონალურ სეგმენტს როგორც პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებსა და ფინეთში, ასევე საქართველოში (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) (CIVICUS 2010);
2. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება 1989 წლის მოვლენებს, რომელიც უდავოაა აღიარებული, როგორც სამოქალაქო საზოგადოებების მოძრაობების გამარჯვებად მონოლითური კომუნისტურ რეჟიმებზე (Ekiert & Foa 2011). აქ აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ ა) დაიწყო განვითარება როგორც დასავლური ტიპის ინსტიტუციონალიზებული ასოციაციების ერთობამ და ბ) ისტორიული წინაპირობიდან გამომდინარე გააიგივა ოპოზიციურ (დისიდენტურ) ჯგუფებთან, რაც დაკავშირებულია შესაბამისი ტიპის სოციალური კაპიტალის არსებობასთან;

3. კომუნისტური რეჟიმები არა მხოლოდ ახშობდნენ დამოუკიდებელ სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, არამედ აქტიურად აშენებდნენ საკუთარ ასოციაციურ სტრუქტურებს (სავაჭრო კავშირები და პროფესიული ასოციაციები, ეკლესიები და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების -ახალგაზრდების, ფერმერების, ვეტერანების, მომხმარებლების, ქალთა, ეკოლოგისტთა, სპორტისა და სხვა), რაც ქმნიდა მძლავრ ინტელექტუალურ და ინსტიტუციურ პოტენციალს, რომელიც გარკვეული ქვეყნების შემთხვევაში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ჩარჩოს მიღმა, ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში;
4. ქვეყნები, რომლებმაც ისტორიულ პროცესში მეტად ადრე გადადგეს ნაბიჯები დემოკრატიზაციის კუთხით, გაცილებით წინ არიან თოქვილისეული სამოქალაქო საზოგადოების ყველა სეგმენტის განვითარების კუთხით;
5. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენის შესაფასებლად, მოსახლეობის ოპოზიციური კულტურა, როგორც სოციალური კაპიტალის ნაწილი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს.

ზემოაღნიშნულიდან ვლინდება ის განსხვავებები, რამაც უნდა განაპირობოს პოსტ-საბჭოთა სივრცის ასოციაციური ცხოვრების განსხვავებულობა, არა მარტო ზოგადად ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებებს, არამედ თავად ამ კონცეფციაში შემავალ ერთეულებსა და სუბიექტებს შორის. შესაბამისად ნათელია, რომ თავად ტერმინი „პოსტ-საბჭოთა სამოქალაქო საზოგადოება“ აღარაა აქტუალური და ვერ აკმაყოფილებს სამოქალაქო საზოგადოების შეფასების თანამედროვე სტანდარტებსა და კრიტერიუმებს.

5.2 ინსტიტუციონალიზებული და არა- ინსტიტუციონალიზებული ასოციაციები საქართველოში

5.2.1 არა-სამთავრობო ორგანიზაციების ფენომენი

ისტორიული გამოცდილებისა და თეორიების შესწავლა გვაჩვენებს, რომ სამოქალაქო მონაწილეობისა და ჩართულობის მექანიზმები ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. ამ მექანიზმების ნაწილი ეროვნული ტრადიციებისა და სამოქალაქო კულტურის შემადგენელია, ხოლო ნაწილი შემუშავდა და ჩამოყალიბდა პოსტ-საბჭოთა კონტექსტში, დასავლური ლიბერალური მოდელის განვითარების პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის მეშვეობით.

მრავალი პოსტ-საბჭოთა ქვეყნის მსგავსად, საქართველოში ტერმინის „სამოქალაქო საზოგადოება“, როგორც სახელმწიფოსა და ბიზნესისგან დამოუკიდებელი ქცევითი და ინსტიტუციური ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინის გამოყენება შედარებით გვიან- მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო. კომუნისტური რეჟიმის შედეგად, „სამოქალაქო საზოგადოება გადაიქცა მოსახლეობის სეგმენტად, რომელსაც არ ქონდა უნარი წვლილი შეეტანა დემოკრატიის ან ბაზრის განვითარებაში, ან შეწინააღმდეგებოდა ავტორიტარიზმს“ (Ekiert & Kubik 2014). 1991 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ევროპელმა და ამერიკელმა პარტნიორებმა მიზნად დაისახეს ახალი- დასავლური ტიპის სამოქალაქო საზოგადოების შექმნა-განვითარება, რაც წინ აღუდგებოდა ძალაუფლების მონოპოლიას, დააბალანსებდა სახელმწიფო ინსტიტუტებს, ან შეავსებდა მათ მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკას. ამ პროცესში ბუნებრივად იქნა გათვალისწინებული და შეთავსებული როგორც ასოციაციონალიზმის (ასოციაციური დემოკრატიის), ასევე თათბირობითი (ან მონაწილეობითი) დემოკრატიის კონცეფციები. აღსანიშნავია, რომ ამ ორი კონცეფციის გამოყენება მართლზომიერადაა მიჩნეული მხოლოდ წარმომადგენლობითი

დემოკრატიის შემავსებელ და არა სრულად ჩამნაცვლებელ მექანიზმებად. ამასთან, ნავარაუდები იყო, რომ ასოციაციონალიზმი უზრუნველყოფდა ასოციაციების არსებობას, რომელნიც წარმოადგენდნენ თითოეული მოქალაქის ხმას, ხოლო თათბირობითი დემოკრატია უზრუნველყოფდა სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის დიალოგსა და თანამშრომლობას (Fererra n.d., Anheier & Toepler eds. 2010).

ამ პერიოდის საქართველოში უკვე მკვეთრად გაიმიჯნა სამოქალაქო ორგანიზაცია პოლიტიკური მოძრაობისგან და, სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მსგავსად, ქვეყანაში გაცოცხლება დაიწყო ასოციაციურმა ცხოვრებამ, ე.წ. არამომგებიანი არასამთავრობო ორგანიზაციების სახით.

ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, მეტ წილად, მოქმედებენ ასოციაციური დოქტრინის შესაბამისად, რომელიც, სხვა მრავალი პოლიტიკური დოქტრინისგან განსხვავებით, უარყოფს საზოგადოებაში ყველა საჯარო და კერძო საქონელისა და მომსახურების უზრუნველყოფას დიდი და იერარქიულად მართვადი სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ (Hirst 2011). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სრულად არ მოხდა დოქტრინისეული სრული სახელმწიფო დეცენტრალიზაცია, საჯარო მომსახურების პრივატიზების ფართოდ გავრცელება და სამთავრობო ერთეულების გარდაქმნა კვაზი-ავტონომიურ სააგენტოებად - სამოქალაქო სექტორის განვითარებას ხელი შეეწყო სწორედ საზოგადოებაში არსებულ პრობლემების მოსაგვარებლად სამი ძირითადი მიმართულებით. კერძოდ, მესამე სექტორი აკონტროლებს ხელისუფლებას, „ავსებს“ მის საქმიანობას და მომსახურებას უწევს როგორც ხელისუფლებას, ასევე საზოგადოებას. ნაგულისხმებია, რომ ამ გზით ამოქმედდება დემოკრატიული მმართველობის მექანიზმები როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორებში, ხალხი მეტად გააკონტროლებს „საჯარო სიკეთეს“ (public good), რაც, იდეალურ შემთხვევაში, წაშლის ზღვარს საჯარო და კერძო სექტორებს შორის.

ახალი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროცესში თათბირობით (ან მონაწილეობით) დემოკრატიაზე ყურადღების გამახვილება განპირობებული იყო იმით, რომ თათბირობით დემოკრატიაში პროცესის ხარისხი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი და იგულისხმება, რომ „მმართველი აღიარებს თავის პასუხისმგებლობებს სოციალური წესრიგის წინაშე და უარს ამბობს რადიკალურ ზომებზე“ (Hirst 2011). კონცეფციის პრინციპების გამოყენებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ სამოქალაქო მონაწილეობასა და ჩართულობას, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციის სრულფასოვან გაცვლას და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში წვლილის შეტანას. მრავალი საერთაშორისო დონორი, როგორცაა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გაეროს განვითარების ფონდი (UNDP), გერმანიისა და შვედეთის მთავრობები და სხვა შემოვიდნენ ინიციატივებით, რათა „გაეერთიანებინათ ადამიანები, რომელნიც თავად ვერ ერთიანდებოდნენ“ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში წვლილის შესატანად (Fukuyama 1999). ამასთან, თათბირობითი დემოკრატის პრინციპების უზრუნველსაყოფად, დასავლელი პარტნიორების მიერ საქართველოში წახალისებულ იქნა მთავრობისა და მოქალაქეთა თანამშრომლობის მრავალი ფორმა. ერთის მხრივ ხელი ეწყობოდა და იხვეწებოდა სამოქალაქო საზოგადოების საკანონმდებლო ბაზა, მეორეს მხრივ კი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გაეწიათ დახმარება ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგისა და, მოგვიანებით, საჯარო პოლიტიკის ადვოკატირებისთვის.

საქართველოში ახალი რესურსების ხელმისაწვდომობამ წახალისა აქტიური მოქალაქეები და დროის მცირე მონაკვეთში (1992-1995) არამომგებიანი

ორგანიზაციების რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია (Nodia 2005) და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მონაცემით 2013 წლის დეკემბერში საქართველოში რეგისტრირებული იყო 18,733 ა(ა)იპ¹⁰, ხოლო საჯარო რეესტრის 2015 წლის ივნისის მონაცემით ეს რაოდენობა 21,097-მე გაიზარდა. იმის გამო, რომ 2011 წლიდან ა(ა)იპ სტატუსი ასევე შეეძინა ხელისუფლების მიერ მართულ ორგანიზაციებს, როგორცაა საბავშვო ბაღები, საჯარო უნივერსიტეტები და სხვა, სამოქალაქო ორგანიზაციების რეალური რაოდენობის დადგენა შეუძლებელია (Nodia 2005). მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციების მხოლოდ 10% რეალურად ოპერირებს. ამასთან, მარტივად იდენტიფიცირებადი და ხელმისაწვდომია დაახლოებით 150 ორგანიზაცია, რომლიდანაც საქმიანობის შედარებითი უწყვეტობა აქვს დაახლოებით 50 ორგანიზაციას. 2014 წლის მონაცემით კი, საქართველოს მოსახლეობა სწორად ახდენს 5-დან 10-მე არასამთავრობო ორგანიზაციის იდენტიფიცირებას (CRRC 2014). თბილისში არსებული სამოქალაქო ორგანიზაციების რიცხვი ორჯერ აღემატება რეგიონებში არსებულს.¹¹ სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა აცხადებს, რომ ფარავს საქმიანობათა ფართო სპექტრსა და დარგებს, რაც დასტურდება მათი წესდებით (Nodia 2005, CIVICUS 2010).

მიღებულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები განვითარების პოლიტიკის ერთერთი მთავარი მოთამაშეები არიან. დაფუძნების დღიდან მათ მიერ განხორციელებული პროგრამების პრიორიტეტები ფართო სპექტრისაა : დასავლური ტიპის ლიბერალური ღირებულებების გავრცელება, სიღარიბის

¹⁰ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ოფიციალური სტატუსი საქართველოში

¹¹ თბილისის მოსახლეობა შეადგენს საქართველოს პოპულაციის 30%-ს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ოსეთის გამოკლებით (Nodia 2005)

შემცირება, ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო განათლება, გარემოს დაცვა, სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგი, სამოქალაქო ადვოკატირება, ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფა და სხვა.

ამ ორგანიზაციების ერთობლიობა - დასავლეთის მიერ ფინანსური ან ტექნიკური დახმარების გზით მხარდაჭერილი მესამე სექტორი (ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები) საქართველოში ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების სინონიმად და მონოპოლიზება გაუკეთა ამ თემის ირგვლივ დისკურსს. სამოქალაქო საზოგადოების კლასიკურ განმარტებაში შემავალი ერთეულები, როგორცაა რელიგიური ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, პოლიტიკური პარტიები და სხვა¹² განიხილებიან სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებისა და ანალიტიკოსების მიერ. ასევე „ჩარჩოს“ მიღმა დარჩნენ სამოქალაქო აქტივობისა და ჩართულობის არა-ინსტიტუციური ფორმები, როგორცაა საინიციატივო ჯგუფები, ქუჩაში საპროტესტოდ გამოსული „აქტიური მოქალაქე“ ან სოციალური მოძრაობა.

დასავლეთის მიერ წახალისებული მესამე სექტორი „მომსახურებას“ უწევს დონორებს და, სადაც შესაძლებელია, ხელისუფლებას (მაგ: ჯანდაცვის, ამომრჩეველთა განათლების, ყოფილი პატიმრების რეინტეგრაციისა და სხვა მიმართულებით). ისინი შეისწავლიან და აფასებენ საჯარო პოლიტიკის საკითხებს, წერენ ანგარიშებს, მართავენ ტრენინგებს როგორც საზოგადოების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენელთათვის, აწყობენ სხვადასხვა ტიპის თემატურ კონფერენციებს, მონაწილეობენ ეროვნულსა და საერთაშორისო ღონისძიებებში და სხვა. USAID-ის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, სამოქალაქო სექტორისა და საქმიანობის ცნობადობა საზოგადოებაში იზრდება (USAID 2014).

¹² პროფესიული კავშირები, რელიგიური ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები არ წარმოადგენენ მოცემული კვლევის ინტერესის საგანს

USAID-ს 2014 წლის არასამთავრობო ორგანიზაციის მდგრადობის კოეფიციენტის ანგარიშის მიხედვით, 1-დან 7-მდე შკალაზე, სადაც 1- მეტად განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაზე მიუთითებს და 7- მეტად სუსტ-საქართველოს არასამთავრობო სექტორის კოეფიციენტია 4.1. USAID - ს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობა საქართველოში პირველად 1998 წელს შეფასდა და მას შემდეგ 3-სა და 4-ს კოეფიციენტს შორის მერყეობს.

ქართული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებისას, ექსპერტები ხშირად მთავარ გამოწვევად ასახელებენ ორგანიზაციების მოხალისეობრივ შინაარსს და ინდივიდუალური მოხალისეების ჩართვას ადვოკატურების პროცესში.

საკითხის გაანალიზებისას ერთის მხრივ ნათელია, რომ საქართველოში ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ფენომენი არაა მოხალისეობრივი, ამ ცნების პატნამისეული განმარტებით. 1990-ან წლებში, სექტორის შესაქმნელად და წასახალისებლად გამოყენებული ვერტიკალური („დონორი-სექტორი“) მოდელი ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. იგივე მოდელმა ზეგავლენა მოახდინა ინდივიდუალურ მოხალისეობაზე, რადგან სექტორი დასაქმების (სტაჟირების) მიმზიდველ საშუალებად აღიქმება. გამოკითხული სს ორგანიზაციების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ეპატიჟებიან და იზიდავენ ინდივიდუალურ მოხალისეებს, თუმცა მათთვის, როგორც წესი, უცნობია ორგანიზაციის სოციალური მისია და პროექტში მოხალისედ ჩართვის შედეგად საქმდებიან იგივე ორგანიზაციაში.

მიუხედავად ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლების ანაზღაურება, როგორც ასეთი, არაა მხოლოდ საქართველოს, ან პოსტ-საბჭოთა სივრცის ფენომენი, რადგან მრავალი ასოციაცია (მათ შორის

დასავლეთში) იმართება ანაზღაურებულ პროფესიონალთა მიერ და ინდივიდუალური მოხალისეობის შედეგი შეიძლება იყოს როგორც გამოცდილების დაგროვება, ასევე ანაზღაურება და დასაქმება (Edwards 2004). ზემოაღნიშნულთან ერთად, კვლევის ფარგლებში შესწავლილ სსო-ის თანამშრომლების უმეტესობა საკუთარ თავზე იღებს და ახორციელებს აქტივობებს, რომელიც არაა გათვალისწინებული დაფინანსებული პროგრამებით, მოხალისეობრივ საწყისებზე. ცნობილია ასევე შემთხვევები, როცა დონორთა მიერ დაფინანსების შეზღუდვის პირობებში (2004-2007) გარკვეულმა ორგანიზაციებმა არ შეწყვიტეს ფუნქციონირება და გააგრძელეს დეკლარირებული სოციალური მისიის აღსრულება. შესაბამისად, Edwards-ის მოხალისეობის კრიტერიუმები, როგორცაა „ასოციაციის წევრობის თავისუფლება“, „გასვლის შესაძლებლობა“ და „მოხალისეობრივი მექანიზმების“ გამოყენება დაცულია „ახალგაზრდა ეკონომისტთა კავშირის“, ასოციაცია „დეას“, „მწვანე ალტერნატივას“, CIVITAS Georgica-სა და სხვა სს ორგანიზაციების მიერ.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ორგანიზაციათა დიდი უმრავლესობა მკაცრად იცავს დეკლარირებულ მანდატს და ახორციელებს მხოლოდ ისეთ პროექტებს, რომელიც ეხმიანება ორგანიზაციის სპეციფიკის და ფარავს ექსპერტიზის სფეროს. ამასთან, გვხვდება შემთხვევები, როცა დეკლარირებული მანდატის მიუხედავად, ორგანიზაცია წამოწევს თემას საკითხისადმი აქტუალობის შესაძენად. მიუხედავად იმისა თუ რამდენად აქტუალურია სსო-ის მიერ წამოწეული საკითხი, მანდატის „ფარგლებს გარეთ“ გასვლას არ მიესალმებიან სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლები. მწვავე კრიტიკა ისმის განსაკუთრებულად იმ შემთხვევებში, როცა „მანდატის მიღმა“ საკითხის წამოწევა ხდება საჯარო ფორმით. მრავალი სს ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ რამდენიმე სსო-ს პოლიტიკურად აქტიური ლიდერები ზედმეტად გასცდნენ ორგანიზაციის მანდატს, ჭარბათ შეიჭრნენ პოლიტიკაში

და პრაქტიკულად დაკარგეს სოციალური ფუნქცია, რამაც გამოიწვია მთლიანად სექტორის დისკრედიტაცია. ასევე აღნიშნავენ 2012-2016 წლებში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების სამოქალაქო სექტორში წამოსული (ან დაბრუნებული) პიროვნებების როლს სექტორის დისკრედიტაციის საქმეში. რამდენიმე გამოკითხული სსო-ს წარმომადგენელი ექვის ქვეშ აყენებს ყოფილი მთავრობის წევრების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, რაც მათი თქმით გამართლდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში რამდენიმე ლიდერის პოლიტიკაში დაბრუნებით. სამოქალაქო სექტორის „პოლიტიზება“ აიხსნება გარკვეული გარემოებებით. ერთერთ მიზეზია თავად არამომგებიანი სექტორის „პერსონიფიცირება“, რაც გამოწვეულია აქტიური ლიდერების მცდელობით წინ წამოწიონ და საზოგადოებას გააცნოს ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენენ. გამომდინარე იქიდან, რამდენად კარგად ახერხებს ლიდერი ორგანიზაციის მანდატის „შენარჩუნებას“ და ორგანიზაციის სახელით საუბარს- იმდენად აიგივებენ მას სოციალურ ან პოლიტიკურ თემასთან. ამასთან, რაც მეტად აქტიურია ლიდერი და მეტ პოლიტიკურ საკითხს ეხება საჯარო გამოსვლებში - მეტად ხდება მისი გაიგივება პოლიტიკასთან საზოგადოების მხრიდან. ორგანიზაციები აღიარებენ, რომ არსებობენ „ადამიანი-ენ-ჯე-ო-ები¹³“ და „ორგანიზაცია ენ-ჯე-ოები“ და პირველის შემთხვევაში საზოგადოებისთვის ჩრდილში რჩება საქმიანობის ის ფართო სპექტრი, რასაც წარმატებით ახორციელებს სექტორი.

5.2.2 სოციალური მოძრაობები და სხვა სამოქალაქო აქტივიზმი

21 -ე საუკუნემ უკვე მკაფიოდ დაადგინა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური, სოციალური ან ფასეულობითი ცვლილების მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ ინსტიტუციურად ორგანიზებული სამოქალაქო სექტორის დახმარებით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დახვეწილი ან სრულყოფილია იგი და მისი

¹³ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მოსახსენიებელი სლენგი: Non-Governmental Organization (NGO)

საქმიანობა. ტრადიციულ თათბირობით, მაკონტროლებელ ან ლობისტურ მექანიზმებთან ერთად, დღევანდელ დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება *სამოქალაქო ჩართულობას*, საჯარო პოლიტიკაზე, სოციალურ ცვლილებაზე და სოციალურ ნორმათა ცვლილებაზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად. სამოქალაქო ჩართულობის ერთერთ მძლავრ მექანიზმად *სამოქალაქო აქტივიზმს* განიხილავენ.

მე-20 საუკუნის 60-ან წლებში სამოქალაქო აქტივიზმს ხშირად აიგივებდნენ დემონსტრაციებსა და ბარიკადებზე დგომასთან, უწოდებდნენ ირაციონალურს, განიხილავდნენ ნეგატიურ კონტექსტში და, მეტ წილად, უკავშირებდნენ „იზოლაციაში მყოფი ადამიანების სურვილს გარეოდნენ მასებს, საკუთარი სოციალური მარგინალიზაციის ჩასანაცვლებლად“ (Della Porta, Diani, 1999, 2006).

საქართველო იცნობს “დემონსტრაციებისა და ბარიკადების“ ტიპის სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითებს. როგორც 1970-ან, ასევე 1990-ან და 2003-2012 წლებში აქტივიზმი პოლიტიკური პროტესტის ხასიათს ატარებდა. თუმცა, მათ ვერ უწოდებ ირაციონალურსა და მტრულს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენად შენარჩუნების მოთხოვნებისას, „ვარდების რევოლუციისას“ თუ ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს ქართველები არ ამსხვრევენ ვიტრინებს, არბევენ მაღაზიებს, წვავენ შენობებსა და ავტომანქანებს ან მარადიორობენ. უფრო მეტიც, საქართველოში ქუჩის პროტესტი ხშირად წარმოადგენს საჯარო სივრცის პლატფორმას, სადაც ხალხი ხვდება ერთმანეთს, ახდენს სოციალიზაციას და, პროტესტთან ერთად, ერთობა.

ანალიტიკოსების მიხედვით, სოციალური აქტივიზმი მიზნად ისახავდა საჭირბოროტო საკითხისადმი ყურადღების მიქცევას და ითვლება, რომ მსგავსი აქტიურობა, ხშირ შემთხვევაში, არაა განპირობებული კონსესუსის მიღწევის სურვილით. ამასთან ითვლება, რომ სამოქალაქო აქტივიზმი მიზნად ისახავს დაარწმუნოს და ინფორმაცია მიაწოდოს ადამიანებს, ან წამოაყენოს საჭირბოროტო საკითხი განსახილველად (Della Porta, Diani, 1999, 2006). ამ კუთხით აქტივიზმი განიხილება, როგორც ლობირებისა და/ან დიალოგის საპირისპირო მექანიზმი. 1970-ანი წლების ამერიკელმა სოციოლოგებმა შეისწავლეს ის პროცესები, რომლის მეშვეობით ხდებოდა კოლექტიური ქმედებისთვის რესურსების მობილიზება და დაადგინეს, რომ კოლექტიური მოძრაობები წარმოადგენენ პოლიტიკური მოქმედების სტანდარტულ გაგრძელებას. ამასთან, ზემოხსენებული ნეგატიური ვარაუდები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ევროპის ქვეყნებში სოლიდარობის მრავალი ქსელების არსებობამ (Della Porta & Diani, 1999, 2006). აღსანიშნავია, რომ ამ მოძრაობების აქტიორები პროცესში ერთვებიან საკუთარი რაციონალური ინტერესების გათვალისწინებით და, შესაბამისად, სამოქალაქო აქტივიზმის ინიციატორ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ მოქმედებისთვის საჭირო კოლექტიური რესურსების მობილიზაციის კონტექსტში. „კოლექტიური მოძრაობა“ კი განისაზღვრა, როგორც მნიშვნელოვანი აქტი, რომელიც ხშირად ხელს უწყობს „აუცილებელს და სარგებლის მომტან სოციალურ ცვლილებას“ (Della Porta & Diani, 1999, 2006). შესაბამისად, დღევანდელ დღეს კოლექტიური ქმედება სამოქალაქო აქტივიზმის, ან სოციალური მოძრაობის ფორმით წარმოადგენენ ნორმალური პოლიტიკური პროცესის ნაწილს.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას შეემატნენ საქართველოს კონტექსტში სამოქალაქო საზოგადოების „ჩარჩოს“ მიღმა დარჩენილი სამოქალაქო აქტივობისა და ჩართულობის არა-

ინსტიტუციური ფორმები: ინტერესთა და საინიციატივო ჯგუფები, სოციალური მოძრაობები და სხვა, რომელთა საქმიანობა მეტად ხასიათდება, როგორც *სამოქალაქო აქტივიზმი*. ამ ტიპის ორგანიზაციებისა და მათი წევრების საქმიანობა მეტად მოხალისეობრივია, ამ ცნების კლასიკური განმარტებით. ამ ორგანიზაციების (დონორთა რჩევით, რათა შესაძლებელი გამხდარიყო დონორის საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღება¹⁴) გაიარა რეგისტრაცია და დაფუძნდა როგორც ა(ა)იპ, ნაწილი კი, საზოგადოებრივი სტატუსისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების, ასევე ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების თავიდან აცილების გამო, შეგნებულად არ რეგისტრირდება, შესაბამისად უარს ამბობს დონორის დაფინანსებაზე. სამოქალაქო აქტივისტი ორგანიზაციების სტრუქტურა (არსებობის შემთხვევაში) მეტად მოქნილი და (ხშირად) ქაოტურია. ისინი მოქმედებენ თავისუფალ რეჟიმში, არ ყავთ გამოკვეთილი ლიდერი, როგორც წევრობა, ასევე გასვლა ორგანიზაციიდან ნებაყოფლობითია და თავისუფალია ყოველგვარი ვალდებულებებისგან. ამ ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა ხალხის მობილიზაცია, ქუჩის პროტესტები და სამოქალაქო ატავიზმისთვის დამახასიათებელი სხვა საქმიანობაა. მიუხედავად ამისა, ამ ტიპის სს ორგანიზაციებმა შეითავსეს დონორთა მიერ წახალისებული ე.წ. უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებენ საჯარო პოლიტიკის ცვლილებაზე მიზანმიმართულ მოლაპარაკებებს და მიმართავენ სასამართლო დავებს.

ადვოკატირების კამპანიის წამოწყებისთვის სამოქალაქო აქტივისტი ორგანიზაციებისთვის საკმარისია მათი რწმენის საპირისპიროდ შექმნილი ერთი ადამიანის მდგომარეობა ან საზოგადო ვითარება, რაც გადაიზრდება

¹⁴ დონორთა „განვითარების დახმარების“ პოლიტიკა არ ითვალისწინებს ფიზიკური პირების დაფინანსებას საგრანტო პროექტის ფარგლებში. დღემდე არსებული იშვიათი გამონაკლისების (მაგ. EWMI G-PAC პროექტი) შემთხვევაში ფიზიკურ პირზე საგრანტო ფულის ანგარიშგება გართულდა ქართული საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობის გამო

ხანგრძლივ ადვოკატირებაში, ინდივიდუალურად ან/და თანამოაზრეებთან ერთად, სამოქალაქო აქტივიზმის მეთოდების გამოყენებით.

გამომდინარე იქედან, რომ სამოქალაქო აქტივისტების მიერ ადვოკატირების პროცესში წამოწეული სოციალური პრობლემები ეხმიანებიან ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებსა და ღირებულებას, რაც ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის ქართული სოციუმის ნორმებთან, სამოქალაქო აქტივისტების პოლიტიკის ადვოკატირება კონკრეტული გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად ამისა, თუკი მივიჩნევთ, რომ სამოქალაქო მონაწილეობის ნორმების, მეთოდებისა და ბუნების შესაფასებლად, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებზე ზეგავლენის შედეგების დასადგენად აუცილებელია კონკრეტული საზოგადოების მოქალაქეთა აქტიურობის (civic action) ისტორიული წინაპირობისა და ტრადიციების გაანალიზება, ნათელია, რომ სამოქალაქო აქტივიზმის (ახალი ფორმით) გაჩენა დაკავშირებულია ქართულ სოციალურ კაპიტალთან, რომლის განუყოფელ ნაწილს ოპოზიციური კულტურა წარმოადგენს.

გამომდინარე იქედან, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოება, როგორც სახელმწიფოსა და ბაზრისგან დამოუკიდებელი ქცევითი და ინსტიტუციური ფენომენი გამდიდრდა სამოქალაქო აქტივისტი ორგანიზაციებით, კვლევის ფარგლებში პოლიტიკის ადვოკატირების ირგვლივ მსჯელობისას ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში გაერთიანებული ორგანიზაციები პირობითად გაიმიჯნა. კერძოდ, დასავლური ტიპის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები მოხსენიებულნი არიან, როგორც სს1 ორგანიზაციები, ხოლო აქტიური მოქალაქეების ფორმალური ან არაფორმალური კავშირები სს2 ორგანიზაციებად.

5.2.3 სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატორების ამოცანები

გამომდინარე იქიდან, რომ არჩევნების გზით მოსული უმრავლესობის საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებები ავტომატურად ვერ იქნება დემოკრატიული, ქართული სამოქალაქო სექტორის საქმიანობა, მიუხედავად დარგისა და გახორციელებული პროექტებისა, მნიშვნელოვნად შეიცავს პოლიტიკაზე და მის შედეგებზე ზეგავლენის ელემენტებსა და ბერკეტებს.

ანალიტიკოსების მიერ „ადვოკატორების ორგანიზაციები“ სამოქალაქო საზოგადოების ცალკე კატეგორიად მიიჩნევა და მოიცავს ა) *ინტერესთა ჯგუფებს*, ბ) *სოციალურ მოძრაობებსა* და გ) *ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციებს*. აქ ინტერესთა ჯგუფი ფართოდ განისაზღვრება როგორც „პოლიტიკური სისტემისგან დამოუკიდებელი მოხალისეობრივი ასოციაციები, რომლებიც ცდილობენ მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენას“ (Burstein 1998, Walker 1991, Wilson 1973 ციტ. Andrews და Edwards 2004), ხოლო სოციალური მოძრაობები (სამოქალაქო აქტივიზმი) უკავშირდება „კოლექტიური სარგებლისთვის ბრძოლას და წარმოადგენს ორგანიზაციათა კომპლექსურ ერთობას“ (Zald & McCarthy 1987, ციტ. Andrews და Edwards 2004). „ადვოკატორების ორგანიზაციების“ კატეგორიაში შესული ე.წ. არამომგებიანი ორგანიზაციები წარმოადგენენ მესამე სექტორის ქვე-კატეგორიას, რომელთაც საერთო დემოკრატიზაციაში წვლილის შეტანასა და მომსახურებასთან ერთად აქვთ პოლიტიკური წარმომადგენლობისა ან ადვოკატორების ფუნქცია.

თუკი მე-20 საუკუნის 90-ან წლებში დონორთა მიერ მხარდაჭერილი პროგრამები მეტ წილად მესამე სექტორის შიგნით (დონორი-სამოქალაქო საზოგადოება- ბენეფიციარები), სს1 ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა, 21-ე საუკუნის დასაწყისიდან განვითარების პროგრამებს შეემატა პოლიტიკის ადვოკატორება, ქვეყნის საჭირობო საკითხების ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მოსაგვარებლად. ამ ტიპის პროექტების ხელშეწყობამ, განვითარების

დახმარების პროგრამების ფოკუსი გააფართოვა და საჯარო პოლიტიკის ზეგავლენის დონეზე გაიყვანა (დონორი-სამოქალაქო საზოგადოება-მთავრობა-ხალხი) (იხ. სურათი N5).

საქართველოს სს1 (ე.წ არასამთავრობო სექტორის) შექმნა-განვითარების ისტორიიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ საჯარო პოლიტიკის საჭირობო ტო თემების წამოწევა (საგრანტო პროგრამების სახით) და მათზე რეაგირება (სს1 ორგანიზაციების მხრიდან) სწორედ დონორთა დახმარებით ხდება. მიუხედავად ამისა, ეს პრაქტიკა ნელ-ნელა იცვლება და სექტორის გაძლიერებასა და განვითარებასთან ერთად გაჩნდნენ ორგანიზაციები, რომელნიც თავად სთავაზობენ თემებს როგორც დონორებს, ასევე საქართველოს საზოგადოებასა და ხელისუფლებას.

საქართველოში დონორთა მიერ მხარდაჭერილი სს1 ორგანიზაციები „ადვოკატირების ორგანიზაციების“ ზემოხსენებულ მესამე- „გ“ კატეგორიას წარმოადგენს, თუმცა ქართულ რეალობაში ამგვარი ქვე-კატეგორიის გამოყოფა ძნელია სს1 ორგანიზაციების საერთო რაოდენობიდან. ეს განპირობებულია იმით, რომ სს1 ორგანიზაციების საქმიანობა გულისხმობს საზოგადოების ყველა დონეზე ინტერვენციას პოზიტიური ცვლილებებისთვის და დონორთა მიერ ადვოკატირების პროექტების დაფინანსებასთან ერთად, ძნელი მოსაძებნია სსო-ა რომელსაც არ აქვს გახორციელებული (ინდივიდუალური ან ფართო-პოლიტიკური) ადვოკატირების კამპანია, შესაბამისად, პოლიტიკის ადვოკატირება სწორედ ამ სექტორის „მოვალეობად“ იქცა.

სს2 ორგანიზაციებში შემავალი *ინტერესთა ჯგუფები, სოციალურ მოძრაობები* და სხვა თავისთავად წარმოადგენენ „ადვოკატირების ორგანიზაციებს“, რაც ბუნებრივად აკისრებს მათ ზემოხსენებულ ყველა მოვალეობას.

პოლიტიკის ადვოკატირება პრიორიტეტული გახდა გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროცესი პოლიტიკური ალტერნატივის შემუშავებასა და შეთავაზებასთან ერთად გულისხმობს მოსახლეობის შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვას, პოლიტიკურ და საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, ნავარაუდევია, რომ პოლიტიკის ადვოკატირებამ უნდა უზრუნველყოს პლატფორმა ფართომასშტაბიანი მონაწილეობისთვის, რაც მოითხოვს საზოგადოებაში ნდობასა და ფასეულობების სისტემაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას და კოლექტიური ქმედების წახალისებას, რათა მეტი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალური კაპიტალის განვითარებაში.

ადვოკატირების ბერკეტები, ბუნებრივია, შეესაბამებიან და გამომდინარეობენ ადვოკატირების ირგვლივ ანალიტიკური დისკუსიებიდან და პრაქტიკული შეფასებებიდან. 21-ე საუკუნეში Hancock-ის და Labonte-ს ლობირება, Jenkins-ის “ინსტიტუციურ ელიტებზე ზეგავლენის მცდელობა“, Rektor--ის „ინფორმაციის გაცვლა“ და სხვა სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები და თეორიები შეჯამდა და გაერთიანდა ერთიანი ცვლილების თეორიაში. შესაბამისად ითვლება, რომ ადვოკატირება, როგორც პოლიტიკური პროცესი შესაძლებელია შეიცავდეს სამოქალაქო მონაწილეობის აქტივობების ფართო სპექტრს და არ გამორიცხავს არცერთ საქმიანობას, რაც მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების შიგნით.

ანალიტიკოსები და მკვლევარები განსაზღვრავენ იმ მნიშვნელოვან ზეგავლენას ადამიანთა და თემთა ცხოვრებაზე, ინსტიტუციებსა და სისტემებზე, რაც გამომდინარეობს პოლიტიკის ადვოკატირებიდან. A Guide to Measuring Advocacy and Policy (Annie E. Casey Foundation 2007) განსაზღვრავს პოლიტიკის ადვოკატირების შედეგების შემდეგ კატეგორიებს:

- ცვლილება სოციალურ ნორმებში: ცოდნა, დამოკიდებულება და ქცევა, რაც შეადგენს საზოგადოების ნორმატიულ სტრუქტურასა და კულტურას
- გაძლიერებული ორგანიზაციული შესაძლებლობები: ორგანიზაციული უნარები, ლიდერობა, კადრები, ორგანიზაციული სტრუქტურა და სისტემები, ფინანსები და სტრატეგიული დაგეგმარება¹⁵
- გაძლიერებული ალიანსები: სოციალური მისიის ირგვლივ კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება, საზოგადოების წევრებისა და სისტემური პარტნიორების (პოლიტიკური პარტიების, მოწინააღმდეგეებისა და სხვა არატრადიციული ალიანსების ჩათვლით)
- მხარდაჭერის ველის გაძლიერება/გაფართოვება: კონკრეტული პოლიტიკის ცვლილებისთვის პირველადი ორგანიზაციებისა (the grassroots) და მმართველების მხარდაჭერის მოპოვება, ინსტიტუციური მხარდაჭერის ჩათვლით. ფართო საზოგადოების (მედიის ჩათვლით), ინტერესთა ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ავტორიტეტების მხარდაჭერის მოპოვება, რაც უზრუნველყოფს კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში პოლიტიკის ცვლილების უმთავრეს სტრუქტურულ პირობას
- გაუმჯობესებული საჯარო პოლიტიკა: პოლიტიკის ცვლილების მაგალითები საჯარო პოლიტიკის არეალზე, როგორცაა პოლიტიკის შემუშავება, პოლიტიკის წინადადება, მხარდაჭერის დემონსტრირება (მაგ. თანადაფინანსება), პოლიტიკის დამტკიცება, დაფინანსება და განხორციელება
- ზეგავლენა (სოციალური ცვლილება): საბოლოო ცვლილება ადამიანთა (ინდივიდუალურ) სოციალურ და ფიზიკურ ცხოვრებასა და პირობებში, მოსახლეობის ფიზიკურ გარემოში, რაც საფუძველში ედო პოლიტიკის ადვოკატირებას

¹⁵ შიდა ორგანიზაციული გაძლიერება და მისი შემადგენელი კომპონენტების (ორგანიზაციული და ადვოკატირების უნარის გაძლიერება, ლიდერობა და მათი როლი, კადრების შესაძლებლობები, ორგანიზაციული სტრუქტურა და სისტემები) შეფასება არ წარმოადგენს ამ კვლევის ამოცანას. კვლევის მიზნებისთვის შეფასებულია ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ადვოკატირების სტრატეგიის არსებობა, ადვოკატირების კამპანიასთან მიმართებაში

პოლიტიკის ადვოკატირების კონტექსტში *ზეგავლენის კატეგორიების* გარკვეული ნაწილი წარმოადგენს ადვოკატირების შუალედურ ნაბიჯებსა (interim outcome category) და ინფრასტრუქტურას საზოგადოებაში და გარემოში ცვლილებებისთვის სასიკეთო პირობების შესაქმნელად, ნაწილი კი ადვოკატირების საბოლოო შედეგებს, ზოგიერთი კი ორივეს. მაგალითად, „გამლიერებული ალიანსები“ და „მხარდამჭერთა ველის გაფართოება“ წარმოადგენენ საზოგადოებაში ადვოკატირების საკითხის ფართო აღიარების შემადგენელ ნაწილებს. ამასთან, ადვოკატირების პროცესისა და შედეგების გაანალიზებისთვის ორივე კატეგორია განიხილება, როგორც ა) ადვოკატირების ბერკეტები, რაც (მხარდამჭერთა ველის გაფართოების ზემოქმედების ინსტრუმენტების მეშვეობით) ზეგავლენას ახდენს სოციალური კაპიტალის სტრუქტურული და კოგნიტიური ელემენტების განვითარებაზე და ბ) როგორც ადვოკატირების პროცესის ერთერთი საბოლოო შედეგი, რაც პოლიტიკის ცვლილებასა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად ფასდება, როგორც ადვოკატურების წარმატება ან წარუმატებლობა. ხოლო *პოლიტიკური ცვლილება* როგორც საბოლოო მიზანი, რამაც უნდა მოიტანოს საყოველთაო სოციალური ცვლილება.

ცხადია, რომ შუალედური ნაბიჯების გადადგმა და სასიკეთო გარემოს ინფრასტრუქტურის შექმნა მოითხოვს შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც ზეგავლენას ახდენს როგორც კონკრეტული კატეგორიების შიგნით ან სხვა (მომიჯნავე კატეგორიებზე), ასევე საბოლოო პოლიტიკის ცვლილებაზე.

თანამედროვე მიდგომების მიხედვით, პოლიტიკის ადვოკატირების წარმატებისთვის პირველ რიგში აუცილებელია საზოგადოების (ხალხისა და ხელისუფლების) დამოკიდებულების ცვლილება კონკრეტულ საკითხთან

მიმართებაში, რაც ნიშნავს რომ უნდა ამოქმედდეს საზოგადოების სტრუქტურული (კოლექტიური ქმედების ქსელები) და კოგნიტიური (სოციალური ნორმები- ნდობა და ფასეულობები) ელემენტები- განვითარდეს სოციალური კაპიტალი. მიზანმიმართული ქმედების შედეგად, ხანგრძლივ პერსპექტივაში სოციალური კაპიტალის ცვლილება გამოიწვევს პოლიტიკურ ან/და სოციალურ ცვლილებას (იხ. სურათი N6).

5.3 შიდა და გარე ფაქტორები

5.3.1 სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური გარემო

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში არსებული „პოლიტიკური სისტემები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების იერსახეს, ასევე სოციალური კაპიტალის გამოყენების ტენდენციებს“ (Foley & Edwards 1996, ციტირებულია Sanders 2015), მესამე სექტორის დაარსების დღიდან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, ზრუნავენ სამოქალაქო საზოგადოების „საარსებო გარემოს“ გაუმჯობესებაზე. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, იგი ტრადიციულად მიმზიდველია. წლების განმავლობაში იქმნებოდა, იხვეწებოდა და იხვეწება სამოქალაქო საზოგადოების ხელშემწყობი საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტები.

არა-მომგებიანი არა-კომერციული იურიდიული პირის რეგისტრაცია იოლი და არა-ბიუროკრატიული პროცესია და არ არსებობს არანაირი ადმინისტრაციული დაბრკოლება მათი ფუნქციონირებისთვის. კვლევები ადასტურებენ, რომ პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოებები მესამე სექტორის როლის გასაზრდელად საჯარო პოლიტიკის დიალოგში მთლიანობაში ხელის შეწყობია (USAID 2004-2014, WV 2008, CSI 2013, CIVICUS 2010). სამოქალაქო

საზოგადოების მონაწილეობის პრინციპები¹⁶ ადგილობრივ თვითმმართველობაში საკმაოდ დემოკრატიულია: საკრებულოს სესიები ღიაა, მოსახლეობას აქვს უფლება გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მიიღოს ინფორმაცია კანონპროექტებზე და მონაწილეობა მიიღოს განხილვაში, მოიწვიონ საკრებულოს სესია, წარადგინონ პეტიცია და სხვა (CIVICUS 2010). ფინანსური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ხელშესაწყობად, საქართველოს სსო-ებს არ ეკრძალებათ კომერციული/ეკონომიკური საქმიანობა, თუმცა მოგების შემთხვევაში მათი გადასახადი არ განსხვავდება ბიზნესის გადასახადისგან.

2012-2015 წლებში ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სსო-ების დაფინანსების დივერსიფიცირებისა და შრომითი ურთიერთობების ხელშეწყობის კუთხით. 2013 წელს ძალაში შევიდა საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლის მიხედვით სამოქალაქო ორგანიზაციები თავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან არა-ფულად კონტრიბუციებზე. 2015 წლის დეკემბერში კი მიღებულ იქნა „კანონი მოხალისეობის შესახებ“, რამაც განსაზღვრა მოხალისეობის სტატუსი და დაარეგულირა შრომითი ურთიერთობები მოხალისესა და დამსაქმებელს შორის, ასევე განსაზღვრა დამსაქმებლის მოვალეობები, რაც გამიზნულია საქართველოში მოხალისეობის განვითარებაზე.

2012 წლიდან ასევე მოქმედებს „გრანტების შესახებ კანონში“ ცვლილება, რომლის მიხედვით სამთავრობო სტრუქტურებს მიეცათ შესაძლებლობა გასცენ გრანტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე. დღევანდელ დღემდე ამ საშუალებით ისარგებლეს იუსტიციის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდათა საქმეთა სამინისტრომ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სხვა. მაგალითად, სპორტისა და ახალგაზრდათა საქმეთა სამინისტრომ 2013

¹⁶ რეგულირდება ორგანული კანონით ადგილობრივი მმართველობის შესახებ და კანონით დედაქალაქის-თბილისის შესახებ.

წელს საგრანტო პროგრამაზე გამოყო 300,000 ლარი (\$ 160,000), ხოლო 2014 წელს 1,200,000 ლარი (\$645,000). აღნიშნავენ, რომ აუცილებელია ამ პროცესის ლოკალიზება, რაც გულისხმობს გრანტის გაცემის უფლებამოსილების მიცემა ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. „ევროკავშირის სამოქალაქო ჩართულობის გზამკვლევის“ (2014-2017) მიხედვით, ბევრი სსო თავს იკავებს სახელმწიფო საგრანტო პროგრამაში მონაწილეობისგან, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის (ფაქტობრივი და ხალხის თვალში) დაკარგვის შიშით. (EU 2014).

კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა ორგანიზაციების ნახევარზე მეტი წარმატებით იყენებს სახელმწიფო გრანტების შესაძლებლობას ან სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმების გამოყენებით, უწევენ მუდმივ ან დროებით მომსახურებას სახელმწიფოს, რაც გულისხმობს სხვადასხვა ფორმით სახელმწიფო დაფინანსების მიღებას (იხ. „სამოქალაქო ორგანიზაციების შემოსავლის წყაროები“).

გვხვდება არა ერთი შემთხვევა, როცა რეგიონში მოქმედი სსო-ის წარმომადგენლები ერთგებიან ადგილობრივი სახელისუფლებო კომისიებისა და საბჭოების საქმიანობაში. თავად ეს სტრუქტურები, ძირითადად, სოციალური მომსახურების სრულყოფის მიზეზით, სსო-ის ადვოკატირების შედეგად იქმნება. აქ გვხვდება როგორც წარმატებული, ასევე ფორმალური წარმომადგენლობითობის მაგალითები. მაგალითად სსო-ს „მარნეულის დემოკრატი ქალთა კავშირი“ მუნიციპალიტეტში აქტიურობის გამო, მისი წარმომადგენელი დაპატიჟებულ იქნა ადგილობრივი სოციალური კომისიის წევრად, თუმცა სსო-ის წარმომადგენლის თქმით, „ვიკრიბებით, მაგრამ ჯერ რას ვაკეთებთ არ ვიცით; თავად კომისია ჯერ ვერ ჩამოყალიბდა სამოქმედო გეგმაზე“ (ოლგა ენდელაძე, ინტერვიუდან, 05.08.2016). განსხვავებულია ამ კუთხით „ახალგაზრდა ეკონომისტთა კავშირის“ დასავლეთ საქართველოს

წარმომადგენლობის გამოცდილება. სსო-ს წარმომადგენლები 2007-2012 წლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დარგობრივ კომისიებში და მონაწილეობას იღებდნენ სოციალური დახმარების სამართლიანი განაწილების, ასევე ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში.

ცხადია, რომ ქართული სამართლებრივი გარემო საშუალებას აძლევს როგორც ინდივიდუალურ მოქალაქეებს, ასევე სს ორგანიზაციებს ჩართულნი იყვნენ პოლიტიკის პროცესებში. ამასთან, სამოქალაქო სსო-ების მეტად გასააქტიურებლად და სექტორის მიერ დაფინანსების ალტერნატიული საშუალებების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ექსპერტები საუბრობენ სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესების აუცილებლობაზე რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

- მიუხედავად ძირითადი პრინციპებისა, რაც განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ არსებობს დეტალური სამართლებრივი მექანიზმები, როგორცაა სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები და პროცედურები ან მონაწილეობის ალტერნატიული მექანიზმები
- მიუხედავად 2014 წელს „ადგილობრივი მმართველობის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებისა, რაც წარმოადგენს ადგილობრივი მმართველობის დეცენტრალიზაციის გარკვეულ მცდელობას, სასურველია მეტი ადმინისტრაციული და ფინანსური უფლებამოსილებების გადანაწილება რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებზე

- აუცილებელია ფილანტროპიის წამახალისებელი სამართლებრივი მექანიზმების გაფართოება, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესის თანამშრომლობას
- მნიშვნელოვანია მოხალისეობასთან დაკავშირებულ ხარჯებზე დამსაქმებელი სს ორგანიზაციისთვის გარკვეული საგადასახადო შეღავათების შემოღება (მაგ. ტრანსპორტირება და განთავსება), რაც წახალისებს სსო-ებს მოხალისეების მოზიდვის კუთხით და დაუზოგავს ხარჯებს

მიმზიდველი საარსებო გარემოს მიღმა, ხელისუფლებასა და მესამე სექტორს შორის ურთიერთობა საქართველოში საკმაოდ კომპლექსურია.

1990-ან წლებში დაფუძნებული, ხელისუფლებისთვის „უცხო“ სეგმენტი, რასაც ე.წ. არასამთვრობო სექტორი წარმოადგენდა თავის თავად იწვევდა კითხვის ნიშნებს ხელისუფლების წარმომადგენლებში. თუკი საწყის ეტაპზე ამ ორგანიზაციებს არ ექცეოდათ განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან - 1990-ბის ბოლოს- 2000-ანი წლების დასაწყისში ადგილი ქონდა საერთაშორისო დახმარების გზით ქვეყანაში შემოსული დახმარების სახელმწიფოს მხრიდან გაკონტროლების რამდენიმე მცდელობას. ამ მცდელობებს წინ აღუდგა სამოქალაქო სექტორი და დონორთა დახმარებით მიაღწიეს წარმატებას.

ასეთია, მაგალითად 2001-2004 წლებში განხორციელებული სამოქალაქო სექტორის საკანონმდებლო შეზღუდვის წინააღმდეგ კამპანია. ამ პერიოდში სახელმწიფო რამდენჯერმე ეცადა, საკანონმდებლო ბერკეტების გამოყენებით, შეეზღუდა სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა. მათ შორის იყო ფინანსთა სამინისტროს 2001 წლის კანონპროექტი, რომლის მიხედვით სამოქალაქო

საზოგადოების განვითარებაზე დონორებისგან მიღებული ინდივიდუალური გრანტების გაცემა სახელმწიფო ხაზინის გავლით უნდა მომხდარიყო, რაც აძლევდა სახელმწიფოს სრულ კონტროლს დონორთა მიერ გამოყოფილ ფულზე. კიდევ მეტად საგანგაშო იყო საქართველოს უშიშროების სამინისტროს 2003 წლის 18 თებერვლის კანონპროექტი „უცხოეთიდან კონტროლირებული ექსტრემისტული ორგანიზაციებისა და კავშირების საქმიანობის ტერმინაციის, ლიკვიდაციისა და აკრძალვის შესახებ“, რომლის მიხედვით „უცხოეთიდან კონტროლირებულ საქმიანობათა“ ჩამონათვალში შედიოდა ასევე ორგანიზაცია, რომელიც ფინანსური დახმარების თაობაზე მიმართავდა ან მიიღებდა დახმარებას უცხოური დონორისგან ან საერთაშორისო ორგანიზაციისგან. შესაბამისად, ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია პოტენციურად შეიძლება გამოცხადებულიყო ტერორისტულ ორგანიზაციად.

საერთაშორისო ანგარიშების მიხედვით, სს ორგანიზაციებზე არასოდეს ყოფილა ინსტიტუციური ზეწოლა ან არაკანონიერი ჩარევა საქმიანობაში მთავრობის (მათ შორის საგადასახადოს) მხრიდან. კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა სს1 ორგანიზაციების უმრავლესობა აღიარებს, რომ, მიუხედავად მათი საქმიანობისა და გამოთქმული მოსაზრებებისა, უშუალოდ მათზე არასოდეს ყოფილა ზეწოლა. მიუხედავად ამისა, გვხვდება ცალკეული (ძირითადად 1990-ან წლებში) შემთხვევები, როცა სახელმწიფო ცდილობდა სს1 ორგანიზაციების ინდივიდუალური წარმომადგენლების საქმიანობის შეზღუდვას. ამის მაგალითია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასლან აბაშიძის მმართველობის დროინდელი შემთხვევა (2003 წელი). იმ პერიოდში სსო-ის დაფუძნებას სასამართლო გადაწყვეტილება ესაჭიროებოდა და ბათუმის ორგანიზაციის დამფუძნებელი იხსენებს მოსამართლის მხრიდან სკეპტიციზმს და ეჭვს, რომ ორგანიზაცია ფუძნდებოდა საქართველოში უცხოური შპიონაჟის მიზნით. ასევე ოზურგეთის შემთხვევა (1990-2002 წწ),

სადაც იქ არსებული „ლიდერთა სკოლის“ აღსაზრდელთა მიერ კორუფციაზე ღია საუბრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლება დაუპირისპირდა ახალგაზრდებს და სსო-ას მოუწია ჩარევა, საკითხის მოგვარების მიზნით. სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შეზღუდვის ან შეჩერების მცდელობა მეტად გვხვდება სს2 ორგანიზაციებში. მაგალითად, მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ თუკი აქტივიზმის საწყის ეტაპზე ხელისუფლების წარმომადგენლები მოძრაობას დასცინოდნენ, პოპულარობასთან ერთად გაიზარდა პოლიციის გაღიზიანება, შეიქმნა ნეგატიური განწყობა. სს2ო-ს წარმომადგენლის თქმით, მოძრაობის წევრებს უთვალთვალევენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები. ამასთან, სს2ო-ს წევრი აღნიშნავს, რომ თვალთვალი „საქართველოში არსებული მახინჯი ნარკო-პოლიტიკის სისტემის ნაწილი და შედეგია“ (პაატა საბელაშვილი, ინტერვიუ, 05.10.2016). გვხვდება ასევე კერძო ბიზნეს-ინტერესის ლობირების შედეგად განხორციელებული ზეწოლა სსო „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელზე. 2007 წელს ურბანული კულტურული მემკვიდრეობის ზონაში ახალი მშენებლობის გაპროტესტების შედეგად, ორგანიზაციის წარმომადგენლები დაიბარეს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში და ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, თუკი არ შეწყვეტდნენ პროტესტს.

სახელმწიფოს მიერ კორპორატიული ინტერესების უაპელაციო გაზიარება განიხილება სსო-ის მიერ, როგორც ხელის შემშლელი, როგორც სამოქალაქო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის, ასევე თავად საჯარო პოლიტიკის დარეგულირების კუთხით. გამოცდილი სს1 ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ამ დროისთვის საჯარო პოლიტიკის შესაცვლელად ადვოკატირების პროცესში ე.წ „არასამთავრობო სექტორმა“ „ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა წააგო, კორპორატიულ ინტერესებთან“ (ქეთევან ვაშაკიძე, ინტერვიუ, 06.09.2016), იქნება ეს შრომის უფლებების,

მომხმარებელთა უფლებებისა თუ ქონებრივი უფლებების დამარეგულირებელი პოლიტიკა ან კანონმდებლობა.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი ან ხელისშემშლელი პოლიტიკური გარემოს გარკვეული დინამიკა, კერძოდ:

ა) 90-ან წლებში სახელმწიფოს დამოკიდებულება იყო ნეიტრალური ან დადებითი, სავარაუდოდ, გამომდინარე იქედან, რომ ერთის მხრივ სახელმწიფო დამოუკიდებლობის შემდგომი საქმიანობით იყო დაკავებული და მეორეს მხრივ კი სექტორი ჩაერთო ჰუმანიტარულ დახმარებაში, ან შეავსო ის ეკონომიკური ნიშა, რასაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა;

ბ) განვითარების შემდგომ ეტაპზე (2000 წწ დასაწყისი) სექტორს მიზანმიმართულად უწოდეს „გრანტიჭამიები“. მიუხედავად იმისა, რომ სექტორის წარმომადგენლები აღიარებენ თავად სსო-ის მიერ დაშვებულ შეცდომებს, ცალსახად ამტკიცებენ, რომ „გრანტიჭამიების“ იარლიყის მინიჭება გამოწვეული იყო ერთის მხრივ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მათი საქმიანობის არ ცოდნით და მეორეს მხრივ კი კრიტიკულად განწყობილი სექტორის დისკრედიტირების მიზნით;

გ) 2003-2012 წლებში, ნაციონალური ხელისუფლების მმართველობის დროს, ხელისუფლება არ ახდენდა ზეწოლას სექტორზე, თუმცა მედია კონტროლის საშუალებით, შექმნა ინფორმაციული ვაკუუმი. „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორის დავით ბენიძის თქმით, „ 2003-2004 წლებში სიჩუმის წლები დადგა. ნებისმიერი კონსტრუქციული კრიტიკა ჩვენი მხრიდან პრობლემა იყო. ვერ ვაწვდიდით ხალხს ხმას“. მესამე სექტორის სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე „სამოქალაქო

საზოგადოების ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა ნაციონალური ხელისუფლება დაახასიათა, როგორც „მონოლითური“. „როცა კანონმდებლობას ვლობირებდით და ხელისუფლებას დავარწმუნებდით და დავითანხმებდით (მათთვის საკითხი პოლიტიკურად მისაღები უნდა ყოფილიყო) - საქმე სწრაფად ვითარდებოდა“ (ვაჟა სალამაძე, ინტერვიუ, 11.02.2016). ამ პერიოდის ხელისუფლება საჯაროდ აღიარებდა სექტორის მნიშვნელობას, თუმცა კრიტიკულად განწყობილი სექტორის დისკრედიტაციას ცდილობდა არა საზოგადოებაში, არამედ დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან იმის რწმუნებით, რომ სს სექტორი მიკერძოებული იყო. 2004-2007 წლებში შეიცვალა ასევე სექტორის მიმართ დონორთა პოლიტიკა: საჯარო სექტორში სს კადრების გადინებამ და დონორთა დაფინანსების შემცირებამ ასევე ზეგავლენა იქონია თავად ხელისუფლების დამოკიდებულებაზე სექტორის მიმართ. პოლიტიკის ადვოკატირების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების თქმით, 2007-2012 წლებში პრაქტიკულად ყველა სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა რეაგირების გარეშე რჩებოდა სახელმწიფოს მხრიდან;

დ) 2012 წელს მოსული ხელისუფლება თავდაპირველად აქტიურად თანამშრომლობდა სექტორთან. დროთა განმავლობაში ეს „ღია კარი“ „მიიხურა“. 2012-2016 წლის ხელისუფლებას რესპონდენტები ახასიათებენ როგორც „რეაქციულს, რომელსაც ეშინია ინიციატივების“. სსო-ის თქმით, ხელისუფლება, როგორც წესი, ვერ ხედავს განსხვავებას „ეკონომიკურ ზრდასა“ და „ეკონომიკურ განვითარებას“ შორის. საკითხის ადვოკატირებისას სსო-ებს უწევთ საბაზისო საკითხების ახსნა და დასაბუთება. შესაბამისად, მეტი დრო მიდის ხელისუფლების წარმომადგენლების განათლებაზე, ვიდრე საკითხის გადაწყვეტაზე, ან ბენეფიციარების დაკმაყოფილებაზე. ეს ეხება საკითხთა ფართო სპექტრს- ადამიანის უფლებებიდან გარემოს დაცვით საკითხებამდე. არასაკმარისი კომპეტენციის პირობებში, ხელისუფლება დგება თავდაცვის

პოზიციაში ან საკუთარი არაკომპეტენტურობის გადასაფარად აგრესიით ხვდება სსო-ს. 2012-2016 წლებში ტერმინი „გრანტიჰამიები“ აღარ იყო აქტუალური, არც საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართულებით იყო მცდელობა სექტორის დისკრედიტაციისა, არც მედია იყო დახურული სამოქალაქო სექტორისთვის. შესაბამისად, სამოქალაქო სექტორი ჩამოყალიბდა „საზოგადოებაში აზრის შემქმნელად“ (opinion maker), შეიძინა პოლიტიკური აქტიორის იმიჯი. ამან გამოიწვია ხელისუფლების მხრიდან უკმაყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფალთა უმრავლესობა საჯაროდ აღიარებს სამოქალაქო სექტორის მნიშვნელობას, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლები და ლიდერები ხშირად ხდებიან საჯარო კრიტიკის საგანი. მათ უყენებენ ბრალდებას, რომ მხარს უჭერენ მხოლოდ ოპოზიციურ განწყობებს და ცდილობენ დაადანაშაულონ ფინანსურ მაქინაციებში. ასევე დისკრედიტაციის მიზნით არის მცდელობა სექტორს მიენიჭოს „რელიგიის საწინააღმდეგო, ან სხვა ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის საწინააღმდეგო ძალის იარაღი“ (ვაჟა სალამაძე, ინტერვიუ, 11.02.2016). მთავრობამ თავის რიტორიკაში „ოპოზიცია“ ჩაანაცვლა „არასამთავრობოებით“, რაც სსო-ების აზრით ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მოქალაქეებზე, მიუხედავად იმისა მოსწონს თუ არა მოქალაქეს არსებული ხელისუფლება.

როგორც ზემოხსენებული პიროვნული ზეწოლის მცდელობებს, ასევე ხელისუფლების მხრიდან საჯარო კრიტიკას სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აღიქვამენ „თავდასხმად“ და „ზეწოლად“. ამასთან, სახელმწიფოსთან ურთიერთობაში სს ორგანიზაციები ასახელებენ შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებს, რაც ხელს უწყობს ან აფერხებს პოლიტიკის საკითხის ადვოკატირებას:

- როგორც ხელისუფლებაში მკაფიო და ხისტი პოლიტიკური დღის წესრიგი (და ხისტი „მონოლიტური“ გუნდი), ასევე პოლიტიკური დღის წესრიგის არ არსებობა (და გადაწყვეტილების მიღების უუნარობა)- ორივე წარმოადგენს პრობლემას პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში;
- პოლიტიკური პროცესებისა და ცვლილებების დროს სს-ებს უწვევთ პოლიტიკური არჩევანის გაკეთება. ეს განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის სოციალურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს, რომელთაც არ სურთ რომელიმე დაპირისპირებული მხარის მიმხრობა, ან პოლიტიკური არჩევნის გაკეთება. შესაბამისად, პოლიტიკური გარემოს მუდმივი ცვალებადობა ნეგატიურად აისახება ადვოკატირების პროცესზე;
- ხელისუფლების კომპეტენცია და სახელმწიფოებრივად აზროვნების პრობლემა აფერხებს და ხელს უშლის ადვოკატირების პროცესს;
- პრობლემატური ინსტიტუციური თანამშრომლობა. პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში პირადი ნაცნობობის აუცილებლობა, რაც ხელს უწყობს როგორც რესურსებზე, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებზე წვდომას. ამასთან ხელისუფლებასთან თანამშრომლობა პირდაპირაა ბმაში ორგანიზაციის ხელმძღვანელის ავტორიტეტთან. გამომდინარე იქედან რამდენად მაღალია ნდობა (განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე) - მეტად წარმატებულია თანამშრომლობა. ეს უბიძგებს სსო-ების ხელმძღვანელებს პოლიტიკურად აქტიურობისთვის, რაც თავის მხრივ, აღვივებს ხელისუფლების მხრიდან კრიტიკას.

ცხრილი N1 წარმოგვიდგენს „პოლიტიკური გარემოსა“ და ქვე-კომპონენტების ქულებს სს1 და სს2 ორგანიზაციებისთვის, სადაც სს1 ორგანიზაციებისთვის „პოლიტიკური გარემოს“ საშუალო მაჩვენებელი 3.5, ხოლო სს2-სთვის 3.1 ქულაა. ქულებში განსხვავება გამომდინარეობს „თავისუფლების გარანტიები“

და „ხელისუფლება-სამოქალაქო საზოგადოება ურთიერთობა“ ქვე-კატეგორიების სხვაობიდან, სადაც სს1-სთვის ეს მაჩვენებლები 4.9 და 3.1-ა, ხოლო სს2-სთვის 3.1 და 2.9, შესაბამისად. ამასთან, კვლევამ გამოავლინა, რომ მიუხედავად საქართველოში პოლიტიკური გარემოს ცვალებადობისა და სს ორგანიზაციების განსხვავებული გამოცდილებისა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის და ურთიერთობის, პოლიტიკური გარემო ვერ ახდენს დიდ ზეგავლენას ადვოკატირების შედეგზე (იხ. სურათი N1, N2)

5.3.2 სამოქალაქო ორგანიზაციების შემოსავლის წყაროები

არ არსებობს ზუსტი სია იმ დონორებისა, რომელნიც აფინანსებენ ქართულ სამოქალაქო ორგანიზაციებს. დონორთა დეტალური ბიუჯეტების ხელმიუწვდომელობისა და პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების მრავალსაფეხურიანი განაწილების გამო ასევე ძნელი დასადგენია ზუსტი თანხა რა დაიხარჯა ან იხარჯება უშუალოდ არამომგებიან სექტორში დემოკრატიზაციის სხვადასხვა საქმიანობაზე, მათ შორის, რომ ზეგავლენა მოეხდინათ საჯარო პოლიტიკაზე. შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებითი გათვლების გაკეთება.

მაგალითისთვის, ეკონომიკური კოოპერირებისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, „ქვეყნის პროგრამირებული დახმარება“(Country Programmable Aid), რაც გამიზნულია განვითარებითი ქვეყნებისთვის სხვადასხვა დონორებისგან 2015 წლისთვის შეადგენს 106 706.89 მილიარდი აშშ დოლარს. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისთვის აქედან 4 508.25 მილიარდი აშშ დოლარია გამოყოფილი. საქართველოზე გამოყოფილი დახმარება 2009 წლიდან დღემდე ასე გამოიყურება (მილიონი აშშ დოლარი) (OSCD.stat 2015).

2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
826.93	626.99	518.25	620.16	520.35	518.36	480.23	469.47

მეთი სიზუსტისთვის, თუკი საქართველოში წამყვანი დონორის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარების სტატისტიკას გადავხედავთ, „დემოკრატიული და სამართლიანი მმართველობისა“ და „ინვესტიცია ხალხში“ კომპონენტებზე 2002-2010 წლებში 442,78 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა (Nichol 2013). The Guardian-ის (2015) მიხედვით, რომელმაც ეკონომიკური კოოპერირებისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების საერთაშორისო დახმარება შეაფასა, დონორ სახელმწიფოში რჩება დახმარებისთვის გამოყოფილი თანხის დაახლოებით ერთი მეხუთედი. იმის გათვალისწინებით, რომ ბენეფიციარ ქვეყანაში პროგრამის ადმინისტრირებაზე გამოყოფილი თანხა დაახლოებით 20% შეადგენს, 28,5 მილიონი აშშ დოლარი 8 წელიწადში უშუალოდ პროგრამების განხორციელებაზე დაიხარჯა (დაახლოებით 3,5 მილიონი აშშ დოლარი წელიწადში).

დონორთა მიერ მხარდაჭერილი სექტორი - სს1 ორგანიზაციები:

როგორც თბილისის, ასევე რეგიონული სს1 ორგანიზაციების საქმიანობა დაფუძნების დღიდან პრაქტიკულად 2000-ან წლებამდე გამიზნული იყო ეროვნული მასშტაბის პრობლემების მოგვარებაზე და ერთადერთი განსხვავება საქმიანობებს შორის იყო პროექტების ბენეფიციარების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.

იქიდან გამომდინარე, რომ დონორები, როგორც წესი, ყურადღებით სწავლობენ სს1 ორგანიზაციის ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, დაფინანსების უმეტესი წილი თბილისში ან სხვა დიდ ქალაქებში მდებარე - მეტად მძლავრ ორგანიზაციებს ერგებოდა წილად. მიუხედავად ამისა, 2000 წლებიდან

დონორთა ყურადღება გადაერთო ეროვნული მასშტაბების ინიციატივებიდან მეტად მცირე-მასშტაბიან საქმიანობებზე, რაც გამიზნული იყო მცირე თემების პრობლემების მოგვარებაზე და ადგილობრივ მთავრობებზე. შესაბამისად, თბილისის სს1 ორგანიზაციების დაფინანსება მნიშვნელოვნად შემცირდა რეგიონული ორგანიზაციების სასიკეთოდ. ეს გაკეთდა იმის გაანალიზების შედეგად, რომ სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მიზანია მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ხალხის მოთხოვნებს ადგილობრივ დონეზე.

მიუხედავად გარკვეული ბუნდოვანებისა დაფინანსებასთან დაკავშირებით, ცნობილია, რომ საქართველოში უცხოური ფონდებიდან მიღებული გრანტები წარმოადგენენ დასავლური ტიპის სამოქალაქო ორგანიზაციების დაფინანსების ძირითად წყაროს.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სს1 ორგანიზაციების დონორთა დაფინანსება (მცირე პერიოდების 1998-2000 და 2004-2007 გარდა) წლების განმავლობაში სტაბილურია და, ხშირ შემთხვევაში, იზრდება (იხ. ცხრილი N2). ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის ზეგავლენის, ან ზოგადად ორგანიზაციის მდგრადობის კუთხით სს1 ორგანიზაციები ლიდერები საუბრობენ როგორც ინსტიტუციური, ასევე გრძელვადიანი პროგრამული მხარდაჭერის მნიშვნელობაზე. აღნიშნავენ, რომ ერთი ან რამდენიმე პროექტის ფარგლებში მიღწეული წარმატებები არა-მდგრადი და მოკლევადიანია. მათი აზრით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მინიმუმ ერთი დონორის/პარტნიორის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევებში დონორი ზრუნავს არა მხოლოდ პროგრამაზე, ან პროექტის წარმატებულ განხორციელებაზე, არამედ ორგანიზაციის ინსტიტუციურ განვითარებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ პარტნიორ-დონორმა კარგად იცის ორგანიზაციის საჭიროებები, დახმარება მეტად თანმიმდევრული და საჭიროებებზე მორგებულია. ამასთან, ხდება უკვე ნასწავლზე „დაშენება“ და არა ქაოტური, ერთჯერადი ღონისძიებების ჩატარება. ამის მაგალითებია სს1ო-

ის „ელკანა“ და ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (ინდივიდუალური და კოალიციური) გამოცდილება, რომლებსაც 10 წლის განმავლობაში მხარს უჭერდა Bread for the World/EED , ან წლების განმავლობაში OXFAM GB -ის მიერ მხარდაჭერილი ზუგდიდის ორგანიზაცია „დეა“ და სხვა.

გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როცა დონორმა შეუძინა შენობა სს1ო-ას („ევროპის ფონდი“, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“). ასეთ შემთხვევებში, ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობა მეტად უზრუნველყოფილია.

სს1 ორგანიზაციების უმეტესობა დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ დონორთა დახმარებას და მათთან თანამშრომლობას არა მარტო ფინანსური მდგრადობის, არამედ თავად პოლიტიკის ადვოკატირების წარმატების კუთხით. მრავალი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საჯარო პოლიტიკის ცვლილება ხშირად იყო განპირობებული სწორედ ერთობლივი მიზანმიმართული ძალისხმევის შედეგად და იმით, რომ პროექტი დონორის დაფინანსებითა და დონორის „შეფობით“ მიმდინარეობდა. ასეთია, მაგალითად სსო „ბილიკის“ საქმიანობის მხარდაჭერა UNICEF-ის მიერ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მთავრობასთან მიუსაფარ მოზარდთა დეინსტიტუციონალიზაციის საკითხებზე.

სს1 ორგანიზაციების მხრიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2003-2007 წლებში დონორთა დახმარების შეზღუდვას (სექტორის დაფინანსების შემცირებას), რაც დაკავშირებული იყო პოლიტიკურ გარემოსთან, როცა ხელისუფლებაში მოვიდა ნაციონალური მოძრაობა და დონორთა საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ქვეყანამ მიაღწია საკმარის დონეს დემოკრატიული განვითარებისთვის. სს1 ორგანიზაციების თქმით, ამ პერიოდში ძალიან ძნელი იყო გადარჩენა და საქმიანობა, პრაქტიკულად, უფულოდ, ენთუზიაზმის ხარჯზე გაგრძელდა.

დონორებზე ფინანსურ დამოკიდებულებას სს1ო-ში არაერთგვაროვნად აფასებენ. ერთნი თვლიან, რომ საერთაშორისო დახმარება არ უნდა შეწყდეს და მუდმივად მხარი დაუჭიროს მესამე სექტორის განვითარებას, რადგან სახელმწიფო ამას ვერ ან არ აკეთებს, მეორენი კი აღნიშნავენ, რომ დონორიდან მოზიდული ფული მათ ზედმეტ ვალდებულებებს აკისრებს, რაც, სხვასთან ერთად, მოიცავს ისეთ საკითხებზე რეაგირებას ან მინიმუმ ანგარიშგებას, რაც არ წარმოადგენს ორგანიზაციის მანდატს და ხელოვნურად ხდება. „ფულის მიებაში განხორციელებული პროექტები მოკლე ვადაში იწურება და შედეგი არ მოაქვს“ (თამარ გერმანაშვილი, ინტერვიუ 20.04.2016).

„ხელოვნურ თემებად“ სს1 ორგანიზაციები მოიაზრებენ, მაგალითად „გენდერულ მიენსტრიმს“, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ვალდებულებაში ედებათ სს1 ორგანიზაციებს როგორც ამერიკელი, ასევე ევროპელი დონორების მხრიდან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა რამდენად საინტერესოა კონკრეტული თემა სს1ო-სთვის, იგი იძულებულია დაიცვას დონორის მოთხოვნები. ამ შემთხვევაში სს1ო-ი აღნიშნავენ, რომ ასეთ მიდგომას არ მოაქვს შედეგი არც პროექტის განხორციელების, არც შემდგომი მონიტორინგისა და განგრძობადობის კუთხით: თავდება პროექტი- იწურება თემა. ამასთან, სს1ო აღნიშნავენ, რომ მსგავსი ვალდებულებები „წყვეტენ ფესვებიდან“ საქართველოს სამოქალაქო სექტორს და აცილებენ მოსახლეობას“ (ვაჟა სალამაძე, ინტერვიუ 11.02.2016)

არსებობს შემთხვევები, როცა სს1ო-ის ლიდერების მხრიდან ისმის კრიტიკა დონორის „მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული პოლიტიკის“ მიმართ. ნიშანდობლივია, მაგალითად, სოფლის მეურნეობისა და რეგიონული განვითარების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების აზრი. ესენი აღნიშნავენ, რომ, მოწყვლად ჯგუფებთან ერთად აუცილებელია დახმარება გაეწიოს რეგიონში არსებულ ძლიერ ოჯახებს, რათა ხელი შეეწყოს მათ

გადიდება-გაზრდა - გაძლიერებას. შეჭირვებულ მოსახლეობაზე გამოყოფილ დახმარებას დიდი ეფექტი არ მოაქვს. ასევე ამ მიმართულებით ფულის დახარჯვას არ შეაქვს წვლილი რეგიონის განვითარებაში. ამის საპირისპიროდ, „თუკი დახმარება გაეწევა რეგიონში მცხოვრებ ძლიერ ოჯახს - იგი არ დატოვებს რეგიონს, განავითარებს საწარმოებს და ხელს შეუწყობს ადგილობრივების დასაქმებას“ (ქეთევან გუჯარაიძე, ინტერვიუ 05.02.2016).

სადაო არაა, რომ ე.წ. არასამთავრობო სექტორის გარკვეული წარმატება საჯარო პოლიტიკის დონეზე დადებითი ცვლილებების კუთხით დონორთა მხარდაჭერას უკავშირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ USAID-ს უკანასკნელი ყველაზე მასშტაბიანი პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების (G-PAC) ინიციატივის საქართველოში (2010-2014) ღირებულება იყო 13 მილიონი აშშ დოლარი. პროექტის ფარგლებში ტექნიკური და ფინანსური დახმარება გაეწია საქართველოში არსებულ ადვოკატირებისა და ანალიტიკურ ორგანიზაციებს.¹⁷ პროექტის ფარგლებში ასევე ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელი (RCSN), რომელიც კოალიციური და პარტნიორული ადვოკატირებისთვის შეიქმნა და 50-მდე რეგიონულ ორგანიზაციას აერთიანებს. პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილ ორგანიზაციებსა და ქსელს წვლილი უნდა შეეტანათ არა მარტო საჯარო პოლიტიკის გაუმჯობესებაში, არამედ ქვეყანაში არსებული სოციალური კაპიტალის განვითარებაში.

რამდენიმე სს1 ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ პოლიტიკის ადვოკატირება არ უნდა იყოს დონორზე დამოკიდებული. „დონორმა უნდა შეცვალოს ადვოკატირების დაფინანსების პრაქტიკა. ორგანიზაციული განვითარება ჯდება ფული, კვლევა, ბექდვური მასალა, ტრანსპორტირება და სხვა, თუმცა

¹⁷ G-PAC ამ პროექტის მემკვიდრე გახლავთ ACCESS პროექტი (2014-2019), რომლის ღირებულება შეადგენს 5 მლნ აშშ დოლარს. პროექტის ფარგლებში ასევე გრძელდება RCSN-ის დახმარება.

საინიციატივო ჯგუფები ადვოკატირებას უფასოდ უნდა აკეთებდნენ “(თამარ გერმანაშვილი, ინტერვიუ 20.04.2016).

არსებობს კიდევ მეტად რადიკალური მოსაზრება რამდენიმე სს10-ის ლიდერისგან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სს1 ორგანიზაციების მხარდაჭერის შეწყვეტა დონორთა მხრიდან მხოლოდ სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს თავად სექტორის განვითარებაზე. მათი თქმით, ასეთ შემთხვევაში სს1 ორგანიზაციები თავისით აღმოაჩენენ და წამოწევენ საჭირო როტო თემებს, გაიფილტრება როგორც თემები, ასევე თავად სეგმენტი, დარჩებიან მხოლოდ მოტივირებული ერთეულები და ვინც მიზნად დაისახავს ცვლილებას - ამას მიაღწევს. ამასთან აღნიშნავენ ალტერნატიული დაფინანსების საშუალებების განვითარების აუცილებლობას, რაც მოხსნის დონორზე ფინანსურსა და ინტელექტუალურ დამოკიდებულების პრობლემას.

მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური სამოქალაქო სექტორი წევრობაზე და, შესაბამისად, საწევრო გადასახადზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული, საქართველოს სს1 ორგანიზაციებში ეს ფინანსური ალტერნატივის შესაძლებლობა არ მუშაობს. წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები ცოტაა და ესენიც არ ან ვერ აგროვებენ მინიმალურ საწევრო გადასახადს (იხ. ცხრილი N2). რამდენიმე სს1 ორგანიზაციამ სცადა საწევროს გადაუხდელობის გამო წევრების გარიცხვა, თუმცა კოორდინაციისა და საქმიანობის მხარდამჭერთა შენარჩუნების მიზნით, აღარ ითხოვს საწევროს ან არ აწესებს სანქციებს გადაუხდელობის გამო. ბევრი წევრის არსებობის შემთხვევაში (მაგ. CIVITAS GEORGICA- 65 წევრი, სამართლიანი არჩევნები- 400-მდე წევრი) ორგანიზაციები ინარჩუნებენ კონტაქტს წევრებთან, შეძლებისდაგვარად რთავენ პროგრამულ საქმიანობაში, პატიჟებენ ღონისძიებებზე, ულოცავენ დღესასწაულებსა და უგზავნიან წლის ანგარიშებს.

სს1 ორგანიზაციებისადმი საქველმოქმედო კონტრიბუციები ბიზნესისგან მცირი და იშვიათი ხასიათისაა. 1990-ან წლებში დაფუძნებული სს1 ორგანიზაციები იმთავითვე ცდილობდნენ ადგილებზე ბიზნესებთან მოლაპარაკებას, თუმცა მეტ-ნაკლები წარმატებით. რეგიონში მოღვაწე სს1 ორგანიზაციების ლიდერები აღნიშნავენ, რომ ბიზნესთან თანამშრომლობა პრობლემატურია, რადგან ადგილობრივ ბიზნესებს არ აქვთ დიდი ბრუნვა, დიდი ბიზნესების ფილიალების წარმომადგენლები კი სამოქალაქო სექტორს არ იცნობენ და ადგილზე ვერ იღებენ გადაწყვეტილებას. აღნიშნავენ ასევე სს1 ორგანიზაციებში ბიზნესთან თანამშრომლობის ადამიანური და ინტელექტუალური რესურსების ნაკლებობას. გამოკითხულ სს1 ორგანიზაციებში გვხვდება ბიზნესთან თანამშრომლობის ხანმოკლე მაგალითები (კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში)- ერთჯერადი პროექტები, როგორცაა მაგალითად დედაქალაქში სამკურნალოდ წასასვლელი სამგზავრო ხარჯების დაფარვა შშმ პირთათვის, ან სსო-ის მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის მოსახნავად ტრაქტორების უსასყიდლო გამოყენება და სხვა.

მიუხედავად ამისა, გვხვდება ოზურგეთის მაგალითი, როცა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ 23 საოჯახო ტიპის სახლების იჯარას 3 წლის განმავლობაში კომპანია „სოკარი“ ფარავდა. თუმცა, სსო-ციის შუამავალი „სოციალური მომსახურების სახელმწიფო სააგენტო“ გახლდათ. ასევე გვხვდება სსო-ას „მწვანე ალტერნატივა“ მაგალითი, როცა ორგანიზაცია აპროტესტებდა ნავთობსადენის მაგისტრალის გაყვანას ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკზე. აქ დაინტერესებულ მხარედ ასევე წარმოჩინდა კომპანია „ბორჯომი“, რომელმაც ფინანსური დახმარება გაუწია სსო-ას დიდი საჯარო განხილვის მოსაწყობად. ამ შემთხვევაში ადვოკატირების წამოწყება და განხორციელება „თი-ბი-სი ბანკთან“ ერთად მოხდა.

რამდენიმე გამოცდილი სს1 ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ დღეს უკვე აღარ ცდილობენ კორპორაციების ჩართვას, რადგან სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ბიზნესის წამახალისებელი მექანიზმების გააქტიურების გარეშე ამას აზრი ეკარგება. ის მცირე მექანიზმები, რაც არსებობს არა საკმარისია და კორპორაციებს „ფარად აქვთ აფარებული სოციალური პასუხისმგებლობა“ (ვაჟა სალამაძე, ინტერვიუ, 11.02.2016). ამასთან, ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ, წლების განმავლობაში იმდენად კარგად შეისწავლეს დონორებთან ურთიერთობის კულტურა, რომ გაცილებით ადვილად იძიებენ გრანტებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ვიდრე ახერხებენ ბიზნესებთან თანამშრომლობას. ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის გასაფართოებლად, გარდა სახელმწიფო მექანიზმების ამოქმედებისა აუცილებელია ბიზნეს-წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო მუშაობა და მჭიდრო კომუნიკაცია.

გამოკითხულ სს1 ორგანიზაციებს შორის გვხვდება ისეთი ალტერნატიული დაფინანსების საშუალებების მაგალითები, როგორცაა დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა (კონსულტაციები, მომსახურება, კერძო-საჯარო პარტნიორობა) ან სოციალური საწარმო. გამოიკვეთა ტენდენცია: თბილისში მდებარე სს1 ორგანიზაციები (მეტად პოლიტიკის ცვლილებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები) ნაკლები წარმატებით უძღვებიან სოციალურ საწარმოს ან ახორციელებენ დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას, ვიდრე საქართველოს რეგიონებში (მეტად სოციალურ ცვლილებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები) მოღვაწე სს1ო-ბი. ბიზნეს ინტერესებისა და სოციალური დახმარების კომპონენტების გადაკვეთის კუთხით საინტერესოა სსო-ის „ელკანა“ საქმიანობა, რომელიც იძიებს იმ მაღაზიებს, რომელთაც აქვთ სურვილი თავის დახლებიდან გაუკეთონ რეალიზაცია ფერმერულ ნაწარმს და აკავშირებენ მათ ფერმერებთან, გარკვეული მცირედი საზღაურის საფუძველზე.

გამოკითხულ სს1 ორგანიზაციების უმეტესობას აქვს დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა (იხ. ცხრილი N2). მიუხედავად ამისა, ორგანიზაციების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ამ კუთხით ვერ უწევენ კონკურენციას ბიზნესს. მაგალითად, 2000-ან წლებში „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ ამუშავებდა მინი სტამბას და ასევე ეწეოდა ფასიან კონსულტაციებს, ალტერნატიული დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ამ საქმიანობამ ვერ გაუძლო ბიზნესთან კონკურენციას და შეჩერდა. იგივე გამოცდილება აქვს მარნეულში მოქმედ დემოკრატ ქალთა კავშირს, რომელმაც სოციალური საწარმოს სახით წამოიწყო სკოლამდელი განათლების ფასიანი ცენტრი, რომელიც საწყის ეტაპზე ემსახურებოდა 15 შშმ ბავშვებს. ორგანიზაციამ ვერ შეძლო დაკავებული ფართის ქირის გადახდა და ცენტრი დაიხურა.

გვხვდება განსხვავებული გამოცდილებაც. მაგალითად, „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ დასავლეთის წარმომადგენლობის მაგალითზე შიძლება ითქვას, რომ 2004-2007 წლებში, როცა მნიშვნელოვნად შემცირდა დონორთა დახმარება, დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის - ფასიანი ბიზნეს კონსულტაციების მეშვეობით- ორგანიზაციამ უზრუნველყო შემოსავალი და არ შეწყვიტა იმ მიმართულებებით მუშაობა, რომელიც აღარ ფინანსდებოდა დონორთა მიერ. დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა აქვს ასევე სს ორგანიზაციას „ელკანა“, რომელიც წლების განმავლობაში უწევს ფასიან მომსახურებას ფერმერებს, როგორცაა ტრეინინგები, ბაზრობებისა და გამოფენების ჩატარება და სხვა და ასევე აქვს ორი საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობა, რომელშიც წარმოებული პროდუქტი იყიდება.

გამოკითხულ სს1 ორგანიზაციებში დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის მეტი წილი მოდის კერძო-საჯარო პარტნიორობაზე. ამ კუთხით წარმატებულია, მაგალითად, ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, რომელიც 2012 წლიდან ინახავს ხანდაზმულთა სახლს. ხანდაზმულთა სახლი ვაუჭერების

სისტემაზე დაყრდნობით, სახელმწიფოს დაკვეთით შეიქმნა. ამ კერძო-საჯარო პარტნიორობის წამოწყება მოხდა სსო-ის პროგრამული საქმიანობის შედეგად, როცა ორგანიზაციამ დააფუძნა ხანდაზმულთა სახლი და შეიმუშავა და ჯანდაცვის სამინისტროს წარუდგინა ხანდაზმულთა სახლის ინფრასტრუქტურული, მომსახურებისა და პროგრამული სტანდარტები. საქმიანობაში განმასხვავებელი ისაა, რომ სახელმწიფო მხოლოდ დამკვეთია და არ ინახავს ხანდაზმულთა დაწესებულებას. ამჟამად დაწესებულებაში 16 ბენეფიციარი იმყოფება.

საჯარო-კერძო პარტნიორობის მაგალითია ასევე გორის საზოგადოება „ბილიკის“ მაგალითი, რომელიც 1999 წლიდან დღემდე ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამას, რაც გულისხმობს თორმეტი 24 საათიანი დღის ცენტრი და 5 მცირე საოჯახო სახლი ფუნქციონირებას. თავდაპირველად ეს სახლები საერთაშორისო დონორების მიერ იქნა მხარდაჭერილი (Save the Children, World Vision, სხვა), ხოლო 2009 წლიდან სრულად გადავიდა სახელმწიფო დაკვეთაზე, ვაუჩერული სისტემის დახმარებით.

სახელმწიფო დაკვეთას ასრულებს ასევე ზიანის შემცირების ქსელი, რომელიც 2006 წელს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ მიერ დაფუძნდა, ზიანის შემცირების პროგრამის ფარგლებში და გააერთიანა 26 სხვადასხვა პროფილის ორგანიზაცია საქართველოს 11 ქალაქიდან. „ზიანის შემცირების ქსელი“ მოიაზრება წევრ ორგანიზაციების „შტაბ-ბინად“, ან „სამდივნოდ“. ორგანიზაციის ძირითადი პროგრამა სახელმწიფო გრანტია (სახელმწიფო შესყიდვის მექანიზმის მეშვეობით). რომელსაც „გლობალური ფონდი“ უზრუნველყოფს. ქსელი აქტიურად მოღვაწეობს

შიდსის, მალარიისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლაში და ასევე მუშაობს ნარკოპოლიტიკის საკითხებზე.

გამოკითხული სს1 ორგანიზაციებიდან მხოლოდ 4 ამუშავებს სოციალურ საწარმოს (იხ. ცხრილი N2). მათ შორისაა საზოგადოება „ბილიკი“, რომელიც დღის ცენტრებთან ერთად, ამუშავებს თექის მცირე სახელოსნოს და დასუფთავების სამსახურს. დღის ცენტრების საშუალებით ორგანიზაცია ახდენს ღარიბი მოსახლეობის იდენტიფიცირებას, გადაამზადებს და ასაქმებს სახელოსნოში, ან დასუფთავების კერძო სამსახურში. 2015 წლის დეკემბრიდან ასევე ამუშავდა სს ორგანიზაციის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“-ის სოციალური საწარმო - მულტიკულტურული ლიტერატურული კაფეს პრეზენტაცია, რომლის მიზანია სახვადასხვა ეთნიკური უმცირესობებისა და მსოფლიო კულტურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ახალგაზრდებისთვის და 16-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა.

განსაკუთრებული შემთხვევაა სსო-ას CIVITAS GEORGICA მაგალითი, რომელიც დაფუძნებულია თბილისში და არ აქვს ფილიალები საქართველოს რეგიონებში. მიუხედავად ამისა, სსო-ს ყველა პროექტი თუ აქტივობა გამიზნულია და ხორციელდება საქართველოს რეგიონებში- მთელი საქართველოს მასშტაბით. ორგანიზაციამ თბილისის გარე უბანში შეისყიდა საცხოვრებელი სახლი და მოაწყო ტრენინგ ცენტრი, რომელსაც გასცემს იჯარით. ამ გზით ორგანიზაციას ეძლევა საშუალება დაფაროს თბილისის ოფისის კომუნალური გადასახადები (3-4 ათასი ლარი წელიწადში). ასევე ინოვაციურია ევროპის ფონდის მაგალითი, რომელიც დამატებითი შემოსავლის არსებობას სტრატეგიულად მიუდგა და 2014 წელს წამოიწყო ორწლიანი პროცესი, impact-hub-ის ლიცენზიის მისაღებად. 2016 წელს სოციალური მეწარმეობის მექანიზმი ამოქმედდა, ორგანიზაციამ გააქირავა

კუთვნილი ოფისის ნაწილი, საერთო სივრცისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

საინტერესოა ზუგდიდში მოქმედი ორგანიზაციის „დეა“ მოსაზრება სოციალური საწარმოს არსებობასთან დაკავშირებით. 2015 წელს სსო-ამ აამუშავა მინი საწარმო (სამკერვალო), რომელიც მუშაობდა როგორც ბენეფიციართა დასაქმებისა და სოციალიზაციის საშუალება, ასევე ხელს უწყობდა ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობას. ამ პროცესში დასაქმდა 7 ქალი (3 შშმ ბავშვის მშობელი და 4 შშმ ქალი). მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საწარმოს საქმიანობა დროებით შეჩერდა მიზეზით, რომ „თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ერთდროულად სოციალური მისიის აღსრულება და მეწარმეობა სირთულეებთანაა დაკავშირებული“ (მადონა ხარებავა, ინტერვიუ 02.08.2016). ეს სირთულეები არ მოიცავს მხოლოდ ბიზნესის წარმართვას, არამედ თავად საზოგადოების მიერ სოციალური საწარმოს ცნების ნაკლებ გათვინობიერებასთან. ეს უკავშირდება საზოგადოების ნდობას, რომელიც სსო-ის „კლიენტი“ ხდება. ამავდროულად, მიუხედავად იმისა მომგებიანია თუ არა სოციალური საწარმო, საზოგადოების მხრიდან ეს საქმიანობა აღიქმება, როგორც სრულფასოვანი ბიზნესი. „საზოგადოებას მეტი სოციალური პროგრამის მოლოდინი აქვს. შესაბამისად, აწარმოებ - ესე იგი გაქვს მოგება და შეგიძლია მეტად დაეხმარო ბენეფიციარებს და არ ეხმარები“ (მადონა ხარებავა, ინტერვიუ 02.08.2016).

ორგანიზაციების აზრით, სოციალური საწარმოს მექანიზმის მართებულად ამოქმედებისთვის აუცილებელია საზოგადოების განათლება და მომზადება სოციალური მეწარმეობისა და სოციალური მისიის არსის თაობაზე.

აქტიური მოქალაქეების ფორმალური და არაფორმალური კავშირები (სს2)

დღის წესრიგში დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების თავიდან აცილების გამო, სს2 ორგანიზაციათა ნაწილი უარს ამბობს ოფიციალურ რეგისტრაციაზე და, შესაბამისად, შეგნებულად არ მონაწილეობს დონორთა საგრანტო პროგრამებში¹⁸. სს ორგანიზაცია WeHelp.ge (მიუხედავად ოფიციალური ა(ა)იპ სტატუსისა) უარს ამბობს ასევე ბიზნესისგან დიდ ინვესტიციაზე, რომ საზოგადოებისთვის არ ასოცირდეს სხვა ფონდთან ან რაიმე ბიზნესთან და ორგანიზაციამ შეინარჩუნოს საზოგადოებრივი პროექტის სახე. გვხვდება შემთხვევები, როცა ამ ორგანიზაციების ქუჩის ღონისძიებების ბექდვურ მასალას უზრუნველყოფს დონორი. ცნობილია, რომ მრავალთვიანი ან მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ დღიანი ღონისძიებების შემთხვევაში ამ ტიპის დაფინანსება 25000 აშშ დოლარიდან - 40000 აშშ დოლარამდე მერყეობს, რაც დონორთა მიერ „მცირე გრანტად“ განიხილება.

ინსტიტუციურად დაფუძნებული სს2 ორგანიზაციების დონორთა დაფინანსება, ორგანიზაციული გაუმართავობის გამო (განიხილებიან „მაღალი რისკის მატარებელ“ ორგანიზაციებად), მწირი და არასტაბილურია. მაგალითად, სს2ოს „უსაფრთხო სივრცე“ დაფინანსება ფრაგმენტულია და დროთა განმავლობაში კლებულობს. ხოლო 2006 წელს დაფუძნებულმა სსო-მ „ტფილისის ჰამქარი“ პირველი დაფინანსება მხოლოდ 2009 წელს მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ 2009-2013 წლებში სსო წარმატებით თანამშრომლობდა დონორებთან (სამი გრანტი, სადაც ყველაზე მასშტაბიანი ერთწლიანი 50000 აშშ-მდე ღირებულების პროექტი, 2013 წლის შემდეგ ორგანიზაციის დაფინანსება შეწყდა (იხ. ცხრილი N2).

¹⁸ დონორთა „განვითარების დახმარების“ პოლიტიკა არ ითვალისწინებს ფიზიკური პირების დაფინანსებას საგრანტო პროექტის ფარგლებში. დღემდე აღსებული იშვიათი გამონაკლისები (მაგ. EWMI G-PAC პროექტი) შემთხვევაში ფიზიკურ პირზე საგრანტო ფულის ანგარიშგება გართულდა ქართული საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობის გამო. მეტად მოქნილი მექანიზმი აქვს ფონდს „ღია საზოგადოება- საქართველო“, რომელსაც აქვს საშუალება სსო-ს დაფინანსების გვერდის ავლით, დაფაროს სსო-ს ხარჯები.

როგორც ინსტიტუციურად გაფორმებული, ასევე გაუფორმებელი სს2 ორგანიზაციების წევრები მნიშვნელოვნად იყენებენ საკუთარ ფინანსურ რესურსებს, ადვოკატორების ღონისძიებების, ასევე სასამართლო დავების შემთხვევაში. ამასთან, ხშირია მათი უსასყიდლოდ დახმარების მაგალითები სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა (მეცნიერები, დიზაინერები, პროგრამისტები, იურისტები და სხვა) მხრიდან. ადვოკატორების საქმიანობისთვის სს2 ორგანიზაციები ცდილობენ მოიზიდონ (მეტ წილად არა-ფულადი) კონტრიბუციები საკუთარი წევრების/თანამოაზრეებისა და აქტივისტების მხრიდან. გვხვდება შემთხვევები, როცა სს2 ორგანიზაციებს ბიზნესი უსასყიდლოდ უთმობს სივრცეს ან უზრუნველყოფს ბეჭდვურ და ვიდეო პროდუქციას, მსახიობები, მომღერლები და მხატვრები უსასყიდლოდ იღებენ მონაწილეობას აქციებში და სხვა. ეს განსაკუთრებით წარმატებულად ხდება მოძრაობის „თეთრი ხმაური“ შემთხვევაში, რომლის საქმიანობაში არიან ჩართულნი როგორც ხელოვნების, ასევე რესტორნის (კლუბის) და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები.

ორგანიზაციას „ტფილისის ჰამქარი“ აქვს დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა - თბილისის ტურები, რომლის დახმარებით იფარება ორგანიზაციის მცირედი (მეტ წილად, ტრანსპორტირების) ხარჯები.

გვხვდება შემთხვევები, როცა სს2 ორგანიზაციები აწყობენ საქველმოქმედო ღონისძიებებს კონკრეტული პრობლემის მოგვარებისთვის თანხების შესაგროვებლად. ამ ტიპის „ფანდრაიზინგს“ ხშირად ახორციელებს სსო WeHelp.ge, სს2-ს ძირითადი საქმიანობაა საქველმოქმედო ვებ-გვერდის-პლატფორმის მართვა, სადაც განთავსებულია იმ კონკრეტული ადამიანების ისტორიები და საჭიროებები, რომელთაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემა და უსახსრობის გამო ამ პრობლემას ვერ აგვარებენ. ვებ გვერდი კლასიკური ტიპის საქველმოქმედო (crowd-sourcing) წყაროა, დამოკიდებულია ქველმოქმედ

ადამიანთა აქტიურობაზე და შექმნის დღიდან (2013 წელს) მოახერხა 600000-მდე ლარის მოგროვება ბენეფიციართათვის. მიმდინარე ხარჯების დასაფარად ორგანიზაციამ მიმართა ინოვაციურ მეთოდს: საიტზე გააქტიურა “tip” ფუნქცია და დონაციისას შესაძლებელია თავად ორგანიზაციის დახმარება (სტატისტიკის მიხედვით, დონაციის გამღებთა 75% იყენებს ამ ფუნქციას, რითიც იფარება მიმდინარე- სერვერის, დომენის, მომსახურებისა და სხვა-ხარჯები).

ცხრილი N3 წარმოგვიდგენს „შემოსავლის წყაროებისა“ და ქვე-კატეგორიების ქულებს სს1 და სს2 ორგანიზაციებისთვის, სადაც სს1 ორგანიზაციებისთვის „შემოსავლის წყაროების“ საშუალო მაჩვენებელი 2.3, ხოლო სს2-სთვის 3.2 ქულაა. ქულებში განსხვავება გამომდინარეობს „შემოსავლების წყაროების“ ქვე-კატეგორიებში სხვაობიდან, სადაც სს1-ის შემთხვევაში საშუალო ქულის თითქმის ნახევარი წილი (4.3) გამომდინარეობს „დონორთა დაფინანსების“ ქულიდან (1.9 ქულა სს2-ს შემთხვევაში). ამასთან, ადვოკატირების მიზნებისთვის გამოყენებული ფინანსური რესურსების ყველა სხვა ქვე-კატეგორიაში სს2 ორგანიზაციები მნიშვნელოვნად უსწრებენ სს1 ორგანიზაციებს. შესაბამისად, ადვოკატირების მიზნებისთვის სს2 ორგანიზაციები უკეთესად ახდენენ შიდა და გარე რესურსების უზრუნველყოფასა და მობილიზებას. ამასთან ნიშანდობლივია, რომ სს2 ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ მიღებული დონორთა დაფინანსება-ნაკლებად იყენებენ დაფინანსების ალტერნატიულ საშუალებებს. როგორც ნაჩვენებია სურათზე N3, სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა ვერ ახდენს ზეგავლენას ადვოკატირების შედეგზე. ამასთან სს2 ორგანიზაციების შემთხვევაში ამ ორ ფაქტორს პირდაპირი კავშირი აქვთ ერთმანეთთან (იხ. სურათი N4). იმის გათვალისწინებით, რომ სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში შემოსავლის წყაროების დიდი წილი მოდის დონორის დაფინანსებაზე, ხოლო სს2

ორგანიზაციების შემთხვევაში სხვა ალტერნატიულ საშუალებებზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ე.წ. „დონორთა“ ფული ვერ ახდენს ზეგავლენას ადვოკატირების შედეგზე. ამ მოსაზრებას ამყარებს სს2 ორგანიზაციების „კანონზომიერებიდან გადახვეული“ ორგანიზაცია C2, რომელიც მნიშვნელოვნად იყენებს შიდა რესურსებს, მონაწილეობა აქვს მიღებული დონორის საგრანტო პროექტში, თუმცა ნაკლებად იყენებს სხვა ფულად და არა-ფულად მატერიალურ რესურსებს (იხ. ცხრილი N3).

შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ არა დონორთა დაფინანსება, არამედ სს ორგანიზაციის მიერ სხვა ფინანსური ალტერნატივების ამოქმედებასა და ხელმისაწვდომობას აქვს კავშირი ადვოკატირების შედეგთან.

5.3.3 სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციული შესაძლებლობები (ადვოკატურების უნარი)

საჯარო პოლიტიკაზე ადვოკატირების გზით ზეგავლენის მოსახდენად ითვლება, რომ სს ორგანიზაცია უნდა იყოს ინსტიტუციურად და ფინანსურად¹⁹ ძლიერი.

1990-ანი წლებიდან დღემდე დონორების მიერ ინიცირებული და მხარდაჭერილი სს1 ორგანიზაციები მნიშვნელოვნად გაიზარდნენ, როგორც პროფესიული, ასევე ინსტიტუციური განვითარების კუთხით. მრავალი კვლევა და ანგარიში ადასტურებს, რომ ნელა, მაგრამ მაინც იზრდება სს1 ორგანიზაციათა რიცხვი, რომელთაც ყავთ დამოუკიდებელი გამგეობა, მოწესრიგებული შიდა ორგანიზაციული სისტემა, აქვეყნებენ წლიურ ანგარიშებს, ატარებენ წევრთა კონფერენციებსა და ირჩევენ აღმასრულებელ დირექტორებს (USAID 2014, CIVICUS 2010). ამასთან, სს1 ორგანიზაციებს

¹⁹ ფინანსური მდგრადობის შესახებ იხ. თავში „სამოქალაქო საზოგადოების შემოსავლის წყაროები“

შორის გაჩნდა შიდა-დემოკრატიული მოწყობის მაღალი სტანდარტის მატარებელი ორგანიზაციები, როგორცაა მაგალითად კვლევის ფარგლებში გამოკითხული, 2012 წელს დაფუძნებული „სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC). ამ სსო-ს ორგანიზაციული სტრუქტურა ჰორიზონტალურია და აღმასრულებელი ორგანო დირექტორთა საბჭოა, სადაც თითოეული დირექტორი კონკრეტულ პროგრამულ (თემატურ) მიმართულებას ხელმძღვანელობს.

სს2 ორგანიზაციები არ მოიხსენიებენ საკუთარ თავს „ორგანიზაციად“, არამედ „პლატფორმად“, რაც გააერთიანებს დაინტერესებულ მოქალაქეებს. ეს „პლატფორმები“ ინსტიტუციურად საკმაოდ გაუმართავია. მათ არ აქვთ მუდმივი ოფისი, არ ყავთ გამოკვეთილი ლიდერი, არ აქვთ შიდა სტრუქტურა, არ ყავთ თანამშრომლები და არ გააჩნიათ პასუხისმგებლობათა სისტემა. სს2 ორგანიზაციების წევრები და გულშემატკივრები სოციალურ მედია ქსელში შექმნილი დახურული ჯგუფის მეშვეობით ურთიერთობენ და გეგმავენ საქმიანობას. მაგალითისთვის, 2016 წლის ნოემბრის მონაცემით „ქალთა მოძრაობაში“ 1000-ზე მეტი ქალი, ხოლო მოძრაობაში „თეთრი ხმაური“ – 500-ზე მეტი წევრი ერთიანდება, როგორც თბილისიდან, ასევე საქართველოს რეგიონებიდან. წევრთა დახმარებით იდენტიფიცირდება პრობლემა და ჩქარდება რეაგირება. ორგანიზაციების თქმით, გარკვეული ფორმით სტრუქტურის არ არსებობა ხშირად ართულებს გადაწყვეტილებების მიღებას. შესაბამისად, რამდენიმე სს2 ორგანიზაცია გეგმავს გარკვეული ტიპის სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რათა არაფორმალურ ლიდერებს ქონდეთ ლეგიტიმაცია ისაუბრონ თანამოაზრეების სახელით.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა სს2 ორგანიზაცია აწევრიანებს ნებისმიერ მსურველს (ქალთა მოძრაობის შემთხვევაში - მხოლოდ ქალებს), რადგან მიაჩნიათ, რომ მიუხედავად იმისა არის თუ არა მოქმედ მომენტში

ადამიანი აქტიური და ჩაერთვება თუ არა აქტიურად ორგანიზაციის საქმიანობაში- მნიშვნელოვანია, რომ ყველა წევრამდე /თანამოაზრემდე მიდიოდეს ინფორმაცია საზოგადოებაში არსებული პრობლემების შესახებ, შესაბამისი თემატური მიმართულებით, გაეცნოს ორგანიზაციის გეგმებსა და აქტივობებს. ჯგუფის წევრებს არ გააჩნიათ არანაირი შეთანხმებული ვალდებულება ან პასუხისმგებლობა - მონაწილეობა სრულად მოხალისეობრივია.

სამოქალაქო საზოგადოების სს1 და სს2 სეგმენტების შიდა ორგანიზაციული გაძლიერების შეფასება არ წარმოადგენს მოცემული კვლევის ამოცანას. პოლიტიკის ადვოკატირების შედეგისა და ორგანიზაციული შესაძლებლობის მაჩვენებლის ურთიერთობის დასადგენად, კვლევა ეყრდნობა „ორგანიზაციული შესაძლებლობების“ კომპონენტის ქულას, რაც დადგინდა USAID-ს პოლიტიკის ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საქართველოში (G-PAC) პროექტის (2011-2014) ფარგლებში განხორციელებულ „არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატირების შესაძლებლობის კვლევას“ (2013) და იმავე პროექტის 2014 წლის „პოტენციური გრანტის მიმღებთა“ შეფასების დოკუმენტის ქულას, რაც გამომდინარეობს ორგანიზაციების ფინანსური და პროგრამული აუდიტიდან, სადაც გამოიკვეთა „დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის კატარეგორიები“.

როგორც ნაჩვენებია ცხრილში N4, სს1 ორგანიზაციებში გვხვდება (დონორთა მიზნებისთვის) როგორც მაღალი, ასევე საშუალო და დაბალი რისკის ორგანიზაციები, ხოლო სს2 ორგანიზაციებში დაბალი რისკის ორგანიზაცია არ გვხვდება. დონორის შეფასებით ან მის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სს1 ორგანიზაციების „ორგანიზაციული შესაძლებლობის“ საშუალო მაჩვენებელი 3.5 ქულაა, ხოლო სს2 ორგანიზაციების 1.8 ქულაა, რაც გამოწვეულია ინსტიტუციური სტრუქტურის მეტი ან ნაკლები სრულყოფით. ამასთან, თუკი

გავითვალისწინებთ, რომ „ადვოკატირების შედეგის“ საშუალო მაჩვენებელი (იხ. ცხრილი N6) სს1 ორგანიზაციებისთვის 3.0, ხოლო სს2 ორგანიზაციებისთვის 3.5 ქულაა - აღმოჩნდება, რომ ორგანიზაციულად ნაკლებად განვითარებულ სს2 სეგმენტს უკეთესი მაჩვენებელი აქვს „ადვოკატირების შედეგის“ მხრივ, შესაბამისად, ორგანიზაციულ განვითარებას ნაკლები კავშირი აქვს ადვოკატირების შედეგთან.

იგივე შედეგი დადგა სს1 და სს2 ორგანიზაციების ცალ ცალკე სეგმენტებად გაანალიზებისას. სურათები N7 და N8 ასახავენ „ორგანიზაციული შესაძლებლობებისა“ და „ადვოკატირების შედეგის“ ურთიერთდამოკიდებულებას და გვაჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების სს1 და სს2 ორგანიზაციების ორგანიზაციული შესაძლებლობა ზეგავლენას ვერ ახდენს ადვოკატირების შედეგზე.

5.4 სტრატეგიული მიდგომა: საკითხის აქტუალურობა, მოტივაცია და ცვლილების თეორია

საერთაშორისო ექსპერტებისა და მკვლევარების შეფასების კრიტერიუმები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადვოკატირების საკითხის ა) აქტუალურობას მოსახლეობის დიდი რაოდენობისთვის და ბ) ცვლილების თეორიას იმის თაობაზე თუ რა უნდა შეიცვალოს და როგორ. საკითხის პირველადი აქტუალურობა გულისხმობს მოსახლეობაში „დაზარალებულთა“ პრობლემების ხარისხს და მასშტაბს, რაც გადაუჭრელობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად აზარალებს როგორც ინდივიდუალურ ადამიანს, ასევე საზოგადოებას. საკითხის პირველადი აქტუალურობა ადვოკატირების მიზეზი - პირველადი „სტატიკური“ მახასიათებელია. ცვლილების თეორია კი, სამოქალაქო საზოგადოების „რწმენის სისტემის“ (ვარაუდი, „საუკეთესო პრაქტიკა“, გამოცდილება და სხვა) გზამკვლევა, პრობლემის შესწავლის საფუძველი და სასურველ შედეგზე ორიენტირებული სამოქმედო სტრატეგია

(ORS 2007). ცვლილების თეორიის არსებობა მოითხოვს *სოციალური მისიის* გააზრებას და კონკრეტულ და გათვითცნობიერებულ ამოცანებს ადამიანისა თუ თემის ცხოვრებაში დადებითი წვლილის შესატანად. ამასთან, გრძელვადიანი და საფუძვლიანი მიზნის მისაღწევად გზაზე სსო-მ უნდა მოახდინონ მრავალი, სხვადასხვა ტიპის მზარდი ცვლილება, რომელნიც ახდენენ რეალურ ზეგავლენას ადამიანებსა და სტრუქტურებზე, რასაც საფუძვლად უდევს ქცევის მამოძრავებელი ფაქტორი - *მოტივაცია*.

5.4.1 საკითხის პირველადი აქტუალობა

ცხადია, რომ მე-20 საუკუნის 90-ან წლებში, როცა ქართულ საზოგადოებას არ გააჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს თავად სამოქალაქო საზოგადოება, რა ფენომენია არა-მომგებიანი სექტორი ან როგორ უნდა მოეხდინა რეაგირება საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე - პირველი სამოქალაქო ორგანიზაციები (სს1) დონორთა მიერ, მათი რჩევით, წახალისებითა თუ ხელშეწყობით შეიქმნა და განვითარდა. საქართველოში მრავალი ამ გზით წამოწყებული ორგანიზაცია, რომელმაც 1990-ან წლებში განახორციელა ერთი ან რამდენიმე მცირე პროექტი, თუმცა გაუქმდა დონორის პროგრამის დასრულებისთანავე²⁰. მიუხედავად ამისა, სექტორში წარმოდგენილია რამდენიმე მძლავრი ორგანიზაცია, რომელიც მიუხედავად დონორის „გასვლისა“ და შესაბამისი ინსტიტუციური თუ ფინანსური დახმარების არ არსებობისა, გააგრძელა სოციალური მისიის აღსრულება.

ყურადღება მისაქცევი (ან ბენეფიციართათვის აქტუალური) საკითხები, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეთავაზებული იყო საერთაშორისო დონორების განვითარების პროგრამების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ სს1 ორგანიზაციები არაერთგვაროვნად აფასებენ საერთაშორისო დახმარების

²⁰ გაუქმებული, ან საქმიანობა შეჩერებული სსო-ები არ წარმოადგენენ მოცემული კვლევის ინტერესის საგანს

რიჟრაჟზე შეთავაზებული თემების აქტუალობას, ცალკეული შემთხვევების გარდა, ეს მეტად უკავშირდება ორგანიზაციულ განვითარებაზე გამოყოფილი დახმარების სიმწირეს და არა თავად პროგრამულ თემატიკას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დონორები მიზანმიმართულად ახდენენ საკითხის აქტუალიზაციას კვლევაზე, ან მოკვლევაზე დაყრდნობით, რაც დღევანდელ დღეს მეტ-წილად ადგილობრივი ექსპერტებისა და მკვლევარების მიერ ან მათი დახმარებით ხორციელდება, შესაბამისად, გათვალისწინებულია ადგილობრივი აზრი და საკითხის მნიშვნელობა არ დგას ექვის ქვეშ.

ადვოკატირების საკითხების მნიშვნელობა ასევე დასტურდება კვლევის პროცესში. ადვოკატირების კუთხით საჭირობოროტო საკითხის აქტუალობის დასადასტურებლად, გამოკითხულ სს1 და სს2 ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა ასახელებს ბენეფიციართა ვიწრო სეგმენტის (სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, ბავშვები, ფერმერები, ქალები, მეწარმეები და სხვა) კონკრეტულ მაგალითებს, რომელთათვის ადვოკატირების საკითხი ატარებდა საჭირობოროტო ხასიათს, ან ეროვნული მნიშვნელობის აქტუალურ საკითხებს (კულტურული მემკვიდრეობა, სამართლის უზენაესობა, სასამართლო თავისუფლება, ეკოლოგია და სხვა), რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვანი იყო ყველა მოქალაქისთვის. თუკი ვიწრო სეგმენტური საკითხების შემთხვევაში სსო-ბი ასახელებენ ბენეფიციართა დიდ რაოდენობას, ფართომასშტაბიანი ეროვნული მნიშვნელობის თემები მივიწყებულ (მაგ. კულტურული მემკვიდრეობა), ან უცნობი იყო (მაგ. ეკოლოგია) საზოგადოებისთვის და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა საზოგადოების ინტერესის საგანს.

ვიწრო სეგმენტური პრობლემატიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც სს1, ისე სს2 ორგანიზაციების შემთხვევაში. თუმცა, ადვოკატირების საკითხის ინდივიდუალურიდან ეროვნულ დონეზე გადასატანად და

აქტუალობის შესაძენად გამოვლინდა განსხვავება სამოქალაქო საზოგადოების ორ სეგმენტს შორის. სს1 ორგანიზაციები, რომლებიც (ხშირ შემთხვევაში) თავად არ ქმნიან თემას, არამედ, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიონალურად ეხმარებიან ინდივიდუალურ მოქალაქეებს - მხოლოდ გარკვეული ნეგატიური ტენდენციის არსებობისას, აზოგადებენ და საჯარო პოლიტიკის დონეზე ცდილობენ საკითხის მოგვარებას. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები. ესენი მეტად რეაგირებენ არსებულ ვითარებაზე, წევენ სამართლებრივ დახმარებას (საკითხის აქტუალობა ინდივიდუალურ დონეზე- ინდივიდუალური ადვოკატირება) და, გამოცდილებაზე დაყრდნობით, საკითხს *სძენენ აქტუალობას* და დღის წესრიგში აყენებენ (საკითხის აქტუალობა ეროვნულ დონეზე- პოლიტიკის ადვოკატირება).

სს1 ორგანიზაციებისგან განსხვავებით, სს2 ორგანიზაციებისთვის ერთი ადამიანის პრობლემა (ასევე ერთი ხის მოჭრა, ერთი ძეგლის დანგრევა) შესაძლებელია გახდეს ფართომასშტაბიანი ადვოკატირების კამპანიის მიზეზი. სს2 ორგანიზაციებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს კონკრეტული საკითხის ირგვლივ მათი ხედვა და რწმენა, ან მათი რწმენის საპირისპიროდ შექმნილი ერთი ადამიანის მდგომარეობა ან საზოგადო ვითარება. სს2 ორგანიზაციების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ მათ მიერ დასმული საკითხი არ იყო აქტუალური ფართო საზოგადოებისთვის, თუმცა მათ შესძინეს აქტუალურობა.

როგორც ნაჩვენებია ცხრილში N5, საკითხის პირველადი აქტუალურობა, როგორც ასახულებენ გამოკითხული სს1 და სს2 ორგანიზაციები - შეფასდა 3.4 (სს1) და 2.9 (სს2) ქულებით. ამ შემთხვევაში პრობლემის პირველადი აქტუალურობა დასტურდება სს2 ორგანიზაციის „რწმენიდან“ და არა

პრობლემის მასშტაბიდან გამომდინარე, რაც, შეფასებისას ნაკლებ „აქტუალურობას“ გულისხმობს.

5.4.2 ორგანიზაციის/კამპანიის წამოწყების მოტივაცია

კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა ორგანიზაციების/ადვოკატირების კამპანიის წამოწყების *მოტივაცია* განსხვავდება თავისი შინაარსით, რამაც შესაძლებელი გახადა პირობითი კატეგორიზაცია.

დონორთა მიერ წახალისებულ სს1 ორგანიზაციებში გამოიყო შემდეგი კატეგორიები:

ა) დაფუძნებულია დონორის მიერ:

უშუალოდ დონორთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები ცოტაა. მათი შექმნა განპირობებული იყო საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სექტორზე სწრაფი დადებითი ზეგავლენის მოსახდენად. ასეთ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან მაგ. „სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED), „ზიანის შემცირების ქსელი“ და სხვა. თუკი 1996 წელს USAID-ს მიერ დაფუძნებული ISFED შეიქმნა საქართველოში საარჩევნო სისტემისა და პროცესების გასამართად, „ზიანის შემცირების ქსელის“ სათაო ოფისის (სეკრეტარიატის) 2006 წელს დაფუძნების შემთხვევაში, დონორმა (ღია საზოგადოება- საქართველო) მიზნად დაისახა თავი მოეყარა ნარკოპოლიტიკაზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის, რადგან ინდივიდუალური ორგანიზაციების საქმიანობა, დონორთა აზრით, ვერ აღწევდა სასურველ შედეგს, ერთმანეთთან კონკურენციისა და კოორდინაციის ნაკლებობის გამო. დონორთა მიერ დაფუძნებულ კატეგორიას მიეკუთვნება ასევე „ევროპის ფონდი“²¹, რომელიც თავდაპირველად (1996 წელს) აშშ-ს

²¹ ყოფილი „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“

არამომგებიანი ორგანიზაციის „ევრაზიის ფონდის“ სამხრეთ კავკასიის ფილიალად დაფუძნდა, ხოლო 2007 წელს ლოკალიზაცია განიცადა და ადგილობრივ ა(ა)იპ-ად ჩამოყალიბდა. „ევროპის ფონდის“ დაფუძნების მიზანი იყო ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც „მომსახურებას“ გაუწევდა USAID-სა და „ევრაზიის ფონდს“ საგრანტო რესურსების მართებული განაწილების კუთხით, სამხრეთ კავკასიაში სამოქალაქო საზოგადოების განსავითარებლად;

ბ) დონორთა მეშვეობით დაგროვილი ცოდნა და მიღებული გამოცდილება: გვხდება შემთხვევები, როცა სსო დაფუძნდა დონორის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგად. ამ კატეგორიაში შესული ორგანიზაციები იქმნება დონორთა პროგრამის „დასაკმაყოფილებლად“, სადაც დამფუძნებლები იყენებენ იმ მატერიალურ რესურსებს, რაც ხელმისაწვდომი გახდა გრანტის საშუალებით. არის შემთხვევები, როცა გამოცხადებულ კონკურსამდე საჯარო პოლიტიკის კონკრეტული საკითხი უცნობი იყო ან საერთოდ არ წარმოადგენდა ორგანიზაციის წევრთა ინტერესთა საგანს. მიუხედავად ამისა, პროგრამის დასრულების, ან დონორის „წასვლის“ შემდეგ საკითხში გათვითცნობიერებული და მეტად მოტივირებული ადამიანები აგრძელებენ იგივე მიმართულებით საქმიანობას, რადგან აღმოაჩინეს, ან მეტად შეისწავლეს პრობლემა, ან პიროვნულად „ჩაერთვნენ“ ბენეფიციართა ცხოვრებაში. მაგალითად, ბათუმში არსებული ექიმებითა და სოციალური მუშაკებით დაკომპლექტებული სსო „ნაბიჯი წინ“, რომელიც ამჟამად ერთერთი წამყვანი ორგანიზაციაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მუშაობს სმენადაქვეითებულ ბავშვთა პრობლემებზე, თავდაპირველად შეიქმნა დონორი ორგანიზაციის Welfare Foundation რჩევითა და ინსტიტუციური დახმარებით. 2003 წელს დონორი ორგანიზაცია ეძებდა ადგილობრივ პარტნიორს რეგიონში, რათა განეხორციელებინა პროექტი იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად. ამ თანამშრომლობამ საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ორგანიზაციის დაფუძნებას, არამედ შემდგომ საქმიანობის

გაფართოვებას დამფუძნებელთათვის მეტად „ნაცნობი“ მიმართულებით. დღეს სმენადაქვეითებულთა დახმარება ორგანიზაციის მანდატი და მათი პრაქტიკულად უნიკალური - ექსკლუზიური თემაა.

ამასთან, მეტია შემთხვევები, როცა დღეს არსებული ორგანიზაციის წევრები მე-20 საუკუნის 90-ან წლებში სხვადასხვა ფორმით ინდივიდუალურად იყვნენ ჩართულნი დონორის ჰუმანიტარულ ან სხვა პროგრამაში და შემდეგ გადაწყვიტეს ჯგუფურად, სპეციალობიდან გამომდინარე - ორგანიზაციის ფორმატში მოქმედება. სსო-ების წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, რომ აქტუალური საკითხი თავად „პოულობს“ სოციალური მისიის აღმსრულებელს. ასეთია, მაგალითად პროფესიონალ ადვოკატების მიერ დაფუძნებულ სსო-ს „კონსტიტუციის 42 მუხლი“ გამოცდილება, რომელმაც პირველი ადვოკატირების კამპანია 1990-ნი წლების ბოლო, პატიმართა უფლებების დასაცავად განახორციელა. ნიშანდობლივია ორგანიზაციის „ბილიკი“ მაგალითი, რომლის დამფუძნებლები 1990-ან წლებში მუშაობდნენ გორის საჯარო ორგანიზაციაში და მონაწილეობას იღებდნენ ფრანგული დონორი ორგანიზაციის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამაში. საჯარო ორგანიზაციას ევალებოდა უსახლკარო და ობოლი ბავშვების პოვნა, აღრიცხვა, ჰუმანიტარული დახმარების გადანაწილება და დარიცხვა. პროგრამის განხორციელებისას ორგანიზაციის დამფუძნებლებმა დაინახეს მიუსაფარ ბავშვთა პრობლემის მასშტაბი და მნიშვნელობა და, შესაბამისად, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის დასრულების შემდეგ, აღრიცხული ბავშვები „მემკვიდრეობით გადაეცათ“. ამ მიზეზით გაჩნდა ორგანიზაციის შექმნისა და საქმის გაგრძელების აუცილებლობა. ეს ის შემთხვევაა, როცა მიუხედავად საკითხის ირგვლივ ინფორმირებულობის პირველადი ნულოვანი მაჩვენებლისა, თავად ორგანიზაციის შექმნა მხოლოდ არსებული ადამიანური რესურსების ერთუზიანობით მოხდა. შესაბამისად, დონორთა დაფინანსებასთან ერთად, ორგანიზაციამ წარმატებით იკისრა სახელმწიფოს დახმარების

ფუნქცია და 1999 წლიდან დღემდე ამუშავებს ბავშვთა დღის ცენტრებს და 2011 წლიდან მცირე საოჯახო სახლებს, შიდა ქართლის სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისა და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის;

გ) პროფესიონალიზმისა და დონორთა დახმარების თანხვედრა:

ხშირად გვხვდება ორგანიზაციები, რომელთა დაფუძნება და განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ დონორის მიერ უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსით, თუმცა ორგანიზაციის მანდატი ნაკარნახები იყო არა დონორის მიერ, არამედ შეჯერდა დამფუძნებლების პროფესიული გამოცდილების შესაბამისად. აქ საჯარო, ან სოციალური პოლიტიკის საკითხის პროფესიონალებმა გადაწყვიტეს ორგანიზაციის დაფუძნება საკუთარი ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცოდნის გამოსაყენებლად შესაძლებელი გახდა დონორის დახმარებით.

ასეთია პროფესიისა და პროფესიონალიზმის ნიშნით 1996 წელს შექმნილი „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ ოზურგეთში, რომელმაც თავისი მოღვაწეობა არაფორმალური გაერთიანების „ახალგაზრდა პედაგოგთა კლუბი“ შექმნით დაიწყო, რათა ემსჯელათ საგანმანათლებლო სისტემის პრობლემებზე და სკოლებს მისცემოდათ შესაძლებლობა ეპასუხათ ახალი გამოწვევებისთვის. დაფინანსების არ არსებობის მიუხედავად, „ახალგაზრდა პედაგოგთა კლუბს“ შეემატა „მეცნიერთა კლუბი“, რომლის საქმიანობა გახმაურდა და კლუბების დამფუძნებლებს დონორებმა დახმარება შესთავაზეს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ორგანიზაციისთვის ცნობილი, რომ საქართველოში არსებობენ დონორი ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. მეგობრების დახმარებით, ორგანიზაციის დამფუძნებლებმა მოამზადეს საგრანტო განაცხადი და მიიღეს პირველი დაფინანსება მასწავლებელთა გაზეთისთვის „საფეხური“.

ასევე, 2002 წელს დაფუძნებული სსო EPRC შეიქმნა რწმენით, რომ პოლიტიკური ცვლილება უნდა იყოს დაფუძნებული ანალიტიკურ საწყისზე. ორგანიზაციის დამფუძნებლების გამოცდილება ემყარებოდა საქართველოს ანტიკორუფციულ საბჭოში რეფორმების პაკეტზე და სახელმწიფო მოდერნიზების პროექტებზე მუშაობით მიღებულ გამოცდილებას. ანტიკორუფციული საბჭოდან წამოსვლისთანავე ახალგაზრდა, დასავლეთში განათლება მიღებულ თანამოაზრეთა გუნდმა შექმნა ორგანიზაცია „მტკიცებულებებზე დაყრდნობით ცოდნის შესაქმნელად“ (ნინო ევგენიძე, ინტერვიუდან, 17.02.2016).

მეტად საინტერესოა ამ კუთხით 1990-ნების ბოლოს შექმნილი ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებმაც წლების განმავლობაში არ გადაუხვიეს დასახული გზიდან, მიუხედავად დაფინანსების არათანაბარი ხელმისაწვდომობისა. 1990-ანებში საკმაოდ აქტიურმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მწვანეები“ და მასთან აფილირებულმა „მწვანეთა მოძრაობამ“ დასაბამი დაუდო რამდენიმე სს ორგანიზაციას. პოლიტიკურ გაერთიანებაში და მოძრაობაში დაგროვილმა გამოცდილებამ, ასევე პოლიტიკისგან გამიჯვნისა და სოციალური მისიის შესრულების სურვილმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისეთი სს ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, როგორცაა „ელკანა“, ან „მწვანე ალტერნატივა“.

1994 წელს შექმნილი ორგანიზაციის „ელკანა“ დამფუძნებლები აღნიშნავენ, რომ ორგანიზაციის შექმნის ძირითადი მოტივაცია გახლდათ რწმენა, რომ საქართველოს მომავალი ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობაა. მიუხედავად ამისა, სოფლად გასვლისას, დამფუძნებლებმა აღმოაჩინეს მრავალი პრობლემა, რაც იმ ეტაპისთვის შეუძლებელს ხდიდა ბიოლოგიურ მეურნეობაზე ზრუნვას. მათ ეს მიმართულება მომავლისთვის - დროებით გადადეს და დაიწყეს უშუალოდ სოფლის მოსახლეობის დახმარებით:

დადიოდნენ სოფლად, იკვლევდნენ საჭიროებებს და გლეხებთან ერთად აანალიზებდნენ არსებული პრობლემების გადაჭრის გზებსა და შესაძლებლობებს. თუკი თავდაპირველად ორგანიზაცია უწევდა გლეხებსა და ფერმერებს მომსახურებას - იურიდიული კონსულტაციებისა და ხელისუფლებასთან მოდერაციის გზით, დღევანდელ დღეს „ელკანა“ ეწევა როგორც ფასიან მომსახურებას, ასევე ამუშავებს საცდელ ბიო-მეურნეობას და ეწევა პოლიტიკის ადვოკატირებას ბიო-აგრარული წარმოების ხელშესაწყობად. 2000 წელს დაფუძნებული „ასოციაცია მწვანე ალტერნატივა“ წამოიწყო „მწვანეთა მოძრაობიდან“ წამოსულმა ოთხმა წამყვანმა „კემპინერმა“, გამომდინარე იქიდან, რომ თავი აერიდებინათ „მწვანეთა პარტიის“ პოლიტიკური ზეგავლენისგან. 1990-ან წლებში არსებულ დონორთა მიერ დაფინანსებული ორგანიზაციული განვითარების უფასო კურსების დასრულებისთანავე ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის ირგვლივ ახალი ხედვებისა და ახალი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის შექმნილი სსო. დაარსების დღიდან, ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოში. ასევე მუშაობს ბიომრავალფეროვნებასთან, ენერგეტიკასთან, კლიმატის ცვლილებასთან და სიღარიბის დაძლევისასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მიიჩნევს, რომ „ეკოლოგიის დაცვა ნიშნავს განვითარებას, როგორც ასეთი“ (ქეთევან გუჯარაიძე, ინტერვიუდან, 05.02.2016).

იშვიათ, თუმცა მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენენ ორგანიზაციები, რომელთა დამფუძნებლები საკუთარი- ქვეყნისთვის ინოვაციური იდეებით განმსჭვალულნი შეიკრიბნენ და წამოიწყო ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია. ქვეყანაში კონკრეტული საჭიროების გამოვლენის შედეგად, ესენი არ მიჰყვებიან დონორთა „დირექტივას“, არამედ თავად სთავაზობენ დონორს თემასა და პროგრამას. არსებობის მანძილზე დგებოდა მომენტები, როცა ფინანსური კრიზისის ფონზე (1996-98, 2004-2007 წლები და სხვა)

ორგანიზაციები უნდა დაშლილიყვნენ და დამფუძნებლებს სხვა საქმე მოეძიებინათ, პირადი გადარჩენის მიზნით. მიუხედავად ამისა, მათ შეინარჩუნეს სოციალური მისიისადმი ერთგულება, არა მარტო „გადარჩენ“, არამედ მნიშვნელოვნად განვითარდნენ. ამ ტიპის ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან CIVITAS Georgica, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ (CSI), EPRC და სხვა.

სსო CIVITAS Georgica -ს დამფუძნებელი გიორგი მესხიძე (ინტერვიუდან 09.03.2016):

“ 1990-ან წლებში მე და დავით მელუა, ვმუშაობდით ერთერთ კვლევით ცენტრში და გავიცანით იმჟამინდელი პარლამენტის დეპუტატი, რომელსაც გავუზიარეთ ჩვენი „გენიალური იდეები საქართველოს განვითარებისთვის“. დეპუტატმა შემოგვთავაზა EU Tasic -ის პროგრამაში²² მუშაობა, რაზეც დავთანხმდით და 1994-95 წლები იქ გავატარეთ. ერთხელ, ჩვენს ბრიტანელ ხელმძღვანელთან ერთად ლუდის ბარში ვსაუბრობდით იმის თაობაზე, რომ განვითარებისთვის ყველა ძალისხმევა, როგორც ხელისუფლების, ასევე დონორთა მხრიდან მხოლოდ თბილისზეა მიმართული და საქართველოს რეგიონები ყურადღების მიღმა რჩება. არ არსებობს არც სტატისტიკა და არც პრობლემათა აღრიცხვა, რაც საშუალებას მისცემდა ქვეყანას განვითარებინა რეგიონები. საუბრისას გაჩნდა იდეა, რომ ხელი მოგვეკიდა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის. სოროსის ფონდს²³ საქართველოში იმ პერიოდში არ ქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა- ჩვენ შევთავაზეთ და დასტურიც მივიღეთ. 1996 წელს დაფუძნების დღიდან უამრავი სამუშაო

²² EU Tasic -ის პროგრამა ერთერთი პირველი იყო, რომელიც საქართველოში განხორციელდა სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშესაწობად

²³ ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“

გაკეთდა და 1998 წლის არჩევნებისთვის, როცა პირველად შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი- მზად აღმოჩნდით“.

დღეს CIVITAS Georgica ერთერთია სს -ის იმ მცირერიცხოვანი ორგანიზაციებიდან, რომლის ოფისი თბილისში მდებარეობს, თუმცა ყველა პროგრამა და აქტივობა საქართველოს რეგიონებში ხორციელდება. მსგავსი ისტორიის და მოტივაციის მატარებელია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“, რომელიც იურისტების მიერ დაფუძნდა იმ დროს, როცა საქართველოში ჯერ არ არსებობდა საკანონმდებლო ორგანო. ორგანიზაციის დამფუძნებლები მუშაობდნენ ეკონომიკის რეფორმის დეპარტამენტში, სადაც (პარლამენტის არ არსებობის გამო) იწერებოდა კანონები, დეკრეტებისა და დებულებების სახით. იმ პერიოდში განისაზღვრა ცნებები, როგორცაა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო“ (შპს), „სააქციო საზოგადოება“ და სხვა. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, იურისტთა ჯგუფმა 1994 წელს, ბიზნეს სამართლის დეპარტამენტის ბაზაზე, დააფუძნა „საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი“. 1995 წელს ცენტრი გამოეყო დეპარტამენტს და 1996 წელს რეგისტრაცია გაიარა "საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრის" სახელწოდებით. ორგანიზაციამ დაიწყო ფუნქციონირება პირობებში, სადაც არ არსებობდა საოპერაციო საკანონმდებლო გარემო. 2002 წელს ორგანიზაციის საქმიანობების არეალის მკვეთრი გაფართოების გამო და მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით გამგეობამ შეიმუშავა რეორგანიზაციის ერთწლიანი გეგმა, რომლის შედეგად 2003 წლის 25 ივნისიდან ბიზნეს სამართლის ცენტრი ფონდ „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტად“ ჩამოყალიბდა. „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც დღემდე მუშაობს სამოქალაქო სექტორის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს.

ვაჟა სალამაძე, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დამფუძნებელი
(ინტერვიუდან, 11.02.2016):

„პირველად „ელკანამ“ მოგვმართა დახმარებისთვის, რადგან
სამოქალაქო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის არ
არსებობა ორგანიზაციას უქმნიდა პრობლემებს“. შევთანხმდით, რომ
დავიწყებდით ამაზე მუშაობას და ვეცდებოდით კანონის გატანას. მაშინ
დაიწერა „გრანტების შესახებ კანონი“, რომელმაც განსაზღვრა გრანტის
ცნება, სტატუსი, სუბიექტები და შინაარსი. ასევე განისაზღვრა
საგადასახადო ვალდებულებები. ასევე სხვა საკანონმდებლო აქტები,
რომლებმაც შექმნეს სამოქალაქო სექტორის საკანონმდებლო ბაზა.
შემდეგ საერთაშორისო გამოცდილება შევისწავლეთ. ნელ-ნელა
დაიხვეწა ბიზნეს კანონმდებლობა და მეტად საკონსულტაციო ფუნქცია
ვიკისრეთ. მეტი ფოკუსირება გავაკეთეთ სამოქალაქო საზოგადოების
გარემოზე და შესაბამისად შევიცვალეთ სახელიც“.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სამოქალაქო აქტივისტების- სს2
ორგანიზაციების სეგმენტს მიეკუთვნებიან კონკრეტული თემით
დაინტერესებული აქტიურ ადამიანთა ჯგუფები ან სამოქალაქო აქტივისტები,
რომლებიც წლების განმავლობაში ადვოკატირებას უწევდნენ საჯარო
პოლიტიკის საკითხს, რამაც გამოიწვია მათი გაერთიანება და ორგანიზაციის
ფორმირება. ამ კატეგორიაში სულ რამდენიმე ორგანიზაცია შედის და იშვიათი
გამონაკლისის გარდა, მხოლოდ 2005 წლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ. ამ
კატეგორიაში ერთიანდებიან როგორც ა) სამართლებრივად (ა(ა)იპ)
დაფუძნებული, ასევე ბ) სამართლებრივად გაუფორმებელი ორგანიზაციები,
რომელთა საქმიანობა, მიუხედავად სამართლებრივი სტატუსისა და
დაფინანსების წყაროსა, სამოქალაქო აქტივიზმის ფორმით ხორციელდება.

სს2 ორგანიზაციები განსხვავდებიან ორგანიზაციის ან ადვოკატირების კამპანიის წამოწყების მოტივაციითა და ცვლილების თეორიით. საინტერესოა, რომ ყველა გამოკითხულ სს2 ორგანიზაციისთვის დამახასიათებელია არა საჭირობოროტო საკითხის პირველადი მოკვლევა, ან გამოცდილებიდან გამომდინარე იდენტიფიცირება, არამედ მათი რწმენის საწინააღმდეგოდ შექმნილი ერთი ადამიანის მდგომარეობა ან საზოგადო ვითარება, რასაც აყენებენ დღის წესრიგში და იწყებენ ხანგრძლივ ადვოკატირებას, ინდივიდუალურად ან/და თანამოაზრეებთან ერთად, სამოქალაქო აქტივიზმის მეთოდების გამოყენებით.

ასეთია, მაგალითად 2014 წელს ჩამოყალიბებული „ქალთა მოძრაობა“, რომელიც *ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის* წევრებისგან, ქალთა პრობლემებზე მომუშავე სს2 ორგანიზაციებისგან და დამოუკიდებელი ქალებისგან შეიქმნა. *ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი* ქალებისგან პატარა საინიციატივო ჯგუფი იყო, რომელიც 2012 წელს დეკლარირებულად გამოვიდა, როგორც ფემინისტთა კავშირი და დაიწყო ბრძოლა ქალების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ, როგორცაა მაგ. სექსიზმი რეკლამაში.

მიუხედავად იმისა, რომ აქტივისტთა ჯგუფი მხოლოდ თბილისში მოქმედებდა, საკმაოდ აქტიური იყო, კარგად შუქდებოდა მედიის მიერ და საქართველოს რეალობაში გამოირჩა ქალების თვით დეკლარირებით ფემინისტებად, რაც საზოგადოებისთვის მიუღებლად ითვლებოდა. საკითხის ადვოკატირებას მშვიდობიანი ფორმით აკეთებდნენ (ფოტო კამპანია, შარჟები და სხვა). მიუხედავად ამისა, ქალთა მკვლევლობების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვებასთან ერთად გადაწყვიტეს, რომ ისეთ საკითხებზე მუშაობა, როგორცაა სექსიზმი რეკლამაში ჯერ ნაადრევია, რადგან საფრთხეში ქალთა სიცოცხლეა. შესაბამისად, დაიწყეს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. 2014 წელს ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის წევრები

გაერთიანდნენ სხვა აქტიურ ადამიანებთან და ჯგუფებთან და დაირქვეს „ქალთა მოძრაობა“.

მსგავსი წარმოშობის ისტორია აქვს საზოგადოებრივ ინიციატივას არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ - მოძრაობას „თეთრი ხმაური“, რომლის წევრებმა პირველად საჯაროდ აღიარეს, რომ იყვნენ ან/და არიან ნარკოტიკებზე დამოკიდებულნი და 2014 წლიდან ცდილობენ ქვეყანაში არსებული ნარკო-პოლიტიკის შეცვლას, საზოგადოებაში ნორმათა ცვლილებაზე ზეგავლენის გზით. მოძრაობა ერთი კონკრეტული შემთხვევის შედეგად დაიწყო, როცა მარიხუანას შენახვის მუხლით დაიჭირეს ბექა წიქარიშვილი. იმ პერიოდში მოძრაობას ერქვა „ბექა კრიმინალი არ არის“. 2015 წლამდე მოძრაობა აერთიანებდა როგორც დღევანდელი „თეთრი ხმაურის“ აქტივისტებს, ასევე სს1 ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და საზოგადოების ცნობილ და ავტორიტეტულ სახეებს. 2015 წელს, ადვოკატორების შედეგად (ქუჩის აქციების, ვიდეო რგოლებისა და მანიფესტების, ასევე სასამართლო სარჩელის ჩათვლით), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატორების ჯგუფის სარჩელი და არასათანადოდ სცნო დაპატიმრების მუხლი და ბექას მოეხსნა ბრალდება. წარმატების შედეგად, მოძრაობამ გადაირქვა სახელი და გაჩნდა მოძრაობა „თეთრი ხმაური“, რათა „ყველა ბექასნაირს ამოეღო ხმა“ (პაატა საბელაშვილი, ინტერვიუდან, 27.10.2016)

პაატა საბელაშვილი, მოძრაობის „თეთრი ხმაური“ აქტივისტი (ინტერვიუდან, 27.10.2016) :

„თეთრი ხმაური ელექტრომაგნიტური ტალღების/სიხშირეების მიერ გამოცემული სტაციონალური ხმაურია, რომელიც აღნიშნავს, რომ რაღაც არაა წესრიგში. ნარკო-პოლიტიკაზეა საუბარი და სამი ძირითადი მიმართულებით ვმუშაობთ. ერთია სახელმწიფო დონეზე ნარკო-

პოლიტიკის შეცვლა, მეორე ბენეფიციართა დახმარება, ხოლო- რაც ყველაზე მთავარია- თემთან - ჩვენს დებთან და ძმებთან მუშაობა, რათა მათ დასძლიონ სტიგმა, შიში და გახდნენ ჩვენი მოძრობის აქტიური წევრები. ამ ყველაფრის მისაღწევად საზოგადოების ინფორმირებაა გადამწყვეტი და ამისთვის „ხმამაღალ საშუალებებს“ ვიყენებთ, როგორცაა აქციები, მსვლელობები, პეტიციები, ქუჩის ღონისძიებები, კლუბური შეხვედრები, ვიდეო არტი, სოციალური რგოლები, ტელევიზია და სხვა. ბიზნეს მიდგომა გვაქვს და ვიცით, რომ ჩვენი თემა უნდა „გავყიდოთ“ და არ ვიყოთ კონტრ-პროდუქტიულნი. ამ შემთხვევაში აქ არაა საუბარი ნარკო-მოხმარების პრევენციაზე, არამედ მომხმარებელთა მიმართ სტიგმის მოხსნა და იმ მიზეზების აღმოფხვრა, რაც დგას დღევანდელი ნარკო-პოლიტიკის უკან.“

განსხვავებული მაგალითია მოხალისეობრივი ორგანიზაცია WeHelp.ge, რომელიც მოსახლეობის დასახმარებლად ინტერაქტიულ ვებ გვერდს www.wehelp.ge –ამუშავებს. ეს არაა სოციალური მოძრაობა, თუმცა აადვილებს დონაციას და ხელს უწყობს საზოგადოებაში სოციალური ქველმოქმედების კულტურის დანერგვასა და პოპულარიზაციას. ინიციატივა ერთი კონკრეტული ადამიანის დახმარების მიზნით შეიქმნა, რომელსაც არ გააჩნდა მკურნალობისთვის საჭირო თანხა. ალტრუისტი ადამიანების დახმარებით საჭირო თანხა შეგროვდა და ორგანიზაციის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს სხვა ადამიანების დახმარებაც. ორგანიზაციამ გაიარა ოფიციალური რეგისტრაცია და მიიღო საქველმოქმედო ფონდის სტატუსი, რათა მისი საქმიანობა (გადასახადების ნაწილში) დაქვემდებარებულიყო ა(ა)იპ ორგანიზაციების შესახებ კანონმდებლობას²⁴.

²⁴ შეღავათები გადასახადების ნაწილში

სს2 ორგანიზაციებს ასევე მიეკუთვნება კვლევის ფარგლებში გამოკითხული „უსაფრთხო სივრცე“, რომელიც წამოიწყო სამოქალაქო აქტივისტმა, დონორის რჩევით, გაიარა რეგისტრაცია და დაფუძნდა როგორც ა(ა)იპ.

ანა გაბრიაძე, დამფუძნებელი, „უსაფრთხო სივრცე“ (ინტერვიუდან, 20.10.2016):

„2003 წელი იყო. ჩვეულებრივ ვიდექი დიღმის ტყე-პარკში და ვხატავდი. ჩემს თვალ წინ მოჭრეს 8 ჰექტარი ხე. მშენებლობის დასაწყებად რომ მოვიდნენ, ერთ დღეში შევკრიბე „ჯარი“ გარშემო მცხოვრები მოქალაქეებისგან, ნაცნობებისგან და ჩემი სტუდენტებისგან. მოსწავლემ მითხრა ვიცი სანდრას²⁵ ტელეფონის ნომერიო. დავრეკე და წელიწადნახევრით გავაჩერეთ მშენებლობის დაწყება. მერე ისევ შეიცვალა რაღაც (იქ მაღლა) და ისევ მოვიდნენ მშენებლები და დაიწყეს მშენებლობა. ისევ დავიწყე ეზო-ეზო სირბილი და ისევ შევკრიბე ხალხი. ათი დღის განმავლობაში გავწიეთ ფიზიკური წინააღმდეგობა და მშენებლობა შეჩერდა. ასე 2003 წლიდან 2011 წლამდე ვაჩერებდი. ხან პარლამენტში დავრბოდი, ხან გარემოს დაცვის სამინისტროში და ხან თბილისის მერიაში. უამრავი ხალხი მეხმარებოდა- მოსახლეობა, მეცნიერები, მოხალისეები, გარემოს დამცველები. ამასობაში ვისწავლე ყველა კანონი, რაც არეგულირებდა გარემოს, გამწვანებასა თუ მშენებლობას. ასე მხატვარი გავხდი იურისტი. 2011 წელს ქეთი ხუციშვილმა²⁶ შემომთავაზა ორგანიზაციის დაფუძნება და გაჩნდა ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცე“.

სს2 ორგანიზაცია „ტფილისის ჰამქარი- ქალაქზე მზრუნველთა გაერთიანება“ თავდაპირველად არ იყო ჩაფიქრებული, როგორც სამოქალაქო მოძრაობა.

²⁵ სანდრა რულოფსი, 2003 წელს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის მეუღლე

²⁶ ქეთევან ხუციშვილი, „ღია საზოგადოება საქართველოს“ დირექტორი

ოჯახის წევრები და მეგობრები შეიკრიბნენ, რათა საზოგადოებისთვის გაეცნოთ და აღედგინათ ძველი თბილისის კულტურული ტრადიციები. 2006 წლიდან ორგანიზაცია ატარებდა ქალაქის ისტორიულ ტურებს და საზოგადოების ფართო სეგმენტს აწვდიდა ინფორმაციას თბილისის ისტორიული ტრადიციების, ძეგლებისა და წეს ჩვეულებების შესახებ, ასევე აგროვებდა და აღწერდა თბილისის ისტორიულ სიმბოლიკას. ამ პერიოდს დაემთხვა თბილისში ახალი მშენებლობების (და შესაბამისად ისტორიული მშენებლობების ნგრევის) ბუმი, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა თბილისის კულტურულ მემკვიდრეობას და ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ იმ მომენტისთვის „წარსულზე ფიქრი არაადექვატური იყო“ (ცირა ელისაშვილი, ინტერვიუდან, 09.11.2016). საკითხზე რეაგირება არ დაუწყიათ ქუჩის პროტესტით, არამედ ეცადნენ ხელისუფლებასთან და ინვესტორთან დიალოგისა და მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას. როცა მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო- საპროტესტო ღონისძიებებზე გადავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო ფუნქცია ორგანიზაციამ მოგვიანებით შეიძინა, იგი დაფუძნების დღიდან იყენებდა სამოქალაქო აქტივიზმის ფორმებს, როგორცაა მაგ. სსო-ს პირველი ღონისძიება - იუნკერების მოსახსენიებელი მარში-მსვლელობა. ეს ღონისძიება, თავისი ფორმით, ქალაქისთვის ინოვაციური იყო და ფართოდ გაშუქდა მედიის მიერ.

ცხრილი N5 წარმოგვიდგენს სამოქალაქო ორგანიზაციების მოტივაციის შეფასებას, სადაც სს1 ორგანიზაციების საშუალო მაჩვენებელი 3.2, ხოლო სს2 ორგანიზაციების 4.5 ქულაა. განსხვავება სს1 და სს2 სექტორებს შორის გამომდინარეობს იქიდან, რომ სს1 ორგანიზაციებში ცოტაა შემთხვევები, როცა ორგანიზაციის დაფუძნების ან ადვოკატირების საკითხი არ იყო სხვადასხვა ფორმით „ნაკარნახები“ დონორის და/ან საერთაშორისო პარტნიორის მიერ. ამასთან, ცხადია, რომ სს2 ორგანიზაციებში მეტი მოტივაციაა სოციალური მისიის აღსრულების კუთხით.

5.4.3 ცვლილების თეორია : ხედვა და მოქმედება

გამომდინარე იქიდან, რომ *ცვლილების თეორიის* ჩარჩო განსაკუთრებულია ინდივიდუალური ორგანიზაციისთვის, კვლევის ფარგლებში ორგანიზაციის *ხედვის* გასაანალიზებლად აქცენტი გაკეთდა კონკრეტული ორგანიზაციის *სოციალური მისიის განაცხადზე*, იმ „მესიჯებზე“ რითიც ახდენენ კომუნიკაციას საზოგადოებასთან, ხედვაზე თუ რისი მიღწევა სურდათ ან სურთ ადამიანის ან თემის უნიკალური საჭიროებების და პრიორიტეტების დასაკმაყოფილებლად და სახეზეა თუ არა „სტრატეგიული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და დაგეგმილი საქმიანობა“ (K4Health Toolkits n.d), რაც *ფორმალიზებული სტრატეგიის* მიმდევრობას გულისხმობს.

ორგანიზაციის *ხედვის* შესახებ კითხვის დასმისას, სს1 ორგანიზაციების ლიდერები ასახელებენ ამონარიდებს ორგანიზაციის მისიის განაცხადებიდან, ყვებიან განხორციელებული პროექტების შესახებ და არ განსაზღვრავენ ცვლილების თეორიას, როგორც ასეთი.

სს1 ორგანიზაციების *სოციალური მისიის განაცხადები* (კამპანიის მასალების მსგავსად), მეტ წილად, შემუშავებულია დონორთა მოთხოვნის/დახმარების შედეგად. მისიის განაცხადთა უმრავლესობა გრძელი და ზოგადია და მიუხედავად მათი გავრცელებისა ვებ გვერდებისა და ბეჭდვური მასალების საშუალებით, გამოკითხული ლიდერები მათ ძნელად იხსენებენ. მისიის განაცხადებში გვხვდება ისეთი ფრაზები, როგორცაა „დემოკრატიის განვითარება“, „ადამიანის უფლებათა გაუმჯობესება საქართველოში“, „უფლებების ინფორმირება და დაცვა“, „პოზიტიური მდგრადი ცვლილებების მიღწევა“, „მარგინალიზაციის, უსამართლობის და სიღარიბის აღმოფხვრა“,

„ძლიერი და ინფორმირებული საზოგადოების შექმნა“ და სხვა. საინტერესოა, რომ საჯარო პოლიტიკის ცვლილებაზე მეტად ორიენტირებულ ორგანიზაციების *ხედვა* მეტად ბუნდოვანია, ვიდრე სოციალურ ცვლილებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისა. უკანასკნელის შემთხვევაში მეტი კონკრეტიკა შემოდის და გვხვდება ისეთი მისიის განაცხადები, როგორცაა „დავეხმაროთ ყველა ბავშვს, განურჩევლად რელიგიისა და ეთნიკური წარმოშობისა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ფსიქო-სოციალური და საგანმანათლებლო დახმარება“ (ასოციაცია „ბილიკი“), „სოფლის ტერიტორიების განვითარება“ („კვიციტას გეორგია“), „ჩვენ გვესმის ერთმანეთის“ („ნაბიჯი წინ“, რომელიც მუშაობს სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციაზე) და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სსო-ბის სოციალური მისიების განაცხადები უმეტეს წილად ხალხს, მათ ინფორმირებას, განვითარებას, შესაძლებლობებისა და ჩართულობის გაზრდას, მობილიზაციას და სხვა ეძღვნება, ადვოკატირების პროცესში სს1 ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად გადაწყვეტილების მიმღებზეა მიზანმიმართული.

ამასთან, სს1 ორგანიზაციები პოლიტიკის ადვოკატირებისას იშვიათად იყენებენ ადვოკატირების „მესიჯებს“. მათი არსებობის შემთხვევაში სათქმელი შემოიფარგლება ბუნდოვანი, სეგმენტებზე გაუთვლელი წინადადებით. „მესიჯები“ არასაკმარისადაა გამოყენებული „საზოგადოებაში განსხვავებული პრეფერენციების ჩამოსაყალიბებლად, რაც გამომდინარეობს იქედან თუ როგორაა ალტერნატივა წარმოდგენილი ან შეფუთული“ (Tversky & Kahneman 1981). კვლევის ფარგლებში იშვიათია შემთხვევები, როცა სს1 ორგანიზაცია წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ „გზავნილმა“ ან კამპანიის მასალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ადვოკატირების წარმატებაში. მიუხედავად მათი ინფორმაციულობისა, მეტად საგანმანათლებლო ხასიათს ატარებენ და, მეტ წილად, დონორთან ანგარიშგებისთვის გამოიყენება. ამ კუთხის

გამონაკლისია შემთხვევები, როცა ადვოკატირების პროცესში სს1 ორგანიზაციები ცდილობენ არა საკითხის „მოგვარებას“, არამედ „გაპროტესტებას“ ან „დაბლოკვას“. ასეთ (იშვიათ) შემთხვევებში სააგიტაციო მასალებისა და გზავნილების შემუშავება და გამოყენება მეტად გააზრებულად და პროფესიონალურად ხდება.

მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის ადვოკატირების პროცესის დეტალურად განხილვისას ნათელი ხდება, რომ სს1 ორგანიზაციების როგორც მისიის განაცხადები და „მესიჯები“, ასევე და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები ნათლად ასახავენ ორგანიზაციების *ცვლილების თეორიას* და ორგანიზაციათა უმეტესობას ნათლად აქვს გააზრებული რისი შეცვლა უნდათ.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი სს1 ორგანიზაციების ყველა *გრძელვადიანი სტრატეგია* ემსახურება არა საჯარო პოლიტიკის საკითხის ადვოკატირებას, არამედ სს ორგანიზაციის განვითარებას. პოზიტიური ცვლილებისთვის *გრძელვადიანი ადვოკატირების სტრატეგია* სს1 ორგანიზაციებში არ არსებობს, თუმცა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში მოღვაწე სს1 ორგანიზაციებს აქვთ მოკლევადიანი *ადვოკატირების სამოქმედო გეგმები*, რომელთა შემუშავება კონკრეტული მოკლევადიანი პროექტის ფარგლებში, დონორის მოთხოვნით ხდება და თავად პროცესი იშვიათად მიჰყვება დასახულ გეგმებს, ან „იცავს“ ადვოკატირების პროცესის აღიარებულ ეტაპებსა და ნორმებს.

ადვოკატირების გრძელვადიანი ფორმალიზებული სტრატეგიის არ არსებობა ხელს არ უშლით სს1 ორგანიზაციებს ბენეფიციართა და გადაწყვეტილების მიმღებთა იდენტიფიცირების, მათთან აუცილებელი შეხვედრების ორგანიზების ან სხვა პროგრამულ საქმიანობაში.

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე შემთხვევა, როცა ადვოკატორების კამპანია დაიწყო და დასრულდა კონკრეტული (დონორის მიერ დაფინანსებული) პროექტის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში, დაფინანსების ან სხვა ინსტიტუციური გამოწვევების გამო ორგანიზაციას გამორჩა საკითხის გადაწყვეტის სასურველი მომენტი, ან პირი, რომელსაც შეიძლება დადებითი ზეგავლენა ჰქონოდა საკითხის გადაწყვეტაზე. ამასთან, გვხვდება მრავალი შემთხვევა, როცა სს1 ორგანიზაცია წარმატებით ახერხებს მისთვის საინტერესო საკითხზე მუშაობისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფას სხვადასხვა ფინანსური მექანიზმების (თანამშრომელთა ხელფასებიდან შემოწირულობა ორგანიზაციის სარეზერვო ფონდში, ადვოკატორების ინტერესის საკითხის მცირე კომპონენტებად გათვალისწინება სხვადასხვა დაფინანსებულ პროექტებში) საშუალებით, რაც უზრუნველყოფს საკითხის ადვოკატორების განგრძობადობას.

ქართული სს1 ორგანიზაციები, ადვოკატორებისას, შეგნებულად ან გაუთვინობიერებლად იყენებს იმ ბერკეტებს, რასაც გვთავაზობენ „ცვლილების თეორიის“ სხვადასხვა თეორეტიკოსები. გვხვდება იშვიათი შემთხვევები, როცა პოლიტიკური ინსტიტუციებისა და საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მაშინ, როცა შეიქმნა ხელსაყრელი გარემო ამ ცვლილებებისთვის. ეს შემთხვევები ეხმიანება Baumgartner & Jones-ის „დიდი ნახტომის“ თეორიას, რომლის მიხედვით „ცვლილება შეიძლება მოხდეს მოულოდნელი მძლავრი აფეთქების მსგავსად და მნიშვნელოვნად აშორებს წარსულთან, იმ მცირე და მზარდი ცვლილებების საპირისპიროდ, რომელნიც ჩვეულებრივ რადიკალურად არ ცვლიან სტატუს ქვოს“ (Baumgartner & Jones 1983).

სს1 ორგანიზაციების ადვოკატორების კამპანიების შედეგად დამდგარი პოზიტიური ცვლილება დგება როგორც მრავალწლიანი მიზანმიმართული

ძალისხმევით, ასევე ad hoc ინიციატივების საშუალებით²⁷. სს1 ორგანიზაციები, პრობლემის არსიდან გამომდინარე, ხშირად „აღმოაჩენენ“ და „წამოწვევენ“ პრობლემას, ან დროის გარკვეულ მონაკვეთში „ერთვებიან“ პროცესში, რომელიც ზეგავლენას ახდენს პრობლემის გადაწყვეტაზე. სს1 ორგანიზაციათა უმეტესობა რეგულარულად იყენებს „პოლიტიკის ფანჯარას“, ანუ შესაძლებლობას, რაც მეტ წილად საქართველოში წინა-საარჩევნო პერიოდს ემთხვევა. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სს1 ორგანიზაციები ახდენენ საკითხის იდენტიფიცირებასა და წამოწვევას, ან ერთვებიან პროცესში, რომელიც ზეგავლენას ახდენს დროის კონკრეტულ მონაკვეთში საკითხის გადაწყვეტაზე. ამ შემთხვევაში არასამთავრობო სექტორი მეტად ეხმიანება John Kingdon-ის თეორიას, რომლის მიხედვით საკითხის განსაზღვრის მიდგომა განაპირობებს დადგება თუ არა საკითხი დღის წესრიგში (Kingdon 1985). კვლევის ფარგლებში შესწავლილი სს1 ორგანიზაციების ადვოკატირების კამპანიების უმეტესობა წარმოადგენს ისეთი ცვლილებების თეორიების კომბინაციას, როგორცაა „ძალაუფლების პოლიტიკის“ (Wright Mills 1956) და „პირველადი ორგანიზაციების ან სათემო ორგანიზების“ (Alinsky 1971) თეორიები.

სს1 ორგანიზაციებისგან განსხვავებით, რომელთა საქმიანობაში გარკვეული „წყვეტა“ პოლიტიკის ადვოკატირებისა და ბენეფიციართა ჩართულობის შორის, რაც დასტურდება მათ მიერ გამოყენებული პოლიტიკის ცვლილების თეორიების გამოყენებით (იხ. ზემოთ), სს2 ორგანიზაციები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ადვოკატირების პროცესში ბენეფიციარების ჩართულობას და, შესაბამისად, პოლიტიკის ცვლილების თეორიებს მეტად დაბალანსებულად იყენებენ. სს2 ორგანიზაციების მიერ გვხვდება როგორც Paul Sabatier -სა და Hank Jenkins-Smith-ის (1999) „კოალიციის თეორიას“, Amos Tversky-სა და Daniel Kahneman- ის (1981) „შესიჯებისა და ჩარჩოების“ თეორიის, ასევე Saul

²⁷ სპონტანურად

Alinsky-ის (1989) „პირველადი ორგანიზაციის თეორიის“ ფართო გამოყენება. ეს ორგანიზაციები მეტად არიან ორიენტირებულნი საზოგადოებაში საჭირობო საკითხის მიმართ დამოკიდებულების ცვლილებაზე და მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში მათი საქმიანობა ესადაგება Baumgartner-ისა და Jones-ის (1983) “დიდი ნახტომის“ თეორიას.

მსგავსად სს1 ორგანიზაციებისა, არც სს2 ორგანიზაციებს აქვთ შემუშავებული ფორმალიზებული გრძელვადიანი ადვოკატირების სტრატეგია. მიუხედავად ამისა, აქვთ ნათლად გააზრებული (ხშირად „იდეალისტური“) ცვლილების თეორია და აღიარებენ, რომ დასახული მიზნების მიღწევას ესაჭიროება სოციალურ ნორმათა ცვლილება, რაც მოკლე დროში შეუძლებელია. სს2 ორგანიზაციების მიერ ქუჩის აქციებსა და ვიდეო რგოლებში გამოყენებული მესიჯები ხშირად რადიკალური ხასიათისაა, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ დიპლომატია ვერ აღწევს თავის მიზანს ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორცაა ძალადობა (ადამიანზე და გარემოზე) და აუცილებელია საზოგადოებას (მათ შორის გადაწყვეტილებების მიმღებებს) შეექმნას დისკომფორტი. სს2 ორგანიზაციებმა, კვლევის ფარგლებში, წარმოადგინეს მტკიცებულებები იმისა, რომ ხშირად რადიკალიზმის გამო კრიტიკის საგანი ხდებიან აკადემიურ წრეებში, თუმცა მათი „მესიჯები“ პოპულარულია სოციალურ მედია ქსელებში, რასაც სს2 ორგანიზაციები მკაცრად აკონტროლებენ. სს2 ორგანიზაციები იმყოფებიან მუდმივი მონიტორინგისა და ადვოკატირების რეჟიმში და დღის წესრიგში ინარჩუნებენ მათთვის საინტერესო თემას. ყველა შემთხვევაში ეს ხდება როგორც ინდივიდუალური ბენეფიციარების განათლებით, დახმარება-დაცვით (ქალთა მოძრაობა, თეთრი ხმაური, wehep.ge) და ქალაქის კონკრეტული ობიექტების გადარჩენით (“ჰამქარი”, “უსაფრთხო სივრცე”), ასევე საჯარო პოლიტიკის კონტროლით, სასამართლოში შეტანილი სარჩელებითა და პოლიტიკის წინადადებების შეთავაზებით.

როგორც ნაჩვენებია ცხრილში N5, სს1 ორგანიზაციები „ცვლილების თეორია“ შეფასებულ იქნა საშუალო 3.2 ქულით, ხოლო სს2 ორგანიზაციები საშუალო 4.7 ქულით. ასევე „ცვლილების თეორიის“ ყველა ქვე-კომპონენტში სს2 ორგანიზაციები შეფასებულ იქნენ უფრო მაღალი ქულით, ვიდრე სს1 ორგანიზაციები, რაც გულისხმობს, რომ სს2 ორგანიზაციები მეტად არიან ორიენტირებულნი სასურველ შედეგზე, ადევნებენ საკითხს თვალყურს, სძენენ ან უნარჩუნებენ აქტუალურობას, შესაბამისად, მეტად ახერხებენ საკითხის დღის წესრიგში შენარჩუნებას. ამასთან, სს1 ორგანიზაციების დეტალური გაანალიზებისას ჩანს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ამ სეგმენტმა კარგად იცის რა უნდა შეიცვალოს, აქვს ხედვა, თუმცა ნაკლებად ახდენს თემის აქტუალიზებას და რუტინულად ასრულებს ორგანიზაციის საქმიანობას.

5.4.4 სტრატეგიული მიდგომა

გამომდინარე იქიდან, რომ არც სს1 და არც სს2 ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ადვოკატირების გრძელვადიანი სტრატეგია, კვლევის მიზნებისთვის „საკითხის პირველადი აქტუალურობის“, „მოტივაციისა“ და „ცვლილების თეორიის“ კომპონენტების საშუალო მაჩვენებელი განიხილება სსო-ს „სტრატეგიულ მიდგომად“.

როგორც ნაჩვენებია ცხრილში N5, სტრატეგიული მიდგომის მაჩვენებელი სს1 ორგანიზაციებისთვის შეფასდა საშუალო 3.2 ქულით, ხოლო სს2 ორგანიზაციებისთვის 4.4 ქულით. სურათი N9 და N10 გვავენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორივე სეგმენტის შემთხვევაში შეიმჩნევა კავშირი სტრატეგიულ მიდგომასა და ადვოკატირების შედეგთან, თუმცა სახეზეა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადახვევა საერთო ტენდენციიდან, როგორც სს1, ასევე სს2 ორგანიზაციების შემთხვევაში. იმის გასარკვევად თუ „სტრატეგიული

მიდგომის“ კომპლექსური მაჩვენებლიდან რომელ ფაქტორს მეტი კავშირი აქვს ადვოკატირების შედეგთან, „სტრატეგიული მიდგომის“ ყველა ფაქტორი ინდივიდუალურად შეჯერდა „ადვოკატირების შედეგის მაჩვენებელთან“.

სურათები N10 და N12 ასახავენ „საკითხის აქტუალურობის“ და „ადვოკატირების შედეგის“ დამოკიდებულებას სს1 და სს2 ორგანიზაციებში და ავლენს, რომ არც სს1 და არც სს2 ორგანიზაციების შემთხვევაში „საკითხის აქტუალურობის“ დონეს არ აქვს კავშირი „ადვოკატირების შედეგთან“.

სურათები N11 ასახავენ „მოტივაციის“ და „ადვოკატირების შედეგის“ დამოკიდებულებას სს1 ორგანიზაციებში. როგორც გამოვლინდა მონაცემების შეჯერებით, სს1 ორგანიზაციების მოტივაცია/ცვლილების თეორიის დონეს სუსტი კავშირი აქვს ადვოკატირების შედეგთან (იხ. სურათი N11), თუმცა რამდენიმე გამონაკლისის გარდა, გარკვეული ტენდენცია შეიმჩნევა. საერთო ტენდენციიდან „გადახვეული“ J1 და T1 ორგანიზაციების „მოტივაციის“ ქვე-კომპონენტში ორივე ორგანიზაცია შეფასდა 1.0 ქულით, რადგან დაფუძნებულია დონორის მიერ (იხ. ცხრილში N5). შესაბამისად, ამ შემთხვევაში „მოტივაციის“ „ტვირთი“ გადადის დონორზე, რომელიც წლების განმავლობაში უწევს ფინანსურ და ინსტიტუციურ დახმარებას სს1 ორგანიზაციას. ამასთან, როგორც ნაჩვენებია სურათზე N12, სს2 ორგანიზაციებში ადვოკატირების შედეგი პირდაპირაა კავშირში მოტივაციასთან. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ორივე სეგმენტის შემთხვევაში მოტივაციას კავშირი აქვს ადვოკატირების შედეგთან.

სურათები N15 და N16 გვაჩვენებს სს1 და სს2 ორგანიზაციებში „ცვლილების თეორიის“ კავშირს „ადვოკატირების შედეგთან“ და ცხადყოფს, რომ სს1 ორგანიზაციის შემთხვევაში ცვლილების თეორიის დონეს ნაკლები კავშირი აქვს ადვოკატირების შედეგთან, ვიდრე სს2 ორგანიზაციებში. გამომდინარე

იქიდან, რომ „ცვლილების თეორიის“ ფარგლებში სს1 ორგანიზაციები ნაკლებად *მოქმედებენ* (ინარჩუნებენ საკითხს დღის წესრიგში), თუმცა აქვთ *ხედვა*, უნდა ვივარაუდოთ, რომ სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში მეტი მნიშვნელობა აქვს „ხედვას“, ვიდრე ე.წ. „ქმედებას“. ამასთან ცხადია, რომ „ნაკლები მოქმედება“ გულისხმობს „განსხვავებულ მოქმედებას“ და თუკი სს2 ორგანიზაციები შემთხვევაში „მოქმედება“ საკითხის დღის წესრიგში შენარჩუნებას გულისხმობს, სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში - ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობას.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, პოლიტიკის დადებითი ცვლილებისთვის სტრატეგიულ მიდგომას მნიშვნელობა აქვს ადვოკატირების წარმატებისთვის. ამასთან, მიუხედავად იმისა თუ რამდენად აქტუალურია საკითხი ფართო საზოგადოებისთვის, ადვოკატირების წარმატებისთვის მნიშვნელობას იძენს სს ორგანიზაციის *მოტივაცია* და *ხედვა* იმისა თუ რა უნდა შეიცვალოს.

5.5 სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების ბერკეტები ცვლილების მოსახდენად

პოლიტიკის ცვლილების მოდელის შესაბამისად, პოლიტიკურ არენაზე ცვლილება გულისხმობს პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას (ORS 2008, UNICEF 2010). იგივე წყაროების მიხედვით, პოლიტიკის ცვლილების ლოგიკური შედეგი შეიძლება იყოს პოლიტიკის შემუშავება, ახალი ან შეცვლილი პოლიტიკა, პოლიტიკის განხორციელება, ადექვატური რესურსების გამოყოფა და სხვა. ამასთან, პოლიტიკის ცვლილებაზე მიმართული პროცესი (ადვოკატირება) წარმოადგენს ინსტიტუციებსა და საზოგადოების ჯგუფებში *სტრუქტურული* და *ნორმატიული* კონტექსტის ცვლილებას. გამომდინარე აქედან, კვლევის ფარგლებში ადვოკატირების შედეგი გამომდინარეობს ა) ადვოკატირების პროცესისა და ბ) შედეგებიდან, სადაც *ადვოკატირების პროცესი* შედგება 1. ხელისუფლების ჩართულობაზე/დარწმუნებაზე

მიმართულ ძალისხმევას და შედეგებს (სტრუქტურულ და ნორმატიულ ცვლილებას) და 2. საზოგადოების ჩართულობაზე მიმართულ ძალისხმევას და შედეგებს (სტრუქტურულ და ნორმატიულ ცვლილებას), ხოლო ადვოკატირების შედეგი გულისხმობს პოლიტიკურ ან სოციალურ ცვლილებას, რაც დასაბუთებულია სს ორგანიზაციების მიერ. ამასთან, ადვოკატირების პროცესში ხელისუფლებისა და ხალხის სტრუქტურული და ნორმატიული კონტექსტის შეცვლაზე მიმართული საქმიანობა უთანაბრდება ადვოკატირების საკითხის ფართო აღიარებაზე მიმართულ ძალისხმევას. ამ პროცესში სადაც ისეთი ბერკეტები, როგორცაა სამოქალაქო სექტორის მიერ მომზადებული პოლიტიკის ანალიზის, ალტერნატიული პოლიტიკის წინადადების და კვლევების გაზიარება და მათთან თანამშრომლობა და სხვა- წარმოადგენენ ერთის მხრივ პოლიტიკის (კანონის და სხვა) ცვლილების ინსტრუმენტად, მეორეს მხრივ კი ხელისუფლებაში პოლიტიკური ნების შეცვლის ინსტრუმენტად, ხოლო ბენეფიციარებსა და ფართო საზოგადოებაზე მიზანმიმართული ძალისხმევა წარმოადგენს ერთის მხრივ კოლექტიური ქმედების წამახალისებელ ბერკეტებს, მეორეს მხრივ კი საზოგადოების ინფრასტრუქტურაში და მოსახლეობის განწყობებში ჩადებულ ინვესტიციას (Reisman, Gienapp & Stachowiak n.d). ადვოკატირების საკითხის აღიარება ფართო საზოგადოების მიერ (ხელისუფლებასა და ხალხში) წარმოადგენს ადვოკატირების შუალედურ შედეგს, რაც აუცილებელია პოლიტიკის ცვლილებისთვის, საბოლოო ჯამში საყოველთაო სოციალური ცვლილების (სიღარიბის შემცირება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, გარემოს გაუმჯობესება, თანასწორობისა და დემოკრატიის გაუმჯობესება და სხვა) მოსახდენად (იხ. სურათი N17).

5.5.1 საკითხის მნიშვნელობის აღიარება ფართო საზოგადოების მიერ

„საკითხის აღიარება ფართო საზოგადოების მიერ“ მოდის ადვოკატირების პროცესში საზოგადოების წევრებთან (ხელისუფლება და ხალხი) თანამშრომლობასთან, „დაზარალებულთა“ განათლებას/შესაძლებლობების ზრდასა და მათი სურვილების შესაბამის ორგანიზებულ საქმიანობასთან ერთად და შეიძლება მოპოვებულ იქნას კონკრეტული ორგანიზებული აქტივობებისა და ღონისძიებების საშუალებით (Alinsky 1971, ციტირებული Stachowiak n.d). შესაბამისად, „საკითხის ფართო აღიარება საზოგადოების მიერ“ ძირითადად უკავშირდება *აუცილებელი ურთიერთობების* ჩამოყალიბებას წარმატებული ადვოკატირებისთვის. ამასთან ითვლება, რომ ორგანიზაციის სანდოობა, პარტნიორობა ან კოალიციები გადამწყვეტი ფაქტორებია ადვოკატირების წარმატებისთვის (Buckley 2014). მიღებულია, რომ თუკი ორგანიზაცია არ გაწევს მნიშვნელოვან ძალისხმევას ამის მისაღწევად პოლიტიკის პოზიტიური ცვლილება არ დგება. იმისათვის, რომ საკითხი ფართოდ იქნას აღიარებული საზოგადოების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა *გააძლიერონ ალიანსები* ერთიანი გზავნილების გასაქდერებლად და მიზნების მისაღწევად და *გააძლიერონ მხარდამჭერთა კელი* (Organizational Research Service 2008). ამ ორი მიზნის მისაღწევად აუცილებელია მრავალი ერთმანეთთან დაკავშირებული ნაბიჯის გადადგმა, რომელიც ერთმანეთთან კოორდინირებით ან ცალ ცალკე ხდება.

გაძლიერებული ალიანსების უზრუნველსაყოფად ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ პარტნიორული ურთიერთობები, კოალიციები, უზრუნველყონ სექტორთაშორისო კამპანიები, ასევე შექმნან ალიანსები ნაკლებად სავარაუდო მოკავშირეებთან. ამის შედეგად უნდა გაიზარდოს საკითხის მხარდამჭერთა და პარტნიორთა რაოდენობა, რომლებიც, კარგი კოორდინაციის შედეგად, გაიზიარებენ პრიორიტეტებს, მიზნებსა და ანგარიშვალდებულების სისტემას (ORS 2008). ეს მეტად ინსტიტუციური პლატფორმაა და პროცესის ყველა ეტაპზე გულისხმობს სტრატეგიულ თანამშრომლობას. ითვლება, რომ თემსა

თუ საზოგადოებაში ეს სტრუქტურული ცვლილებები, ინსტიტუციურ თანამშრომლობასთან ერთად წარმოადგენენ მნიშვნელოვან ძალას რათა გააქვრდეს სასურველი გზავნილი, ხელი შეეწყოს საერთო მიზნის მიღწევას, უზრუნველყოს პოლიტიკის ცვლილება და „დაიცვას“ პოლიტიკის „გამარჯვებები“ , პოლიტიკის „უკუსვლის“ საშიშროების არსებობის შემთხვევაში (ORS 2008).

მრავალი საერთაშორისო ანგარიშის შეფასებით (USAID 2003-2014, Civicus 2010, სხვა), დონორთა მიერ წახალისებული სს1 ორგანიზაციების კოალიციები და ქსელები პრაქტიკულად არ მუშაობენ, ან მუშაობენ მხოლოდ მიმდინარე პროექტის ფარგლებში. ამასთან, აკრიტიკებენ სს1 ორგანიზაციების უუნარობას ითანამშრომლონ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

გამოკითხულთა სს1 ორგანიზაციების უმეტესობა ნამდვილად აღიარებს, რომ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა-განვითარებისა და დონორთა დაფინანსებაზე „ბმიდან“ გამომდინარე რუტინული თანამშრომლობა მართლაც ჭირს. არსებულ ბაზარზე ორგანიზაციები კონკურენციაში შედიან ერთმანეთთან, არა მარტო დაფინანსების, არამედ ძალაუფლების მოხვეჭის კუთხით. მაგალითად, წლების განმავლობაში სს1 ორგანიზაციები ვერ თანხმდებიან ერთიანი „ეთიკის კოდექსის“ დოკუმენტზე, რომელიც 2003 წელს USAID-ს „სამოქალაქო ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში“ შეიქმნა, თუმცა რეალურად არ ფუნქციონირებს²⁸.

²⁸ 2015 წელს „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა“ (CSI) წამოწია ინიციატივა ძველი კოდექსის ასამოქმედებლად, თუმცა ამან ვერ მოიპოვა მხარდაჭერა სხვა წამყვან ორგანიზაციებს შორის. მიზეზად სახელდება შეუთანხმებლობა რუსეთის დაფინანსების გამოყენების ან არ გამოყენების საკითხი

ყველა გამოკითხული სს1 ორგანიზაცია არის წევრი, ან თანამშრომლობს რომელიმე ადგილობრივ ან საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ქსელთან ან პლატფორმასთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს საერთო ფორუმებზე მონაწილეობასა და გამოცდილების გაზიარებას. გვხვდება შემთხვევები, როცა პარტნიორი ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციები ხელისუფლებასთან ადვოკატირებენ ერთსა და იმავე თემას, თუმცა ამას არ აქვს სისტემურ-კოალიციური (ინსტიტუციური) მიდგომა ან ხასიათი. მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული კრიტიკა მოძველდა, რადგან კვლევის ფარგლებში გვხვდება შემთხვევები, როცა გამოცდილი სს1 ორგანიზაციები ეძებენ პარტნიორებს საკითხის ადვოკატირებისთვის და, ცალკეულ შემთხვევებში, თანამშრომლობენ განსხვავებული მანდატის მქონე ორგანიზაციებთან, საერთო ფასეულობებზე დაყრდნობით. მაგალითად, სს1ო „ელკანას“ ბაზაზე ფუნქციონირებს ე.წ. „ადვოკატირების ჯგუფი“, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პროექტებთან, კოალიციებთან და სხვა, ფერმერთათვის ხელშემწყობი საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემოს შექმნის მიზნით. აღსანიშნავია ასევე სსო-ს „მწვანე ალტერნატივა“ მაგალითი, რომელმაც იდენტიფიცირება გაუკეთა და წამოწია თემები (მიწაზე საკუთრების ხელყოფა, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე არა-საქართველოს მოქალაქეების ხელმისაწვდომობა და სხვა), რომლებიც არ წარმოადგენდნენ უშუალოდ ორგანიზაციის მანდატს. ამ შემთხვევაში სსო-ს მანდატის ფარგლებში მიწად მოსარგებლებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე, სს ორგანიზაციის წევრები იცნობდნენ პრობლემატიკას და საკითხის აქტუალობა წამოწიეს ადამიანის უფლებათა დამცველ ჯგუფებთან, რომლებმაც, თავის მხრივ, გააგრძელეს პრობლემის მოსაგვარებლად მუშაობა ამ მიმართულებით. გვხვდება ასევე ახლადშექმნილი (2012 წ) სს1ო „სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) მაგალითი, რომლის არა მხოლოდ საქმიანობა, არამედ შექმნის

იდეა გულისხმობს ინტერდისციპლინარული პლათფორმის გააქტიურებას. „ექსპერტულ“ საქმიანობასთან ერთად, სსო თავად აწყო და მონაწილეობს საპროტესტო აქციებში ადამიანთა შრომის, გამოხატვის, რელიგიური თავისუფლებებისა და სხვა უფლებების დასაცავად. შესაბამისად, სსო ფართოდ თანამშრომლობს როგორც სხვა ინსტიტუციურად დაფუძნებულ სს1 ორგანიზაციებთან, ასევე სოციალურ მოძრაობებთან (სს2), როგორცაა „ქალთა მოძრაობა“, მოძრაობა „თეთრი ხმაური“, მემახტეების მოძრაობა და სხვა და ცდილობს, რომ „ე.წ. „დიდი კრიტიკის არასამთავრობო სექტორი“ მეტად დააკავშიროს მოწყვლად ჯგუფებთან“ (სოფიო ვერძეული, EMC, ინტერვიუდან, 28.10.2016).

ალიანსების შექმნა მეტად წარმატებულია, როცა სს1 ორგანიზაციები ერთიანდებიან არა საკითხის „გადაწვეტის“, არამედ „გაპროტესტების“ ან „დაბლოკვის“ მიზნით, როგორცაა, მაგალითად „ეს შენ გეხება“ კამპანიის რამდენიმე ეტაპი (იხ. „მხარდამჭერთა ველის გაძლიერება“). ამასთან, სს1 სექტორში აღინიშნება რამდენიმე მძლავრი და ქმედითი პარტნიორობა, როგორცაა მაგალითად ISFED, TI და GYLA-ს შემთხვევა. ეს სამი ორგანიზაცია ცნობილია სწრაფი რეაგირებით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებზე და საკითხის დღის წესრიგში დაყენებით. ასევე საინტერესოა „ევროპის ფონდის“, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“, „ბრიტანეთის საბჭოსა“ და „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ მრავალწლიანი პარტნიორობა. სოციალური საწარმოს ფენომენისა და მექანიზმის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი ეს ერთობა შენარჩუნდა და განვითარდა, რაც, სხვასთან ერთად, აისახა ევროინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების მონიტორინგსა და კონკრეტული საკითხების (სურსათის უსაფრთხოება, თავისუფალი ვაჭრობის აუცილებელი პოლიტიკა და სხვა) ადვოკატირებაში. ადვოკატირება მოიცავდა როგორც სახელმწიფოსთან თანამშრომლობას, ასევე

სოციალურ საწარმოს იდეის პოპულარიზაციას, სოციალური საწარმოების ხელშეწყობის ჩათვლით.

კვლევის ფარგლებში გვხვდება შემთხვევები, როცა პარტნიორული, ან კოალიციური მიდგომა დონორის მიერ, პროექტის ფარგლებში იყო მოთხოვნილი, თუმცა თანამშრომლობა გაგრძელდა პროექტის დასრულების შემდეგ. მაგალითად, სს1 ორგანიზაციები „ელკანა“, „კონსტიტუციის 42 მუხლი“, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ და სხვები წლების განმავლობაში თანამშრომლობენ კონკრეტული პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებულ კოალიციების წევრ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაგალითად „ელკანა“ მჭიდროდ თანამშრომლობს 1990-ანების ბოლოს საერთაშორისო ორგანიზაციის OXFAM-ი დახმარებით შექმნილ სასოფლო სამეურნეო ადვოკატორების ჯგუფის (GAAG) წევრებთან. ამ თანამშრომლობის შედეგია ადვოკატორების გზით 2012 წელს „კოოპერატივების შესახებ კანონის“ მიღება (ამოქმედდა 2014 წელს), რომელმაც შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის დარგში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ასევე „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისა“ და სხვა ხუთი პარტნიორი ორგანიზაციის ადვოკატორების შედეგია 2003 წელს ოზურგეთში წყალსადენის აშენება და წყლის მიწოდების საკითხის მოგვარება, მიუხედავად იმისა, რომ დონორის მიერ ეს თანამშრომლობა წახალისებულ იქნა 1998 წელს.

ზემო შემთხვევებისგან განსხვავებით, კვლევის ფარგლებში გვხვდება სს1 ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ადვოკატორებისთვის არ ესაჭიროებათ სხვებთან თანამშრომლობა. მაგალითად, EPRC-ს თქმით, ორგანიზაცია შეიქმნა „ცოდნის შესაქმნელად“, რასაც წარმატებით ახორციელებს, მიზნად არ ისახავს „თანამშრომლობას“, როგორც ასეთი და, ყოველდღიურობაში თანამშრომლობს მხოლოდ „მსგავსი ექსპერტიზისა და გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან“, ხოლო პოლიტიკის საკითხის ადვოკატორებისას თანამშრომლობა არ სჭირდება.

გამოვლინდა მაგალითები, როცა სს1 ორგანიზაციები ქმნიან არაფორმალურ ალიანსებს საზოგადოების წევრებთან ან პოლიტიკურ პარტიებთან. თუმცა, კავშირი ან ალიანსი ინსტიტუციასთან, რომელმაც სსო-ოსთან თანამშრომლობის შედეგად შეიცვალა აზრი, ფორმალურად გაიზიარა სსო-ის სოციალური მისია და ჩადო ძალისხმევა საკითხის ერთობლივ გადაწყვეტაში არ გვხვდება.

სს1 ორგანიზაციებისგან განსხვავებით, სს2 ორგანიზაციები თავად წარმოადგენენ ე.წ. „ალიანსებს“- განსხვავებული წარსულის, პროფესიის, საქმიანობისა და შემოსავლის მქონე ადამიანებისა და ჯგუფების ერთობას. საქმიანობის მანდატის ფარგლებში, ასევე მის გარეთ ეს „ჯგუფები“, ან „პლათფორმები“ ქმნიან ინსტიტუციურ პლათფორმას სს1 ორგანიზაციებთან, სხვა სს2 „ჯგუფებთან“ და „პლათფორმებთან“ ერთად. მაგალითად, მოძრაობა „თეთრი ხმაური“ რეგულარულად იწვევს „თეთრ მაგიდას“, რომლის გარშემო ერთიანდება 50-მდე ნარკო-პოლიტიკაზე მომუშავე სს1 და სს2 ორგანიზაცია, მცირე ჯგუფები და ინდივიდები. ასევე სს ორგანიზაცია „თბილისის ჰამქარი“ ფართოდ თანამშრომლობს როგორც კულტურული მემკვიდრეობის დამცველ სს2 ორგანიზაციებთან, მოძრაობის „ერთად“ წევრებთან, რომელიც აერთიანებს ურბანული მემკვიდრეობის დამცველ, ეკოლოგიის დამცველ, ცხოველთა უფლებების დამცველ და სხვა მოძრაობებსა და აქტივისტებს. ასევე სს2 ორგანიზაციები, როგორც წესი, სოლიდარობას უცხადებენ სხვა სოციალურ მოძრაობებს, როგორცაა ლგბტ ჯგუფების მოძრაობა, „აუდიტორია 115“, „პარტიზანული მებაღეობა“, „ასათიანის პარკი“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამ თანამშრომლობის აწყობა, გარკვეულ შემთხვევებში, საკმაოდ დიდი გამოწვევაა, რადგან სამოქალაქო აქტივიზმის თემატიკა ხშირად ეხება სტიგმატიზებულ საკითხებს და, უმეტეს შემთხვევაში, წინააღმდეგობაში

მოდის ქვეყანაში გაბატონებულ კულტურულ ნორმებთან და ტრადიციებთან. გამომდინარე აქედან, საზოგადოების წევრები ხშირად თავს იკავებენ „რადიკალურ ჯგუფებთან“ თანამშრომლობისგან, რომ არ მოხდეს მათი გაიგივება „ფემინისტებთან“ ან „კრიმინალებთან“. იგივე უნდობლობით შეხვდა საზოგადოება WeHelp.ge-ს წამოწყებას, რადგან არსებული სოციალური ნორმებიდან გამომდინარე, საქველმოქმედო მიზნებით ფულის შეგროვება კითხვის ნიშნებს აჩენდა შეგროვებული ფულის მიზნობრივად გამოყენებაზე. ამასთან, იყო შემთხვევები, როცა (ნებით თუ უნებლიედ) სახელმწიფოს განხეთქილება შეჰქონდა თავად ჯგუფებს შიგნით. ასეთია, მაგალითად, მოძრაობის „თეთრი ხმაური“ შემთხვევა, როცა სახელმწიფო ჩინოვნიკის გამონათქვამის შედეგად, მსუბუქი ნარკოტიკების მომხმარებლები გაემიჯნნენ მძიმე ნარკოტიკის მომხმარებლებს, რადგან მიაჩნდათ, რომ მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზე მიმართული ადვოკატირება ფერხდებოდა ე.წ. „კრიმინალების“ გამო. ასევე, სსო-ის „უსაფრთხო სივრცე“ შემთხვევაში, მოკავშირე ორგანიზაციები ვერ თანხმდებოდნენ თბილისის მწვანე ზონებში მშენებლობების წინააღმდეგ სასამართლო დავების წარმართვის მიმართულებაზე, რადგან ჯგუფის ზოგიერთი წევრები გარკვეული სკეპტიციზმით უყურებდნენ კორპორაციის საწინააღმდეგო, ხოლო ზოგიერთები კი სახელმწიფოს საწინააღმდეგო სარჩელის შეტანას. მიუხედავად ამისა, რომ სს2 ორგანიზაციების მიერ მდგრადი ინსტიტუციური ალიანსების ჩამოყალიბება მთავარ გამოწვევად რჩება, სს2 ორგანიზაციები - ჯგუფებს შიგნით და მათ მიღმა - ეტაპობრივად და თანმიმდევრულად მიმართავენ ზომებს ნდობის მოსაპოვებლად ან/და აღსადგენად და მძლავრი ინსტიტუციური ალიანსების შესაქმნელად. ეს ხშირად კავშირების მოძიებით, საერთო „ნეიტრალური“ ღონისძიების ჩატარებითა და ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით/კომპრომისების გზით ხდება. ორგანიზაციის „WeHelp.ge“-ს შემთხვევაში უნდობლობის დაძლევა და თანამოაზროვნებისა და პარტნიორების მოძიება ფულის შეგროვებისა და მიზნობრივად გახარჯვის

პროცესის ელექტრონული გამჭვირვალობის პრინციპების დაცვამ უზრუნველყო.

მხარდაჭერის ველის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად სსო-ბმა უნდა დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა გადაწყვეტილებების მიმღებთან, მოახდინონ სათემო ორგანიზება, განახორციელონ მედია კამპანიები, უზრუნველყონ ხალხთან კავშირი, მათი განათლება და ჩართულობა კამპანიაში, შექმნან კოალიციები ინტერესთა ჯგუფებთან, შეიმუშაონ დამაჯერებელი „მესიჯები“, მოიზიდონ საზოგადოებრივი ავტორიტეტები, ასევე განახორციელონ პოლიტიკის ანალიზი, უზრუნველყონ დებატები პოლიტიკის ირგვლივ და წარმოადგინონ პოლიტიკის ზეგავლენის შეფასებები (ORS 2003). შესაბამისად, მხარდამჭერთა ველის გაძლიერება მოიცავს კულტურული და საზოგადოებრივი ჩართულობის მრავალ შრეს, მედია ჩართულობის, სამოქალაქო მონაწილეობისა და აქტივიზმის ჩათვლით. გამოკითხულ სს1 ორგანიზაციათა 1/3-ზე მეტი ამბობს, რომ მათი ძირითადი მისია არაა პოლიტიკის ადვოკატირება და საქმიანობა მიმართულია ისეთი საკითხების მოგვარებაზე, როგორცაა ადამიანის უფლებების (მათ შორის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსახლეობის, ბავშვების, ახალგაზრდებისა და ქალების) დაცვა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, სასოფლო ტერიტორიებისა და სოფლის მეურნეობის (მათ შორის ბიო მეურნეობის) განვითარება, სიღარიბისა და სოციალური უსამართლობის დაძლევა და სხვა. ასეთი ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა შემოიფარგლება უშუალოდ ბენეფიციარებთან მუშაობით, მათი ინდივიდუალური საჭიროებების მოკვლევითა და უფლებების დაცვით, მათი განათლებითა და ინფორმირებით, ასევე ბენეფიციარების დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლებთან. უშუალოდ ბენეფიციარებთან მუშაობამ და მიღებულმა გამოცდილებამ დაანახა საკითხის მასშტაბურობის დადგენის აუცილებლობა. შესაბამისად, ორგანიზაციების უმეტესობას დაუკვეთავს

კვალიფიცირებული კვლევა, ან თავად ჩაუტარებია მცირემასშტაბიანი მოკვლევა. საჭირობოროტო საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა პოლიტიკის ცვლილებაზე ფიქრის აუცილებლობა, თუმცა, ის ორგანიზაციები, რომელნიც ინდივიდუალურ პრობლემებზე მუშაობენ თითქმის არასოდეს შეიმუშავენ პოლიტიკის ალტერნატიულ წინადადებას და მათი რჩევები მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მოთხოვნითა და/ან რჩევით შემოიფარგლება.

ამასთან, სს1 ორგანიზაციების თითქმის 2/3 ადასტურებს, რომ მიზნად ისახავენ (მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მონიტორინგითა და ცოდნის გადაცემით) პოლიტიკურ ცვლილებას. ასეთი ორგანიზაციები ორიენტირებულნი არიან სოციო-ეკონომიკური უფლებების პოპულარიზაციაზე, ინფორმირებაზე, უფლებების დაცვაზე და სხვა. ორგანიზაციები აღიარებენ, რომ მხოლოდ ასეთი ბალანსის დაცვით შესაძლებელია პოლიტიკური სისტემის შიგნით დადებითი ცვლილების ხელშეწყობა. ასეთი ორგანიზაციების დიდი ნაწილი მუშაობს დემოკრატიული (მათ შორის საარჩევნო) პროცესების ხელშეწყობაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, სახელმწიფო სისტემების შესაბამისობაზე ევროინტეგრაციის პროცესთან, გარემოს დაცვაზე, ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და სხვა. ამის ერთერთი მაგალითია სსო „ევროპის ფონდი“, რომელიც მიზნად ისახავს „ხალხის გაძლიერების გზით საზოგადოების გაძლიერებას“ (ქეთევან ვაშაკიძე, „ევროპის ფონდი“, ინტერვიუდან, 05.10.2016)²⁹. ასეთი ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში თავად არ აწარმოებენ საჯარო პოლიტიკის საკითხის სოციოლოგიურ კვლევას, არამედ უკვეთავენ კვალიფიცირებულ ორგანიზაციას (ხშირად საკუთარი მეთოდოლოგიისა და ინსტრუქციის საფუძველზე), ან იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და სტატისტიკას. ამათ მიაჩნიათ, რომ კვლევა უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ანალიტიკური

²⁹ „ევროპის ფონდი“ არ წარმოადგენს ადვოკატირების ორგანიზაციის კლასიკურ მაგალითს- თავად გასცემს გრანტებს ადვოკატირებისთვის და ასევე ახორციელებს სხვა პროგრამულ საქმიანობას.

ორგანიზაციის საქმეა და ამ ნიშას არ იკავებენ, კვლევის ხარისხის სტანდარტის შენარჩუნების გამო.

ამასთან, პოლიტიკის ცვლილებაზე ორიენტირებულ სს1 ორგანიზაციების ნაწილში გამოვლინდა კვლევის ფუნქციის საკუთარ თავზე აღების ტენდენცია. ორგანიზაციები (მაგალითად ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე EPRC) ამ სურვილს ხსნიან სოციოლოგიურ ბაზარზე კვალიფიცირებული მკვლევარების ნაკლებობით. სხვები კი (მაგალითად ISFED), ცდილობენ საქმიანობათა მანდატის გაფართოვებას, რათა დონორთა მიერ კვლევების დაფინანსების მიმართ მზარდი ინტერესის გამო უზრუნველყონ სსო-ს სამომავლო დაფინანსება. ორგანიზაციები, რომელნიც ძირითად მანდატთან ერთად ითავსებენ, ან მომავალში შეითავსებენ კვლევას არ გეგმავენ კლასიკური ტიპის ანალიტიკურ ორგანიზაციად გადაქცევას. მათ მიაჩნიათ, რომ კლასიკური ტიპის ანალიტიკური ორგანიზაციის კვლევები და ნაშრომები თითქმის არასოდეს გამოიყენება პრაქტიკოსების მიერ და თანამედროვე ტენდენციების მიხედვით, წმინდა ანალიტიკურმა ორგანიზაციამ აქტუალობა დაკარგა. სსო-ები საკუთარ თავს მოიაზრებენ ქვაზი-ანალიტიკურ ორგანიზაციებად და ამტკიცებენ, რომ უშუალოდ ბენეფიციარებთან და სახელმწიფოსთან მომუშავე ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს უნარი და შესაძლებლობა განახორციელოს კვალიფიცირებული კვლევა, რათა ადასრულოს საკუთარი სოციალური მისია. ეს ტენდენცია ასევე ახლადშექმნილ ორგანიზაციებში შეიმჩნევა, როგორცაა „ადამიანის სწავლებისა და უფლებების მონიტორინგის ცენტრი“ (EMC). როგორც ინტერ-დისციპლინარული „პლათფორმა“ ან „კვანძი“, იგი ათავსებს სამოქალაქო აქტივიზმის საქმიანობას „ექსპერტულ“ საქმიანობასთან და ამ უკანასკნელში იკვლევს ადამიანთა უფლებების დარღვევის მიზეზებს, საჯარო პოლიტიკაში შემოაქვს სოციალური თეორიები და ხელისუფლებას სთავაზობს პოლიტიკის ალტერნატივებს.

მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციისა და კვლევების შედეგების გათვალისწინება ხდება ორგანიზაციების სამოქმედო გეგმებში, ინფორმაცია ვრცელდება სოციალური მედია-ქსელების (ბლოგების) და „მესიჯების“ საშუალებით, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოების ინფორმირებას. ამასთან, კვლევები გამოიყენება ახალი საკანონმდებლო ინიციატივებისა და ალტერნატიული პოლიტიკის დოკუმენტების შესამუშავებლად, საკითხის აქტიური ლობირებისთვის, როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

საჯარო პოლიტიკის ნაწილში ადვოკატირების წარმატება ხშირად განპირობებულია გარემოებით, რომ სს1 ორგანიზაციის მიერ საჭირობოროტო საკითხის შესწავლა დროში წინ უსწრებს თავად საკითხის აქტუალიზებას ხელისუფლებასა და ფართო საზოგადოებაში. ამის მაგალითია 1998 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება, რომლის შემუშავება-მიღება-განხორციელებაში დიდი წვლილი უკავია სსო-ას CIVITAS Georgica. ადგილობრივი მმართველობის დარეგულირების საჭიროების გაჩენის მომენტისთვის ორგანიზაციას უკვე შესწავლილი და ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურაზე, დეცენტრალიზაციის მექანიზმებზე, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქცია-მოვალეობებზე და სხვა მიმართულებებზე, რაც აწესრიგებდა ადგილობრივ მმართველობას. შესაბამისად, სახელისუფლებო სტრუქტურებში იმ მომენტისთვის არსებულ ინფორმაციულ ვაკუუმში, ხელისუფლებას მჭიდრო თანამშრომლობა მოუწია ორგანიზაციის ექსპერტებთან, მათ ჩამოყალიბდათ კარგი იმიჯი არჩეულ მთავრობასთან, ხელისუფლებასთან და დონორებთან და აღმოჩნდნენ წამყვან პოზიციებზე ადგილობრივი მმართველობის საკითხების დარეგულირების საქმეში.

ასეთივე წარმატებულია ბათუმში მოღვაწე ორგანიზაციის „ნაბიჯი წინ“ მაგალითი, რომელმაც 2004 წლიდან დაიწყო C-ჰეპატიტის პრობლემის შესწავლა და დიაგნოსტიკის აუცილებლობის ადვოკატირება აჭარის ავტონომიაში. თუკი მანამდე არ ხდებოდა პრობლემის აღიარება და C-ჰეპატიტი მხოლოდ ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისა და სექსუალური უმცირესობების სენად აღიქმებოდა, “ზიანის შემცირების ქსელთან” და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით მოძიებულმა სტატისტიკურმა ინფორმაციამ უარყო ზემოხსენებული და C-ჰეპატიტის უფასო დიაგნოსტიკის პილოტირება აჭარის ავტონომიაში განხორციელდა. საქართველოში დღეს არსებული C-ჰეპატიტის პროგრამა მეტ წილად ეფუძნება იმ მექანიზმებს და მიდგომებს, რაც შემოდებულ იქნა აჭარაში. ამასთან, სახელმწიფოს ყველა დონის მოხელე საჯაროდ აღიარებს, რომ C-ჰეპატიტის პრობლემატიკის დღის წესრიგში დაყენება და 1014-2016 წლებში სახელმწიფო C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელება სამოქალაქო სექტორის დამსახურებაა.

გვხვდება ასევე სსო-ის IDFI მაგალითი, რომელსაც პროაქტიულად მომზადებული ჰქონდა ქვეყნის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია. ეს ვალდებულება საქართველომ 2006 წელს აიღო და 2014 წლისთვის უნდა განეხორციელებინა, თუმცა არ გააჩნდა მომზადებული გეგმა და, ვადასთან ახლოს ნაჩქარევად, მხოლოდ საჯარო ბიუჯეტის ხარჯზე აპირებდა პროცესის განხორციელებას. სსო-ის ადვოკატირების შედეგად, ორგანიზაციის მიერ მომზადებული სტრატეგიის 80% გათვალისწინებულ იქნა და საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მოხდა დაგეგმილ ვადაში, საჯარო და კერძო სექტორების ჩართულობით, ასევე გათვალისწინებულ იქნა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საჭიროებები (სუბსიდირება).

კვლევის ფარგლებში გვხვდება ორგანიზაციები, რომელნიც საჯაროდ არასოდეს აკრიტიკებენ სახელმწიფო პოლიტიკას, თუმცა ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ მოლაპარაკებისა და დარწმუნების საშუალებით. მაგალითად, 1998 წელს დაარსებული ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ არ წარმოადგენს „ვოჩდოვის“ ტიპის ორგანიზაციას. იგი ახორციელებს სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგს და მუდმივად თანამშრომლობს არსებულ ხელისუფლებასთან ქვეყანაში ბიომეწარმოების, მცირე ფერმერობის განვითარებისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების მიმართულებით მიმდინარე რეფორმებზე, საკითხის სრულყოფისა და/ან გამოსწორების მიზნით. პირველი ასეთი ტიპის კვაზი-ადვოკატირების კამპანია ორგანიზაციამ წამოიწყო 1998 წელს - გენმოდირეცირებული პროდუქტის შემოტანის წინააღმდეგ, თუმცა ეს კანონი მხოლოდ 2012 წელს (არა სრულყოფილი სახით) იქნა მიღებული.

საჯარო პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში ყურადღება ექცევა სს1 ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილების მიმღებთა იდენტიფიცირებას და მათთან ინტერაქციას ისეთი ბერკეტებით, როგორცაა თანამშრომლობა, ოპონირება, დარწმუნება, სიტყვიერი დაპირისპირება, მოლაპარაკებები, პრეტენზიების წაყენება და სხვა, რამაც ზეგავლენა უნდა მოახდინოს გადაწყვეტილების მიმღებზე.

საჯარო პოლიტიკის ცვლილებაზე მიმართული ადვოკატირება, რომელიც გულისხმობს რაიმე კანონის, რეგულაციის, პოლიტიკის მექანიზმის, დაბიუჯეტების და სხვ. მიღებას ან შეცვლას და, მეტ წილად, ხორციელდება უშუალოდ გადაწყვეტილებების მიმღებთა დარწმუნებით, მათთან მუშაობითა და თანამშრომლობით - ჩვეულებრივ განიხილება ლობისტურ საქმიანობად.

გამომდინარე იქიდან, რომ ლობირება³⁰, როგორც ასეთი არაა ნებადართული საერთაშორისო დონორთა მიერ- სს1 ორგანიზაციები არ არქმევენ ამ ტიპის საქმიანობას ლობირებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში ლობირება არ ემსახურება ვიწრო ან კერძო ინტერესებს, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებაში, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ამასთან, ადვოკატირებისა და ცვლილების თეორიების შესაბამისად, „ლობირება“ წარმოადგენს პოლიტიკის ადვოკატირების განუყოფელ ნაწილს და ერთერთ მნიშვნელოვან ბერკეტს.

როგორც კვლევა გვაჩვენებს, კანონის ცვლილებაზე, მიღებაზე, ან შესაბამის დაბიუჯეტებაზე მიმართულ საქმიანობასთან ერთად, პოლიტიკის ცვლილებაზე ორიენტირებული სს1 ორგანიზაციები ასევე ცდილობენ გადაწყვეტილებების მიმღებებს შეექმნათ „შესაბამისი დამოკიდებულება“ საჯარო პოლიტიკის საკითხთან მიმართებაში. გვხვდება შემთხვევები, როცა სს1 ორგანიზაცია საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით ცდილობს დაარწმუნოს ხელისუფლება საკითხის მოგვარების, ან რეგულირების აუცილებლობაში. ასეთია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ შემთხვევა, რომელიც 2012 წლიდან ამუშავებს ხანდაზმულთა სახლს. საკუთარი დაწესებულებისთვის, ექსპერტებთან თანამშრომლობით, სსო-ამ შეიმუშავა ხანდაზმულთა სახლის ინფრასტრუქტურული, მომსახურებითი და პროგრამული სტანდარტები და შესთავაზა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს. ორწლიანი ადვოკატირება, პარტნიორ სათემო ორგანიზაციებთან ერთად აისახა 2014 წელს ეროვნულ დონეზე სტანდარტების დამტკიცებაში.

³⁰ პოლიტიკურ მეცნიერებებში „ლობირება“ განიმარტება, როგორც „მთელი რიგი საქმიანობა, რაც მიმართულია კანონმდებელთა ზემოქმედებაზე, კონკრეტული კანონმდებლობის მისაღებად, რაც ემსახურება ვიწრო ჯგუფის ინტერესების დასაცავად“ (ICCO 2010, Merriam-Webster Dictionary, Cambridge Dictionary,...) „ლობირება“ არაა განმარტებული და არ რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით

გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირება, დარწმუნება და ადვოკატირების პროცესში ჩასართავად სს1 ორგანიზაციების მიერ ფართოდ გამოიყენება ერთობლივი შეხვედრებისა და ფორუმების ორგანიზება. აქ სს1 ორგანიზაციები თავს უყრიან ყველა დაინტერესებულ მხარეს და მათ საშუალება ეძლევათ ისაუბრონ პრობლემის შესახებ და განიხილონ ალტერნატიული წინადადებები. მეტად გამოცდილი სს1 ორგანიზაციები თანამშრომლობენ საერთაშორისო ანალიტიკურ ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან, რომ გაიზიარონ და ხელისუფლებას გაუზიარონ მსოფლიო გამოცდილება. გადაწყვეტილების მიმღებთა ცნობიერების ამაღლებისა და „თამამი“ რეფორმების ხელშეწყობის მიზნით, რამდენიმე ორგანიზაცია, წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობითა და დონორთა დახმარებით, ახორციელებენ საჯარო მოხელეთა გაცვლით პროგრამებს და სტაბილურად ატარებენ საინფორმაციო სემინარებს, მსოფლიო მასშტაბის ანალიტიკოსების, მკვლევარებისა და საჯარო მოხელეების მონაწილეობით. ისეთი მიმართულებით საქმიანობა, როგორცაა, მაგალითად „ეკონომიკის პოლიტიკის რესურს ცენტრის“ „ლიდერთა განვითარების აკადემია“ ან სტენფორდისა და სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა გამიზნულია არა მარტო ინფორმაციის მიღებაზე ან გაცვლაზე, არამედ კონკრეტული საჯარო პოლიტიკის საკითხის გლობალურ კონტექსტში გააზრებაზე- პირველ რიგში გადაწყვეტილებების მიმღებთა მხრიდან.

გარდა საჯარო მოხელეების „განათლებისა“, უშუალოდ პოლიტიკის საკითხების შესწავლისა და (კანონმდებლობის ჩათვლით) ალტერნატიული შეთავაზებების გაკეთებისა, პოლიტიკის ცვლილებაზე ორიენტირებული სს1 ორგანიზაციების საქმიანობა მოიცავს საჯარო პოლიტიკის საკითხებისა და პროგრამების „დაკვირვებისა“ და მათზე რეაგირების ფართო სპექტრს, როგორცაა მონიტორინგი, ზედამხედველობა ან კონტროლი. ამ მხრივ

საინტერესოა სს ორგანიზაციის IDFI მაგალითი, რომელიც 2009 წელს დაფუძნდა სამოქალაქო კონტროლის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგისა და ადვოკატირების მიზნით. 2009 წლიდან სსო-მ პროაქტიულად წამოიწყო საჯარო უწყებების ელექტრონული წყაროების მონიტორინგი: არსებობს თუ არა, რამდენად სრულყოფილია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია და რამდენად აკმაყოფილებს მოსახლეობის ინტერესებს. აქტიურმა ადვოკატირების კამპანიამ, რომელიც დაფუძნებული იყო მიღებული ინფორმაციის სოციალური მედია ქსელების მეშვეობით გასაჯაროებაზე, გამოიწვია სსო-ის პოპულარობის ამაღლება. მონიტორინგთან და კონტროლთან ერთად, ადვოკატირების კამპანია მოიცავდა საჯარო უწყებების ყოველწლიურ რეიტინგის შედგენას და საუკეთესო უწყების გამოვლენა-დაჯილდოებას (სერტიფიკატი, საერთაშორისო წყაროებში მოხსენიება, ფართო გასაჯაროება). ამის შედეგად, თუკი 2010 წელს ინფორმაციის საჯაროობა 22% შეადგენდა, 2016 წლის აგვისტოს მონაცემით მან 45% შეადგინა.

მხარდამჭერთა ველის გაფართოვების ჭრილში საკითხის მიმართ დამოკიდებულების შესაცვლელად გამოცდილი სს1 ორგანიზაციები (მაგ. „ევროპის ფონდი“) აღნიშნავენ გადაწყვეტილებების მიმღებებთან ურთიერთობის სტრატეგიის შეცვლის აუცილებლობაზე, რაც მეტად უნდა იყოს მიმართული არა „პრეტენზიების წაყენებაზე“, არამედ იმის ილუსტრირებაზე, რომ სახელმწიფოს „წაადგება სამოქალაქო სექტორი“, ყველა კონკრეტულ (პოლიტიკის ადვოკატირების) შემთხვევაში.

სწორედ ამ ტიპის ადვოკატირებაა მნიშვნელოვანი და მისაღები მრავალი სს1 ორგანიზაციისთვის. ორგანიზაციები, როგორცაა „ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“, „ელკანა“, „ევროპის ფონდი“, „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი“ და სხვა

აღიარებენ, რომ მათი საქმიანობა სრულადაა მიმართული იმაზე, რომ განვითარებისა და რეფორმების პროცესში სახელმწიფომ მიიღოს გადაწყვეტილებები არა ქაოტურად და სპონტანურად, არამედ დასაბუთებულ და მართებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ყველა გამოკითხული სს1 ორგანიზაციის ადვოკატების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია *ბენეფიციართა ჩართვას* ადვოკატების პროცესში. ორგანიზაციები განმარტავენ, რომ კოლექტიური ქმედების ხელშესაწყობად აუცილებელია კარ და კარ სიარული და მოსახლეობის განათლება. ამასთან, თითქმის სრული უმრავლესობა აღიარებს, რომ საზოგადოებრივი აქტიურობა (კოლექტიური ქმედება) მიიღწევა მხოლოდ „სწორი ინფორმაციის, სწორ დროსა და სწორი ფორმით მიწოდების შედეგად“ (ქეთევან გუჯარაიძე, „მწვანე ალტერნატივა“, ინტერვიუდან, 05.02.2016). გვხვდება ორგანიზაციები, რომლებიც გამორიცხავენ ადვოკატების წარმატებას, თუკი პროცესში არაა ჩართული ბენეფიციართა გარკვეული ნაწილი. მაგალითად „ევროპის ფონდი“ მიიჩნევს, რომ ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ინფორმაციის წყარო და მათი საგრანტო კონკურსის ერთერთი მთავარი მოთხოვნაა ბენეფიციართა განათლება და გააქტიურება, რათა მათ თავად განახორციელონ პრობლემის იდენტიფიცირება და ადვოკატირება.

ამასთან, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა გარკვეული ტენდენციები სს1 ორგანიზაციების წევრების მოსახლეობასთან მუშაობისა, მოხალისეობრივ საწყისებზე, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული „კარ-და-კარი“ არ იყო გათვალისწინებული დონორის მიერ დაფინანსებული პროგრამული საქმიანობითა და ბიუჯეტით. ასეთია, მაგალითად EPRC-ს შემთხვევა, როცა სსო-ის თანამშრომლები პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად დადიან

საქართველოს სოფლებში, ხვდებიან მოსახლეობას და ატარებენ დისკუსიებს ევროპის თემაზე.

მხოლოდ რამდენიმე სს1 ორგანიზაცია ადასტურებს, რომ ადვოკატირების კამპანიის დაწყებამდე „ანათლებენ“ საზოგადოებას (მეტ წილად სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს) და მხოლოდ შემდეგ რთავენ ადვოკატირების პროცესში. ასეთი ორგანიზაციების ნაწილი თვლის, რომ სექტორის შიგნით „ახდენენ ფართო საზოგადოების მობილიზებას“ (მაგ: ბიოწარმოებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად, შშმ პირების პრობლემების მოსაგვარებლად, არჩევნებში ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და სხვა) და ამას აკეთებენ საქართველოს რეგიონებში განათლებისა და შესაძლებლობების ზრდის საშუალებით. ასეთი ორგანიზაციების უმეტესობა თბილისშია დაფუძნებული. მათი თქმით, ქვეყანაში კვალიფიცირებული კადრის ნაკლებობის გამო რეგიონული ფილიალის გახსნა არაა გამართლებული, ხოლო არსებული რესურსების გამოყენება მიზანშეწონილად მიაჩნიათ ადგილზე ჩასვლისთვისა და ინდივიდუალური მუშაობისთვის, რომ შეიცვალოს „დამოკიდებულება“, მოხდეს ცვლილება სოციალურ ნორმებში, რაც საბოლოო ჯამში იწვევს პოლიტიკის ცვლილებას.

საინტერესოა სსო-ს „მწვანე ალტერნატივა“ მაგალითი, რომელსაც არ აქვს ფილიალები საქართველოს რეგიონებში, მაგრამ მჭიდროდ თანამშრომლობს იქ არსებულ ორგანიზაციებთან და მოსახლეობის ინდივიდუალურ წარმომადგენლებთან. არც პარტნიორი ორგანიზაციები და არც ინდივიდუალური მოქალაქეები არ არიან კლასიკური გარემოს დამცველები, თუმცა „მწვანე ალტერნატივის“ მიერ ჩატარებული ინდივიდუალური შემეცნების ამაღლების ძალისხმევის შედეგად, იძიებენ და აწვდიან ინფორმაციას „მწვანე ალტერნატივას“ და რეაგირებენ ყველა შემთხვევაზე, რაც აზიანებს გარემოს.

მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ISFED-ის პროექტი „ხალხის მანიფესტი“, რომელიც მიმართული იყო მოსახლეობის ინდივიდუალური პრობლემების მოგვარებაზე. ამ შემთხვევაში ბენეფიციარებთან გამოყენებული სტრატეგიები მეტად გააზრებული იყო და იყო ხედვა იმისა თუ როგორ უნდა მოგვარებულიყო ადგილობრივი პრობლემები. პროექტი მიზნად ისახავდა ადგილობრივ თემებში აქტიური მოსახლეობის მობილიზებას ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად, ადვოკატირების გზით. პროექტის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარებთან ჩატარდა ტრენინგები სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების მეთოდებში. ასევე ხელი შეეწყო დიალოგს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რათა მოსახლეობას მიცემოდა შესაძლებლობა მიელოდნენ პრობლემებს, დასწრებოდნენ საბიუჯეტო განხილვებს. შემდეგ ეტაპზე ორგანიზაციის მიერ ხორციელდებოდა მონიტორინგი იმისა, თუ რამდენად გადაიჭრა ისეთი ადგილობრივი პრობლემები, როგორცაა ხიდის აშენება, ავტობუსის გაჩერების მოწყობა, ბიბლიოთეკის რემონტი/აღჭურვა, სპორტული დარბაზის მშენებლობა და სხვა. წარმატებული მაგალითების ხილვადობის ხელშეწყობისა და გამოცდილების გასაზიარებლად, თბილისში მოეწყო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და პროექტის ბენეფიციარები.

სს1 ორგანიზაციები რეგულარულად „ადვოკატირებენ“ საკუთარი კლიენტების/ბენეფიციარების სახელით (მაგ. ეხმარებიან დაზარალებულ მუშებს მიიღონ უუნარობის დახმარება ან უზრუნველყოფილ იქნას ჯანდაცვა კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფებისადმი), რაც ბუნებრივია სოციალური ცვლილების მიზნით ხორციელდება და გარკვეულ შედეგს აღწევს. ბენეფიციართა დახმარების კუთხის საინტერესოა სსო-ის კონსტიტუციის 42 მუხლი მაგალითი, რომელმაც 2014 წლიდან დაიწყო მუშაობა 2008 წლის ომის

დევნილთა განათლებაზე და უფლებების (საკუთრების უფლების, სიცოცხლის ხელყოფის და სხვა) დაცვაზე. სსო-ის დახმარების შედეგად, 2015 წელს მომზადდა 390 ინდივიდუალური განაცხადი- მიმართვა ევროპის სასამართლოში.

საერთო ჯამში, ადვოკატორების პროცესში მოსახლეობის შესაძლებლობების ზრდისა და განათლების პროგრამული კომპონენტის დეტალური გაცნობისას ნათელი ხდება, რომ მიუხედავად ადვოკატორების ცალკეული წარმატებებისა საუბარია არა იმდენად კონკრეტული ადვოკატორების პროცესში ბენეფიციარების ჩართულობაზე, არამედ მოსახლეობაში სამომავლო რესურსის შექმნაზე. ამასთან, მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი საქმიანობისა, კვლევამ აჩვენა, რომ სს1 ორგანიზაციების საქმიანობა მეტად ხალხისა და ხელისუფლების შორის მედიატორული ხასიათისაა და ორიენტირებულია მოსახლეობის ინდივიდუალურ ინფორმირებაზე, მომსახურებაზე, დახმარებაზე და განათლება/შესაძლებლობების ზრდაზე, ვიდრე მათ ჩართვაზე საჭირობო როტო საკითხის ადვოკატორებაში.

იმ სს1 ორგანიზაციებისგან განსხვავებით, რომლებიც აღიარებენ, რომ ბენეფიციართა ინფორმირება და ჩართულობა მნიშვნელოვანია ადვოკატორებისთვის, კვლევის ფარგლებში გვხვდება რამდენიმე სს1 ორგანიზაცია, რომელიც მიიჩნევს, რომ *გაუმჯობესებული პოლიტიკა* მეტად სწრაფი და ეფექტური საშუალებაა ადამიანთა *სოციალური კეთილდღეობისა* და *სოციალურ ნორმათა* ცვლილების მოსახდენად, ანუ დადებითი ცვლილება არა „ქვევიდან ზევით“, არამედ „ზევიდან ქვევით“ ძალისხმევის შედეგად ხდება. ეს ორგანიზაციები არა მარტო არ იყენებენ მოსახლეობის ჩართულობის სტრატეგიებს, არამედ ვერ ხედავენ „ყველა მოქალაქის ჩართვის აუცილებლობას“ (ნინო ევგენიძე, EPRC, ინტერვიუდან, 17.02.2016). ასეთი ორგანიზაციების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მთელი რიგი

მნიშვნელოვანი საკითხებისა (მაგ. სასმართლო რეფორმა, საკონსტიტუციო ცვლილებები და სხვა ეროვნული დონის საკითხები) მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს. მასთან აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის ჩართულობისა და კოლექტიური ქმედების უზრუნველყოფა მეტად შესაძლებელია როცა საქმე ეხება წმინდა სოციალურ საკითხებს. ეს ორგანიზაციები მოქმედებენ, როგორც საკითხის ექსპერტები და ყოველი მოქალაქის პრობლემის მოგვარებას ცდილობენ ეროვნული პოლიტიკის დონეზე შესაბამისი ცვლილებების მოთხოვნით და/ან შეთავაზებით. ადვოკატირების პროცესში იყენებენ არა თავად ბენეფიციარებს, არამედ მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და მათზე დაკვირვებას. თუმცა არ გამორიცხავენ მოსახლეობის ინფორმირებასა და მათი აზრის მოსმენას.

ასეთივე „ექსპერტული“ ბუნებისაა ადამიანის უფლებათა დამცველი სს1 ორგანიზაციების საქმიანობა. ესენი აღიარებენ, რომ ინდივიდუალურ სამართლებრივ „ქეისებზე“ დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავენ პოლიტიკის დოკუმენტებს, რომელთა ფორმულირებაში და ლობირებაში შეგნებულად არ რთავენ ბენეფიციარებს, რადგან მიაჩნიათ, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე იცნობენ პრობლემას და აკეთებენ ობიექტურ დასკვნებს.

საინტერესოა ერთერთი სს1 ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოსაზრება, რაც ასახავს მრავალი „ექსპერტული“ ბუნების სს1-ის დამოკიდებულებას ხალხის მობილიზებისა და კამპანიური ჩართულობის მიმართ. ამ შემთხვევაში ადგილობრივ ბიუჯეტში სსო-ის რჩევების გაუთვალისწინებლობის გამო, მიუხედავად სსო-ის მხრიდან მიწოდებული კვლევისა, ფაქტებისა და დადასტურებული საჭიროებებისა, ორგანიზაციის ხელმძღვანელს „სამწუხაროდ მოუწია ქუჩაში ხალხის გაყვანა“ (ინტერვიუდან, 2016 წლის თებერვალი). ეს მაგალითი ადასტურებს, რომ „ექსპერტული ტიპის“

ორგანიზაციებისთვის გაცილებით კომფორტული და მოსახერხებელია პირდაპირ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება და მათი დარწმუნება, ვიდრე მოსახლეობის მობილიზება.

სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში პრაქტიკულად არ გვხდება შემთხვევები, როცა საკითხის ირგვლივ ხდება სათემო მობილიზება ან ადგილი აქვს საჯარო გამოსვლებს. საქართველოს რეგიონებში მოღვაწე ორგანიზაციებს შორის მხოლოდ ორი სს1 ორგანიზაცია ადასტურებს, რომ გამოუყენებიათ ბენეფიციართა ჩართულობის ისეთი ბერკეტები, როგორცაა პეტიციების შემუშავება და ხელმოწერების შეგროვება, ადგილობრივი დაბიუჯეტების ადვოკატირების მიზნით.

რამდენიმე სს1 ორგანიზაციას აქვს გამოყენებული ქუჩის კრეატიული აქციის მეთოდი საკითხზე ყურადღების მისაქცევად, თუმცა ვერცერთი ორგანიზაცია ვერ ადასტურებს ამ ღონისძიებების სასურველ ზეგავლენას საზოგადოების დამოკიდებულებაზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში შეინიშნება ასევე ელექტრონული პეტიციების სიმრავლე, რომელთა დიდი უმრავლესობა რომელიმე სსო-ის მიერაა წამოწყებული და გავრცელებული. მიუხედავად ამისა, არ გვხვდება შემთხვევა, როცა პეტიციის შემუშავება-წარდგენამ დააკმაყოფილა „საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მოთხოვნები ან სტანდარტები“ და, შესაბამისად, შედეგი გამოიღო.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატირების პროცესში „კამპანიური“ მეთოდების გამოყენება ძირითადად თბილისში მოქმედი სს1 ორგანიზაციების მიერ და საერთო ეროვნული ხასიათის პრობლემების მოსაგვარებლად ხდება. როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში კამპანიაში მოსახლეობის მიზნობრივი ჩართვა იშვიათი ხასიათისაა და მათი ინფორმირებითა და

მობილიზების ცალკეული შემთხვევებით შემოიფარგლება. დახურულ კარს მიღმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან დავა-მოლაპარაკებებთან ერთად, კამპანიისას აქტიურად ცდილობენ მედია პლათფორმის გამოყენებას და ატარებენ ქუჩის საპროტესტო (თუმცა მცირერიცხოვან) აქციებს. ასევე ნიშანდობლივია, რომ კამპანიური ადვოკატირება არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენდა წინასწარ დაგეგმილ კამპანიას და მეტად რეაქციულ ხასიათს ატარებდა, ემსახურებიან არა მიმდინარე საკითხის „გადაწყვეტას“, არამედ „დაბლოკვას“. აქ გვხვდება შემთხვევები, როცა სს1 ორგანიზაციებს თავდაპირველად არ ქონდათ დეტალურად გააზრებული სისტემური მოწყობა, ან აუცილებელი ცვლილება. ასევე გვხვდება „კამპანიური ხასიათის“ ადვოკატირების სპონტანურად წამოწყების შემთხვევები როცა სახელმწიფო თავის სასარგებლოდ ირგებს არსებულ სისტემას და ჩნდება ქვეყნისთვის დამაზიანებელი გარემოება. ამ შემთხვევაში სსო-ს კამპანიური ადვოკატირება იწყება პოლიტიკის ცვლილების მომენტში, რადგან სსო-ის მანდატიდან და პროფესიონალიზმიდან გამომდინარე სექტორი ათვისობიერებს ქვეყნის პოტენციურ ზიანს. ორგანიზაციების განმარტებით, ასეთ შემთხვევაში დრო არ რჩება სისტემის მოსაწესრიგებლად და აუცილებელი ხდება დროის კონკრეტულ მონაკვეთში ნეგატიურ ცვლილებაზე იმპულსური და რეაქციული რეაგირება.

ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება 2004 წელს „მწვანე ალტერნატივის“ მიერ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ (გზშ) სავალდებულოების გაუქმების წინააღმდეგ წამოწეული კამპანია, ან 2016 წელს „კონსტიტუციის 42 მუხლის“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და სხვა ორგანიზაციების მიერ წამოწყებული სასამართლო რეფორმის წინააღმდეგ კამპანია. როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში საქმე ეხებოდა სახელმწიფოს გადაჭარბებული

ძალაუფლების საფრთხეს და კონკრეტულ მომენტამდე არ იყო პრობლემა და, შესაბამისად, არ იყო ცნობიერება ან კამპანიის აუცილებლობა.³¹ იგივე კამპანიური ხასიათისაა 2012-2015 წწ. ადამიანის უფლებების დაცვაზე მიმართული „ეს შენ გეხება“ კამპანიის რამდენიმე ეტაპი. 2012 წელს განხორციელებული ეს კამპანია მიზანმიმართული იყო სახელმწიფოს მიერ მედია კონტროლის წინააღმდეგ. ამ კამპანიის შედეგად, საქართველოს მასშტაბით ყველა სამაუწყებლო კომპანიას და ტელე-ოპერატორებს კანონისმიერად დაევალებათ ბაზარზე არსებული ყველა სატელევიზიო არხის ჩართვა, მოსახლეობისთვის მეტად პლურალისტული ინფორმაციის მიწოდებისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოსახლეობის მხრიდან ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით. 2014 წელს კამპანია იგივე სახელწოდებით ამოქმედდა პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ ახალი კანონპროექტის ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ამ კამპანიებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც დიდი და გამოცდილი სამოქალაქო ორგანიზაციები, ასევე ნაკლებად ცნობილი და მცირე ზომის კავშირები თბილისსა და საქართველოს რეგიონებიდან. პირველი კამპანია წარმატებით დასრულდა, ხოლო მეორე კამპანიის შემთხვევაში სსო-ების რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული.

კამპანიური ხასიათის ადვოკატირების წარმატებული მაგალითია ასევე 2001-2004 წლებში განხორციელებული სამოქალაქო სექტორის საკანონმდებლო შეზღუდვის წინააღმდეგ კამპანია. ამ პერიოდში სახელმწიფო რამდენჯერმე ეცადა, საკანონმდებლო ბერკეტების გამოყენებით, შეეზღუდა სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა (იხ. „სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო“). ამ პერიოდში ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“, „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“, „ახალგაზრდა

³¹ „გზმ-ს“ ადვოკატირება დღემდე გრძელდება, თუმცა დაკარგა კამპანიური ხასიათი. „სასამართლო რეფორმის“ წინააღმდეგ კამპანია კი 2016 წლის ოქტომბრის მონაცემით რამდენჯერმე შეჩერდა და ისევ განახლდა, თუმცა შედეგი მოცდმული მომენტისთვის უცნობია

იურისტთა ასოციაცია“ და სხვა „ვიჩდოვი“ პარტნიორი ორგანიზაციები გადავიდნენ მუდმივ დაკვირვებისა და პროტესტის რეჟიმში, რაც წარმატებით დასრულდა და დონორთა მიერ ქვეყნის დემოკრატიზაციაზე გამოყოფილი ფულის შემოდინება ჩვეული პრაქტიკითა და მექანიზმების გამოყენებით შენარჩუნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული კამპანიური ხასიათის ადვოკატირების წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თავად დონორებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დიპლომატებმა, რომლებიც დახურულ კარს მიღმა საქართველოს მთავრობას აკრიტიკებდნენ და/ან ურჩევდნენ მოთხოვნილი ცვლილებებისგან თავის შეკავებას, ან გათვალისწინებას. მიუხედავად ამისა, ეს არ ამცირებს სსო-ს როლს წარმატებულ ადვოკატირებაში, რადგან ექსპერტების აზრით, სსო-ბის მობილიზაციამ გამოიწვია დონორთა მხარდაჭერა და არა პირიქით.

სხვა მექანიზმებთან ერთად, რაც ხელს უწყობს მხარდამჭერთა ველის გაფართოვებას სს1 ორგანიზაციები გამოყოფენ ევრო-ინტეგრაციის პროცესის მექანიზმებს და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ქართული ეროვნული პლათფორმას, რომელიც 2014 წლის მონაცემით 135 წევრ სს1 ორგანიზაციას აერთიანებს. აღნიშნავენ, რომ როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის, ასევე ევროკომისიის „საკანონმდებლო ინიციატივის საქართველოსთვის ვიზების გაუქმების თაობაზე“ პირობები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აძლევს შესაბამის ბერკეტებს საჯარო პოლიტიკაზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად. მაგალითად, 2014-2015 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება სურსათის უვნებლობის კუთხით, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ადვოკატირებდა სსო „ელკანა“, განხორციელდა მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნის ფარგლებში. საკანონმდებლო ცვლილება აიძულებს

საკვები პროდუქტის მწარმოებელ კორპორაციას გამოშვებულ პროდუქტზე მიუთითოს პროდუქტის სრული შემადგენლობა. ამავე ცვლილებების შედეგად აიკრძალა ისეთი საფირმო სახელწოდებების გამოყენება, რომლებიც შეიცავენ მითითებას „ბიოლოგიურ პროდუქტზე“ (იმ შემთხვევაში, თუკი წარმოება სრულად არაა ბიოლოგიური). სსო „ელკანას“ მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის გარკვეული კომპონენტები გამოყენებულ იქნა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

ზემოხსენებულ საქმიანობასთან ერთად, მხარდამჭერთა ველის გასაფართოებლად პოლიტიკის ცვლილების თეორიები მნიშვნელობას ანიჭებენ *საკითხის გასაჯაროებას*, რაშიც ერთერთი წამყვანი როლი მედიას მიეკუთვნება, რადგან მედიას აქვს უნარი „შეცვალოს ადამიანთა დამოკიდებულება საკითხის მიმართ, ასწავლოს და ამით გააუმჯობესოს უნარები, ქცევა და ფასეულობები“ (Stachowiak, 2013). მედიასთან თანამშროლობა ფართოდ მოითხოვება ადვოკატირების პროექტების დამფინანსებელ დონორთა მიერ. გარკვეულ შემთხვევებში მოთხოვნა შემოიფარგლება პროექტის გაშუქებით. ამასთან. ცნობილია დონორთა საგრანტო პროექტები, რომელთა სააპლიკაციო ფორმატი პირდაპირ ითხოვს ადვოკატირების ფარგლებში მედია ორგანიზაციასთან პარტნიორობას. შესაბამისად, სს1 ორგანიზაციები ცდილობენ ადვოკატირების პროექტების გაშუქებას, მეტი ან ნაკლები წარმატებით. სს1-ის მხრიდან მედია საშუალებების მიმართ ისმის მნიშვნელოვანი კრიტიკა. ორგანიზაციების უმეტესობა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სექტორი ნაკლებად პოპულარულია მედია გაშუქების კუთხით. ადგილობრივი ბეჭდვური მედია საშუალებები მეტი ან ნაკლები წარმატებით აშუქებენ ორგანიზაციების საქმიანობას. არსებობენ ორგანიზაციები (მაგ, „მედია ცენტრი-კახეთი“), რომელიც თავად წარმოადგენს მედიას და მისი ადვოკატირება პრაქტიკულად შემოიფარგლება ადგილობრივ დონეზე საკითხის გასაჯაროებით. მიუხედავად ამისა,

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ ტელევიზია რჩება (NDI 2015), ინფორმაცია სამოქალაქო სექტორის როგორც ყოველდღიურ საქმიანობაზე, ასევე ადვოკატირების კამპანიების მიმდინარეობაზე და შედეგებზე ეთერის მიღმა რჩება.

სს1 ორგანიზაციების (მეტ წილად საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკის) ექსპერტები მონაწილეობას იღებენ ეროვნულ პოლიტიკურ თოქ-შოუებში, თუმცა მოსახლეობის მიერ ისინი აღიქმებიან ინდივიდუალურ ექსპერტებად და არა საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლებად, თუმცა სს1 ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მსგავს მიდგომას წვლილი შეაქვს ქვეყანაში დემოკრატიული ლიბერალური ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბების საქმეში. თავად მედია სამოქალაქო სექტორს მოიხსენიებს „არასამთავრობოებად“ ან ადამიანის უფლებათა დამცველებად, მიუხედავად სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა.

სს1 ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ თავად მედია ზედმეტად პოლიტიზირებულია და სსო-ს ლიდერი ხშირად იძულებულია გააკეთოს კომენტარი ნებისმიერ პოლიტიკურ თემაზე. სსო-ის მანდატით შემოფარგვლა მედიასთან საუბარში პრობლემურია, რადგან პოლიტიკური კომენტარის გაკეთებაზე უარის შემთხვევაში მედია აღარ გამოდის კონტაქტზე. შესაბამისად, სსო-ის ლიდერები ჩამოყალიბდნენ ნებისმიერი პოლიტიკური თემის „ექსპერტებად“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის საქმეში ე.წ არასამთავრობოების „პოლიტიზირება“ გარკვეულ დადებით როლს თამაშობს. „პოლიტიკური აქტიურობა“ აღვივებს სსო-ის ლიდერებსა და საზოგადოებას

და პოლიტიკოსებს შორის კონტაქტებს, ხსნის მისასვლელ გზებს, რაც ხელს უწყობს შემდგომ კავშირებსა და მოლაპარაკებებს საჯარო პოლიტიკის დონეზე კონკრეტული ცვლილების მისაღწევად. ამის მაგალითია სსო-ის „მარნეულის დემოკრატი ქალთა კავშირი“, რომელმაც ტელეკომპანია „იმედს“ მოამზადებინა სიუჟეტი მარნეულის საბავშვო ბაღის სანიტარული ქსელის გაუმართავობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის შედეგად განათლების სამინისტრომ და განათლების ადგილობრივ რესურს ცენტრმა სცადეს ზეწოლა მოეხდინათ ორგანიზაციაზე, შემდგომი გასაჯაროების თავიდან აცილების სურვილით, ბაღების სანიტარული მდგომარეობა გამოსწორდა. ამასთან, „მარნეულის დემოკრატი ქალთა კავშირის“ მომდევნო ადვოკატირების პროექტმაც წარმატებას მიაღწია და ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

საერთო ჯამში სს1 ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად საკმარისი გამოცდილებისა, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა მედიასთან ურთიერთობის კუთხით, მედია ნაკლებად იცნობს მესამე სექტორის საქმიანობის სპეციფიკას და საჭირობო როტო საკითხების გაშუქება პრობლემად რჩება.

განსხვავებული აზრი და მიდგომა აქვთ სს2 ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ არცერთ სს2 ორგანიზაციას შექმნია პრობლემა მედიის მობილიზაციის კუთხით. გარდა ამისა, ელექტრონული სოციალური მედია ქსელები, ასევე სატელევიზიო და ბეჭდვური მედია სს2 ორგანიზაციის კომუნიკაციის ერთერთი ძირითადი საშუალებაა, რადგან ამ გზით ცდილობენ მოსახლეობისადმი ინფორმაციის მიწოდებას და მათ მობილიზებას. მაგალითად, მოძრაობა „თეთრი ხმაური“ სოციალური მედია ქსელების მოხალისე ოპერატორები 24-საათიან რეჟიმში აკონტროლებენ და სტატისტიკურად აფასებენ ორგანიზაციის აქტივობას და

შესაბამისად ცვლიან კომუნიკაციის სტრატეგიებს. სსო „უსაფრთხო სივრცე“ მართავს ინტერნეტ-ტელევიზიას, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს აქვს საშუალება არა მარტო მისდიოს სამოქალაქო სექტორის საქმიანობას, არამედ თავად მოამზადოს გადაცემა, წარმართოს ეთერი და გაავრცელოს ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ. სსო WeHelp.ge თავად წარმოადგენს ელექტრონულ რესურსს, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის მობილიზებას ცალკეული ადამიანის დასახმარებლად. ყველა სს2 ორგანიზაცია აქტიურად წერს სტატიებსა და ბლოგებს, ავრცელებს ვიდეო რგოლებსა და სოციალურ რეკლამებს, რომელთა კითხვადობას და გავრცელებას მკაცრად აკონტროლებენ. ამასთან, სს2 ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ მედიის ყურადღების მოსაპყრობად ქმნიან „ნიუსებს“ და ხშირად წარმოადგენენ ინტერესის საკითხის ირგვლივ ოპერატიული ინფორმაციის ერთადერთ წყაროს, რაც (კრეატიულ და პროვოკაციულ ღონისძიებებთან ერთად) უზრუნველყოფს მედია დაინტერესებას. სს2 ორგანიზაციები დადებითად აღნიშნავენ სატელევიზიო სივრცეში ისეთი გადაცემების წამოწყებას, როგორცაა საზოგადოებრივი მაუწყებლის „კომუნიკატორი“ და „რეალური სივრცე“, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობენ.

სს2 ორგანიზაციების როგორც მედია აქტიურობა, ასევე სხვა ადვოკატირების ბერკეტები გამომდინარეობენ რწმენიდან რომ სოციალურ ცვლილებას ესაჭიროება საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, რასაც პოლიტიკის მდგრადი ცვლილება მოსდევს.

იდა ბახტურიძე, ქალთა მოძრაობის აქტივისტი (ინტერვიუდან, 24.05.2016):

„არის შემთხვევები, როცა კანონის (ან პოლიტიკის) ცვლილება იწვევს სოციალური ცნობიერების ცვლილებას, თუმცა ეს პრობლემის მოგვარების პროცესში მხოლოდ ერთერთი ინსტრუმენტია. მაგალითად, ჩვენთვის ქალთა ქვოტები არაა თვითმიზანი. ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისკენ და მათ მიმართ ძალადობის აღმოფხვრისკენ. კანონის მიღებით ბრძოლა არ თავდება- პრაქტიკაში არის ასამუშავებელი, ამისთვის კი სხვა აქტივობაცაა საჭირო. ქვეყანაში ხან კანონი არ არსებობს და ხან პოლიტიკა, თუმცა შესაძლებელია ერთი გქონდეს და მეორეც, მაგრამ არ იქნას მიღწეული სოციალური ცვლილება, რომლიც წინაღობა საზოგადოებაში არსებული ცნობიერება შეიძლება გახდეს“.

სს2 ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ ცნობიერების ასამაღლებლად პირველ რიგში აუცილებელია საკითხის გასაჯაროება. ამისთვის კი მედიასთან ერთად, აუცილებელია „ხმაური და ქუჩა“, რადგან საზოგადოების „გამოფხიზლებას“ გადამწყვეტი როლი აქვს ადვოკატების წარმატების მიღწევაში.

საინტერესოა ამ კუთხით 2014 წელს 25 ნოემბერს „ქალთა მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული მასშტაბური საპროტესტო აქცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების მოთხოვნით.

მრავალათასიანი საპროტესტო აქცია ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე დროს, საერთო „მესიჯებითა“ და მანიფესტით, აქტივისტების დამოუკიდებელი ჯგუფების დახმარებით, საქართველოს 25 ქალაქსა და დაბაში გაიმართა. საპროტესტო აქციას წინ უძღვოდა 16 დღიანი სიმბოლური კამპანია ძალადობის წინააღმდეგ გადაწყვეტილების მიმღებებთან შეხვედრების, სოციალური რგოლებისა და მცირემასშტაბიანი გამოსვლების თანხლებით. აღსანიშნავია, რომ როგორც ფიზიკური პირები, ასევე ფონდები და ბიზნესები თავად უკავშირდებოდნენ მოძრაობას საპროტესტო აქციის კონტრიბუციის სურვილით.

ხალხმრავალი საპროტესტო აქციების გამოცდილება ასევე დაუგროვდა 2013 წელს ჩამოყალიბებულ მოძრაობას „თეთრი ხმაური“, რომელსაც ჰყავს წევრები

და თანამოაზრეები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. უმოკლეს დროში სს2ო ახერხებს ხალხის მობილიზებას და ქუჩაში გაყვანას, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 2016 წლის 17 ივნისს, ლევან აბზიანიძის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნად სლოგანით „ლევან აბზიანიძე მოკლა სახელმწიფომ“³². მსვლელობა თბილისის შ.რუსთაველის მეტროდან დაიწყო და მთავრობის კანცელარიასთან დასრულდა. ხალხის სიმრავლის გამო, პოლიციას მოუწია რუსთაველის გამზირის გადაკეტვა.

აღსანიშნავია, რომ ორივე ზემოაღწერილ შემთხვევაში ღონისძიების ორგანიზატორების ერთადერთი შიდა მოთხოვნა იყო არ გამოეყენებინათ რაიმე ტიპის ორგანიზაციული კუთვნილების სიმბოლიკა. შესაბამისად, ეს ღონისძიებები არცერთმა მოქმედმა აქტიორმა არ გამოაცხადა როგორც საკუთარი, რადგან მოძრაობების წევრთა აზრით, „ზიარ მფლობელობას“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

კვლევის ფარგლებში გვხვდება სს2 ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ „პროტესტისა“ და „აკადემიურობას“ შორის ბალანსის შენარჩუნებას. მაგალითად სსო-მ „ტფილისის ჰამქარი“ გუდიაშვილის სკვერში თანამედროვე მშენებლობების შესაჩერებლად და სკვერისა და მიმდებარე ტერიტორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად შესანარჩუნებლად 50-ზე მეტი ქუჩის საპროტესტო აქცია გამართა, რასაც თან ახლდა გამოფენები, კონცერტები, მანიფესტები და სხვა. ქუჩის საპროტესტო აქციებთან ერთად, „ტფილისის ჰამქარის“ წევრები წლების განმავლობაში ატარებენ ურბანულ ტურებს, კითხულობენ ლექციებს უნივერსიტეტებსა და სკოლებში და ატარებენ სხვა საგანმანათლებლო საქმიანობას, რათა შეცვალონ საზოგადოების ცნობიერება ურბანულ კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში.

³² 2015 წლის ივნისში ლევან აბზიანიძე გარდაიცვალა ქ. ქუთაისში, ნარკოლოგიური შემოწმების დროს. სს2ო-ს თქმით, გარდაცვალების მიზეზი იყო ნარკოლოგიური შემოწმების დროს მიცემული შარდმდენი პრეპარატი, რომელმაც გამოიწვია ანაფილაქსიური შოკი

როგორც წესი, ბენეფიციართა ინფორმირებისა და შესაძლებლობების ასამაღლებლად სს2 ორგანიზაციები „ერგებიან“ ბენეფიციართა გარემოს, რათა მათთან კომუნიკაცია და ჩართულობა ეფექტურად მოხდეს. მაგალითად, მოძრაობამ „თეთრი ხმაური“ სადისკუსიო ფორმატი შეიტანა კლუბებში, სადაც ბენეფიციარები ჩვეულებრივ იყრიან თავს მათთვის მისაღებ გარემოში. ორგანიზაციამ „უსაფრთხო სივრცე“ ბენეფიციართა საპატიოდ გამართა გამოფენა და დაარქვა „ედვინება ხალხს, ვინც გავიცანი დიღმის ტყე-პარკის დაცვისას“; „თბილისის ჰამქარი“ კი იყენებს სეგმენტურად გათვლილ გზავნილებს და იზიდავს ხალხს კრეატიული ღონისძიებებისა და პრეზენტაციების საშუალებით, რითიც ააქტიურებს საზოგადოებას.

როგორც პროვოკაციული ხასიათის „მესიჯები“, ასევე არტი, მარათონები, პეტიციები, საქველმოქმედო აქციები და სხვა მიმართულია თემის „გახსნაზე“, საკითხის ირგვლივ მსჯელობის დაწყებაზე, რაც საბოლოო ჯამში აამაღლებინებს ხმას საზოგადოებას და „გააჩერებს ბოროტებას“ (ანა გაბრიადე, „უსაფრთხო სივრცე“, ინტერვიუდან, 20.10.2016). სს2 ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ „სიმართლეს ყოველთვის ესაჭიროება დახმარება“ (პაატა საბელაშვილი, „თეთრი ხმაური“, ინტერვიუდან, 27.10.2016) და რადიკალიზმის გარეშე არასოდეს დაიწყებოდა დისკუსია ნაადრევ ქორწინებაზე, ეკოლოგიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვის საფრთხეებზე და სხვა.

სს2 ორგანიზაციები არა მარტო რთავენ ბენეფიციარებს ადვოკატირების პროცესში, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ბენეფიციარები თავად წარმოადგენენ ადვოკატირების ძირითად ბერკეტს. ამასთან, სს2 ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ ბენეფიციართა ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების ზრდის გარეშე ვერცერთ მათგანს ვერ აამაღლებინებ ხმას და ჩართავ ადვოკატირებაში და სტიგმატიზებულ საზოგადოებაში „ფემიციდი დარჩება შიდა-ოჯახურ

პრობლემად და შემთხვევით ფაქტად და ნარკომომხმარებელი ჩაითვლება კრიმინალად“ (იდა ბახტურიძე, „ქალთა მოძრაობა“, ინტერვიუდან, 24.05.2016).

საჭიროების შემთხვევაში, სს2 ორგანიზაციები მიმართავენ სასამართლო დავებს, რომლებიც მიზნად ისახავენ არა მხოლოდ კულტურული ან ეკოლოგიური გარემოსა თუ ადამიანის უფლებათა დაცვას, არამედ დადებითი პრეცედენტების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მობილიზაციასა და საკუთარი უფლებების უკეთესად დაცვას.

მხარდამჭერთა ველის გაფართოვების მიზნით, სს2 ორგანიზაციები ხელს უწყობენ სოციალური მოძრაობებისა და სამოქალაქო აქტივიზმის სხვა ჯგუფების შექმნასა ან/და შესაძლებლობების განვითარებას. მაგალითად, „თეთრი ხმაური“ ხელს უწყობს არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ აქტივისტთა ჯგუფის გაფართოვებას ბათუმსა და ქუთაისში, „ტფილისი ჰამქარი“ მნიშვნელოვნად ეხმარება კულტურული მემკვიდრეობის დამცველ მოძრაობას ბათუმში, „უსაფრთხო სივრცემ“ კი 20-მდე სარჩელი მოუმზადა თბილისისა და თბილისის შემოგარენში გამწვანების ზონებში ახალი მშენებლობების წინააღმდეგ გამოსულ მოსახლეობასა და აქტივისტთა ჯგუფებს, როგორცაა „ვაკის პარკი“, „მწვანე მუშტი“, „ასათიანის პარკი“, „პარტიზანული მეზაღობა“ და სხვა.

სს1 ორგანიზაციების მსგავსად, სს2 ორგანიზაციების თანამშრომლობა საჯარო სექტორთან საკმაოდ კომპლექსურია. თავის მხრივ, სს2 ორგანიზაციები არ ანიჭებენ მნიშვნელობას პარტიულ კუთვნილებას და თანამშრომლობენ პოლიტიკური გაერთიანებების ყველა იმ წარმომადგენელთან, რომელთა დაინტერესებას ახერხებენ. გადაწყვეტილების მიმღებთან საჯარო პოლიტიკის საკითხის ირგვლივ აქტიურ შეხვედრებსა თუ მოლაპარაკებებს სს2 სექტორი იწყებს ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე, საჭიროებიდან გამომდინარე. გვხვდება

შემთხვევები, როცა მოლაპარაკება წინ უსწრებს ქუჩის პროტესტს და აქ პროტესტი პოლიტიკური პროცესის გაგრძელებაა. ასეთია, მაგალითად „ტფილისის ჰამქრის“ შემთხვევა, როცა ინვესტორი გეგმავდა თბილისში ლეონიძის ქუჩის განაშენიანებას, რასაც მოყვებოდა ურბანული ძეგლების ნგრევა. სსო-მ თავდაპირველად სცადა კულტურული მოლაპარაკება როგორც სახელმწიფოსთან, ასევე ინვესტორთან, თუმცა მათი ძალისხმევა უშედეგოდ დასრულდა და ორგანიზაცია გამოვიდა ქუჩაში მშენებლობის გასაპროტესტებლად. ამ პროტესტმა შეაჩერა როგორც სამშენებლო პროექტის განხორციელება, ასევე ზეგავლენა მოახდინა საკანონმდებლო ცვლილებაზე, რამაც შეზღუდა მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი მშენებლობების სართულიანობა, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა ურბანულ სტრუქტურასთან. ამის საპირისპიროდ გვხვდება შემთხვევები, როცა სს2ო მიდის მოლაპარაკებაზე, როცა ჩათვლის, რომ ქუჩაში ხმაური და მოსახლეობის მობილიზება აღარაა საკმარისი. ამის მაგალითია „ქალთა მოძრაობის“ შემთხვევა როცა თავდაპირველი ქუჩის საპროტესტო აქციის მოთხოვნები პრემიერ მინისტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ წარუმატებლად დამთავრდა. „ქალთა მოძრაობა“ ითხოვდა, რომ ხელისუფლებას გაეკეთებინა საჯარო განცხადება ოჯახური ძალადობის შედეგად მოკლული ქალების შესახებ და დაეწყო აქტიური კამპანია საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების გასაუმჯობესებლად. საპროტესტო აქციის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შედეგად, მოძრაობამ დაიწყო ხანგრძლივი მოლაპარაკებები საქართველოს პარლამენტის წევრებთან და სხვა აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებთან, რომლის შედეგად, დაკმაყოფილდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე მიზანმიმართული სსო-ს რამდენიმე მოთხოვნა: ა) შსს-მ დაიწყო ფემიციდის სტატისტიკის წარმოება და გასაჯაროება, ბ) პარლამეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი „ქალთა მოძრაობის“ წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც შეთანხმებული პერიოდულობით იბარებდა ანგარიშს შესაბამისი სტრუქტურებისგან

(პროკურატურა, განათლების სამინისტრო, სხვა) ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს აქტივობების შესახებ და იღებდა რეკომენდაციებს შემდგომი საქმიანობისთვის. სამუშაო ჯგუფმა 4 თვე იმუშავა, გაიცა საბოლოო რეკომენდაციები, შედგა მოსმენა, ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი და, სსო-ს თქმით, ბევრი მიმართულებით დაწყებულია მუშაობა. ერთერთი მიმართულებაა ქალთა მიმართ ოჯახურ ძალადობაზე ადექვატური რეაგირების გაუმჯობესება: შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა, აღსრულება და დაცვა, გაზრდილია 200%-ით.

კვლევის ფარგლებში გვხვდება ასევე პროტესტის გარეშე შემდგარი სს2 ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები. ასეთია სსო-ს WeHelp.ge- შემთხვევა, როცა სსო „ქვიშის საათთან“, „სოციალური მეწარმეობის ცენტრთან“, „ახალი თაობა - ახალ ინიციატივასთან“, „ახალგაზრდულ პარლამენტთან“ და სხვა პარტნიორებთან ერთად, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, 2015 წლის იანვრიდან მკურნალობისთვის მიღებული საქველმოქმედო თანხები აღარ იბეგრება სახელმწიფოს მიერ.

წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია ასევე „თეთრი ხმაურისა“ და საქართველოს ომბუდსმენის თანამშრომლობა, რომელმაც მრავალჯერ მოაწყო საჯარო დისკუსია ნარკო-პოლიტიკის თემაზე და გააკეთა რამდენიმე განცხადება კონკრეტული ნარკომომხმარებლების მიმართ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ. კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავად მიიღეს მონაწილეობა სს2 ორგანიზაციების ქუჩის აქციებში (ძალადობის წინააღმდეგ, ქველმოქმედების პოპულარიზაციის მიზნით, ეკოლოგიის დაცვის მიზნით და სხვა).

სს2 ორგანიზაციები იშვიათად აწარმოებენ კვლევებს, თუმცა იყენებენ ხელთ არსებულ სტატისტიკას, აკეთებენ საკანონმდებლო ანალიზს და, მანდატის ფარგლებში, ქმნიან პოლიტიკის ალტერნატიულ წინადადებებს. მაგალითად „ტფილისის ჰამქარი“ შეიმუშავებენ პროფესიულ დოკუმენტაციებს, როგორცაა, ბათუმისა და თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის ანალიზი, თბილისის ისტორიული ტრადიციების თემატური ანალიზი და სხვა. რომელთაც უზიარებენ ხელისუფლებას და იყენებენ მოლაპარაკებების პროცესში. 2015 წელს თბილისის განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის მიხედვით, თბილისის განვითარების კონცეფცია უნდა დაყრდნობოდა „ტფილისის ჰამქარის“ მიერ წარდგენილ ურბანულ კვლევას.

5.5.2 საკითხის მნიშვნელობის აღიარება: ფოკუს ჯგუფები

*ფოკუს ჯგუფი 1: ადვოკატირება სოციალური ცვლილებებისთვის
წინაპირობა:*

სამოქალაქო კულტურის ქართული ასოციაცია³³ (სს1ო) მოღვაწეობს კახეთის ერთერთ მუნიციპალიტეტში 409,551 მოსახლეობით. ასოციაცია დაფუძნებულია 1999 და ერთერთი პირველი სს ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნდა კახეთის რეგიონში. სს1ო-ს მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელის შეწყობით. ასოციაცია მედიატორია ხალხისა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, იცავს ხალხის ინტერესებს, ხელს უწყობს სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებას, ანხორციელებს სამოქალაქო ინიციატივებს, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით. ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული სს1 ორგანიზაციაა და ყავს 17 წევრი, იმართება

³³ სს1ო-ს სახელი შეცვლილია კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით

გამგეობის მიერ, დასაქმებული ყავს 9 (7 სრულ განაკვეთზე და 2 ნახევარ განაკვეთზე) თანამშრომელი, ასევე ყავს 3 მოხალისე. დაფინანსების 100% უზრუნველყოფილია საერთაშორისო დონორთა მიერ (NOVIB, EED, EU, Europe Foundation, USAID, სხვა.) და წარმოადგენს „დაბალი რისკის“ ორგანიზაციას დონორთა მიზნებისთვის. ასოციაციას არ იყენებს ალტერნატიული დაფინანსების საშუალებებს. 2008-2014 წლებში განხორციელებული პროექტები მოიცავდა როგორც პოლიტიკის ადვოკატირებას, ასევე მოსახლეობის მომსახურებას, საქართველოს რეგიონებში მოწყვლადი მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის. ასოციაცია ხშირად თანამშრომლობს სხვა სს1 ორგანიზაციებთან საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან და სოფლებიდან. 2008-2012 წწ ორგანიზაციის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით 160,000 აშშ დოლარს.

2012 წელს USAID-ის დაფინანსებით ასოციაციამ განახორციელა ათთვიანი სამოქალაქო ადვოკატირების პროექტი კახეთის სამ მუნიციპალიტეტში (200,000 ადამიანი) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სოციალური პროგრამის შესამუშავებლად და განსახორციელებლად. იმ პერიოდისთვის კახეთის რვა მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილი იყო 3 მილიონ ლარზე მეტი კახეთის რეგიონის მოწყვლადი მოსახლეობის სოციალური დახმარების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, არცერთ მუნიციპალიტეტში არ იყო შემუშავებული ან დამტკიცებული სოციალური დახმარების პროგრამა ან მოწყვლადი მოსახლეობის შერჩევის კრიტერიუმები.

ადვოკატირების პროექტის ფარგლებში ასოციაციამ ჩაატარა კვლევა და გააკეთა 30 სოციალურად დაუცველი ადამიანის იდენტიფიცირებას სამ მიზნობრივ მუნიციპალიტეტში. სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და ადვოკატირების პროცესში მათი ჩართვის მიზნის იდენტიფიცირებულ ადამიანს ჩაუტარეს ტრენინგები ადამიანის უფლებების დაცვისა და

ადვოკატირების მეთოდებში. შემუშავდა ასევე ადვოკატირების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა გადაწყვეტილების მიმღებთა იდენტიფიცირებას, კონსულტაციებსა და შეხვედრებს სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან და ადგილობრივი მედია საშუალებების მეშვეობით მედია კამპანიას. ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი საკრებულოების შეხვედრებში და ადვოკატირება სოციალური დაცვის პროგრამის შემუშავებას. წარმატებული ადვოკატირების შედეგად, კახეთის სამი მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშავა და დაამტკიცა სოციალური პროგრამა, რომელიც ასახავდა მოსახლეობის აზრსა და ექსპერტების რჩევებს. ადვოკატირების კამპანიამ საშუალება მისცა ასოციაციას მონაწილეობა მიეღო მოწყვლადი მოსახლეობის იდენტიფიცირების კრიტერიუმებისა და რეგულაციების აღსრულების დეტალური ინსტრუქციების შემუშავებაში. კამპანიის ერთერთ მნიშვნელოვანი წარმატება იყო დამატებითი რეგულაციის დამტკიცება, რომელმაც საშუალება მისცა თემის ორი წარმომადგენელი ჩართულიყო კომისიის მუშაობაში, რომელიც პასუხისმგებელი იყო ერთჯერადი სოციალური დახმარების განაწილებაზე.

შედეგები³⁴:

ფოკუს ჯგუფის ყველა წევრისთვის ნაცნობი და მნიშვნელოვანი იყო ადვოკატირების საკითხი. ამასთან, ფოკუს ჯგუფის წევრთა უმრავლესობისთვის ცნობილი იყო ერთჯერადი სოციალური დახმარების მოთხოვნისა და მიღების პროცედურების გამარტივების შესახებ. მიუხედავად ამისა, მათთვის უცნობი იყო, რომ კონკრეტული საკითხის მოგვარება იყო სს1 ორგანიზაციის ადვოკატირების შედეგი და ეგონათ ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურება. რესპონდენტების აზრით, სოციალური დახმარების ბენეფიციართა შერჩევის პროცესი ნამდვილად გამჭვირვალე და

³⁴ ფოკუს ჯგუფი ჩატარდა USAID G-PAC პროექტის დახმარებით

ეფექტურია და, რამდენადაც მათთვის ცნობილია, ყველა მიმღებს ნამდვილად ეკუთვნის დახმარება.

ფოკუს ჯგუფის სამ მონაწილეს ასოციაციის დამფუძნებლის მშობლიური მუნიციპალიტეტიდან, ასევე ერთ სტუდენტს თელავიდან (სავარაუდოდ ჩართული იყო პროექტის საქმიანობაში) გაგებული ქონდათ ასოციაციის ადვოკატირებაზე. ამასთან ერთ მონაწილეს ნანახი ჰქონდა ასოციაციის მიერ დაბეჭდილი და გავრცელებული სოციალური დახმარების ინსტრუქცია. ორ მონაწილეს ჰქონდა გაგებული ასოციაციის მიერ ჩატარებული ტრენინგების შესახებ.

*ფოკუს ჯგუფი 2: ინიციატივა კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად
წინაპირობა:*

„ტფილისის ჰამქარი“ თბილისში დაფუძნებული სს2 ორგანიზაციაა, რომელიც 2005 წელს გაფორმდა როგორც ა(ა)იპ. სს2 ორგანიზაცია მიზნად ისახავს თბილისის უნიკალური ავთენტური ურბანული გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას, ასევე ევროპული სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფას, რათა მოდერნიზებისა და განვითარებისას დაცულ იქნას ისტორიული და კულტურული ფასეულობები.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი დაფინანსება დონორისგან სს2-მ მხოლოდ 2010 წელს მიიღო, 2005 წლიდან სს2 წარმატებით ანხორციელებს კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს (თბილისის ისტორიული ზეიმების, ღონისძიებების, ხალხის და შენობების ბიბლიოთეკა, მულტიმედიური პუბლიკაციების სერია და სხვა) ფართო საზოგადოებაში ქალაქის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ შემეცნების ამაღლების მიზნით. სს2 ორგანიზაციის ადვოკატირების კამპანიები

მრავალი მიმართულებით ხორციელდება, მათ შორის მოლაპარაკება და დავა ხელისუფლებასთან, ქუჩის აქციები, ღია ცის ქვეშ გამოფენები და სხვა არტ-ლონისძიებები, მსვლელობები, გასართობი აქციები და სხვა, კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი უწყებების წინააღმდეგ სასამართლო დავების ჩათვლით.

2010-2014 წწ ორგანიზაციის მთლიანი ბიუჯეტი შეადგინა დაახლოებით 100,000 აშშ დოლარს. ამასთან, დაარსების დღიდან დღემდე ორგანიზაცია ოპერირებს მოხალისეობრივ საწყისებზე ორგანიზაციის წევრთა პირადი რესურსებისა და კონტრიბუციების გამოყენებით.

2011-2014 წლებში განხორციელებული სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების პროექტი მიზნად ისახავდა თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულების გაზრდას და ურბანული განვითარებისას კულტურული მემკვიდრეობის მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. პროექტის ძირითადი კომპონენტი იყო ქუჩის აქციები თბილისში გუდიაშვილის სკვერის დასაცავად, რომლის დანგრევა წარმოადგენდა თბილისის მთავრობის ინვესტორთა მოზიდვის პროცესში ქალაქის „წმენდის“ კამპანიის ნაწილს.

სს2ო-მ საჯაროდ გააკრიტიკა თბილისის განვითარების ფონდის მმართველობა და ჩაატარა ფართომასშტაბიანი ადვოკატირების კამპანია, რომელიც მოიცავდა 50-მდე მშვიდობიან პროტესტსა და მსვლელობას სლოგანებით „მანიფესტი როგორც მანიფესტი“ და „გაამაგრე გუდიაშვილი“, ქუჩის გამოფენებსა და სხვა არტ-ლონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობისა და სამოქალაქო ადვოკატირების შესახებ მოკლე დოკუმენტური ფილმის გადაღებას და გავრცელებას, ქალაქის მმართველებთან ინდივიდუალურ და საჯარო შეხვედრებს და სხვა. სს2ო-ის

საქმიანობა ფართოდ შუქდებოდა მედია საშუალებებით და ორგანიზაციის წევრები გახდნენ ქართული სატელევიზიო მედიის ხშირი სტუმრები.

ადვოკატირების შედეგად, 2012 წლის მაისში ქალაქის ხელმძღვანელობამ უარი თქვა სკვერის სამშენებლო გეგმის დამტკიცებაზე და მშენებლობის ნებართვა არ გაიცა. გუდიაშვილის მოედნის რადიკალური „განვითარება“ შეწყდა, თუმცა მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება იგვიანებდა.

სს2-ამ არ შეწყვიტა ადვოკატირება და შეიმუშავა პოლიტიკის რეკომენდაციები და კონკრეტული რჩევები ქალაქისა და ეროვნული მთავრობისთვის რეაბილიტაციისა და რესტავრაციის ინსტიტუციონალიზაციისთვის, რაც ავსებდა და ასწორებდა შესაბამის საკანონმდებლო ხარვეზებს. ამასთან, 2013 წლის ადგილობრივი არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში სს2-მ გამართა შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან და გუდიაშვილის ბაღისა და, შეთავაზებული პოლიტიკის განხორციელების კონტექსტში, ხელი მოაწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ თბილისის მერობის ყველა კანდიდატთან.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მუნიციპალური განვითარების ფონდის მენეჯმენტის ცვლილებასთან ერთად, გუდიაშვილის ბაღის განვითარება გახდა პრიორიტეტი. ქალაქის მთავრობამ გაითვალისწინა სს2-ს პოლიტიკის წინადადება და მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. ფოკუს ჯგუფის ჩატარების მომენტისთვის გუდიაშვილის მოედნისა და მისი შემოგარენის კონსერვაციის და განვითარების პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა, სს2-ს მონაწილეობით.

შედეგები:

ფოკუს ჯგუფის ყველა მონაწილემ აღიარა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ეკონომიკური განვითარების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების აუცილებლობა. ამასთან, თბილისის ძველი უბნის მცხოვრებმა აღნიშნა, რომ ესმის ურბანული მემკვიდრეობის მნიშვნელობა, თუმცა მიესალმება ინვესტორის „შემოსვლას“ ღირსეული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ამის შედეგად ფოკუს ჯგუფის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს პოლიტიკა და სტრატეგია ორივე მიმართულებით- შეინარჩუნოს კულტურული მემკვიდრეობა და გააუმჯობესოს ძველი თბილისის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

ამასთან, ყველამ აღიარა, რომ არცერთი ახალი მშენებლობა არ უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ ინვესტორის მოთხოვნებს და უნდა ექვემდებარებოდეს ერთიან განაშენიანების სტრატეგიას. რესპონდენტების უმრავლესობამ ასევე „დაადანაშაულა“ ახალი მშენებლობები თბილისის გამწვანების განადგურებაში.

ფოკუს ჯგუფის ნახევარზე მეტს ჰქონდა ზოგადი წარმოდგენა გუდიაშვილის ბაღის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, სმენიან ბაღში მოწყობილ „კონცერტებისა“ და „გამოფენების“ შესახებ, სამი ნამყოფი იყო ამ ღონისძიებებზე. ღონისძიებების მონაწილეებიდან ერთმა აღიარა, რომ თავდაპირველად არ იცოდა ღონისძიების არსი და მხოლოდ მეგობრებთან ერთად გამოფენაზე მისვლის შემდეგ შეიტყო პრობლემის შესახებ.

ფოკუს ჯგუფის რამდენიმე მონაწილე იცნობდა სს2-ოს საქმიანობას და სმენიან ორგანიზაციის სხვა ღონისძიებების შესახებ, ძირითადად მედია საშუალებებიდან. არცერთმა არ იცოდა სს2-ს ადვოკატირების შედეგად მიღწეული პოლიტიკის ცვლილების შესახებ, თუმცა ივარაუდეს, რომ „ჰამქარმა“ „გაიმარჯვა“, რადგან აღარ გაუგიათ გუდიაშვილის სკვერში

საპროტესტო აქციების შესახებ. ასევე ორ მონაწილეს ჰქონდა გაგებული თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული გუდიაშვილის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

შეჯამება:

პოლიტიკის ადვოკატირების ზემო მაგალითებს ბევრი საერთო აქვთ: ორივე ასახავს სამოქალაქო ადვოკატირებას პოლიტიკის დონეზე ცვლილებებისთვის, ორივე დაფინანსებული იყო საერთაშორისო დონორის მიერ და ორივემ მიაღწია წარმატებას პოლიტიკის დონეზე და, შესაბამისად, ითვლება წარმატებულ კამპანიად. მიუხედავად ამისა, კამპანიები განსხვავებულია თავისი შინაარსით და მხარდაჭერის ველის გაფართოვებით.

სს1 ასოციაციის მიერ წამოწეული საკითხი აქტუალური იყო საზოგადოებისთვის. სს1-მ მოიპოვა მხარდაჭერა გადაწყვეტილებების მიმდებში, თუმცა შეფასებამ აჩვენა, რომ ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და ადვოკატირების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ არც ბენეფიციარებს და არც სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ამის საპირისპიროდ, „ჰამქარის“ მიერ წამოწეული თემა მნიშვნელოვანია, სანამ იგი არ შეეხება ინდივიდუალური მოქალაქის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ინვესტორის საშუალებით, შესაბამისად, საკითხის პირველადი აქტუალურობა საზოგადოებისთვის სადავოა. მიუხედავად ამისა, სს2-მ მოიპოვა მხარდაჭერა როგორც ხელისუფლებაში, ასევე საზოგადოებაში.

5.6. ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე, სოციალურ ცვლილებაზე და სოციალურ ნორმათა ცვლილებაზე

დონორთა მიერ წახალისებული სს1 ორგანიზაციები

საქართველოს ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სს1 ორგანიზაციები არ წარმოადგენენ ქართული სოციალური კაპიტალის ავთენტურ ნაწილს. ამასთან, პოლიტიკის ადვოკატირება ნაკლებადაა მიჩნეული სს1 ორგანიზაციების მიერ ძირითად საქმიანობად, თუმცა აღიარებენ, რომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მონიტორინგითა და ცოდნის გადაცემით, მიზნად ისახავენ პოლიტიკურ ცვლილებას. ამასთან, როგორც სერვისის მომწოდებელი, ფართო სპექტრის უფლებათა დამცველი სს1 ორგანიზაციების, ასევე ქვაზი-ანალიტიკური სს1 ორგანიზაციების საქმიანობა ადვოკატირების სამივე ძირითადი სეგმენტის (პოლიტიკის ცვლილება, სოციალური ცვლილება და ცვლილება სოციალურ ნორმებში) ზეგავლენაზეა მიმართული.

ყველა გამოკითხული სს1 ორგანიზაცია ადასტურებს, რომ 1996-2016³⁵ წლებში განხორციელებული აქვს თითო ორგანიზაციაზე 3-დან 50-მდე ადვოკატურების კამპანია. მიუხედავად ამისა, სს1 ორგანიზაციებისთვის ადვოკატირების კამპანია არ წარმოადგენს ერთიანად გააზრებულ და სტრატეგიულად დალაგებულ ძალისხმევას, რომელმაც უნდა მოახდინოს საყოველთაო სოციალური ცვლილება. კვლევის ფარგლებში გამოკითხული სს1 ორგანიზაციების 2/3 მიზნად ისახავს პოლიტიკის ცვლილებას და მათი ძალისხმევა ძირითადად მიმართულია გადაწყვეტილებების მიმღებზე, რომელთაც აწვდიან არსებული პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის მტკიცებულებებს და სხვადასხვა ფორმით არწმუნებენ მათ შეცვალონ ან დაარეგულირონ პოლიტიკა, რამაც უნდა მოიტანოს სოციალური ცვლილება. ამასთან, კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ორგანიზაციათა 1/3-სთვის, რომელთა ძირითადი მისია არაა პოლიტიკის ადვოკატირება და მეტ წილად „ემსახურებიან“ ბენეფიციარებს. ამ შემთხვევაში სოციალური ცვლილება მეტად პოლიტიკის საკითხის არა შეცვლით, არამედ რეგულირებით ხდება და

³⁵ სს1 ორგანიზაციების დაფუძნების თარიღი იხ. ცხრილში N4

ითვლება, რომ ერთი ინდივიდუალური საკითხის დადებითი გადაწყვეტა წარმატებული ადვოკატირების „ქეისია“.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა სს1 ორგანიზაციების ძალისხმევით შედეგად მიღებული 200-მდე მეტი სხვადასხვა კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, საბიუჯეტო გადანაწილება და სხვა, რამაც დახვეწა ქართული საკანონმდებლო ბაზა, გააუმჯობესა სახელმწიფოს მიერ მომსახურების ხელმისაწვდომობა და მიწოდება, დაარეგულირა სოციალური და ჯანდაცვის სისტემა, წვლილი შეიტანა ეკოლოგიის, სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და სხვა სისტემების გაუმჯობესებაში. ამასთან, კვლევის ფარგლებში დადასტურდა კონკრეტული ადამიანების ინდივიდუალური უფლებების დაცვისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების 2000-ზე მეტი შემთხვევა.

ზემოხსენებული პოლიტიკისა და სოციალური ცვლილების მისაღწევად მხარდამჭერთა ველის გაფართოვების, როგორც ადვოკატირების შუალედური შედეგის 60% მიმართულია გადაწყვეტილების მიმღებზე: ხელისუფლების სტრუქტურული და ნორმატიული ცვლილებების მოსახდენად ძალისხმევა შეფასდა საშუალო 3.5 ქულით, ხოლო ბენეფიციარებსა და ფართო საზოგადოებაში სტრუქტურული და ნორმატიული ცვლილებების მოსახდენად ძალისხმევა საშუალო 2.3 ქულით (იხ. ცხრილი 6). ნათელია, რომ როცა საქმე ეხება პოლიტიკის ცვლილებას, სს1 ორგანიზაციები მეტ ძალისხმევას მიმართავენ ხელისუფლების მიერ ადვოკატირების საკითხის აღიარებაზე, ვიდრე ბენეფიციარებსა და საზოგადოებაში მხარდამჭერის მოსაპოვებლად.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიმღებში სტრუქტურული და კოგნიტიური ელემენტების განვითარების ჭრილში, ხელისუფლებისადმი

ინფორმაციისა და მტკიცებულებების მიწოდება, პოლიტიკის ცვლილების აუცილებლობაში დარწმუნება და თანამშრომლობა, ასევე სხვადასხვა ფორუმებსა და კონფერენციებში, საერთაშორისო გაცვლით ტურებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და სხვა ადასტურებენ, რომ სს1 ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გადაწყვეტილებების მიმღებთა სტრუქტურული და კოგნიტიური ელემენტების განვითარებაში. ამასთან, ბენეფიციარებსა და საზოგადოების წევრებში სტრუქტურული და კოგნიტიური ელემენტების განვითარების კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატირების პროცესში სს1 (მეტ წილად სოციალურ ცვლილებაზე ორიენტირებული) ორგანიზაციები ხელს უწყობენ ბენეფიციართა ინფორმირებას და შესაძლებლობების ზრდას სხვადასხვა ტრენინგების, კონფერენციებისა და სემინარების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმიანობა ხშირად ხელისუფლებასა და ხალხს შორის მედიატორული ხასიათისაა და მიმართულია არა კონკრეტული ადვოკატირების პროცესში ბენეფიციარების ჩართულობაზე, არამედ მოსახლეობაში სამომავლო რესურსის შექმნაზე, სს1 ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საზოგადოების **კოგნიტიური ელემენტების (სოციალური ნორმების) განვითარებაში**. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატირების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ისეთი მექანიზმების სიმწირე, როგორცაა ბენეფიციართა ჩართულობით პეტიციების შემუშავება, ხელმოწერების შეგროვება, სათემო მობილიზაცია, საჯარო გამოსვლები, მედია აქტიურობა, სოციალური არტი, ქუჩის აქციები თუ სხვა ხელს არ უწყობს საზოგადოებაში **სტრუქტურული ელემენტების (კოლექტიური ქმედების) გააქტიურებას**.

გარკვეული გამონაკლისია სს1 ორგანიზაციების კამპანიური ხასიათის ადვოკატირების მაგალითები, სადაც ორგანიზაციები აყენებენ პრეტენზიებს და აკეთებენ განცხადებებს ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. აქ სს1 ორგანიზაციები განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, აღწევენ მეტ საჯაროობას,

უკეთესად ხდება ხალხის ფართო ინფორმირება და მობილიზება, ადგილი აქვს ქუჩის აქციებს და სხვა. ამგვარი კამპანიური ადვოკატირება წარმოადგენს სს1 ორგანიზაციების მცდელობას (ხელისუფლებაზე ზეწოლასთან ერთად) ზეგავლენა მოხდინონ საზოგადოების როგორც სტრუქტურულ, ასევე კოგნიტიურ ელემენტებზე.

ზემოხსენებული ადასტურებს, რომ სს1 ორგანიზაციების ექსპერტული ბუნება და მოქმედება დადებით ზეგავლენას ახდენს ხელისუფლებაში სტრუქტურული და კოგნიტიური ელემენტების განვითარებაზე, რასაც მოაქვს დადებითი პოლიტიკური და სოციალური ცვლილება („პოლიტიკური და სოციალური ცვლილება“ იხ. ცხრილში N7)

სოციალური მოძრაობები და სხვა სამოქალაქო აქტივიზმი: სს2

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ჩანასახები თავისი ახალი, განსხვავებული ფორმით ბოლო 10-12 წლის განმავლობაში გამოჩნდა, ეს ორგანიზაციები, საჭიროების შემთხვევაში, პროტესტის გამოხატულების ფორმებთან ერთად იყენებენ უფლებადამცველი სს1 ორგანიზაციების გამოცდილებას, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიმღებებთან მოლაპარაკებას ან/ თანამშრომლობას. კვლევის ფარგლებში გვხვდება შემთხვევები, როცა ქუჩის პროტესტი მოსდევს პირველად მოლაპარაკებას და აქ პროტესტი პოლიტიკური პროცესის გაგრძელებაა. ამასთან, უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ორგანიზაცია სამოქალაქო აქტივიზმის „აგრესიული“ მეთოდებით იწყებს, ხოლო თუკი აღმოაჩენს, რომ მხოლოდ ქუჩაში ხმაური და მოსახლეობის მობილიზება აღარაა საკმარისი- იწყებს გადაწყვეტილების მიმღებთან საჯარო პოლიტიკის საკითხის ირგვლივ აქტიურ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს.

სს2 ორგანიზაციები იშვიათად აწარმოებენ კვლევებს, თუმცა გადაწყვეტილების მიმღებთა დასარწმუნებლად იყენებენ ხელთ არსებულ სტატისტიკას, აკეთებენ საკანონმდებლო ანალიზს და, მანდატის ფარგლებში, ქმნიან პოლიტიკის ალტერნატიულ წინადადებებს. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა სს2 ორგანიზაციისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის შედეგად პოლიტიკის დადებითი ცვლილების 5 შემთხვევა. ამასთან აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის დოკუმენტის, ნორმის, რეგულაციის, კანონმდებლობისა და სხვ. ლობირება, ან ცვლილების მოთხოვნა არასოდეს ხდება ერთიანი ადვოკატორების პროცესის მიღმა და ყოველთვის თან ახლავს „სოციალური აქტივიზმის“ ბუნების საქმიანობას. იგივე ეხება კვლევის ფარგლებში გამოვლენილ 800-ზე მეტ ინდივიდუალური ადვოკატორების წარმატებულ შემთხვევას, სასამართლო დავების ჩათვლით. ისეთი მაგალითები, როგორცაა არამართებული მშენებლობების შეჩერება-გაუქმება, პატიმრობას არიდებული ნარკო-მომხმარებელი, მშობელთა ოჯახში დაბრუნებული მცირეწლოვანი „პატარძალი“, დაცული პარკები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ჯანმრთელობისთვის საქველმოქმედოდ შეგროვებული ფული და სხვა უტყუარად მეტყველებს სოციალური მდგომარეობის დადებით ცვლილებაზე.

სს2 ორგანიზაციების შემთხვევაში, ზემოხსენებული პოლიტიკისა და სოციალური ცვლილების მისაღწევად მხარდამჭერთა ველის გაფართოების, როგორც ადვოკატორების შუალედური შედეგის 42% მიმართულია გადაწყვეტილების მიმღებზე, ხოლო 57% ბენეფიციარებსა და ფართო საზოგადოებაზე: ხელისუფლების სტრუქტურული და ნორმატიული ცვლილებების მოსახდენად ძალისხმევა შეფასდა საშუალო 3.2 ქულით, ხოლო ბენეფიციარებსა და ფართო საზოგადოებაში სტრუქტურული და ნორმატიული ცვლილებების მოსახდენად ძალისხმევა საშუალო 4.4 ქულით (იხ. ცხრილი 6). ნათელია, რომ პოლიტიკის ცვლილებისთვის სს2 ორგანიზაციების ძალისხმევა მეტად დაბალანსებულია პოტენციური მხარდამჭერების უზრუნველყოფაში,

თუმცა მათი ძალისხმევა მეტად ბენეფიციარებისა და ხალხის მიერ ადვოკატირების საკითხის აღიარებაზეა მიმართული.

სტრუქტურული და კოგნიტიური ელემენტების განვითარების ჭრილში, არაფორმალურად და მოქნილად სტრუქტურირებული სს2 ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ საკომუნიკაციო მექანიზმებს, როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებზე ზეგავლენის მოსახდენად. ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები, სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მედია საშუალებების ფართოდ გამოყენება, ქუჩის აქციებისა და სხვა „მასობრივი მოხმარების“ ბერკეტების გამოყენება ხელს უწყობს ჰორიზონტალური (ჯგუფის შიგნით) და ვერტიკალური (სხვადასხვა ჯგუფებს შორის) კავშირების არსებობას, შესაბამისად, ხელს უწყობს საზოგადოების (ხელისუფლებისა და ხალხის) სტრუქტურული ელემენტების გაძლიერებას.

სს2 ორგანიზაციებისთვის ცენტრალურია „ხმაური და ქუჩა“, სადაც ბენეფიციარები თავად წარმოადგენენ ადვოკატირების ძირითად ბერკეტს. ამასთან, საკუთარი მაგალითების მიცემა, სოციალური კეთილდღეობის კონკრეტული პოზიტიური პრეცედენტების შექმნა და მაგალითების გასაჯაროება დადებით ზეგავლენას ახდენს ინდივიდუალურ ადამიანებსა და საზოგადოებაში ნდობისა და ნაცვალებითობის გაღვივებაზე, რაც პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებაში (ხელისუფლებასა და ხალხში) **კოგნიტიური ელემენტების განვითარებას**.

სს1 vs სს2

კვლევის ფარგლებში პოლიტიკის ადვოკატირების შედეგი, რომელიც გამომდინარეობს მხარდამჭერთა ველის გაფართოებისა (შუალედური შედეგის) და პოლიტიკისა და სოციალური ცვლილების (საბოლოო შედეგის)

მაჩვენებლებიდან, სს1 ორგანიზაციებისთვის შეადგენს საშუალო 3.0, ხოლო სს2 ორგანიზაციებისთვის საშუალო 3.5 ქულას. მიღებული შედეგი არ გულისხმობს სს1 ორგანიზაციების წარუმატებლობას პოლიტიკასა და სოციალურ ცვლილებაზე ზეგავლენის კუთხით, რადგან სს1 ორგანიზაციების „გაუმჯობესებული პოლიტიკისა“ და „გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობის“ საშუალო 3.3 ქულაა, ხოლო სს2 ორგანიზაციების საშუალო 2.8 ქულა (იხ. ცხრილი 6).

მიღებული განსხვავება, მეტ წილად, განპირობებულია ადვოკატირების *შუალედური შედეგის* (საკითხის აღიარება ხელისუფლებასა და ხალხის მიერ) შეფასებაში განსხვავებით, სადაც სს1 ორგანიზაციების *შუალედური შედეგი* შეფასდა საშუალო 2.9, ხოლო სს2 ორგანიზაციების საშუალო 3.8 ქულით. როგორც ვიცით, სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში *შუალედური შედეგის* მნიშვნელოვანი წილი მოდის გადაწყვეტილებების მიმღებში მხარდაჭერის მოსაპოვებლად განხორციელებულ საქმიანობაზე, ხოლო სს2 ორგანიზაციების შემთხვევაში ხელისუფლებასა და ხალხზე მიმართული ეს ძალისხმევა თანაბრად ნაწილდება.

სამოქალაქო ადვოკატირების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე: საქართველოს მაგალითი

თავი 6 შეჯამება და დასკვნა

6.1. ქართული სამოქალაქო საზოგადოების პოსტ-საბჭოთა კონტექსტი

ლონდონის ეკონომიკის სკოლის სამოქალაქო საზოგადოების ცენტრი სამოქალაქო საზოგადოებას განმარტავს, როგორც „იმ ინსტიტუციების, ორგანიზაციების, სუბიექტების, ფასეულობების, ქსელებისა (..და სხვა) ერთობას, რაც დგას ოჯახის, სახელმწიფო ეკონომიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა (LSE n.d)“. იგივე წყაროს მიხედვით, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ კონტექსტთან.

მე-20 საუკუნეში საბჭოთა რეჟიმის მოსუსტებასთან ერთად, პოლიტიკურმა ცვლილებებმა საშუალება მისცა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ასევე საქართველოში ეროვნული შეგნების გაღვივებას, ასევე ახალი ტიპის-ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმების სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ სწრაფვას, რამაც ბუნებრივად განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ინტერესი. მრავალი კვლევა მიუთითებს საერთაშორისო დახმარების როლზე სამოქალაქო საზოგადოების შენებაში და ითვლება, რომ მსგავსმა ისტორიულმა გამოცდილებამ განაპირობა ამ ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებების მსგავსება, მეტ წილად ნეგატიურ კონტექსტში. პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად 1989 წლის მემკვიდრეობად უწოდებენ და ამავდროულად აკრიტიკებენ, რომ იგი სუსტი და ფრაგმენტულია, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და ვერ პასუხობს ხალხის საჭიროებებს. ნიშანდობლივია, რომ არსებული შეფასება ეფუძნება მსოფლიო მასშტაბით გაკეთებულ ანგარიშებსა და დოკუმენტებს,

რომლებიც ხშირად ერთდროულად შემუშავდება და მხოლოდ აღწერილობით ხასიათს ატარებენ. გარდა ამისა, შეფასება გულისხმობს მხოლოდ დასავლური ტიპის დონორთა მიერ მხარდაჭერილ ე.წ. „არასამთავრობო სექტორს“ და არ განიხილავს სამოქალაქო საზოგადოების სხვა არა-ინსტიტუციონალიზებულ ჯგუფებს.

პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებების წარმოშობის ისტორიული და კულტურული განსხვავებების ანალიზმა გამოავლინა, რომ ისტორიული გამოცდილება, რომელმაც ქვეყნების ასოციაციური ცხოვრების მოდელი ჩამოაყალიბა სამი ძირითადი მახასიათებლით განისაზღვრება:

- პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებები ნულიდან არ შექმნილა და უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან წარმოადგენდნენ საზოგადოების საკმაოდ მძლავრ და ფუნქციონალურ სეგმენტს როგორც პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებსა და ფინეთში, ასევე საქართველოში (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) (CIVICUS 2010);
- სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება 1989 წლის მოვლენებს, რომელიც უდავოდაა აღიარებული, როგორც სამოქალაქო საზოგადოებების მოძრაობების გამარჯვებად მონოლითური კომუნისტურ რეჟიმებზე (Ekiert & Foa 2011). საინტერესოა, რომ როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე საქართველოში ამ ისტორიულმა წინაპირობამ „სამოქალაქო საზოგადოების“ კონცეფცია გააიგივა ოპოზიციურ (დისიდენტურ) ჯგუფებთან;
- კომუნისტური რეჟიმები არა მხოლოდ ახშობდნენ დამოუკიდებელ სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, არამედ აქტიურად აშენებდნენ საკუთარ ასოციაციურ სტრუქტურებს (სავაჭრო კავშირები და

პროფესიული ასოციაციები, ეკლესიები და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების -ახალგაზრდების, ფერმერების, ვეტერანების, მომხმარებლების, ქალთა, ეკოლოგისტთა, სპორტისა და სხვა), რაც ქმნიდა მძლავრ ინტელექტუალურ და ინსტიტუციურ პოტენციალს, რომელიც გარკვეული ქვეყნების შემთხვევაში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ჩარჩოს მიღმა, ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში.

წარმოდგენილი განსხვავებები განაპირობებენ პოსტ- საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებების განსხვავებულობას. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოებას და მისი ინიციატივების შეფასებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ქვეყნებში დემოკრატიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯების ისტორიული ვადები, კომუნისტური ლიდერების ზეგავლენის დონე და დამოკიდებულება ასოციაციური ცხოვრების მიმართ, კომუნიზმის დამხობის შემდეგ ახალი სამოქალაქო ორგანიზაციების მშენებლობაში ჩადებული ენერჯის სიმტკიცე, ისტორიული და კულტურული ფაქტორები და ასევე სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფორმის ინიციატივებისადმი ყურადღების მიპყრობა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ქართული სამოქალაქო საზოგადოების დღემდე არსებული შეფასებები ლიმიტირებული ხასიათისაა და თავად ტერმინმა „პოსტ-საბჭოთა სამოქალაქო საზოგადოება“ აქტუალობა დაკარგა.

6.2. შიდა და გარე ფაქტორების კავშირი ადვოკატირების შედეგთან

დღევანდელ დღეს პოლიტიკის ადვოკატირება, თავისი მრავალი ფორმით- იქნება ეს პირდაპირი ლობირება თუ არაპირდაპირი განათლება და დღის წესრიგის შექმნა სამოქალაქო სექტორის მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, კონკრეტული

სექტორული მანდატის ფარგლებში განხორციელებული პოლიტიკის ადვოკატირების შედეგად მიღწეული სოციალური ან პოლიტიკური ცვლილება, ხშირად, მხოლოდ მრავალი წლის ძალისხმევის შედეგად დგება. ამას ადასტურებს მრავალი სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას უფრო ფართომასშტაბიან, სოციალურ ან პოლიტიკურ ცვლილებაზე ორიენტირებულ კონტექსტში ხედავს.

მიუხედავად ამისა, ადვოკატირების შედეგების შეფასებისას, ექსპერტები შემოიფარგლებიან დროის კონკრეტულ მონაკვეთში ორგანიზაციის უნარის შეფასებით განახორციელოს კარგი ადვოკატირების კამპანია და ითვლება, რომ „კარგი ორგანიზაცია“ განახორციელებს „კარგ ადვოკატირების კამპანიას“ (Barkhorn, Hutter & Blau 2013). ამასთან, საერთაშორისო ექსპერტებისა და მკვლევარების შეფასების კრიტერიუმები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადვოკატირების საკითხის აქტუალურობას და ადვოკატირების სტრატეგიის არსებობას. მიუხედავად ამისა, კონკრეტული ადვოკატირების პროცესში, ექსპერტების ყურადღების მიღმა რჩება როგორც პოლიტიკური ვითარება, შემოსავლის წყაროებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ის მოტივაცია თუ „ცვლილების თეორია“, რაც განაპირობებს არასამთავრობო ორგანიზაციის წამოწყებას, ან ადვოკატირების გზით საჭირობოროტო საკითხზე რეაგირებას.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, კვლევამ ყურადღება გაამახვილა გარემოებებზე, რაც თან ახლავს კონკრეტულ სოციალურ ან პოლიტიკურ ცვლილებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და დაადგინა მათი კავშირი ადვოკატირების შედეგთან.

პოლიტიკური გარემო

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში არსებული „პოლიტიკური სისტემები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების

იერსახეს, ასევე სოციალური კაპიტალის გამოყენების ტენდენციებს“ (Foley & Edwards 1996, ციტირებულია Sanders 2015), მესამე სექტორის დაარსების დღიდან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, ზრუნავენ სამოქალაქო საზოგადოების „საარსებო გარემოს“ გაუმჯობესებაზე. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, იგი ტრადიციულად მიმზიდველია. წლების განმავლობაში იქმნებოდა, იხვეწებოდა და იხვეწება სამოქალაქო საზოგადოების ხელშემწყობი საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტები. არა-მომგებიანი არა-კომერციული იურიდიული პირის რეგისტრაცია იოლი და არა-ბიუროკრატიული პროცესია და არ არსებობს არანაირი ადმინისტრაციული დაბრკოლება მათი ფუნქციონირებისთვის. კვლევები ადასტურებენ, რომ პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოებები მესამე სექტორის როლის გასაზრდელად საჯარო პოლიტიკის დიალოგში მთლიანობაში ხელის შეწყობია (USAID 2004-2014, WV 2008, CSI 2013, CIVICUS 2010).

ამასთან, სამოქალაქო სექტორსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა საკმაოდ კომპლექსურია და წლების განმავლობაში გამოწვევებისა და პრობლემების ფართო სპექტრში აისახა. გვხვდება როგორც საკმაოდ პოზიტიური ან ნეიტრალური დამოკიდებულება, როცა 1990 წლების დასაწყისში სამოქალაქო სექტორმა „შეავსო“ ის ეკონომიკური ნიშა, რომელსაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა, ასევე საერთაშორისო დახმარების გზით ქვეყანაში შემოსული დახმარების სახელმწიფოს მხრიდან გაკონტროლების რამდენიმე მცდელობა, რომელიც სამოქალაქო სექტორის სასიკეთოდ გადაწყდა. საერთაშორისი ანგარიშების მსგავსად, სსო-ების უმეტესობა აღიარებს, რომ მიუხედავად მათი საქმიანობისა და გამოთქმული მოსაზრებებისა, უშუალოდ მათზე არასოდეს ყოფილა ინსტიტუციური ზეწოლა ან არაკანონიერი ჩარევა საქმიანობაში მთავრობის (მათ შორის საგადასახადოს) მხრიდან. მიუხედავად ამისა, კონკრეტული ადვოკატირების

კამპანიების პროცესებში გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როცა სახელმწიფო მოხელეები ეცადნენ სსო-ის საქმიანობის შეზღუდვას ან შეჩერებას პირდაპირი და არა-პირდაპირი მექანიზმების გამოყენებით, როგორცაა საჯარო კრიტიკა, „რჩევა“, დაშინება და სხვა. ეს მაგალითები გაცილებით ხშირად გვხვდება სამოქალაქო აქტივისტების (სს2ო) შემთხვევაში, თუმცა როგორც დასავლური ტიპის ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციების“ (სს1ო), ასევე სამოქალაქო აქტივიზმის (სს2) წარმომადგენლები როგორც პიროვნული „რჩევის“ მცდელობებს, ასევე ხელისუფლების მხრიდან საჯარო კრიტიკას აღიქვამენ „თავდასხმად“ და „ზეწოლად“.

მიუხედავად ამისა, კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში ადვოკატირების კამპანიები მეტად კომპლექსურ და ცვალებად გარემოში მიმდინარეობს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საკმაოდ მრავალფეროვანი გამოცდილება აქვთ ხელისუფალთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის, პოლიტიკური გარემო ვერ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ადვოკატირების შედეგზე.

ორგანიზაციული უნარი და შემოსავლის წყაროები

პირველი სს1 ორგანიზაციები დონორთა მიერ, მათი რჩევით, წახალისებითა თუ ხელშეწყობით შეიქმნა და განვითარდა და დღევანდელ დღეს სექტორში წარმოდგენილია რამდენიმე მძლავრი ორგანიზაცია, რომელიც მიუხედავად წყვეტისა დონორის მხრიდან ინსტიტუციური თუ ფინანსური დახმარების კუთხით გააგრძელებს სოციალური მისიის აღსრულებას და განვითარდნენ. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ამათ შეემატნენ სოციალური მოძრაობების ტიპის სს2 ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა სრულად მოხალისეობრივია, მათმა ნაწილმა დონორთა რჩევით გაიარა რეგისტრაცია და დაფუძნდა როგორც ა(ა)იპ, ნაწილი კი, საზოგადოებრივი სტატუსისა და დამოუკიდებლობის

შენარჩუნების, ასევე ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების თავიდან აცილების გამო, შეგნებულად არ რეგისტრირდება.

საჯარო პოლიტიკაზე ადვოკატირების გზით ზეგავლენის მოსახდენად ითვლება, რომ სს ორგანიზაცია უნდა იყოს ინსტიტუციურად და ფინანსურად ძლიერი. 1990-ანი წლებიდან დღემდე დონორების მიერ ინიცირებულ და მხარდაჭერილმა სს1 ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, როგორც პროფესიული, ასევე ინსტიტუციური განვითარების კუთხით. იზრდება იმ სს1 ორგანიზაციათა რიცხვი, რომელთაც ყავთ დამოუკიდებელი გამგეობა, მოწესრიგებული შიდა ორგანიზაციული სისტემა, აქვეყნებენ წლიურ ანგარიშებს, ატარებენ წევრთა კონფერენციებსა და ირჩევენ აღმასრულებელ დირექტორებს ან ჰყავთ დირექტორთა საბჭო (USAID 2014, CIVICUS 2010). დონორთა დეტალური ბიუჯეტების ხელმიუწვდომელობისა და პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების მრავალსაფეხურიანი განაწილების გამო ასევე ძნელი დასადგენია ზუსტი თანხა რა დაიხარჯა ან იხარჯება უშუალოდ არამომგებიან სექტორში დემოკრატიზაციის სხვადასხვა საქმიანობაზე, მათ შორის, რომ ზეგავლენა მოეხდინათ საჯარო პოლიტიკაზე. სს1 ორგანიზაციებში გვხვდება ბიზნესთან თანამშრომლობის და სოციალური საწარმოს მაგალითები, ასევე გახშირდა დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, ამასთან, კვლევა ადასტურებს, რომ სს1 ორგანიზაციების დონორთა დაფინანსება წლების განმავლობაში სტაბილურია და წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების გამოყენება დონორთა პირდაპირი (დაფინანსება) და არაპირდაპირი (ხელისუფლებასთან თანამშრომლობა) მხარდაჭერით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ სს1 ორგანიზაციები არაერთგვაროვნად აფასებენ დონორებზე ფინანსურ დამოკიდებულებას და „დონორთა მხარდამჭერებთან“ ერთად გვხვდება „ხელოვნურად დაკისრებული“ ვალდებულებების ტვირთად მოხსენიება, სამოქალაქო ადვოკატირების პროცესში სს1 ორგანიზაციები თითქმის არასოდეს ახდენენ ფულადი და არა-

ფულადი კონტრიბუციების მოზიდვას ან რაიმე სხვა ფორმით ადვოკატირებისთვის აუცილებელი თანხების გაზრდას.

სს1 ორგანიზაციებისგან განსხვავებით, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების თავიდან აცილების გამო, სს2 ორგანიზაციათა უმეტესობა უარს ამბობს დონორთა დაფინანსებაზე და მნიშვნელოვნად იყენებს საკუთარ ფინანსურ რესურსებს, ადვოკატირების ღონისძიებების, ასევე სასამართლო დავების შემთხვევაში. ამასთან, ხშირია მათი უსასყიდლოდ დახმარების მაგალითები სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა და ბიზნესის მხრიდან. ადვოკატირების საქმიანობისთვის სს2 ორგანიზაციები ცდილობენ მოიზიდონ (მეტ წილად არა-ფულადი) კონტრიბუციები საკუთარი წევრების/თანამოაზრეებისა და აქტივისტების მხრიდან. ასევე გვხვდება დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა. სს2 ორგანიზაციები არ მოიხსენიებენ საკუთარ თავს „ორგანიზაციად“, არამედ „პლათფორმად“, რაც გააერთიანებს დაინტერესებულ მოქალაქეებს. ეს „პლათფორმები“ ინსტიტუციურად საკმაოდ გაუმართავია. მათ არ აქვთ მუდმივი ოფისი, არ ყავს გამოკვეთილი ლიდერი, არ აქვთ შიდა სტრუქტურა, არ ყავთ თანამშრომლები, თუმცა აწევრიანებენ ნებისმიერ მსურველს, არ გააჩნიათ პასუხისმგებლობათა სისტემა. სს2 ორგანიზაციების წევრები და გულშემატკივრები სოციალურ მედია ქსელში შექმნილი დახურული ჯგუფის მეშვეობით ურთიერთობენ და გეგმავენ საქმიანობას.

სს1 ორგანიზაციებში გვხვდება (დონორთა მიზნებისთვის) მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის ორგანიზაციები, ხოლო სს2 ორგანიზაციების უმეტესობა მაღალი რისკის მატარებელია. მიუხედავად ამისა, საერთოდ ადვოკატირების შედეგი სს2 ორგანიზაციებში საკმაოდ მაღალია (და მეტია ვიდრე სს1 ორგანიზაციებში) და ცხადია, რომ ორგანიზაციული უნარი (დონორთა

კრიტერიუმების გათვალისწინებით) ვერ ახდენს ზეგავლენას ადვოკატირების შედეგზე.

აღსანიშნავია, რომ სს2 ორგანიზაციებში შემოსავლის წყაროების გამოყენება და დონე პირდაპირ კავშირშია ადვოკატირების შედეგთან, ხოლო სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში ეს კავშირი არ ვლინდება. იმის გათვალისწინებით, რომ სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში შემოსავლის წყაროები დიდი წილი მოდის დონორის დაფინანსებაზე, ხოლო სს2 ორგანიზაციების შემთხვევაში სხვა ალტერნატიულ საშუალებებზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ე.წ. „დონორთა“ ფული ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ადვოკატირების შედეგზე. შესაბამისად, ადვოკატირებისთვის არა დონორთა დაფინანსება, არამედ სს ორგანიზაციის მიერ შიდა რესურსების, ფულადი და არაფულადი კონტრიბუციების, ფანდრაიზინგისა და სხვა ფინანსური ალტერნატივების ამოქმედებასა და ხელმისაწვდომობას აქვს კავშირი ადვოკატირების შედეგთან.

სტრატეგიული მიდგომა

გამომდინარე იქედან, რომ არც სს1 და არც სს2 ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ადვოკატირების გრძელვადიანი სტრატეგია, კვლევის მიზნებისთვის „საკითხის პირველადი აქტუალურობის“, „მოტივაციისა“ და „ცვლილების თეორიის“ კომპონენტების საშუალო მაჩვენებელი განიხილება სსო-ს „სტრატეგიულ მიდგომად“. სამოქალაქო საზოგადოების ორივე სექტორის შემთხვევაში სტრატეგიულ მიდგომას აქვს კავშირი ადვოკატირების შედეგთან. ამასთან სტრატეგიული გააზრების კუთხით გამოიკვეთა ფაქტორები, რომელიც მეტად ან ნაკლებად ახდენენ ზეგავლენას ადვოკატირების შედეგზე, კერძოდ:

- საკითხის პირველად *აქტუალურობას*, როგორც მოსახლეობაში „დაზარალებულთა“ პრობლემების ხარისხს და მასშტაბს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების ორივე სეგმენტის მიერ. თუმცა, თუკი სს1 ორგანიზაციები, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რუტინულად სწავლობენ თემას ან ეხმარებიან ინდივიდუალურ მოქალაქეებს და ნეგატიური ტენდენციის არსებობისას, ანზოგადებენ და საჯარო პოლიტიკის დონეზე ცდილობენ საკითხის მოგვარებას, სს2 ორგანიზაციებისთვის ერთი ადამიანის პრობლემა (ასევე ერთი ხის მოჭრა, ერთი ძეგლის დანგრევა) ფართომასშტაბიანი ადვოკატირების კამპანიის მიზეზი ხდება. სს1 ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული მიდგომა და პრობლემის მასშტაბი, ხოლო სს2 ორგანიზაციებისთვის კონკრეტული საკითხის ირგვლივ მათი ხედვა და რწმენა, ან მათი რწმენის საპირისპიროდ შექმნილი ერთი ადამიანის მდგომარეობა ან საზოგადო ვითარება. თუკი სს1 ორგანიზაციების მიერ წამოწყებული თემების პირველადი მნიშვნელობა ფართოდაა აღიარებული პრობლემად ბენეფიციარებში, სს2 ორგანიზაციების მიერ დასმული საკითხი ხშირდა არაა აქტუალური არც ბენეფიციარებისთვის და არც ფართო საზოგადოებისთვის. მიუხედავად ამისა, კვლევამ გამოავლინა, რომ სამოქალაქო საზოგადოების არცერთი სეგმენტის შემთხვევაში საკითხის პირველადი აქტუალობის დონეს არ აქვს კავშირი ადვოკატირების შედეგთან.
- სამოქალაქო ორგანიზაციების ბუნება და საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება როგორც ორგანიზაციის წამოწყების პირველად *მოტივაციას*, ასევე ორგანიზაციის დამფუძნებლებში *ცვლილების თეორიის*, როგორც „რწმენის სისტემის“ გზამკვლევის არსებობას, საკითხის შესწავლის საფუძველსა და შედეგზე ორიენტირებულ

საქმიანობას (ORS 2007). სოციალური მისიის აღსრულების კუთხით სს1 ორგანიზაციები განსხვავდებიან შემდეგი მოტივაციით: ა) დაფუძნებულია დონორის მიერ.; ბ) დონორთა მეშვეობით დაგროვილი ცოდნა და მიღებული გამოცდილება; გ) პროფესიონალიზმისა და დონორთა დახმარების თანხვედრა, ხოლო სს2 ორგანიზაციები წარმოადგენენ აქტიური მოქალაქეების ფორმალურ და არაფორმალურ კავშირებს, რომლებიც წლების განმავლობაში ადვოკატირებას უწევდნენ საჯარო პოლიტიკის საკითხს, რამაც გამოიწვია მათი გაერთიანება ან/და ორგანიზაციის დაფუძნება.

როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ორგანიზაციის/ადვოკატირების კამპანიის წამოწყების მოტივაცია და სოციალური მისიის გააზრება პირდაპირ კავშირშია საქმიანობის უწყვეტობასთან და ხსნის რატომ საქმიანობს და ვითარდება ერთი და წყვეტს საქმიანობას მეორე ორგანიზაცია.

- მოტივაცია და სოციალური მისიის გააზრება (ხედვა) ასევე კავშირშია ადვოკატირების შედეგთან სამოქალაქო საზოგადოების ორივე სეგმენტისთვის მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სს1 ორგანიზაციის შემთხვევაში „მოტივაცია“ და „ხედვა“ არა სს ორგანიზაციას, არამედ დონორს „ეკუთვნის“. ამასთან, ცვლილების თეორიის ფარგლებში „ხედვის“ შესაბამისი „მოქმედების“ შეფასებისას აღმოჩნდა, რომ სს1 ორგანიზაციები ნაკლებად ცდილობენ საკითხის დღის წესრიგში შენარჩუნებას განსხვავებით სს2 ორგანიზაციებისგან. „ნაკლები“ მოქმედება აქ არ გულისხმობს „უმოქმედებას“, არამედ გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გზაზე განსხვავებული გათვითცნობიერებული ამოცანების დაყენებასა და მოქმედებას თემის ცხოვრებაში დადებითი წვლილის შესატანად. შესაბამისად, ექსპერტების მიერ ადვოკატირების სტრატეგიის არსებობის მნიშვნელობის აღიარების მიუხედავად,

კვლევა აჩვენებს, რომ არა ფორმალიზებული სტრატეგია, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მოტივაციას და ხედვას კავშირი აქვს ადვოკატირების წარმატებასთან. თუკი სს2 ორგანიზაციები ამას საკითხის მუდმივ თვალდევნითა და აქტუალურობის შენარჩუნების/წამოწევის საშუალებით აკეთებენ, სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს *ხედვის* შესაბამისი საქმიანობის *უწყვეტობას*.

ამრიგად, ადვოკატირების შედეგთან კავშირი არ აქვს საკითხის პირველად *აქტუალურობას*, არამედ *მოტივაციასა* და *ხედვას* იმისა თუ რა უნდა შეიცვალოს, რაც უზრუნველყოფს მიზანმიმართული საქმიანობის დაგეგმვას, ანგარიშვალდებულებას და კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან, რაც სს1 და სს2 შემთხვევაში განსხვავებული მიდგომებით ხორციელდება.

6.3. ადვოკატირების შედეგები: ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე, სოციალურ ცვლილებაზე და სოციალურ კაპიტალზე

საქართველოში ფართო პოლიტიკური ქმედების უზრუნველსაყოფად ინსტიტუციური და იდეოლოგიური პლურალიზმის იდეა გაიგივდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარებასთან, რაც წინ აღუდგებოდა ძალაუფლების მონოპოლიას, დააბალანსებდა სახელმწიფო ინსტიტუციებს ან შეავსებდა მათ მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკას.

1990-ან წლებში საერთაშორისო პარტნიორთა და დონორთა დახმარებით, ასოციაციონალიზმისა და თათბირობითი დემოკრატიის კონცეფციების გათვალისწინებით შექმნილ-წახალისებული მესამე სექტორი **სამოქალაქო საზოგადოების სინონიმად** ჩამოყალიბდა. დაარსების დღიდან დღემდე ამ ორგანიზაციების პრიორიტეტია დასავლური ტიპის ლიბერალური ღირებულებები და საქმიანობები მოიცავენ ისეთ მიმართულებებს, როგორცაა

დემოკრატიზაცია, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო განათლება, თემის განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა, გარემოს დაცვა, სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგი, ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბება, სამოქალაქო ადვოკატირება და სხვა.

საქართველოში პოლიტიკის ადვოკატირება პრიორიტეტული გახდა გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროცესი პოლიტიკური ალტერნატივის შემუშავებასა და შეთავაზებასთან ერთად გულისხმობს მოსახლეობის შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვას, პოლიტიკურ და საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, ნავარაუდევია, რომ პოლიტიკის ადვოკატირებამ უნდა უზრუნველყოს პლათფორმა ფართომასშტაბიანი მონაწილეობისთვის, რაც მოითხოვს საზოგადოებაში სოციალურ ნორმათა სისტემაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას და კოლექტიური ქმედების წახალისებას, რათა მეტი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალური კაპიტალის განვითარებაში.

პოლიტიკურ არენაზე ცვლილება გულისხმობს პოლიტიკის შემუშავებას, ახალ ან შეცვლილ პოლიტიკას, პოლიტიკის განხორციელებას, რეფორმისთვის ადეკვატური რესურსების გამოყოფას და სხვა (ORS 2008, UNICEF 2010). ამასთან, პოლიტიკის ცვლილებაზე მიმართული პროცესი (ადვოკატირება) წარმოადგენს ინსტიტუციებსა და საზოგადოების ჯგუფებში სტრუქტურული და კოგნიტიური კონტექსტის ცვლილებას. გამომდინარე აქედან, ადვოკატირების შედეგი გამომდინარეობს ა) ადვოკატირების პროცესისა და ბ) ადვოკატირების შედეგებიდან, სადაც *ადვოკატირების პროცესი* მიმართულია ადვოკატირების საკითხის ფართო აღიარებაზე (1) ხელისუფლებასა და (2) საზოგადოებაში. ამასთან, როგორც ერთი, ასევე მეორე მიმართულებით (ხელისუფლება და ხალხი) სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევა გულისხმობს სტრუქტურული და კოგნიტიური ცვლილების ხელშეწყობას,

სადაც ხელისუფლებაში სტრუქტურული ელემენტები გულისხმობს პოლიტიკის (კანონი და სხვა) ცვლილებას და კოგნიტიური კი პოლიტიკური ნების ცვლილებას; ხოლო საზოგადოებაში სტრუქტურული ცვლილება გულისხმობს კოლექტიურ ქმედებას და კოგნიტიური კი ნორმატიულ ცვლილებას (Reisman, Gienapp & Stachowiak n.d).

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუციური და ქცევითი მაგალითების ნაწილი ეროვნული ტრადიციებიდან და სამოქალაქო კულტურიდან მომდინარეობს, ხოლო ნაწილი შემუშავდა და ჩამოყალიბდა პოსტ-საბჭოთა კონტექსტში, დასავლური ლიბერალური მოდელის განვითარების პროცესში.

დონორთა მიერ წახალისებული ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“ (სს1) არ წარმოადგენენ ქართული სოციალური კაპიტალის ავთენტურ ნაწილს. ადვოკატირების მექანიზმები ეფუძნებიან დასავლეთის პრაქტიკას და გულისხმობენ „გარე ადვოკატირებას“ (საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, ქუჩის აქციები და სხვა). მიუხედავად ამისა, ქართული ე.წ. არასამთავრობო სექტორისთვის დასავლეთის პარტნიორებისგან შემოთავაზებული ადვოკატირების პროექტების მექანიზმები მეტად არიან ორიენტირებული „შიდა ადვოკატირებაზე“, რაც პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიმღებებზეა მიზანმიმართული. შესაბამისად, ადვოკატირების პროცესში დონორთა მიერ „ნებადართული“ და წახალისებული საქმიანობა, როგორცაა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, ხალხისგან ინფორმაციის შეგროვება, მათი ინფორმირება, განათლება და მომსახურება მეტადაა მიმართული პოლიტიკისა და სოციალურ ცვლილებაზე.

ამასთან, 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში აღმოცენებული სოციალური მოძრაობები, ინტერესთა ჯგუფები და სხვა (სს2) საჭიროების შემთხვევაში იყენებენ დასავლური ტიპის უფლებათა დამცველი სსო-ების გამოცდილებას, თუმცა სამოქალაქო აქტივიზმის ფორმით მოღვაწეობენ და მეტად ესადაგებიან ქართული სამოქალაქო ცხოვრების ოპოზიციური კულტურის გამოცდილებას, რომელსაც თავისი მექანიზმებით და ბერკეტებით მეტი საერთო აქვს „გარე ადვოკატირებასთან“ და შესაბამისად მეტადაა მიმართული სოციალური კაპიტალის განვითარებაზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორივე სეგმენტის ძალისხმევით საჯარო პოლიტიკის დონეზე მოხდა არა ერთი დადებითი ცვლილება და შეიცვალა, დარეგულირდა ან დაიხვეწა არა ერთი ნორმა, რეგულაცია, კანონმდებლობა და სხვა, რამაც ინდივიდუალურ მოსახლეობაში და ჯგუფებში მოიტანა დადებითი სოციალური ცვლილება.

სს1 ორგანიზაციებისა და ხელისუფლების თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები, საჯარო პოლიტიკის დონეზე დადებით შედეგებთან ერთად მეტყველებენ, რომ სს1 ორგანიზაციები ზეგავლენას ახდენენ სოციალური კაპიტალის სტრუქტურული ელემენტების განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში სოციალური კაპიტალის სტრუქტურული ელემენტების განვითარებაზე მიმართული ძალისხმევა მოიცავს ხელისუფლების მოქმედებას და პრაქტიკულად გამორიცხავს საზოგადოების წევრების კოლექტიურ ქმედებას.

გარკვეული გამონაკლისია სს1 ორგანიზაციების კამპანიური ხასიათის ადვოკატირების მაგალითები, სადაც ორგანიზაციები აყენებენ პრეტენზიებს და აკეთებენ განცხადებებს ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. აქ სს1 ორგანიზაციები განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, აღწევენ მეტ საჯაროობას,

უკეთესად ხდება ხალხის ფართო ინფორმირება და მობილიზება, ადგილი აქვს ქუჩის აქციებს და სხვა. ამგვარი კამპანიური ადვოკატირება წარმოადგენს სს1 ორგანიზაციების მცდელობას (ხელისუფლებაზე ზეწოლასთან ერთად) ზეგავლენა მოხდინონ საზოგადოების როგორც სტრუქტურულ, ასევე კოგნიტიურ ელემენტებზე.

სს1 ორგანიზაციებისგან განსხვავებით, სს2 არა მარტო სხვადასხვა ფორმის ინტერაქციაში შედიან გადაწყვეტილების მიმღებთან, ასევე ხელს უწყობენ საზოგადოების შესაძლებლობების განვითარებას და მნიშვნელოვან ძალისხმევას დებენ ბენეფიციარებისა და ფართო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებაში- კოლექტიურ ქმედებაში. შესაბამისად, სს2 ორგანიზაციებს წვლილი შეაქვთ როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების სტრუქტურული ელემენტების განვითარებაში.

გამომდინარე აქედან, პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში სს1 სექტორის მიერ გამოყენებული სტრატეგიები ახდენენ ნაწილობრივ ზეგავლენას სოციალური კაპიტალის სტრუქტურული (კოლექტიური ქმედების ქსელები) ელემენტების განვითარებაზე, თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალური კაპიტალის კოგნიტიური ელემენტების განვითარებაში, ხოლო სს2 სექტორის სტრატეგიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სოციალური კაპიტალის როგორც სტრუქტურული, ასევე კოგნიტიური ელემენტების განვითარებაში.

ის სოციალური პრობლემები, რაც საფუძველში უდევთ ადვოკატირების საკითხებს, ხშირად, წინააღმდეგობაში მოდიან ქართულ სოციუმში არსებულ კულტურულ და ტრადიციულ ნორმებთან. აქ მნიშვნელოვანია ერთის მხრივ სს1 ორგანიზაციების ხელისუფლებაზე მიზანმიმართული საქმიანობა, მეორეს მხრივ კი სს2 სექტორის ძალისხმევა, რომელიც საზოგადოებასთან

კომუნიკაციასა და ურთიერთობას აფუძნებს არსებულ (სეგმენტურ) კულტურულ კონტექსტს და ამით ცდილობს საზოგადოებასთან შერწყმას და მობილიზაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკის ცვლილება „უფრო მეტია, ვიდრე ადმინისტრაციული სისტემის რეორგანიზაცია ან რესურსების გადანაწილება, რადგან მან წვლილი უნდა შეიტანოს მონაწილეობითი სახელმწიფო მშენებლობის პროცესში, სადაც ხელი შეეწყობა დავების გადაწყვეტის არაძალადობრივი და სამართლიანი სისტემის დამკვიდრებას“ (Maiese 2003), სს1 ორგანიზაციების „ექსპერტული“ ბუნება და საზოგადოებასთან ე.წ. წყვეტა ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სს1 სექტორის საქმიანობის ლეგიტიმურობასა და სანდოობას. მიუხედავად ამისა, სს1 ორგანიზაციებმა საკუთარი გამოცდილებით იციან საზოგადოებაში (ან თემში) არსებული პრობლემების შესახებ, რომელთა გადამოწმებას და/ან მასშტაბის დადგენას დამატებითი ინფორმაციის მოძიებით ახდენენ. მეორეს მხრივ, საზოგადოების მობილიზებასთან მიმართებაში ნათელია, რომ მიუხედავად იმისა თუ რამდენად ბევრი ან დახვეწილი საშუალება არსებობს ქვეყანაში, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობას, ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა არასოდეს გააკეთებს ამას. გადაწყვეტილების მიმღებთან მოლაპარაკებისას სს1 ორგანიზაცია წარმოადგენს, ან მომსახურებას უწევს ხალხს და ცხადია, რომ ქართული სს1 სექტორის მთავარი გამოწვევა არა მოსახლეობის უმრავლესობის ადვოკატირების პროცესში მონაწილეობის ჩართულობა, არამედ ადვოკატირების შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ „მედიატორების“ კომუნიკაცია და საჯაროობაა. ამასთან, ადვოკატირების ბერკეტების გამოყენების სიმძლავრე და დადებითი შედეგების არსებობა სს1 ორგანიზაციების შემთხვევაში დაკავშირებულია არა ფართო საზოგადოებაში, არამედ სახელისუფლებო წრეებში ავტორიტეტთან და ლეგიტიმურობასთან. შესაბამისად, სს1 ორგანიზაციების მიერ საჯარო

პოლიტიკაზე და სოციალურ ცვლილებაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა შესაძლებელია მხოლოდ ლობირებითა და ექსპერტული რჩევით და არა საზოგადოების ზემოქმედების შედეგად.

ამასთან, პოლიტიკისა და სოციალური ცვლილებისთვის ადვოკატირების პროცესში შუალედური შედეგის დადგომა, რასაც მეტად წარმატებულად უზრუნველყოფენ სს2 ორგანიზაციები, მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკის ცვლილების უეჭველობას. საკითხის ირგვლივ შეიძლება გაიზარდოს ყურადღება, მაგრამ იგი არ გადაიზარდოს რეალურ პოლიტიკურ ცვლილებაში (ORS 2008), რასაც მოაქვს სოციალური ცვლილება. მიუხედავად ამისა, დღევანდელ დღეს ცენტრალური პრობლემა აღარაა რამდენად და როგორ განაპირობებს მობილიზაციის კამპანია და პროტესტების ციკლი კონკრეტულ შედეგებს პოლიტიკური და სოციალური სისტემების სხვადასხვა დონეზე, არამედ რამდენად უწყობს მოძრაობა ხელს ახალი ქსელების წარმოშობას, რომელიც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს ადვოკატირების ჯგუფებს, მოქალაქეთა ორგანიზაციებს და სხვა ალტერნატიულ ინტელექტუალებსა და არტისტებს მეტად გავლენიანი გახდნენ პოლიტიკური და კულტურული ცვლილების პროცესში (Diani 1997). შესაბამისად, სამოქალაქო აქტივიზმის შედეგად სოციალური ქსელების წარმოქმნა განსაზღვრავს პოლიტიკურ პროცესებში ინდივიდუალურ მონაწილეობას.

6.4 დასკვნა

პოლიტიკის ადვოკატირება, როგორც ბერკეტი სთავაზობს პოლიტიკაზე ზეგავლენისა და საზოგადოების ჩართულობის ფართო შესაძლებლობებს. არსებული სამართლებრივი ნორმებისა და რეგულაციების, რიცხვებისა და მონაცემების ცოდნასთან, საპირისპირო მხარეების ინტერესების გარკვევასა და

საჯარო პოლიტიკის ნეგატიური და პოზიტიური მხარეების გაანალიზებასა და სხვა „კვალიფიცირებულ“ ჩარევასთან ერთად, ადვოკატირება გულისხმობს „ღია ცის ქვეშ საქმიანობას“. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატირებას პირველ რიგში უნდა ამოძრავებდეს მიზანი აამოქმედოს საზოგადოების სტრუქტურული და კოგნიტიური ელემენტები და განავითაროს სოციალური კაპიტალი, საქართველოს კონტექსტში ადვოკატირების შედეგად განხორციელებულ პოლიტიკურ ან სოციალურ ცვლილებას ასევე აქვს უნარი თანმიმდევრულად შეცვალოს ან განავითაროს საზოგადოების სოციალური კაპიტალი.

სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ადვოკატირების ტაქტიკური მიდგომა დამოკიდებულია მათ ბუნებაზე (მოტივაცია და ხედვა) და არსებული რესურსების ტიპზე, რაც განასხვავებს მათ შედეგებს პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების მოხდენის კონტექსტში. თუკი დონორთა მიერ მხარდაჭერილი სს1 ორგანიზაციები „ძალაუფლების პოლიტიკის“ თეორიის შესაბამისად, ხელმძღვანელობენ რეალური პრობლემებით, ამყარებენ ურთიერთობებს გადაწყვეტილებების მიმღებთან და ზრდიან ბენეფიციართა შესაძლებლობებს, თუმცა ნაკლებად უწყობენ ხელს ძალაუფლებას გუნდური მოქმედებით სოციალური ცვლილების მისაღწევად (Stachowiak n.d), სს2 ორგანიზაციების ინკლუზიური და ხშირად პროვოკაციული მიდგომა და ადვოკატირების სტრატეგიების მეტად დაბალანსებული გამოყენება მეტადაა ორიენტირებული გუნდურობაზე და საზოგადოებაში (ხელისუფლება და ხალხი) საჭირობოროტო საკითხის მიმართ დამოკიდებულების ცვლილებაზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორივე სეგმენტი ახდენს დადებით ზეგავლენას საჯარო პოლიტიკასა და სოციალურ ცვლილებაზე. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების სს1 სეგმენტის „კვალიფიცირებული ჩარევა“ ზეგავლენას

ახდენს გადაწყვეტილებების მიმღებში სტრუქტურული და ნორმატიული ცვლილებაზე, ხოლო საზოგადოებაში ნორმატიულ ცვლილებაზე; ხოლო სს2 სეგმენტის „აქტივისტური“ მიდგომა ზეგავლენას ახდენს როგორც გადაწყვეტილებების მიმღებში, ასევე საზოგადოების წევრებში სტრუქტურულ და ნორმატიულ ცვლილებაზე.

ანალიტიკოსების თქმით, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება საქართველოში გააძლიერებს დემოკრატias, სხვა მნიშვნელოვან ელემენტებთან ერთად, საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის კუთხით. „ექსპერტული ჩარევით“ საჯარო პოლიტიკაზე და სოციალურ ცვლილებაზე დადებითი ზეგავლენის შედეგად ნორმატიული ცვლილება (მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა), მეტად სწრაფი და არა-მდგრადია და შესაძლებელია შეიცვალოს პოლიტიკის შემდგომ ცვლილებასთან ერთად. ამის საპირისპიროდ, ნორმატიული ცვლილების შედეგად პოლიტიკური და სოციალური ცვლილება ხანგრძლივი პერსპექტივის საკითხია, თუმცა მეტად მდგრადი და შეუქცევადია.

საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ისტორიულმა გამოცდილებამ ზეგავლენა მოახდინა ქართული საზოგადოების ქცევის მოდელზე და მიუხედავად თითქმის 25 წლიანი ინსტიტუციური დახმარებისა დასავლეთიდან სამოქალაქო საზოგადოების განსავითარებლად და იმ რესურსებისა, რაც ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ინიციატივებისთვის, სამოქალაქო აქტივიზმს მიმართ როგორც ხალხი, ასევე ხელისუფლება მეტად მგრძნობიარეა და ქუჩის აქციებს მნიშვნელოვანი ფუნქცია უკავიათ საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის პროცესში. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანაში სოციალური კაპიტალის განვითარებაზე მიმართული სტრატეგიები ნაკლებად იქნება მიზნული დონორთა მიერ დაფუნდებულ სექტორზე და მეტად საზოგადოების იმ ერთეულებზე, რაც მეტად დამახასიათებელია

ქართული საზოგადოებისთვის (არაფორმალური გაერთიანებები, სოციალური მოძრაობები და სხვა)- სოციალურ ნორმათა ცვლილება მეტად ეფექტურად მოხდება. ამასთან, სამოქალაქო სექტორის ფორმალური და არაფორმალური ერთეულები შეავსებენ ადვოკატირების აქტივობებში არსებულ „წყვეტას“, რაც მეტ ზეგავლენას მოახდენს როგორც სოციალური კაპიტალის უკეთესი ტემპით განვითარებაზე, ასევე საჯარო პოლიტიკისა და სოციალური ცვლილების ეფექტურობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია

ბარდახი, ი. (2008). პრაქტიკული გზამკვლევი პოლიტიკის ანალიზში, რვა საფეხურიანი მიდგომა პრობლემათა ეფექტიანი მოგვარებისთვის, საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრის გამომცემლობა. თბილისი, Chathamhouse Publishers

მელუა, დ. (2009). სამოქალაქო მონაწილეობის ასპექტები საქართველოში

მუსხელიშვილი, მ. (2006). სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი

CTC, CDC, SMEDA (2013). მიკრო მეწარმეობა, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის საშუალება. ანგარიში და რეკომენდაციები, EWMI G-PAC

Andersen, K. (2006). Robin Hood Marketing. Stealing Corporate Savvy to Cell Just Causes. Jossey-Bass A Wiley Imprint

Andrews, K. & Edwards, B. (2004). Advocacy Organizations in the U.S. Political Process Annual Review of Sociology, pp. 479-506.

www.academia.edu/1446189/Advocacy_organizations_in_the_US_political_process

Baccaro, L. (2002). Civil Society Meets the State: A model of Associational Democracy, ILO Discussion Paper, #138, pp.1-23.

https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=334860

Barkhorn, I., Hutter, N. & Blau, J. (2013). Assessing Advocacy. Stanford Social Innovations Review. https://ssir.org/articles/entry/assessing_advocacy

Baumgartner F.R., Berry J. M., Hojnacki M., Kimball D. C. & Leech B.L. (2009). Lobbying and Policy Change, Who Wins, Who Loses, and Why. The University of Chicago Press

Baumgartner, F. & Jones, B. (1983). Agendas and Instability in American Politics, Chicago, IL, University of Chicago Press, SBN: 9780226039473. Published May 2009

Bergson, H. (1935). The Two Sources Of Morality And Religion. Publisher Macmillan And Company Limited, Osmania University.

<https://archive.org/details/twosourcesofmora033499mbp>

Berman, S. (1997). Civil Society and the Collapse of the Weimar Republic. World Politics, Vol. 49, #3, pp. 401-429, Cambridge University Press.

http://isites.harvard.edu/fs/docs/icb.topic793411.files/Wk%2011_Nov%2012th/Berman_1997_Weimar_Civil_Society.pdf

Bernhard, M. & Karakoç, E. (2007). Civil Society and the Legacies of Dictatorship. World Politics, Volume 59, #4, July 2007, pp-539-567, 10.1353/wp.2008.0001.

https://muse.jhu.edu/login?auth=0&type=summary&url=/journals/world_politics/v059/59.4bernhard.html

Bessette, J. (1980), "Deliberative Democracy: The Majority Principle in Republican Government," in How Democratic is the Constitution? Washington, D.C., AEI Press. pp. 102-116

Bicchieri, C. & Muldoon, R. (2014), Zalta E. (ed.). Social Norms. *The Stanford Encyclopedia of Philosophy*. <http://plato.stanford.edu/archives/spr2014/entries/social-norms>

Blume, L. & Durlauf, S. (eds). (n.d). Social Norms. Forthcoming in the New Palgrave Dictionary of Economics, Second Edition, London: Macmillan.

<http://www.economics.ox.ac.uk/materials/PalgraveSocialNormsJuly07.pdf>

Bollier, D. (2001). The Cornucopia of the Commons.

<http://www.yesmagazine.org/issues/reclaiming-the-commons/the-cornucopia-of-the-commons>

Bourdieu, P. (1986), Richardson, J. (ed.). The Forms of Capital, Handbook of Theory and Research for the Sociology of Education, New York, Greenwood, pp., 241-258.

<https://www.marxists.org/reference/subject/philosophy/works/fr/bourdieu-forms-capital.htm>

Brannan, T. (2003). From “Antipolitics” to “Anti-politics”: What Became of East European “Civil Society”? Development Studies Institute, Working Paper Series ISSN 1470-2320. #03-41.

<http://www.lse.ac.uk/internationalDevelopment/pdf/WP/WP41.pdf>

Bray I., (2005). Effective Fundraising for Nonprofits, Real-World Strategies That Work, 2nd edition, NOLO’s Nonprofit Essentials

Brinkerhoff D.W., Crosby, B.L. (2002). Managing Policy Reform, Concepts and Tools for Decision-Makers in Developing and Transitional Countries. Kumarian Press Inc.

Brinkerhoff, J. & Brinkerhoff, D. (2002). Government-Nonprofit Relations in Comparative Perspective: Evolution, Themes, and New Directions. Public

Administration and Development 22(1):3 – 18, DOI: 10.1002/pad.202.

<https://www.researchgate.net/publication/228007498>

Britannica.com (n.d.), <http://www.britannica.com/EBchecked/topic/551948/Socrates>

Buckley, S. (2014). Advocacy Strategies and Approaches: Overview Paper. Association for Progressive Communications. <https://www.apc.org/en/node/9456>

Burstein, P. & Linton, A. (2003). The Impact of Political Parties, Interest Groups, and Social Movement Organizations on Public Policy: Some Recent Evidence and Theoretical Concerns. *Social Forces*, Vol. 81, No. 2, pp. 381-408, www.jstore.org

Burt, R. (2000), Lin N., Cook, K.S. & Burt R.S. (eds.). Structural Holes Versus Network Closure as Social Capital. University of Chicago and Institute European d'Administration (INSEAD), pre-print for a chapter in *Social Capital Theory and Research*, <http://snap.stanford.edu/class/cs224w-readings/burt00capital.pdf>

Carilli, A., Coyne, C. & Leeson, P. (2008). Government Intervention and the Structure of Social Capital. *Rev Austrian Econ*, 21:209–218 DOI 10.1007/s11138-007-0035. [http://www.peterleeson.com/Govt Intervention and the Structure of Social Capital.pdf](http://www.peterleeson.com/Govt%20Intervention%20and%20the%20Structure%20of%20Social%20Capital.pdf)

Caucasus Research Resource Centers (2014). *Follow-up Report on Civic Engagement, Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)*

Caucasus Research Resource Centers (CRRC) (2011). An Assessment of Social Capital in Georgia 2011. <http://www.crrccenters.org/20547/Assessment-of-Social-Capital-in-Georgia>

CIVICUS, CIPPD, CSI (2010). An Assessment of Georgian Civil Society. Report of the CIVICUS Civil Society Index. Analytical Report for Georgia 2010
<http://www.civicus.org/downloads/CSI/Georgia.pdf>

CIVICUS. n.d. CIVICUS' Civil Society Index-Rapid Assessment Tool (CSI-RA).
<http://www.civicus.org/index.php/media-center/toolkits>. (Accessed August 3, 2015)

CIVICYS. n.d. CIVICUS' Enabling Environment Index (EEI).
<http://www.civicus.org/downloads/2013EEI%20REPORT.pdf>. (Accessed May 1, 2015)

Clague, Ch. (ed) (1997). Institutions and Economic Development, Growth and Governance in Less-Developed and Post-Socialist Countries. The John Hopkins University Press, ISBN: 9780801854934

Coleman, J. (1987). Radnitzky, G. & Bernholz, P. (eds). Norms As Social Capital. In Economic Imperialism: The Economic Approach Applied Outside the Field of Economics. A Professors World Peace Academy Book, Pwpa Books, ISBN-10: 0943852188

Coleman, J. (1988). Social Capital in the Creation of Human Capital. *American Journal of Sociology*, Vol. 94, Supplement: Organizations and Institutions: Sociological and Economic Approaches to the Analysis of Social Structure, pp. S95-S120. The University of Chicago Press, www.jstor.org/stable/2780243,

Complete Dictionary of Scientific Biography (2008),
www.encyclopedia.com/topic/Henri_Bergson.aspx

D'Anjou, L. & de Gruyter, A. (1996). Social Forces. Social Movements and Cultural Change: The First Abolition Campaign Revisited. Oxford University Press, vol. 77, No. 2 (Dec., 1998), pp. 802-804, DOI: 10.2307/3005554, www.jstor.org

De Tocqueville, A. (1835). Democracy in America (Schleifer, J. trans; Nolla, E, ed). Historical-Critical Edition of De la de 'mocratie en Ame 'rique, pp. 410-427.
<http://oll.libertyfund.org/titles/tocqueville-democracy-in-america-historical-critical-edition-4-vols-1f-ed-2010>

Delap, C. (2001). Citizens' juries: Reflections on the UK experience. In Deliberative democracy and citizen empowerment. PLA Notes 40.
<http://pubs.iied.org/pdfs/G01929.pdf>

Della Porta, D. & Diani (1999, 2006). Social Movements, an introduction, Balckwell Publishing.
https://www.hse.ru/data/2012/11/03/1249193172/Donatella_Della_Porta_Mario_Diani_Social_Mov.pdf

Denhardt, R., & Denhardt, J. (2013). Public Administration: An Action Orientation, Seventh Edition; Belmont, CA: Thomson Wadsworth

DeSantis, G. (2010). Voices from the Margins: Policy and Marginalized Communities. Canadian Journal of Nonprofits and Social Economy Research, Vol.1, #1.
<http://www.anserj.ca/index.php/cjnser/article/viewFile/24/8>

Deutsch, K. W. (1954). Friedrich, C (ed).Totalitarianism. Cracks in the Monolith in Totalitarianism, Cambridge, Mass.: Harvard University Press, pp. 313-314.

<https://www.degruyter.com/view/books/harvard.9780674332621/harvard.9780674332621.c24/harvard.9780674332621.c24.xml>

Diamond, L. (2004). What is Democracy. Lecture at Hilla University for Humanistic Studies January 21, 2004.

<https://web.stanford.edu/~ldiamond/iraq/WhaIsDemocracy012004.htm>

Diani, M. (1992). The Concept of Social Movement. *The Sociological Review*. 0038-0261 92/4001-00. <http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.1467-954X.1992.tb02943.x/pdf>

Diani, M. (1997). Social Movements and Social Capital: A Network Perspective on Movement Outcomes. *Mobilization: An International Journal*, September 1997, pp.129-147

Dowley, K. & Silver, B. (2002). Social Capital, Ethnicity and Support for Democracy in the Post-Communist States. *Europe-Asia Studies*, Vol. 54, #4, pp. 505-527, www.jstore.org

Drucker P.F. (2005). *Managing the Nonprofit Organization, Principles and Practices*. HarperCollins Publishers

Duncan, L.E. (n.d). *The Psychology of Collective Action*, Smith College, Oxford Handbook of Personality and Social Psychology. New York: Oxford University Press. [www.genderandpolipsych.com/files/newresearch/.../Duncan\(inpress\)\(1\).doc](http://www.genderandpolipsych.com/files/newresearch/.../Duncan(inpress)(1).doc)

Edwards, M. (2004). *Civil Society*. Polity Press in Association with Blackwell Publishing Ltd.

Ehrenberg, J. (1999). *Civil Society – The Critical History of An Idea*. New York University Press

Ekiert, G. (n.d). The Illiberal Challenge in Post-Communist Europe Surprises and Puzzles *Taiwan Journal of Democracy*, Volume 8, No. 2: 63-77.
http://scholar.harvard.edu/files/ekiert/files/illiberal_challenge_-_taiwan.pdf?m=1375989787

Ekiert, G. & Foa, R. (2011). *Civil Society Weakness of Post-Communist Europe: A Preliminary Assessment*. Collegio Carlo Alberto, #198.
www.carloalberto.org/working_papers

Ekiert, G. & Kubik, J. (2014). *Myths and Realities of Civil Society*. *Journal of Democracy* V.25, #1, National Endowment for Democracy and Johns Hopkins University Press, pp-46-57

EU (2014), Georgia, EU Country Roadmap for Engagement with Civil Society, 2014-2017, Approved 21 July 2014

European Center for Non-for-Profit Law (ECNL). n.d. *EU CS Guidelines & the Monitoring Matrix Methodology Matching Table* <http://monitoringmatrix.net/eu-cs-guidelines-the-monitoring-matrix-methodology-matching-table> (Accessed August 2, 2015)

European Center for Non-for-Profit Law (ECNL). n.d. *The Monitoring Matrix on the Enabling Environment for Civil Society Development (Monitoring Matrix) The toolkit*. <http://monitoringmatrix.net/m-m-reports-coded/the-toolkit>. (Accessed August 2, 2015)

European Consortium for Political Research (2002). www.opendemocracy.net
EWMI G-PAC Web site: www.ewmi-gpac.org

Ferrara, A. (n.d). Deliberative Democracy and the Challenge of Global Governance. University of Rome “Tor Vergata”, Italy. <http://globernance.org/wp-content/uploads/2011/02/Ferrara.pdf>

Fisher, W, (1997). Doing good? The politics and antipolitics of NGO practices. Annual Review of Anthropology, 26 (1), pp. 439-464.
<http://www.annualreviews.org/doi/abs/10.1146/annurev.anthro.26.1.439>

Foley, M. & Edwards, B. (1997). Editors Introduction: Escape from politics? Social theory and the social capital debate”. American Behavioral Scientist 40: 550.
[https://www.academia.edu/1446294/Escape from Politics Social Theory and the Social Capital Debate](https://www.academia.edu/1446294/Escape_from_Politics_Social_Theory_and_the_Social_Capital_Debate)

Folk School Movement (n.d), <http://www.scandinavianseminar.org/?id=101>

Fox , L.M. & Helweg, P. (1997). *Advocacy Strategies for Civil Society: A Conceptual Framework and Practitioner's Guide*. World Learning Inc. and Associates in Rural Development under USAID contract: AEP-5468-I-00-6013-00, August 31, 1997.
[http://www.pointk.org/resources/files/Advocacy Strategies for Civil Society.pdf](http://www.pointk.org/resources/files/Advocacy_Strategies_for_Civil_Society.pdf).
(Accessed June 20, 2015)

Fukuyama, F. (1999). Social Capital and Civil Society. The Institute of Public Policy, George Mason University. Prepared for delivery at the IMF Conference on Second

Generation Reforms.

<https://www.imf.org/external/pubs/ft/seminar/1999/reforms/fukuyama.htm>

Fukuyama, F. (2002). Social Capital and Development: The Coming Agenda. SAIS Review of International Affairs, Volume 22, #1, pp.23-37.

http://model.serality.com/documents/243445/243603/social_capital_and_development.pdf

Gellner E. (1996). Conditions of Liberty: Civil Society and its Rivals. Penguin Books

Gellner, E. (1997). Nationalism, NYU Press, ISBN: 0814731139, 9780814731130

Georges Soros official website (n.d.). www.georgesoros.com

Germino, D, (n.d). Henri Bergson: Activist Mysticism and The Open Society.

University of Virginia, https://isistatic.org/journal-archive/pr/09_01/germino.pdf

Gidron, B., Kramer, R. & Salmon, L. (1992), Government and the Third Sector, Emerging Relationships in Welfare States. Jossey-Bass Publishers: San Francisco

Gienapp, A.& Cohen, C. (2011). *Advocacy Evaluation Case Study: The Chalkboard Project*. "Center for Innovation Evaluation", September 2011.

http://orsimpact.com/wp-content/uploads/2013/08/chalkboard_case_study_CE11.pdf.

(Accessed June 17, 2015).

Gienapp, A., Reisman, J. & Stachowiak, S. (2009). *Getting Started: A Self-Directed Guide to Outcome Map Development, Guide, Exercises and Examples*, Prepared for the Annie E. Casey Foundation, August 2009, <http://orsimpact.com/wp->

[content/uploads/2015/08/Getting-Started-Guide-FINAL-10-7-14.pdf](#). (Accessed June 22, 2015)

Gildon B., Bar, M. (eds.) (2009). Policy Initiatives Towards the Third Sector in International Perspective. Springer Science & Business Media LLC

Giorgini, G. (2013). Five Hundred Years of Italian Scholarship on Machiavelli's Prince. *Review of Politics*, 75,#4 pp 625-640, www.jstore.org

Graham C. (1994). Safety Nets, Politics, and the Poor. Transition to Market Economies. The Brookings Institution

Granovetter, M. (1973). The Strength of Weak Ties. *American Journal of Sociology*, Volume 78, #6. www.jstore.org

Guthrie, K., Louie, J., David. T., & Foster, C.C. (2005). *The Challenge of Assessing Policy and Advocacy Activities: Strategies for a Prospective Evaluation Approach*. Funded by and prepared for: California Endowment, October 2005.

[http://www.theoryofchange.org/wp-content/uploads/toco_library/pdf/2005 -
_Guthrie - The challenge of assessing policy advocacy.pdf](http://www.theoryofchange.org/wp-content/uploads/toco_library/pdf/2005_-_Guthrie_-_The_challenge_of_assessing_policy_advocacy.pdf). (Accessed July 2, 2015)

Halpern, D. (2005). Social Capital. Polity Press, Cambridge, UK

Hardt, M. & Weeks, K. (eds) (2000). The Jameson Reader. Blackwell Publishers Ltd., ISBN-13: 978-0631202707, pp. 260–6

Hirst, P. (1994), Associative Democracy. New Forms of Economic and Social Governance. University of Massachusetts Press, ISBN 0-87023-897-3

Hirst, P. (2002). Renewing Democracy Through Associations. *The Political Quarterly*, Volume 73, #4, pp. 409-421, www.opendemocracy.net/paul-hirst/renewing-democracy-through-associationsRenewing democracy through associations

Hirst, P. (2011). Renewing Democracy Through Associations. A summary paper for Essex University. <https://www.opendemocracy.net/ourkingdom/paul-hirst/renewing-democracy-through-associations>

Hobbes, T. (1651). *Leviathan or the Matter, Form, & Power of a Common-wealth Ecclesiastical and Civill*. London, printed for Andrew Crooke, at the Green Dragon in St. Pauls Church-yard 165,
<http://socserv2.socsci.mcmaster.ca/econ/ugcm/3ll3/hobbes/Leviathan.pdf>

Hobson, B., Lewis, J. & Siim E. (eds), (n.d.). Social Capital – An Emerging Concept. (forthcoming) in B. Hobson, J. Lewis and B. Siim *Key Concepts in Gender and European Social Politics*, Edward Elgar Press, Cheltenham
https://www.researchgate.net/publication/249753946_Social_Capital_-_An_Emerging_Concept

Howard, M.M. (2003). *The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe*. Cambridge University Press

Hudson Institute. (2015). “The Index of Philanthropic Freedom (PFI).”
<https://s3.amazonaws.com/media.hudson.org/files/publications/2015.06.15IndexofPhilanthropicFreedom2015.pdf>. (Accessed August 1, 2015)

ICCO (2010). Guidance on Lobby and Advocacy.

<http://www.icco.nl/Portals/1/Documenten/Lobby%20and%20advocacy%20guidelines.pdf>

Immergut, E. (1995), Cohen, J. & Rogers, J. (eds). *An Institutional Critique of Associative Democracy*. London/New York, ISBN: 9781859840481

Indiana University web-site (n.d.). Elinor Ostrom: Nobel Laureate, <http://elinorostrom.indiana.edu/>

International Center for Non-for-Profit Law (ICNL) & CIVICUS World Alliance for Citizen Participation. n.d. *Enabling Environment National Assessments (EENA) Methodology*. [http://www.icnl.org/research/resources/assessment/Enabling-Environment-National-Assessment%20\(1\).pdf](http://www.icnl.org/research/resources/assessment/Enabling-Environment-National-Assessment%20(1).pdf). (Accessed August 3, 2015)

International Center for Non-for-Profit Law (ICNL). (2013). *Assessment Tools for Measuring Civil Society's Enabling Environment. Global Trends in NGO Law*. A quarterly Review of NGO Legal Trends around the World. Volume 5, Issue 1. <http://www.icnl.org/research/trends/trends5-1.pdf>

Janis I.L. (1989). *Crucial Decision, Leadership in Policymaking and Crisis Management*. The Free Press, A Division of Macmillan, Inc., New York Collier Macmillan Publishers, London

Journal of Democracy 1997, 521996 National Endowment for Democracy and the Johns Hopkins University Press.7.3

K4Health Toolkits (2016. Family Planning Advocacy Toolkit , Project of K4Health, the Health Policy Project, World Vision, UN Foundation, Christian Connections for

International Health (CCIH), Marie Stopes International (MSI) and the U.S. Agency for International Development, <https://www.k4health.org/toolkits/family-planning-advocacy/strategy>

Kapucu, N. (2011). Social Capital and Civic Engagement. *International Journal of Social Inquiry*, Volume 4 Number 1 2011 pp. 23-43,
<http://www.socialinquiry.org/articles/IJSI-V4N12011%20-%20002.pdf>

Karakoç, E. & Bernhard, M. (2007). Civil Society and the Legacies of Dictatorship. *World Politics*, Volume 59, Issue #4, pp 539-567, Princeton University 2007,
Published online: 13 June, 2011.
<http://journals.cambridge.org/action/displayAbstract?fromPage=online&aid=7603144&fileId=S0043887100004639>

Keefer, Ph. & Knack, S. (2005). Social Capital, Social Norms and the New Institutional Economics. World Bank.
<http://siteresources.worldbank.org/INTINVTCLI/Resources/socialcapitalsocialnorms.pdf>

Kimberlin, S. (2010). Advocacy by Nonprofits: Roles and Practices of Core Advocacy Organizations and Direct Service Agencies. *Journal of Policy Practice*, 9:164-182, DOI: 10.1080/15588742.2010.487249. <http://socialeconomyaz.org/wp-content/uploads/2011/05/51743043.pdf>

Kingdon, J. (1985). Agendas, Alternatives, and Public Policies. *Journal of Public Policy*, Vol. 5, No. 2, pp. 281-283, Cambridge University Press, www.jstore.org

Kriesi, H. (1988), Local Mobilization For People's Petition of the Dutch Peace Movement. International Social Movement Research, vol. 1., 1988, pp.41-82, <http://books.google.ge>

Levi, M. (1998). A State of Trust. Forthcoming as Chapter 4 in Valerie Braithwaite and Margaret Levi, eds., Trust and Governance. New York: Russell Sage Foundation. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.452.7186&rep=rep1&type=pdf>

Lewis, D. (1969). Convention: A Philosophical Study. Cambridge, MA, Cambridge University Press. <http://www.princeton.edu/~harman/Courses/PHI534-2012-13/Nov26/lewis-convention1.pdf>

Lewis, D. (2001). Civil Society in African Contexts: Reflections on the 'Usefulness' of a Concept Department of Social Policy. London School of Economics and Political Science., p.3. <http://onlinelibrary.wiley.com>

Light P.C. (2004). Sustaining Nonprofit Performance. The Case for Capacity Building and the Evidence to Support It. Brookings Institution Press, Washington DC

Locke, J. (1689). Two Treatises of Government, Prepared by Rod Hay for the McMaster University Archive of the History of Economic Thought, <http://socserv2.socsci.mcmaster.ca/econ/ugcm/3ll3/locke/government.pdf>

Lutsevych, O. (2013). How to Finish a Revolution: Civil Society and Democracy in Georgia, Moldova and Ukraine. Chatham House Briefing paper, REP BP 2013/01. https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/public/Research/Russia%20and%20Eurasia/0113bp_lutsevych.pdf

Machiavelli, N. (1505). *The Prince*. Published 1515, Translated by W. K. Marriott,
<http://www.constitution.org/mac/prince.pdf>

Maiese, M. (2003). *The Necessity of Social Structural Change, Beyond Intractability*,
<http://www.beyondintractability.org/contributors/michelle-maiese>

McCracken, A.L. (2010). Advocacy: it is time to be the change. *Journal of Gerontological Nursing*, 36(3):15-17, PMID:20180496,
<http://www.healio.com/nursing/journal>

McKenzie, L.A. (1982). Rousseau's Debate with Machiavelli in the Social Contract. *Journal of the History of Ideas*, Vol. 43, No. 2 (Apr. - Jun., 1982), pp. 209-228. University of Pennsylvania Press, DOI: 10.2307/2709200,
<http://www.jstor.org/stable/2709200>

Miedema, Th. (2010). *Violent Conflict and Social Capital in Ethnically-Polarized Developing Countries*. Law University of Toronto 2010,
[https://tspace.library.utoronto.ca/bitstream/1807/26301/1/Miedema Theresa E 2010 1 SJD thesis.pdf](https://tspace.library.utoronto.ca/bitstream/1807/26301/1/Miedema%20Theresa%20E%202010%201%20SJD%20thesis.pdf)

NDI Public Opinion Poll, 2015

NDI Surveys, 2000-2014 www.ndi.org

New Economics Foundation. (2004). "Measuring Social Impact: The Foundation of Social Return on Investment (SROI)." <https://volunteer.ca/content/measuring-social-impact>. (Accessed June 25, 2015)

Nichol, J. (2013), Georgia (Republic): Recent Developments and U.S Interests, CRS Report for Congress, 7-5700, June 21, 2013, <https://fas.org/sgp/crs/row/97-727.pdf>

Nodia, G. (2005). Civil Society Development in Georgia: Achievements and Challenges. Policy Paper, CIPPD Citizens Advocate! Program.
<http://www.csogeorgia.org/uploads/developmentTrends/56/CivilSocietyDevelopmentinGeorgia-eng.PDF>

OECD (n.d). <http://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=CPA#>

Olson, M. (1971). The logic of Collective Action, Harvard Economic Studies 124

Organizational Research Service (ORS). (N.d). *The Challenges of Assessing Civic Engagement Efforts: Towards a Useful Frameworks and Measurement Approaches*. Prepared for the Annie E. Casey Foundation.

http://www.racialequitytools.org/resourcefiles/challenge_of_assessing_civic_engagement_what_do_we_know.pdf. (Accessed July 15, 2015)

Organizational Research Services (ORS). (2007). *A guide to Measuring Advocacy and Policy*, prepared for the Annie E. Casey Foundation. <http://www.aecf.org/resources/a-guide-to-measuring-advocacy-and-policy>. (Accessed June 16, 2015)

Organizational Research Services (ORS). (2007). *A Handbook of Data Collection Tool: Companion to A Guide to Measuring Advocacy and Policy*”, prepared for the Annie E. Casey Foundation. http://orsimpact.com/wp-content/uploads/2013/08/a_handbook_of_data_collection_tools.pdf (Accessed June 15,2015)

Organizational Research Services (ORS). (2008). *Theory of Change*. 1100 Olive Way Suite 1500 Seattle, Washington 98101. <http://orsimpact.com/wp-content/uploads/2015/08/TOC-Primer-web-friendly-version.pdf>. (Accessed June 15, 2015)

Organizational Research Services (ORS). (2011). *Annie E. Casey Foundation: Evaluation of Civic Engagement Field Building. 2011. Overview of Civic Engagement Operating Frameworks (Early Thinking)*. July 7, 2011 http://www.vital-aging-network.org/files/media/civic_engagement-operating_frameworks.pdf. (Accessed July 15, 2015)

Peters, M. (1995). *Swimming Against the Tide: Why Citizen Advocacy Will Not Gain Wide Acceptance*. The newsletter of Citizen Advocacy Eastern Suburbs, Issue 1. http://www.bmartin.cc/CAN/policies/Peters/Peters_Inroads01.html

Piven, F. & Cloward, R. (1977). *Poor People's Movements: How They Succeed, How They Fail*, Vintage Books, A Division of Fandom House, New York, [https://libcom.org/files/\[Frances Fox Piven, Richard Cloward\] Poor People's\(Booko_s.org\)\(1\).pdf](https://libcom.org/files/[Frances_Fox_Piven,_Richard_Cloward]_Poor_People's(Booko_s.org)(1).pdf)

Popper, K. (1945, reprint 2006). *The Open Society and Its Enemies. Volume One*, Routledge, https://archive.org/stream/opensocietyandit033120mbp/opensocietyandit033120mbp_djvu.txt

Putman, R. (2000). *Bowling Alone*. New York: Simon & Schuster

Putnam, R., Leonardi, R. & Nanetti, R. (1993), *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*, Princeton University Press

Reisman J., Gienapp A. & Stachwiak, S. (2007). *Handbook of Data Collection Tools: Companion to "A Guide to Measuring Advocacy and Policy"*. Organizational Research Services, funded by and prepared for Annie E. Casey Foundation. ,
<http://www.organizationalresearch.com>

Rothstein, B. & Stolle, D. (2008). The State and Social Capital: An Institutional Theory of Generalized Trust. *Comparative Politics*, Vol. 40, No. 4, pp. 441-459. Comparative Politics, Ph.D. Programs in Political Science, City University of New York.
<http://www.jstor.org/stable/20434095>.

Rucht, D. & Neidhardt, F. (2002). Towards a 'Movement Society'? On the possibilities of Institutionalizing Social Movement. *Social Movement Studies*, Vol. 1, #1. Carfax Publishing,
http://media.library.ku.edu.tr/reserve/resspring09/soci304_MYuksel/week11.pdf

Sabatier, P. & Weible, M. (2014). *Theories of the Policy Process*. Boulder, CO: Westviewpress <https://books.google.ge>

Sander, T. (2015). *About Social Capital*. Saguaro Seminar: Civic Engagement in America, John F. Kennedy School of Government at Harvard University,
www.hks.harvard.edu

Save the Children (n.d). *Open University Advocacy and Campaigning*,
www.savethechildren.org

Scandinavianseminar.org (n.d). The History and Philosophy of the Nordic.

www.scandinavianseminar.org

Schmidtz, D. (1991). Ethics, Reviewed work: The Cement of Society: A Study of Social Order by Elster, J. (1989). Cambridge University Press, Vol. 101, No. 3, pp. 653-655.

<http://www.jstor.org/stable/2381480>,

Seligman, A. (1992, 1995) The Idea of Civil Society, Princeton University Press, ISBN 0-691-01081-1

Sharp, G. (2010). From Dictatorship to Democracy. A Conceptual Framework for Liberation, Fourth U.S. Edition, The Albert Einstein Institution, May 2010, pp.20-25.

<http://www.aeinstein.org/wp-content/uploads/2013/09/FDTD.pdf>

Skocpol, T., Ganz, M. & Munson, Z. (2000). A Nation of Organizers: The Institutional Origins of Civic Voluntarism in the United States. The American Political Science Review; September 2000, vol. 94, pages 527-546.

<http://www.jstor.org/stable/2585829?origin=JSTOR-pdf>

Soros, G. (2006).The Age of Fallibility. Public Affairs *New York*,

<http://ceses.cuni.cz/CESES-100-version1-review.pdf>

Soros, G. (2007). From Karl Popper to Karl Rove - and Back. Project Syndicate.

<http://www.project-syndicate.org/commentary/from-karl-popper-to-karl-rove---and-back>

Sprechmann, S. & Pelton, E. (2011). *Advocacy Tools and Guidelines, Promoting Policy Change*. A Resource Manual for CARE Program Managers. CARE, January

2001.

http://www.careclimatechange.org/files/toolkit/CARE_Advocacy_Guidelines.pdf.

(Accessed June 20, 2015).

Stachowiak, S. (n.d. Pathways for Change: 6 Theories About How Policy Change Happens. ORS, <http://www.organizationalresearch.com>

Stanford Encyclopedia of Philosophy (2004, revision in 2003). The Two Sources of Morality and Religion: Bergson. <http://plato.stanfords.edu>

Stolle, D. & Lewis, J. (n.d). Social Capital—An Emerging Concept. Forthcoming in B. Studies, 1(1), pp. 7–30.

www.media.library.ku.edu.tr/reserve/resspring09/soci304_MYuksel/week11.pdf

Tarrow, S. (1996). Making Social Science Work Across Space and Time: A Critical Reflection on Robert Putnam's Making Democracy Work. *The American Political Science Review*, Vol. 90, #2, pp. 389-397.

<http://www.jstor.org/stable/2082892?origin=JSTOR-pdf>

Taylor, V. & Van Willigen, M. (1996). Women's Self-Help and The Reconstruction of Gender: The Postpartum Support and Breast Cancer Movements. *Mobilization: An International Quarterly*, Vol. 1, #2, pp. 123-142.

<http://mobilizationjournal.org/doi/abs/10.17813/maiq.1.2.448w44v6n4784562?code=hjdm-site>

Technical Assistance for Civil Society Organizations – TACSO. 2011. *Advocacy and Policy Influencing for Social Change*. The Swedish Institute for Public Administration - SIPU International. http://www.tacso.org/doc/doc_manual_5.pdf

Teles, S. & Schmitt, M. (2011).” The Elusive Craft of Evaluating Advocacy.” *Stanford Social Innovations Review, Summer 2011*.

https://ssir.org/images/digital_edition/2011SU_Feature_TelesSchmitt.pdf. (Accessed June 16, 2015)

The Blackwell Encyclopedia of Political Thought (1986, 1991) (Miller, D., Coleman, J., Connolly, W. & Ryan, A. (eds). Blackwell Publishers

The Oxford English Dictionary (2010), second Edition, volume 1, 2010, Oxford University Press

Theguardian.com (n.d). How much aid money is spent in donor countries? –get the data. Global Development. <http://www.theguardian.com/global-development/datablog/2014/feb/13/aid-money-spent-donor-countries-get-data>

Thucydides (n.d). The History of the Peloponnesian War, Book II: Pericles' Funeral Oration, Mount Holyoke College on-line library
<https://www.mtholyoke.edu/acad/intrel/pericles.htm>

Tinker, I. (2004). Quotas for Women in Elected Legislatures: Do They Really Empower Women? Women’s International Forum, pp.532-546,
www.ejournals.library.vanderbilt.edu

Toepler, S., Anheier, K.H & List, R. A (eds) (2010). International Encyclopedia of Civil Society, Springer Reference, Vol. 1-3

Tummers, L.G. & Bekkers, V. (2014). Policy Implementation, Street-Level Bureaucracy and the Importance of Discretion. *Public Management Review*, 2014

Tversky, A. & Kahneman, D. (1981). The Framing of Decisions and Psychology of Choice. *Science*, 1981, Vol. 211, #4481, pp. 453-458,
<http://psych.hanover.edu/classes/cognition/papers/tversky81.pdf>

United States Agency for International Development (USAID) (n.d). *USAID's Civil Society Organizations Sustainability Index (CSOSI) Methodology*.
<https://www.usaid.gov/what-we-do/democracy-human-rights-and-governance/cso-sustainability-index-methodology>. (Accessed June 25, 2015)

United States Agency for International Development (USAID). (2010). *Advocacy Capacity Assessment Tool*

Uphoff, N. (1999). Understanding Social Capital: Learning from the Analysis and Experiences of Participation.
http://isites.harvard.edu/fs/docs/icb.topic980025.files/Wk%206%20Oct%207th/Uphoff_2000_Understanding_Soc_Capital.pdf

USAID (2003-2014) CSO Sustainability Index for Central and Eastern Europe and Eurasia <https://www.usaid.gov>

W.K. Kellogg Foundation (2008). *Effective Advocacy at All Levels of Government*.
<http://ww2.wkkf.org/advocacyhandbook/index.html>

Weeden, C. (1998). *Corporate Social Investing, The Breakthrough Strategy for Giving and Getting Corporate Contributions*. Berrett-Koehler Publishers, Inc., San Francisco

Westall, A. & White, S. (2014). *Renewing Democracy Through Associations*.
Revisiting Associative Democracy Seminar organized in Oct, 2014 in London's Coin
Street Community Center. www.opendemocracy.net.

Westall, A. (ed) (2011). *Revisiting Associative Democracy: how to get more co-
operation, co-ordination and collaboration into our economy, our democracy, our
public services, and our lives*. Lawrence & Wishart,
[https://www.lwbooks.co.uk/sites/default/files/free-
book/RevisitingAssociativeDemocracy.pdf](https://www.lwbooks.co.uk/sites/default/files/free-book/RevisitingAssociativeDemocracy.pdf)

Woliver, R. (1993). *From Outrage to Action: The Politics Of Grass-Roots Dissen*.
Urbana, IL: University of Illinois Press, <https://books.google.ge>



Woolcock, M. (1998). *Social Capital and Economic Development: Toward a
Theoretical Synthesis and Policy Framework*. *Theory and Society* 27/2, pp 151-208.
www.socialcapitalgateway.org



World Values Survey (2005-2014), www.worldvaluessurvey.org

Wright Mills, C. (1956). *The Power Elite*. Oxford University Press.
<https://www.marxists.org/subject/humanism/mills-c-wright/power-elite.htm>


Zald, M.N. & McCarthy, J.D. (1987) *Social Movements in an Organizational Society:
Collected Essays*. New Brunswick, NJ: Transaction Books, 1997. <http://www.jstor.org>

Zetzel, J. (1999). *Marcus Tullius Cicero*, Cambridge University Press, History,
SBN: 9780521453448










განვითარების დახმარების ფოკუსები







სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე ადვოკატორების გზით


















		პოლიტიკური გარემო			
სს1	ადვოკატირების შედეგი	თავისუფლები ს გარანტიები	ხელისუფლება - სს სექტორი ურთიერთობა	კანონმდებლო ბის დაცვა	AVE
A1	1.9	5.0	2.3	2.3	3.2
B1	2.1	5.0	2.1	2.0	3.0
C1	2.4	4.8	3.4	3.3	3.9
D1	2.7	5.0	3.3	3.1	3.8
E1	2.7	5.0	3.2	2.8	3.7
F1	2.7	4.8	2.7	1.8	3.1
G1	2.8	4.7	2.9	2.0	3.2
H1	3.0	5.0	3.6	4.0	4.2
I1	3.1	5.0	3.5	3.3	4.0
J1	3.1	5.0	3.1	2.0	3.4
K1	3.2	4.8	2.9	2.2	3.3
L1	3.2	5.0	3.6	3.6	4.1
M1	3.2	5.0	3.7	2.3	3.7
N1	3.3	4.7	2.6	2.3	3.2
O1	3.3	4.8	2.9	1.9	3.2
P1	3.3	5.0	3.3	2.3	3.6
Q1	3.4	4.7	2.3	2.1	3.0
R1	3.4	5.0	3.7	2.3	3.7
S1	3.6	5.0	2.7	1.8	3.2
T1	4.2	5.0	4.3	3.0	4.1
ave	3.0	4.9	3.1	2.5	3.5

		პოლიტიკური გარემო			
სს1	ადვოკატირების შედეგი	თავისუფლები ს გარანტიები	ხელისუფლება - სს სექტორი ურთიერთობა	კანონმდებლო ბის დაცვა	AVE
A2	3.0	5.0	3.0	3.6	3.9
B2	3.3	5.0	3.5	3.0	3.8
C2	3.5	4.3	2.7	2.4	3.1
D2	3.8	4.0	3.5	2.3	3.3
E2	3.9	1.5	2.1	1.3	1.7
ave	3.5	4.0	2.9	2.5	3.1

შემოსავლის წყაროები: სს1 ორგანიზაციები

სს1	დაფუძნების თარიღი	დონორთა დაფინანსება (USD) (წელიწადში)		სოციალური საწარმო	დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა	ბიზნესის დახმარება /ფანდრაიზინგი	ფულადი კონტრიბუცია (USD)	არა-ფულადი კონტრიბუცია	საწევრო
		პირველადი	2015-2016						
A1	2005	3000	140000						
B1	2002	5000	15000		x				
C1	(1989) 2001	0	200000		x				
D1	1998	2000	250000		x	x			
E1	2002	10000	1650000						
F1	2012	10000	150000						
G1	1998	150000	500000		x				10დან -80-მდე ლ/წელი X 400 წევრი
H1	1995	n/a	1000000						5 ლ/წ x 500 წევრი
I1	2002	60000	1000000						
J1	2006	n/a	3500000		x				
K1	2009	10000	500000				x		
L1	1999	50000	1000000		x	x			
M1	1998	60000	400000			x			5 ლ/თვე X 21 წევრი
N1	1996	1000	150000	x	x			x	
O1	2003	18000	160000		x				
P1	1999	40000	1000000	x	x	x			
Q1	2000	10000	300000			x		x	
R1	1996	2000	500000						
S1	1998	15000	125000	x	x				
T1	1996	n/a	2000000	x	x				

შემოსავლის წყაროები: სს2 ორგანიზაციები

სს2	დაფუძნების თარიღი	დონორთა დაფინანსება		სოციალური საწარმო	დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა	ბიზნესის დახმარება /ფანდრაიზინგი	ფულადი კონტრიბუცია (USD)	არა-ფულადი კონტრიბუცია	საწევრო
		პირველადი	2015-2016						
A2	2003 (2011)	67000	4000			x		x	
B2	2013	0	0			x	300000	x	
C2	2005	10000	(2013) 51000		x				
D2	2012	0	0			x	25000-40000	x	
E2	2013	0	0			x	x	x	

სს1	ადვოკატირების შედეგი
A1	1.9
B1	2.1
C1	2.4
D1	2.7
E1	2.7
F1	2.7
G1	2.8
H1	3.0
I1	3.1
J1	3.1
K1	3.2
L1	3.2
M1	3.2
N1	3.3
O1	3.3
P1	3.3
Q1	3.4
R1	3.4
S1	3.6
T1	4.2
ave	3.0

შემოსავლის წყაროები				
დონორთა დახმარება	შიდა ფინანსური რესურსები	ფულადი კონტრიბუციები	არა-ფულადი კონტრიბუციები	AVE
3.0	1.0	1.3	1.0	1.6
3.0	1.0	1.7	1.0	1.7
4.0	2.7	1.0	1.0	2.2
4.7	1.0	1.0	1.0	1.9
5.0	2.0	3.0	1.3	2.8
3.3	1.3	1.0	1.3	1.8
5.0	4.0	1.0	1.0	2.8
5.0	2.3	1.0	1.0	2.3
4.3	1.0	1.7	1.0	2.0
5.0	3.0	1.0	2.0	2.8
5.0	1.0	1.0	1.0	2.0
4.7	4.7	1.3	1.0	2.9
4.7	1.0	2.0	1.3	2.3
3.3	4.0	2.3	3.3	3.3
4.7	3.7	1.0	1.0	2.6
5.0	3.0	1.0	1.3	2.6
4.7	1.7	1.0	1.7	2.3
5.0	3.0	1.7	1.0	2.7
3.0	1.0	1.0	1.0	1.5
3.0	3.0	1.0	1.0	2.0
4.3	2.3	1.4	1.3	2.3

სს2	ადვოკატირების შედეგი
A2	3.0
B2	3.3
C2	3.5
D2	3.8
E2	3.9
ave	3.5

შემოსავლის წყაროები				
დონორთა დახმარება	შიდა ფინანსური რესურსები	ფულადი კონტრიბუციები	არა-ფულადი კონტრიბუციები	AVE
3.0	3.7	1.7	3.0	2.8
1.0	3.3	5.0	4.0	3.3
3.0	4.0	1.3	1.7	2.5
1.3	4.7	4.0	4.0	3.5
1.3	4.7	4.7	4.7	3.8
1.9	4.1	3.3	3.5	3.2

სს1 ორგანიზაციები ორგანიზაციული შესაძლებლობები

სს1	დაფუძნების თარიღი	ორგანიზაციული შესაძლებლობა (G-PAC)	პოტენციური გრანტის მიმღები (G-PAC)	ორგანიზაციული უნარი საბოლოო	რისკები
A1	2005		2.0	2.0	მაღალი რისკი
B1	2002	3.5		3.5	საშუალო რისკი
C1	(1989) 2001	3.6		3.6	დაბალი რისკი
D1	1998	3.7		3.7	დაბალი რისკი
E1	2002	3.6		3.6	დაბალი რისკი
F1	2012		3.0	3.0	საშუალო რისკი
G1	1998	3.6		3.6	დაბალი რისკი
H1	1995	3.6		3.6	დაბალი რისკი
I1	2002	3.8		3.8	დაბალი რისკი
J1	2006		3.5	3.5	დაბალი რისკი
K1	2009		3.0	3.0	საშუალო რისკი
L1	1999		4.0	4.0	დონორის პარტნიორი (დაბალი რისკი)
M1	1998	3.2		3.2	საშუალო რისკი
N1	1996	3.6		3.6	დაბალი რისკი
O1	2003	3.1		3.1	საშუალო რისკი
P1	1999	3.1		3.1	საშუალო რისკი
Q1	2000	3.8		3.8	დაბალი რისკი
R1	1996	3.7		3.7	დაბალი რისკი
S1	1998	2.6		2.6	საშუალო რისკი
T1	1996		4.0	4.0	დონორის პარტნიორი (დაბალი რისკი)
ave			3.4		

სს2 ორგანიზაციები ორგანიზაციული შესაძლებლობები

სს2	დაფუძნების თარიღი	ორგანიზაციული შესაძლებლობა (ადვოკატირების უნარის შეფასება)	პოტენციური გრანტის მიმღები	ორგანიზაციული უნარი საბოლოო	კომენტარი
A2	2003 (2011)		2.0	2.0	მაღალი რისკი
B2	2013		2.0	2.0	მაღალი რისკი
C2	2012		3.0	3.0	საშუალო რისკი
D2	2005		1.0	1.0	მაღალი რისკი
E2	2013		1.0	1.0	მაღალი რისკი
ave			1.8		

ადვოკატორების შედეგი	
A1	1.9
B1	2.1
J1	3.1
S1	3.6
C1	2.4
E1	2.7
D1	2.7
H1	3.0
M1	3.2
T1	4.2
N1	3.3
I1	3.1
G1	2.8
O1	3.3
L1	3.2
K1	3.2
R1	3.4
F1	2.7
P1	3.3
Q1	3.4
	3.0

სტრატეგიული მიდგომა						
მოტივაცია	ცვლილების თეორია			AVE: მოტივაცია/ცვლილების თეორია	საკითხის აქტუალობა	AVE: სტრატეგიული მიდგომა
	ხედვა	თვალდევნა წარუმატებლობის შემთხვევაში	საკითხის აქტუალობის შექმნა/განახლება			
	2.0	1.7	2.0	2.0	1.9	3.0
	3.0	2.3	2.0	1.0	2.1	2.1
	1.0	3.0	3.0	1.7	2.2	3.0
	3.0	3.0	2.0	1.0	2.3	3.0
	3.0	1.7	2.0	2.7	2.3	2.7
	2.3	2.3	2.0	2.0	2.2	4.0
	3.0	2.3	3.3	2.7	2.8	2.7
	1.0	4.7	4.0	1.0	2.7	4.0
	3.0	5.0	2.7	1.0	2.9	4.7
	1.0	4.7	3.0	4.0	3.2	4.0
	4.0	5.0	3.0	2.0	3.5	3.0
	4.0	4.3	4.0	2.0	3.6	2.7
	4.0	5.0	3.7	2.7	3.8	2.3
	4.0	4.7	2.0	3.0	3.4	4.0
	4.0	4.7	3.0	2.7	3.6	4.0
	4.0	4.3	3.7	3.7	3.9	3.7
	5.0	4.7	5.0	1.0	3.9	4.0
	4.0	3.7	4.3	4.0	4.0	4.0
	4.0	4.7	4.0	4.0	4.2	4.0
	4.0	5.0	4.7	4.7	4.6	2.7
	3.2	3.8	3.2	2.4	3.2	3.4

ადვოკატორების შედეგი	
C2	3.6
B2	3.3
D2	3.8
A2	3.0
E2	3.9
	3.5

სტრატეგიული მიდგომა						
მოტივაცია	ცვლილების თეორია			AVE: მოტივაცია/ცვლილების თეორია	საკითხის აქტუალობა	AVE: სტრატეგიული მიდგომა
	ხედვა	თვალდევნა წარუმატებლობის შემთხვევაში	საკითხის აქტუალობის შექმნა/განახლება			
	4.0	5.0	5.0	5.0	4.8	2.0
	4.0	5.0	4.7	4.0	4.4	3.7
	5.0	5.0	4.7	4.7	4.8	2.0
	4.7	4.7	4.7	4.3	4.6	3.7
	5.0	5.0	5.0	5.0	5.0	3.3
	4.5	4.9	4.8	4.6	4.7	2.9

მზარდამჭერთა ეელის გაფართოვება															
პოლიტიკის და სოციალური ცვლილების ზერეკტები						მოსახლეობის ჩართულობის ზერეკტები									
(ზელისუფლებების ჩართულობა დარწმუნება, თანადგომა)						(მოსახლეობის ჩართულობა) გაუმჯობესებული სოციალური კაპიტალი									
პოლიტიკის ანალიზი ან ალტერნატიული პოლიტიკის დოკუმენტი გაზიარებულია	საკითხის მნიშვნელობა აღიარებულია	გადანწყვეტილების მიმდებარე ჩართულობა უზრუნველყოფილია	სსო ჩართულობა პოლიტიკის შემუშავებაში	ლობირება და სხვა	AVE	ბენეფიციართა ცნობიერების ამაღლება	ბენეფიციართა ჩართულობა ადვოკატირებაში	არაფორმალური ლიდერების გააქტიურება	გაძლიერებული ალიანსები, კოალიციები და ქსელები	ყოფილი მოწინააღმდეგების მხრდაქერ	თემის საჯაროობა, მედია ყურადღება გაუმჯობესებულია	მესიჯები გამოყენებულია ფართო საზოგადოების მიერ	ქუჩის აქციები და სხვა კრეატივი	პეტიციები, მიმართვები და სხვა	AVE
1.3	2.0	2.8	1.0	2.5	1.9	2.0	1.7	1.0	1.7	1.0	2.0	1.7	1.3	1.0	1.5
1.3	2.0	2.3	1.0	1.2	1.6	3.7	3.0	3.0	1.8	1.0	2.0	3.0	2.7	2.7	2.5
3.0	2.7	3.8	2.7	3.0	3.0	3.3	1.7	1.0	2.7	1.0	1.7	1.7	1.3	1.3	1.7
2.0	2.0	3.0	3.0	2.8	2.6	2.3	3.7	3.7	3.5	3.7	2.3	2.7	3.0	2.7	3.1
3.0	3.0	3.0	2.7	2.2	2.8	4.0	2.7	2.0	3.0	2.3	2.0	2.0	2.0	2.3	2.5
4.0	2.7	2.3	2.7	4.5	3.2	2.3	2.3	2.3	2.7	2.7	2.7	1.3	1.7	1.0	2.1
3.0	3.0	3.5	3.7	4.5	3.5	4.0	1.7	1.0	4.0	1.0	2.0	1.0	1.7	1.0	1.9
2.3	4.0	4.0	3.0	4.0	3.5	3.0	1.7	1.0	4.5	3.0	4.0	2.3	1.0	3.0	2.6
5.0	3.7	3.5	4.0	4.5	4.1	2.0	1.3	1.3	2.0	1.7	2.0	2.3	2.0	1.0	1.7
5.0	4.7	5.0	4.3	4.7	4.7	1.7	1.0	1.0	2.7	1.0	2.0	1.0	1.0	1.0	1.4
4.0	3.0	3.5	2.3	3.0	3.2	3.3	2.0	2.0	3.0	3.0	2.3	1.7	1.7	2.0	2.3
4.0	4.0	4.5	3.7	3.5	3.9	5.0	3.0	1.7	3.5	1.0	1.7	1.7	1.0	1.0	2.2
4.7	4.7	3.5	4.0	3.3	4.0	3.0	1.0	1.0	2.8	2.0	3.7	1.0	2.7	1.0	2.0
3.0	2.7	4.0	3.0	2.7	3.1	3.7	2.7	2.7	2.5	2.3	3.3	3.0	3.3	2.3	2.9
4.7	4.3	4.2	4.7	3.0	4.2	4.3	2.0	3.7	4.0	1.0	2.3	2.0	1.3	2.0	2.5
4.0	4.0	4.5	3.7	2.5	3.7	4.0	3.0	2.0	3.0	2.0	3.3	2.7	1.3	2.0	2.5
4.0	4.0	4.2	3.3	3.0	3.7	4.0	3.0	3.0	3.8	3.0	3.0	0.0	3.0	5.0	3.1
4.7	4.7	4.7	4.0	3.8	4.4	2.7	2.0	1.7	2.2	2.7	2.0	1.7	1.7	1.0	1.9
5.0	3.0	4.5	4.0	5.0	4.3	3.3	3.0	2.0	2.8	2.0	2.0	1.3	1.0	1.7	2.1
4.0	3.0	4.5	5.0	4.2	4.1	3.0	4.0	3.0	5.0	3.0	3.0	4.0	3.3	4.0	3.6
3.6	3.4	3.8	3.3	3.4	3.5	3.2	2.3	2.0	3.1	2.0	2.4	1.9	1.9	2.0	2.3

პოლიტიკური და სოციალური ცვლილება		
გაუმჯობესებული პოლიტიკა	გამომუშავებული სოციალური მდგომარეობა	Ave: გაუმჯობესებული პოლიტიკა-ზეგაგონება

ადვოკატირების შედეგი	

3.0	1.7	2.3
2.3	2.3	2.3
2.7	2.0	2.3
2.7	2.0	2.3
3.0	2.7	2.8
2.7	3.0	2.8
3.0	3.0	3.0
3.0	2.7	2.8
3.0	4.0	3.5
4.0	2.7	3.3
4.0	4.0	4.0
3.3	3.7	3.5
4.0	3.3	3.7
3.7	4.0	3.8
3.3	3.3	3.3
3.7	4.0	3.8
2.7	4.3	3.5
5.0	3.0	4.0
4.7	4.3	4.5
4.7	5.0	4.8
3.4	3.3	3.3

A1	1.9
B1	2.1
C1	2.4
D1	2.7
E1	2.7
F1	2.7
G1	2.8
H1	3.0
I1	3.1
J1	3.1
K1	3.2
L1	3.2
M1	3.2
N1	3.3
O1	3.3
P1	3.3
Q1	3.4
R1	3.4
S1	3.6
T1	4.2
ave	3.0

მზარდამჭერთა ეელის გაფართოვება															
პოლიტიკის და სოციალური ცვლილების ზერეკტები						მოსახლეობის ჩართულობის ზერეკტები									
(ზელისუფლებების ჩართულობა დარწმუნება, თანადგომა)						(მოსახლეობის ჩართულობა) გაუმჯობესებული სოციალური კაპიტალი									
პოლიტიკის ანალიზი ან ალტერნატიული პოლიტიკის დოკუმენტი გაზიარებულია	საკითხის მნიშვნელობა აღიარებულია	გადანწყვეტილების მიმდებარე ჩართულობა უზრუნველყოფილია	სსო ჩართულობა პოლიტიკის შემუშავებაში	ლობირება და სხვა	AVE	ბენეფიციართა ცნობიერების ამაღლება	ბენეფიციართა ჩართულობა ადვოკატირებაში	არაფორმალური ლიდერების გააქტიურება	გაძლიერებული ალიანსები, კოალიციები და ქსელები	ყოფილი მოწინააღმდეგების მხრდაქერ	თემის საჯაროობა, მედია ყურადღება გაუმჯობესებულია	მესიჯები გამოყენებულია ფართო საზოგადოების მიერ	ქუჩის აქციები და სხვა კრეატივი	პეტიციები, მიმართვები და სხვა	AVE
2.3	3.0	4.7	1.0	4.2	3.1	3.3	3.3	4.3	3.0	3.0	3.3	3.7	4.3	3.7	3.6
3.0	3.0	3.5	3.0	4.0	3.4	4.0	4.0	4.3	3.0	3.3	4.0	3.0	4.3	2.0	3.6
2.7	3.0	4.7	3.0	3.3	3.1	5.0	5.0	5.0	5.0	4.7	5.0	5.0	5.0	5.0	5.0
2.7	2.7	4.0	4.3	3.2	3.1	4.0	4.7	4.3	5.0	5.0	5.0	5.0	5.0	5.0	4.8
2.0	3.7	4.0	3.0	4.0	3.3	5.0	5.0	5.0	5.0	4.7	5.0	5.0	5.0	5.0	5.0
2.5	3.1	4.2	2.9	3.7	3.2	4.3	4.4	4.6	4.2	4.1	4.5	4.3	4.7	4.1	4.4

პოლიტიკური და სოციალური ცვლილება		
გაუმჯობესებული პოლიტიკა	გამომუშავებული სოციალური მდგომარეობა	Ave: გაუმჯობესებული პოლიტიკა-ზეგაგონება

ადვოკატირების შედეგი	
A2	3.0
B2	3.3
C2	3.5
D2	3.8
E2	3.9
ave	3.5